

„წერაკითხვის საზოგადოების“ გამოცემა.

უკონსტანტინოპოლის  
ბიბლიოთეკა

# დედა ენა

მეორე ნაწილი

## საკითხავი წიგნი ანბანის შემდეგ

თრის წლის სრული კურსი.



შეადგენილი

იაკობ გოგებაშვილის-მიერ.

მც-და-მეორე გამოცემა, შეცვლილი და შევსებული

მრავალი სურათით და საქართველოს ქარტით.

ფასი უდით თრის აბაზი

თბილისი, 1907.

მსწრაფლ-მბეჭდავი „ძმობისა“, მოსკოვის ქ., № 5.

წინა გამოცემანი ამ წიგნისათვის დროზე მოწოდებულ იქმნენ როგორც განათლების სამინისტროსაგან, ისე უწმიდესი სინოდის-მიერ.

# ღელა მნა

მეორე ნაწილი

საკითხავი წიგნი ანბანის შემდეგ

სკოლებში სასმარებელი.

ორას წლის სრული კურსი.

შედგენილი

იაკობ ბოგებაშვილის-მიერ.



ოც-და-მეორე გამოცემა (367,000)

ფასი უდით ორი აბაზი

თბილისი 1907

# წინასწარგება

მც-და-პირველს გამოცემაში.



მც-და-პირველს გამოცემაში ჩვენ მოვახდინეთ შემდეგი ცვლილებანი:

„ღელა-ენა“ გავყავით ორ ნაწილად და თითო ნაწილი გამოვეცით ცალკე წიგნად. პირველს წიგნში მოვაქციეთ **ანბანი** პატარა მოთხრობებით, ლექსებით, აღწერებით და დედნით. მეორე ნაწილში მოვათავსეთ **საკითხავი წიგნი** ორის წლის კურსით.

წინად ანბანში ერია ელემენტი მართლმადიდებელის ეკლესიისა, რომელიც ძლიერ უშლიდა გამაჰმადიანებულს ქართველებსა, ქართველს ურიებს და თვით ქართველ კათოლიკეთაც ეხმარათ ეს ანბანი. მც-და-პირველს გამოცემაში ეს ელემენტი გამოვეტოვეთ და ამით შესაძლებელად გავხადეთ ანბანის ხმარება ყველა სარწმუნოების ქართველთათვის. სხვა გვარი ცვლილებაც შევიტანეთ ანბანში. ანბანს ბოლოში ჩავურთეთ ახალი განყოფილება: თვალ-საჩინო აღწერა ზოგიერთის ნორმალურის სურათებისა. სურათები და მათი აღწერა ყველა კეთილ-განწყობილის სკოლის მოწაფეებს შესწავლილი უნდა ჰქონდეს წინად, ანბანის სწავლის დროსა, სურათების და მასწავლებლის ცოცხალის სიტყვის საშუალებით. მაშასადამე ეს აღწერანი გამეორებაა მოწაფეთათვის. რათა მეტი სიცოცხლე მიგვეცა ამ განყოფილებისათვის, ყოველს სურათის აღწერას დავურთეთ პატარ-პატარა ლექსები, მოთხრობები და ანდაზები, რომლებიც შეეხებიან აღწერილს საგნებსა.

„ღელა-ენის“ პირველი ნაწილის გათავების შემდეგ მოწაფენი გადადიან მეორე ნაწილზე, რომელიც იპყრობს საკითხავ წიგნს პირველისა და მეორე წლისათვის. საკითხავ წიგნის პირველ ნახევარში მაგდენი ცვლილება არაფერი მოგვიხდენია; მეორე ნახევარში კი შევიტანეთ ხუთი ახალი განყოფილება: 1, მოთხრობანი და ლექსები წმინდა ზნეობაზე; 2, შინაური ცხოველები და ფრინველები; 3, გარეული ფრინველები და ცხოველები; 4, მცენარეულობა (ბოსტანი, ვენახი, ქინახული და ტყე); 5, საქართველოს მოკლე აღწერა პატარა ქარტით, სადაც ჩავურთეთ ქართველი ყმაწვილების სურათები.

შველა ეს განყოფილება, ანბანივით, სრულიად მოკლებულია საეკლესიო და კერძო სარწმუნოებრივსტრუქტურას, და ამიტომ 248 გვერდამდინ ყველა სარწმუნოების ქართველს ერთნაირად შეუძლიან ამ წიგნის ხმარება. ამ სახით ორას ორმოცდა რვა გვერდამდინ „დედა-ენა“ ყველა მოწაფეს ავითარებს და ზრდის, როგორც ქართველს ადამიანსა საზოგადოდ.

„დედა-ენის“ 249 გვერდიდან იწყება სასულიერო ზნეობრივი განყოფილება, რომელიც დანიშნულია სამრევლო და სასულიერო სკოლებისათვის. მაგრამ თუ სამინისტრო სკოლებშიაც ქრისტიანი ბავშვები გულს-მოდგინებით ვადიკითხვენ ამ განყოფილებას, ნამდვილს სიკეთეს შესძენენ თავიანთს თავსა, რადგანაც მთელი ეს განყოფილება დადასისია ძლიერი და გულწრფელი კაცთ-მოყვებრობისა სარწმუნოების ნიადაგზე. ამ განყოფილების ბოლოს მოვაქციეთ მთავარი ლოცვა: „მამაო ჩვენო“, რომელიც სამაგალითო ლოცვად ითვლება. ამ ლოცვაში ღმერთი დასახულია ზეციურ მამად, ადამიანი მის შვილად, და ეს უკანასკნელი შესთხოვს თავისს ზეციერს მამასა მისცეს მას დღიური ლუკმა და მიანიჭოს შეძლება ღირსეულის მოქმედებისა და ცხოვრებისა. მეტს არაფერს შეიცავს ეს ლოცვა. იგი სრულიად მოკლებულია კლერიკალურს ხასიათსა და ამიტომ უნდა აუცილებლად ისწავლებოდეს სრული შეგნებით ყველა ქრისტიანისაგან.

სულ ბოლოს წიგნში მოქცეულია ხუცური ანბანი და ყოველ-დღიური ლოცვები, რომელნიც აღბეჭდილნი არიან პარალელურად ორ-გვარი ასოებით: ხუცურითა და მხედრულითა. ეს განყოფილება განსაკუთრებით დანიშნულია სასულიერო სასწავლებლებისათვის, რომელნიც ამზადებენ დიაკვნებსა და მღვდლებს და მოვალენი არიან მოწაფეებს ასწავლონ ხუცური კითხვა.

საჭიროდ ვრაცხთ ამას დავუმატოთ შემდეგი: ხუცურს ადგილი არ უნდა ჰქონდეს სამრევლო სკოლებში, როგორც არა აქვს სამინისტრო სკოლებში. ხუცური ასოები მეტად ძნელია—ანტიგვიგენურია, თვალებისათვის მავნებელია და მისი შესწავლა პირველ-დაწყებით სკოლებში შეუძლებელია. ან რა საჭიროა იგი იქა? სამრევლო სკოლა არც დიაკ-

ვნებს ამზადებს და არც მღვდლებსა. იგი საზოგადო სკოლაა და განირჩევა სახალხო სკოლისაგან მხოლოდ იმით, რომ მეტს ადგილს უთმობს სასულიერო ზნეობრივს უწყვეტ მენტსა. ხუცური ბევრს დროს მოითხოვს სამრევლო სკოლის მოწაფეთაგან, შეავიწროებს და ავნებს ქართულ ენასაც, რუსულსაც, სხვა საგნებსაც და იგი თვითონაც ვერ იქნება მათგან შეთვისებული. ხუცური ნამდვილი ბორკილია სამრევლო სკოლისა და მისი ქაჯანებაც არ უნდა იყოს მასში.

### აჭ-და-მეორე გამოცემის შესახებ.

მკდა მეორე გამოცემა ჩვენ შევავსეთ ხელახლად სამი ახალი განყოფილებითა. მს განყოფილებანი არიან შემდეგნი: პირველად, სამოსწავლო ნივთები, მოთხრობანი მათზე და ლექსები; მეორედ, სხვა-და-სხვა ბუნების მოვლენა, და, მესამედ, ქვეყნისათვის თავდადებულნი ქართველნი.

რაც შეეხება წინანდელს განყოფილებებსა, მათში უცვლელად დარჩა მხოლოდ პირველი განყოფილება. შევლა სხვა განყოფილებას ჩაეუმატეთ ახალი მოთხრობები და ლექსები. ზოგი ამ ახალ ლექსთაგანი საგანგებოდ დაწერილია შეკვეთით ამ გამოცემისათვის და პირველად იბეჭდება. წიგნს მოემატა ორმოცი გვერდი, რის გამოც იგი ამ ჟამად იპყრობს 280 გვერდსა. მასი კი წინანდელი უცვლელად დავსტოვეთ, თუმცა წიგნების ბეჭდვა უკანასკნელს ხანში ერთი-ორად გაძვირდა.

ამას ისიც უნდა დაეუმატოთ, რომ ექვსას „დედაენაში“, რომელიც დანიშნულია ქართველი სპარსელებისათვის კერძოდ და ქართველი მაჰმადიანებისათვის საზოგადოდ, ქართველის ურბებისათვის და ქართველ კათოლიკეთათვის, გამოტოვებულია მთლად ორი განყოფილება სასულიერო და ხუცური.

იაკობ ვოგებაშვილი

რომლის ნაწარმოების ავტორი სარჩევში არ არის დასახელებული, ის ჩვენ გვეკუთვნის. სხვა და-სხვა წყაროებიდგან ამოღებული ნაწარმოებიც ჩვენი საკუთარი რედაქციით არის შეტანილი წიგნში. რაც შეეხება სახალხო ლექსებს, სამოც ლექსში ათი ამოღებულია ბ-ნ პეტრე უმიკაშვილის კრებილიდგან, ექვსი ბ-ნ სამსონ ღონდაძის კრებილიდგან, ოთხიც სხვა წყაროებიდგან არის ამორჩეული და ორმოცამდე ჩვენი შეკრებილია.

# სარჩევი საკითხავი წიგნისა.



## პირველი რიგი.

|   |   |
|---|---|
| ხალხური სიმღერა . . . . .                     | 3 |
| ნუკას სკოლა, გადმოკეთებული . . . . .          | 4 |
| მოსიყვარულე ამხანაგი, ხალ. ლექსი . . . . .    | 5 |
| პატარა ქალის ნატვრა, ხალ. ლექსი . . . . .     | — |
| ყაყაჩო და ყმაწვილი, ხალ. შეცვ. —              | — |
| სწავლაზედ ზარმაცი, ლექსურზედ მამაცი . . . . . | — |
| მოწვევა სწავლაზედ, ხალ. შეცვ. —               | — |
| სასაუბრო (სასწ. და სათამაშ. ნივთ.)            | 6 |

## მეორე რიგი.

|                                      |   |
|--------------------------------------|---|
| მკვებარა ქოთანი, ხალ. შეცვ. . . . .  | 7 |
| ამომავალი მზე, ხალ. ლექსი . . . . .  | — |
| კამეჩი, ხალ. ლექსი . . . . .         | — |
| ვანო და ქვევრი, მოთხრობა . . . . .   | — |
| მძინარე ნიბლია, ხალ. ლექსი . . . . . | — |
| კოკა და ლიტრა . . . . .              | 8 |
| სასაუბრო (დგამი და კურბელი).         | — |

## მესამე რიგი.

|  |    |
|--|----|
| ღორ-მუცლა და ბეჯითი, რუს. . . . .          | 10 |
| ღვინო და სიტყვა, ხალ. ლექსი . . . . .      | —  |
| თავისის თავის დასჯა . . . . .              | —  |
| პური, ღვინო და მჭადი, ხალ. ლექსი . . . . . | 11 |
| კეთილი სანდალა, გადმოკეთ. . . . .          | —  |
| პური, ხალხური ლექსი . . . . .              | —  |
| სასაუბრო (საჭმელები და სასმელ.)            | 12 |
| რწყილი და კიანჭველა, ხალხ. . . . .         | 13 |

## მეოთხე რიგი.

|  |    |
|--|----|
| ქურდი, ტოლსტოისა . . . . .             | 17 |
| ირემი, ხალხური ლექსი . . . . .         | —  |
| ნაპოვნი სავარცხელი, მოთხრობა. —        | —  |
| ტოროლა, ხალხური ლექსი . . . . .        | 18 |
| ღირსეული კაცი, ხალ. ლექსი . . . . .    | —  |
| მუქთა-მჭამელა, მოთხრობა . . . . .      | —  |
| სასაუბრო (საცმელი და ლოგინი) —         | —  |
| ვანო და ფრინველები, მოთხრობა . . . . . | 19 |

## მეხუთე რიგი.

|                                      |    |
|--------------------------------------|----|
| ქარი და საბძელი . . . . .            | 21 |
| ხარი და გუთანი, ხალ. ლექსი . . . . . | —  |
| გუთანი, ხალხური . . . . .            | 22 |
| ჩხუბი სულ არაფერზედ, მოთხ. —         | —  |
| გუთნის დედა, ხალხური ლექსი . . . . . | —  |
| ყოჩალი კაცი, ხალხური ლექსი . . . . . | —  |
| ორი სახნისი, რუსულ. შეცვლ. —         | —  |
| ჩიტო და ფეტვი, ხალ. ლექსი . . . . .  | 23 |
| მენავეები, ტოლსტოისა . . . . .       | —  |
| სასაუბრო (იარაღი და შენობანი). —     | —  |
| გვრიტი, ხალხ. ზღაპ. შეცვლ. . . . .   | 25 |

## მექვესე რიგი.


|                                       |    |
|---------------------------------------|----|
| ძაღლი და კატა, ხალხური . . . . .      | 27 |
| კატა, აკაკის რედაქციით . . . . .      | —  |
| მეცხვარე, ხალხური ლექსი . . . . .     | —  |
| თავისის თავის წყევლა, მოთხრ. —        | —  |
| ცალი ხარი, ხალხური მოთხრობა           | 28 |
| ხარი, ხალხური ლექსი . . . . .         | —  |
| ალექსი და აქლემი . . . . .            | —  |
| თხა, ლექსი აკაკის რედაქციით . . . . . | 29 |
| სასაუბრო (შინაური ცხოველები). —       | —  |
| ჩიტო და მელა, ხალხური არაკი. . . . .  | 31 |

## მეშვიდე რიგი.

|                                      |    |
|--------------------------------------|----|
| ორი ირემი, ეზოპოსისა . . . . .       | 33 |
| სამი მგელი, ხალხური ლექსი . . . . .  | 34 |
| საპასუხო . . . . .                   | —  |
| ღორი, ხალხური ლექსი . . . . .        | —  |
| მჩხავანა კატა, მოთხრობა . . . . .    | —  |
| საწყალი მელა, ხალხური ლექსი. . . . . | 35 |
| თხა და გიგო, რუსულით. . . . .        | —  |
| ცალთვალა ირემი და მონადირე. . . . .  | 36 |
| სასაუბრო (ნადირნი) . . . . .         | —  |

## მერვე რიგი.

|                                     |    |
|-------------------------------------|----|
| დედაბერი და ქათამი, ეზოპოს. . . . . | 38 |
|-------------------------------------|----|



კურდღლის სიზმარი, ხალ. ლექ. 39  
 ქურდი და მამალი, ხალხური მოთ. 40  
 მკვეხარა, ხალხური ლექსი . . . —  
 საპასუხო . . . . . —  
 მელია და მამალი, ხალ. ლექ. 41  
 სასაუბრო (შინაური ფრინველები) —  
 მეცხრე რიგი.  
 კატო და კატა, მოთხრობა . . . 43  
 ქორი და იხვი, საბა ორბელიანისა —  
 ქორი, ხალხური ლექსი . . . —  
 მერცხალი და მეცხვარე, მოთხრ. —  
 მწყერი და მწყემსი, ლექსი . . . 44  
 მწყერი და ღამურა, ნემეც. . . —  
 ქორი და წიწილა, ვაჟა-ფშაველასი. 45  
 გვრიტი და მტრედი, კრილოვ. —  
 სასაუბრო (გარეული ფრინველ.). 46  
 მეათე რიგი.  
 მთევზე და თევზი, ხალხური მოთ. 48  
 ლოკოკინა და ხელიკი, მირიანაშ. —  
 მოჯამაგირის ლექსი, ხალხური . . —  
 საპასუხო . . . . . 49  
 თევზი, მოთხრობა . . . . . —  
 მგელი და მეცხვარე, ხალ. ლექ. —  
 ბაყაყი და თაგვი, მოთხრობა, ნემეც. 50  
 სასაუბრო (თევზი და ქვეწარ). . . —  
 მეთერთმეტე რიგი.  
 ბუზი და ეტლი, ეზოპოსისა . . . 52  
 პეპელა და ფუტკარი, რუსულით. —  
 შესაძლებელია?, ხალხ. ლექსი . . . 53  
 ბავშვი და ჭრიჭინა, იტალიური. —  
 კულა-ხარი და ბუზები, მოთხრ. 54  
 ბუზი, იგავ-არაკი რ. ერისთავისა. —  
 ჭიანჭველა და ფუტკარი, რუსულ. 55  
 სასაუბრო (მწერები) . . . . . —  
 მელია და მწყერი-ჩიტა, ხალ. არაკი. 57  
 მეთორმეტე რიგი.  
 ძაღლი და ძროხა, ეზოპოსისა . . . 59  
 საპასუხო . . . . . —  
 ცრუ, ტოლსტოისა . . . . . —  
 მთის წყარო, ჭალადიდელ., ცვლ. 60  
 უსუნო ყვავილი, მოთხრობა . . . —  
 მინდორში გასვლა, ლექსი . . . —  
 მოუფიქრებელი კითხვა, რუსულ. 61

სასაუბრო (ბალახი და ყვავილები) —  
 მეცამეტე რიგი.  
 ბებერი და გოგოები, ნემეც. 63  
 ქალების მუშაობა, ხალხური ლექ. 64  
 ჩხუბს თავლაფიანობა მოსდევს. —  
 ჯეჯილი, ლექსი დავითაშვილისა 65  
 ცხვირს მაღლა ვინ იწევს?, რუსულ. —  
 საპასუხო . . . . . —  
 ყანა, ლექსი აკაკისა . . . . . 66  
 ცუდი მგზობელი, მოთხრობა . . . —  
 საბრალო დედაბერი, ხალ. ლექ. 67  
 სასაუბრო (ჭინახული და ბოსტ.). 69  
 მეთოთხმეტე რიგი.  
 ირემი და ვენახი, ტოლსტოისა. 71  
 ეკალი და მთხუცი, ხალ. ლექ. —  
 ბერი-კაცი და ნამყენი, ნემეც. 72  
 ბალი და ჩიტები, ლექსი . . . . . —  
 ძაღლ-ყურძენა, რუსულით . . . . . —  
 საპასუხო . . . . . 73  
 ვაშლი, ლექსი . . . . . —  
 ხეების ბაასი, ნემეცური . . . . . —  
 მარწ. და კიტრ. ქება, მეფე თეიმ. 74  
 სასაუბრო (ხეხილები და ხეები). —  
 მეთხუთმეტე რიგი.  
 ლომი და თაგვი, ბერძნული მოთ. 77  
 მევენახის სიმღერა, რ. ერისთავ. —  
 კატა და ძხვებში, მოთხრობა . . . 78  
 რა დროა?, ლექსი . . . . . 79  
 საპასუხო . . . . . —  
 მარგალიტი, მოთხრობა რუსულ. —  
 სასაუბრო (ლითონები და ქვები) 80  
 მეთექვსმეტე რიგი.  
 ირემი, ეზოპოსისა . . . . . 81  
 მუქარა, მოთხრობა . . . . . —  
 გაზაფხული, ლექსი აკაკის  
 რედაქციით . . . . . 82  
 ვირის ჭკუა, რუსულით . . . . . —  
 მზე და მთვარე, ხალხური ლექ. 83  
 მეცხვარე და მარტი, მოთხრობა. —  
 სასაუბრო (დროს ნაწილები) . . . 84  
 მეჩვიდმეტე რიგი.  
 ღარიბი გლეხი, ხალ. ზღაპ. . . 85  
 გუთანი, ლექ. რ. ერისთავისა . . 86

|                                 |     |                                    |
|---------------------------------|-----|------------------------------------|
| ოთხი სურვილი, უშინსისა . . .    | —   | ბრმა, კოჭლი და ლატაკი, ნემნეც. 103 |
| საპასუხო . . . . .              | 88  | სასაუბრო (ხუთი გრძნობა) . . .      |
| კოლო და ლომი, ეზოპოსისა . . .   | —   | ოც-და-პირველი რიგი . . .           |
| თვეების სიმღერა, ხალ. ლექსი.    | —   |                                    |
| სასაუბრო (თვეები) . . . . .     | 89  | ფუტკარი და მტრედი, ეზოპოსისა 105   |
| მეტყვამეტე რიგი.                |     | ყმაწ. და პეპელა, ლექ. აკაკისა 106  |
| ერთგული პატარა ქალი, ნემეც.     | 90  | თაგვები და კატა, მოთხრობა . . .    |
| მერცხალი, ლექ. რუსულით . . .    | —   | თოვლი, ლექსი . . . . . 107         |
| კეთილი ძმა, რუსულით. . . . .    | —   | ბოროტისათვის სიკეთე. მოთხრ. —      |
| კარგი კაცი, ხალ. ლექ. . . . .   | 91  | შენანებული ვაჭარი, რუსულიდამ. —    |
| საპასუხო . . . . .              | —   | სასაუბრო (ბუნ. მოვლენანი) . 108    |
| ცრუპენტელა, მოთხრობა. . . . .   | —   | მოთხრობანი და ლექსები              |
| რძლების სიყვარული, ხალ. ლექ.    | 92  | წმიდა ზნეობაზე.                    |
| დაკარგული ბავშვი, მოთხრობა.     | —   | სირცხვილის აშორება, მოთხრ. 110     |
| ორგულის ლექსი, ხალხური . . .    | 93  | სიკეთე ბოროტისათვის, მოთხრ. 111    |
| მოსამართლის ლექსი, ხალხური.     | —   | მონუტის ნატვრა, ხალხური . 112      |
| მეფე და მხატვარი, საბა ორბელ.   | —   | თავის გაწირვა მტრისათვის, მოთხ.—   |
| სასაუბრო (ხელოსნები და მოხელ.   | —   | მიუღგომლობა, საბა ორბელიან. 113    |
| მოთმინება კაი საქონელია, რუს.   | 94  | ლექსი ძმობაზე, ხალხური . . . 114   |
| მეცხრამეტე რიგი.                |     | შრომა, ლექსი აკაკისა . . . . . 114 |
| მორიელი და კუ, ორბელიანისა.     | 95  | საყვედური უარესია ტყვეობაზე,       |
| მელიას კუდი მოწმად, მოთ. . . .  | 96  | ორბელიანისა . . . . . —            |
| პატარა მდინარე, ხალ. ლექ. . . . | —   | გულკეთილობა, სახალხო ლექსი 115     |
| უფროსი და უმც. ძმა, ტოლსტ.      | 97  | ეფერებოდეთ ობლებსა, ლექსი          |
| საპასუხო . . . . .              | —   | აკაკისა . . . . . 115              |
| სასაცილო ჩხუბი. . . . .         | —   | სიზარმაცეს მათხოვრობა მოსდევს —    |
| მაისის დილა, ლექსი. . . . .     | —   | სამაგიერო სიკეთე, ეზოპოსისა . 116  |
| ჩხუბი ადამ. ასოებ., ეზოპოსისა.  | 98  | ღარიგება ვაშლის-მიერ, გადმოკ. 117  |
| სასაუბრო (ადამ. სხეულ. ნაწ.).   | —   | მკერავე გოგოცუნების სიმღერა,       |
| მეოცე რიგი.                     |     | თარგ. ცახელისა . . . . . 118       |
| თავ-ნება თავგი, მოთხრობა. . . . | 100 | გულკეთილი ქვრივი, მოთხრობა. 119    |
| დათვის სიზმარი, ხალ. ლექ. . . . | 101 | ვედრება შვილებზე, ქუჩუკაშვილ. 120  |
| კოჭლი და ბრმა, ნემეცური         | —   | ტორის მსხვერპლნი, ტოლსტ. . . 120   |
| ერთი და ორი, ნემეცური . . . . . | 102 | მოუთმენლობის მსხვერპლი . . 121     |
| საპასუხო . . . . .              | —   | მატყუარას გამოაშვარ., გადმოკ. 121  |
| მახეში გაბმული ჩიტი, აკაკის     | —   | უდიერიბატონის მორჯულება, ნემ. 122  |
| რედაქციით. . . . .              | —   | მებადურის შვილი, ხალხ. ზღაპ. 124   |

|  |     |
|--|-----|
| სიკეთის უკედავება, გადმოკეთ.                             | 132 |
| დედობრივი სიყვარულის ძალა,<br>ტურგენიევისა . . . . .     | 133 |
| ურთობის ძალა, გადმოკეთებული                              | 134 |
| სამოსწავლო ნივთები.                                      |     |
| წიგნი . . . . .  | 134 |
| ვედრება პატარა გლეხისა, ლექსი<br>ლომაურისა . . . . .     | 135 |
| ქაღალდი . . . . .  | 136 |
| კარანდაში . . . . .                                      | 137 |
| ჯერ შრომა, მერმე ხტომა, ლექსი<br>რ. ერისთავისა . . . . . | 137 |
| მელანი . . . . .   | 138 |
| საწერელი. . . . .  | 139 |
| დილის ლექსი, გად. ცახელისა                               | 139 |
| ღრუბელი. . . . .   | 140 |
| რეზინი . . . . .   | 141 |

### შინაური ცხოველები.

|  |     |
|--|-----|
| ჭკვიანი ძაღლი, „კონიდან“ . . . . .                               | 141 |
| კატა, იქიდანვე . . . . .   | 143 |
| თაგვების და კატის ომი, (ხალხ.)                                   | 144 |
| ცხენი, იქიდანვე . . . . .  | 145 |
| ცხვარი, იქიდანვე. . . . .  | 146 |
| ცხვარი და სიღარიბე, (ხალხური),<br>გაგონ. ბილანაშვილისა . . . . . | 147 |
| თხა, იქიდანვე . . . . .  | 148 |
| ჩემი თხა, ლექსი აკაკისა . . . . .                                | 149 |
| ღორი, იქიდანვე . . . . .   | —   |
| ღორი მუხის ქვეშ, თარგ. ცახ.                                      | 151 |
| ძროხა, იქიდანვე . . . . .  | 151 |
| მოლოდინი, ლექსი ვეჯა-ფშავ.                                       | 152 |
| ხარი, იქიდანვე . . . . .   | 153 |
| გუთნის ლექსი, ხალხური . . . . .                                  | 154 |

### შინაური ფრინველები.

|                                       |     |
|---------------------------------------|-----|
| ბატები და იხვები, „კონიდან“ . . . . . | 155 |
| მამალი თავისი ჯალაბობით . . . . .     | 157 |
| მამალი და მარგალიტი, აკაკისა          | 158 |
| ქათამი, „კონიდან“ . . . . .           | —   |
| ინდაური, იქიდანვე. . . . .            | 160 |
| ფარშავანგი, ეზოპოსისა . . . . .       | 162 |

### გარეული ფრინველები.

|  |     |
|--|-----|
| ტოროლა, „კონიდან“ <sup>ერეკლე</sup> 163                | 163 |
| სხვისი იმედი ამაოა, <sup>ნიკოლოზ</sup> ნეშენც. . . . . | 164 |
| ტოროლა და ღრუბ., თარგ.                                 | —   |
| ქუჩუკაშვილისა . . . . .                                | 166 |
| მერცხლები, „კონიდან“ . . . . .                         | 166 |
| მარო და მერცხალი, მოთხრობა.                            | 169 |
| მინდვრის ყარაულები, „კონიდან“                          | 172 |
| გუგული, იქიდანვე . . . . .                             | 173 |
| ბედურა ჩიტები, იქიდანვე . . . . .                      | 176 |
| ჩიტი გალიაში, ლექსი აკაკისა . . . . .                  | 178 |
| ვანო და ჩიტი, მოთხრობა. . . . .                        | 178 |
| გაშვებული ჩიტი, ლექსი ფავლ.                            | 180 |
| ჩიტის ბუდის ფასი, მოთხრობა.                            | 181 |
| გაზაფხულის მაყრები, ლექ. აკაკისა                       | 182 |

### გარეული ცხოველები.

|                                   |     |
|-----------------------------------|-----|
| მეგობრების დევნა . . . . .        | 183 |
| თაგვები, „კონიდან“ . . . . .      | 183 |
| პატარა წრუწუნა, იგავ-არაკი.       | 185 |
| თაგვი და კატა, ხალხური ლექ.       | 186 |
| ტიანჭველები, „კონიდან“ . . . . .  | 187 |
| ჭრიჭინა, იქიდანვე . . . . .       | 189 |
| კურდღლის ფეხი, იქიდანვე . . . . . | 191 |
| კურდღლის ლექსი, აკაკისა. . . . .  | 194 |

### მცენარეულობა.

|  |     |
|--|-----|
| ბოსტანი და მწვანილეულობა.                              | 194 |
| კომბოსტოს ჰეპელა, რუსულით.                             | 195 |
| ბოსტნის ყარაულები დღისით და<br>ღამით . . . . .         | 196 |
| კომბოსტო და კეკე, გადმოკეთ.                            | 197 |
| ვენახი. . . . .  | 198 |
| სხვა-და-სხვა გვარი მცენარეულობა                        | 199 |
| ერთი ვაშლის ხის თავ-გადასავა-<br>ლი, რუსულით . . . . . | 200 |
| ტიან-მთა, რუსულით . . . . .                            | 202 |
| კამათი, სახალხო ლექსი . . . . .                        | 202 |
| მიწა როგორ ჰკვებავს კაცსა, . . . . .                   | 203 |

|                                |     |
|--------------------------------|-----|
| პატარა მდინარე, ლექსი . . .    | 204 |
| ტყე და მისი სიმშენიერე . . .   | 205 |
| დიდი მნიშვნელობა ტყისა . . .   | 206 |
| ავთანდილი, სახალხო ლექსი . . . | 208 |

### სხვა-და-სხვა მოვლენა.

|   |     |
|---|-----|
| მეხი, გადმოკეთებული . . .   | 209 |
| დუღილი და ჩუხჩუხი . . .   | 210 |
| შრომის ლუკმა, ლექსი ქუჩუკაშ . . .                                 | 211 |
| ჰაერი და მისი მოძრაობა . . .                                      | 211 |
| რა სიკეთეს გვიშვრება ქარი . . .                                   | 213 |
| გუთნის ჩივილი, ხალხური . . .                                      | 214 |
| როგორ იცავს ადამიანი თავს გაციე-<br>ბისაგან . . . . .             | 215 |
| რატომ ზღვები არ იგებება და ნაპი-<br>რებიდან არ გადმოდის . . . . . | 216 |
| რად ცივა მთაში და რად თბილა<br>ბარში . . . . .                    | 217 |
| ცა და დედამიწა, ხალხური ლექსი . . .                               | 219 |

### საქართველო.

|  |     |
|--|-----|
| ჩენი სოფელი . . . . .                          | 220 |
| ვანო და ქალაქი . . . . .                       | 221 |
| საქართველოს ბუნება და საზღვ-<br>რები . . . . . | 222 |
| ამერ-იმერ ქართველთა სიმღერები . . .            | 224 |
| პატარა ქარტა საქართველოსი . . .                | 225 |

### აღმოსავლეთის საქართველო.

|                                       |     |
|---------------------------------------|-----|
| კახეთი . . . . .                      | 226 |
| კახეთს, ლექსი თ. რაზიკაშვილ . . .     | 227 |
| პატარა ფშაველის ნატვრა, ბაჩანას . . . | 227 |
| ქართლი . . . . .                      | 228 |
| ლიახვი, ხალხური ლექსი . . . . .       | 230 |
| ტფილისის ქება, მესტიურული . . . . .   | —   |

### დასავლეთის საქართველო.

|                                       |     |
|---------------------------------------|-----|
| იმერეთი და რაჭა . . . . .             | 231 |
| სამეგრელო და სვანეთი . . . . .        | 233 |
| გურია და აჭარა . . . . .              | 234 |
| ქართველების ღირსებ., ხალ. ლექსი . . . | 236 |

### ქვეყნისათვის თავდადებული ქართველები

|                                       |     |
|---------------------------------------|-----|
| სამასი თავდადებული გლეხი . . . . .    | 237 |
| გულადი ქართველი, ხალხ. ლექსი . . .    | 238 |
| გლეხი ბოსტაშვილი . . . . .            | 238 |
| მძინარე ერეკლე, ლექსი ერისთ. . . . .  | 239 |
| ერეკლე და პამბაული, ხალხ. ლექსი . . . | —   |
| იოთამ ზედგინიძე . . . . .             | 240 |
| ცხრა ძმანი ხერხეულიძენი . . . . .     | 241 |
| საჩინო ბარათაშვილი . . . . .          | 242 |
| კოტნე დადიანი . . . . .               | 244 |
| მღვდელი თევდორე . . . . .             | 245 |
| ლექსი თამარ მეფეზე . . . . .          | 248 |
| სამგლოვიარო ლ. ერეკ. მეფეზე, ხევ. —   | —   |

### სასულიერო განყოფილება.

|  |     |
|--|-----|
| საყდარი . . . . .  | 249 |
| შაბათ საღამო . . . . .   | 250 |
| ილოცე, ბავშვო, . . . . .   | —   |
| უმთავრესი სათნოება . . . . .   | —   |
| ლექსი არამს კაცზე, ხალხური . . . . .                                       | 259 |
| ლექსი მადლიან და ცოდვილ., ხალ. —<br>მთიელი და ვენახი, იგავ-არაკი . . . . . | —   |
| სამი გლახა და ქრისტე ღმერ-<br>თი, ხალხური თქმულება . . . . .               | 252 |
| ღამე მლოცველი, ლექსი აკაკისა . . . . .                                     | 254 |
| ღედა და მისი მიც. პატ. ქალ., ტოლ. —<br>ღედა და შვილი, ლექსი ერისთ. . . . . | 255 |
| ძმური სიყვარული, ბერძნული . . . . .  | —   |
| იესო ქრისტე და ბავშვები . . . . .  | 256 |
| მოწყალე გვირგვინოსანი . . . . .  | 257 |
| მფარველი ანგელოზი, რუს. . . . .  | 258 |
| ედემი, ხალხური ლექსი . . . . .   | 260 |
| წმიდა ნინო ქართველთ გან-<br>მანათლებელი . . . . .                          | 260 |
| მთავარი ლოცვა . . . . .  | 264 |

|  |     |
|--|-----|
| ხუცური ანბანი და ლოცვები ხუცუ-<br>რად და მხედრულად . . . . . | 265 |
| საწერი ღედანი . . . . .                                      | 271 |
| გამოცანების ახსნა . . . . .                                  | 272 |



ქართული  
ლიბრარიონი

# საკითხავი წიგნი

შემდეგ ანბანისა.



## სალხურნი სიმღერა.

მოდის ვნახო ვენახი, რამ შექამა ვენახი;  
მიველ, ვნახე ვენახი, თხამ შექამა ვენახი.

მოდის ვნახო თხაო, რამ შექამა თხაო;  
მიველ, ვნახე თხაო, მგელმა ჭამა თხაო.  
მგელმა თხა, თხამ ვენახი შექამა.

მოდის ვნახო მგელი, რამ შექამა მგელი;  
მიველ, ვნახე მგელი, თოფმა ჭამა მგელი.  
თოფმა მგელი, მგელმა თხა,  
თხამ ვენახი შექამა.

მოდის ვნახო თოფი, რამ შექამა თოფი;  
მიველ, ვნახე თოფი, ჟანგმა ჭამა თოფი.  
ჟანგმა თოფი, თოფმა მგელი,  
მგელმა თხა, თხამ ვენახი შექამა.

მოდის ვნახო ჟანგი, რამ შექამა ჟანგი;  
მიველ, ვნახე ჟანგი, მიწამ ჭამა ჟანგი.



მიწამ ჟანგი, ჟანგმა თოფი,  
თოფმა მგელი, მგელმა თხა,  
თხამ ვენახი შექამა.

მოდრი ვნახო მიწა, რამ შექამა მიწა;




მიველ, ვნახე მიწა, თავგმა ჭამა მიწა-  
თავგმა მიწა, მიწამ ჟანგი,  
ჟანგმა თოფი, თოფმა მგელი,  
მგელმა თხა, თხამ ვენახი შექამა.

მოდრი ვნახო თავვი, რამ შექამა თავვი;

მიველ, ვნახე თავვი, კატამ ჭამა თავვი.



კატამ თავვი, თავგმა მიწა,  
მიწამ ჟანგი, ჟანგმა თოფი,  
თოფმა მგელი, მგელმა თხა,  
თხამ ვენახი შექამა.



### ნუცას სკოლა.

პატარა ნუცამ სთქვა: ჩემს დედოფლებს უთუოდ  
კითხვა უნდა ვასწავლოვო. ზადუშალა წიგნი და  
ეუბნებოდა: ეს არის ანი, ეს არის ბანი, ისწავლეთ,  
ვენაცვათო.

ისწავლიდნენ დედოფლები კითხვასა, თუ ვერაზინ



მოსიყვარულე ამხანაგი.  
 მინდორში წაველ, სწორებო, მზე წითლად აღმოდითდა;  
 მე იქ რა გამაძლებინებს, თქვენი ხმა არ მომდიოდა.



პატარა ქალის ნატვრა.

ნეტავი რადმე მაქცია,  
 ბუღბუღად გადამაქცია;  
 ბუღბუღლის ენა მასწავლა,  
 ამ ბაღებს შემომამჩვიბ.



ყაყაჩო და ყმაწვილი.

ჟაყაჩოსა სიწითლითა  
 შანა დაუმშვენებია  
 შმაწვილსა კარგი სწავლითა  
 სახლი გაუხარებია.

სწავლასეჲდ სარმაცნი, ლეკურსეჲდ ქამაცნი.

„შანო, სკოლაში წადიო“.— შეხები საშინლად  
 მტკივაო.— „შანო, მოდი ერთი ლეკური დაუარეო“.  
 აბა ერთი კარგი ტაში დაუკარიო.

მოწვევა სწავლასეჲდ.

ბიჭო, ვისი ხარ მალხაზი, დაურჩი დედაშენსაო;  
 საქმე რომ არა გქონდეს რა, ჩამოირბენდე ჩვენსაო;  
 ზადგიშლი წიგნსა პატარას, მეც მოგიჯდები გვერდსაო;



ზასწავლი წერა-კითხვასა, არაკებს გეტყვი ბევრსაო;  
ვიმღერ და შენცა გამღერებ, ლექსებს გასწავლუ  
[ძველსაო.]

ს ა ს ა უ ბ რ ი.

კითხვას რაში სწავლობთ? რაზე სწერთ? რითი სწერთ  
ხის დაფაზე? ასპიდის დაფაზე? ძალაღებზე? ძალამს რაში  
აწობთ? მელანი რაში გიდგათ? შიცარზედ დაწერილს რითი  
შლით? შველა ეს ნივთები რისთვის არის საჭირო? სწავლი-  
სათვის. მაშ რა საზოგადო სახელი უნდა დავარქვათ? **სასწავ-  
ლო ნივთები.**

ბურთი, ბზრიალა, კოქი, ჩილიკა და დედოფალა ანუ  
ტიკინი რისთვის არის საჭირო? სათამაშოდ. მაშ ამათ რაღა  
სახელი უნდა დავარქვათ? **სათამაშო ნივთები.** რა არის  
წიგნი? ბზრიალა? კარანდაში? ბურთი? ცარცი? რა და რა ნა-  
წილი აქვს: წიგნსა, ასპიდის დაფასა, კარანდაშსა, საწერელსა?  
რომელი სასწავლო ნივთია თეთრი? მრგვალი? პრტყელი? კუთ-  
ხიანი? გასატეხი? გასახევი? დასადგრელი? რითი ჰგავს ერთ-  
მანეთსა და რითი განსხვავდება: ფრთის კალამი და რკინის  
კალამი, სასკოლო დაფა და ასპიდის დაფა, გრიფილი და  
კარანდაში, ბურთი და ბზრიალა?

**ანდაზა:** სწავლა კაცს სიბერემდინ არ მოსკარბდება.

**გამოცანა:** თეთრი ხნული, შავი თესლი, თესლი  
მთესავს ეუბნება.

**საზასუსო და საწკრა:** შემდეგს ნივთებში რომელია  
სასწავლო და რომელია სათამაშო:

კარანდაში... ბზრიალა... წიგნი... საწერელი...  
კოქი... ბრიფილი... საკლასო დაფა... ბურთი...  
ძალამი... ასპიდის დაფა... რვეული... სახაზავი...  
ღრუბელი...



### მკვეხარა ქოთანნი.

ქოთნები ერთად შეგროვილიყვნენ. მათი უფროსი მალაღლი ქოთანნი შუაში ჩამდგარიყო და იკვებოდა: მე თქვენისთანა როდი ვარ, მე ოქროს ძირი მაქვსო. უცებ თავს წაადგა ციცხვი. მკვეხარა ქოთანს შერცხვა და გაკმინდა ხმა.

რად შერცხვა ციცხვისა?

### ამომავალი მსჯე.

მზეო, ამოდი, ამოდი, | სიცივეს კაცი მოუკლავს,  
ნუ ეფარები გორასა. | საწყალი აგერ ჰგორავსა.

### კამეჩი.

კამეჩი წევს და იცოხნის | ლაფში ჩაფლული ურემი  
თავის ამინდი ჰგონია, | შინ მიტანილი ჰგონია...

### ვანო და ქვევრი.

ვანო ახდილის ქვევრის პირთან იდგა და ილანძღებოდა. შველა ლანძღვა უკანვე უბრუნდებოდა. ვანომ დედას შესჩივლა: ამ წყეულმა ქვევრმა ლანძღვით ამიკლოო. დედამ უბასუხა: შენი თავი შენვე გაგილანძღავს: რაც ჩაგიძახნია, ქვევრს იგივე ამოუძახნიაო.

### მძინარე ნიბლია.

ნეტამც არ დაგძინებოდა,  
ჩიტო ნიბლიავ, ნარზედა:  
ბამოგიქროლებს ალალი,  
წაგიყვანს მალლა მთაზედა.





### კოკა და ლიტრა.

დიდმა კოკამ წყალი ააშორა. უნდოდან დაეჭუსა, მგრაამ პირდაპირ ვერაფერი შეჰბედეს. იქვე ახლო იდგა უდანაშაულო პატარა ლიტრა, ანუ ნიტრა. მიადგნენ ამ საწყალსა და ერთი ამბავი დაუწიეს: შე ასეთო, შე ისეთო, წყალი რად აგვიშორეო.

ანდაზა: ლიტრას ეუბნებოდნენ და, კოკავ, შენ გესმოდესო.

### ს ა ს ა უ ბ რ ო .


მასწავლებელი რაზე ზის კლასში? წინ რა უდგას? პა-



ტარა ბავშვებს რაში აწვენენ? ცომს რაში ჰზელენ? სტოლსა ანუ მაგიდასა, სკამსა, აკვანსა, ვარცლსა რა საერთო

სახელი ჰქვიან? **მიბელი** ანუ **ღბამი**. ძიდევ რა დგამი იცით? რა გამოსაყენებელია კილობანი? თაბახი ანუ გობი? ხონჩა? ტახტი? კრაოტი? დივანი? კამოდი? სავარძელი? შკაფი?

რა და რა ნაწილი აქვს: მაგიდასა, სკამსა, კრაოტსა, კილობანსა და აკვანსა? რითი ჰგავს ერთმანეთსა და რითი განიხივება: მაგიდა და სკამი, დივანი და ტახტი?



რისთვის ხმარობენ: სურასა, ქვევრსა, საღვინესა, სტაქანსა ანუ კიქასა, ქოთანსა, ჯამსა, კულასა, ყანწსა, ქილასა ანუ ხალომსა, ქვაბსა, ტაფასა, როდინსა, სამოვარსა, ბოთლსა, ტასტას? რა საერთო სახელი ჰქვიან ამ ნივთებსა? **ჭურჭელი**. რა და რა ჭურჭელს აკეთებენ თიხისასა? სპილენძისასა? მინისასა? რასა ჰქვიან კოკობი ანუ კვანწია? კუტალი? ჯიხვი? რა და რა ნაწილი აქვს: სურასა, ქვაბსა, ბოთლსა? რითი ჰგავს ერთმანეთსა და რითი განსხვავდება: ქოთანი და ქვაბი, საღვინე და ბოთლი, კიქა და ყანწი? როგორ აკეთებენ სტოლსა ანუ მაგიდასა? სურასა? ძუტალსა? —

**ანჯაჭები**: ძოკასა შიგან რაცა სდგას, იგივე წარმოდინდება. — ლუკმა გავარდეს, ჯამში ჩავარდეს. — ძოთანი გაგორდა, სარქველი იბოვნა. — ძვევრს რასაც ჩასძახებ, იმასვე ამოგძახებს.

**გამოცანა**: მთხთა ძმათა, ტანით ტოლთა, თავზედ ხურავთ ერთი ქუდი. — ბარედ ოქრო, შიგნით ვერცხლი, ვერცხლში წყალი, წყალში ცეცხლი.

**საზასუხო და საწყრა**: შემდეგ ნივთებში რომელია

სასწავლო, რომელი სათამაშო, რომელი დგაში და რომელი ჭურჭელი:

ქილა... ხონჩა... ბურთი... ტაფა... ტახტი... სკამი... ბზრიალა... თაბახი... საღვინე... ნიტრა... სტოლი... ძოჭი... ქოთანნი... ძრაოტი... მარცი... ძიდობანი... მარცლი...

### ღორმუცელა და ბეჯითი.

„ღედა, გეთაყვა, ხვალ ადრე გამაღვიძეო“, უთხრა თედომ.—რაღაო?—„მს პურის ყუა უნდა გავათავოო“.

„ღედილო, მეც ადრე გამაღვიძეო“,—უთხრა კეკემ.—შენ რაღაღაო?—„საწერი გაუთავებელი დამრჩაო“? რომელი ყოფილა ღორმუცელა და რომელი ბეჯითი?

### ღვინო და სიტყვა.

შავს ლუდსა, წითელ ღვინოსა  
ბანა სულ ყველას სმა უნდა!  
პირში მოსულსა სიტყვასა  
ბანა სულ ყველას თქმა უნდა.

### თავისი თავის დასჯა.

პატარა ნიკოს ჯავრი სჭირდა თავისის დისა. სადილის დროს ჩუმად ლობიოს შეჭამანდში ცოტა ნაცარი ჩაუყარა. ღამ თვალი შეასწრო და ძმას ჩუმადვე ჯამი შეუცვალა. როცა სადილი გაათავეს, დამ სიცილით უთხრა ნიკოსა: ნაცრიანი შეჭამანდი გაამოსო.

ანდაზები. ნუ იქ ავსა, ავისაც ნუ გეშინიან.—ნუ უთხრი სხვას ორმოს, თორემ თვითონვე ჩავარდები.



პური, ღვინო და მჭადი.

პურმა სთქვა სახელ-ქებულმა, მე ვარ ყველაში ქებულისა  
ძაცი უჩემოდ არ ვარგა, არც გლეხი, არც დიდებული.

—

ღვინომ სთქვა სახელ-ქებულმა, მეცა ვარ ყველგან  
ქებულის,  
მცირედი კაცი არ დამღევს, თუ არა მირონ-ღებულის.  
[ბულის,

—

მჭადმა სთქვა, მეც ვიხსენები სუფრისა ბოლოს გდე-  
მდიდარი კაცი არა მჭამს, თუ არ ყელ-გადაგდებული.

კეთილი სანდალა.

სოფლის სკოლაში მოსწავლეებს საუზმის დრო-  
მოუვიდათ. შველა ჭამას შეუდგა. მხოლოდ ერთი  
ბავშვი არ საუზმობდა: შინ არაფერი ჰქონდა და სკო-  
ლაში ხელ-ცარიელი მისულიყო. იდგა საწყალი და  
თვალები ებრიცებოდა თავისი ამხანაგების საუზმეზედ.  
ძეთილმა სანდალამ დაინახა ესა, მაშინვე შუა გაჰყო  
თავისი ყველი და პური და მისთავაზა თავისს ღარიბს  
ამხანაგსა.

პური.

პურმა სთქვა: მე ვარ ქებულის, მუდამ სუფრასა დებულის,  
ღვინოვ, შენ თავსა ნუ იქებ, ჭკუა არა გაქვს ქებულის;  
მე შენგან კაცი მინახავს შერცხვენილ, თავს-ლაფ-  
[დასხმულის,  
წუნწუხში ამოთხუბნული, კლდეზედა გადავარდნილი.

ს ა ს ა უ ბ რ ო .



სიმშილს რითი იკლავთ? პურის გარდა რასა სჯობს? მდევე? სიმინდის ფქვილის გამონაცხვარს რა ჰქვიან? მქადი. ძერისას? ჯინჯილა. ძიდევ რასა ხმარობთ საქმელად? ჩამომითვალეთ საზოგადოდ **საქმელები**. რისა და როგორ მზადდება: პური, მქადი, ფლავი, ფაფა?

წყურვილს რითი იკლავთ? წყლის გარდა სასმელად კიდევ რასა ხმარობთ? ჩამომითვალეთ **სასმელები**! რომელი სასმელია ყველაზედ უფრო საჭირო? საიდან ვიღებთ წყალსა? მდინარეებიდან, წყაროებიდან და კებიდან. რძეს რა იწველის? რძეს რად შევადედებთ ხოლმე? მაწონს რომ ვდღვებავთ, რა დგება? რასა ჰქვიან ერბო? ღვინოს როგორ აყენებენ? ღვინო რომ ადამიანმა ბევრი დალიოს, რა მოუვა? ღვინოზედ უფრო მომეტებულად რა ათრობს კაცსა? რისასა ხდიან არაყსა? როგორა ხდიან? შეძლებული კაცები რასა სმენ დილითა და საღამოთი? როგორ ამზადებენ ჩაისა და ყავასა? რა ფერისაა რძე? ჩამომითვალეთ თეთრი ნივთები. რა ფერისაა ჩაი? ჩამომითვალეთ ყვითელი ნივთები. რა ფერისაა ყავა? დასახელეთ შავი ნივთები. რითი ჰგავს ერთმანეთსა და რითი გაირჩევა: რძე და წყალი, პური და მქადი, ღვინო და არაყი?

როგორ ამზადებენ პურსა? როგორ აყენებენ ღვინოსა?

ანდაწება: მაძლარს მშიერიც მაძლარი ეგონა.— წყალი რო დაგუბდება, აყროლდება.— თავად არ იყო ძმარიო, შიგ შეურიეს წყალიო.— პური და გული სტუმარსა, წავა შინ მოაგონდება.—

გამოცანება: ღვეკარ ხმალი არ დაეტყო კვალი.— ავხადე ფირფიტელასა, დავხედე გულ-წითელასა.

საზასუხო და საწერა: ფლავი არის საქმელი... ღვინო... ბოზბაში... სურა... ჩიხითმა... ქოთანნი... არა-

ყი... ძარანდაში... სავარძელი... სამოვარი... ჩაი...  
ბრიფილი... თეფში ანუ საინი... პური...  
ბოთლი... მქადი... წიგნი... ტახტი...

### რწყილი და ჭიანჭველა.

რწყილი და ჭიანჭველა დაძმობილდნენ. წავიდნენ  
გზასა. მიადგნენ ერთს რუსა. რწყილმა უთხრა ჭიან-  
ჭველასა: მე გადავბტები და შენ  
რალა გეშველებაო? ბანა მე კი  
ვერ გადმოვბტებო, უთხრა ჭი-  
ანჭველამ. რწყილმა ისკუბა, გა-  
დახტა; ჭიანჭველამ ისკუბა, წყალში ჩავარდა. შეე-  
ხვეწა რწყილსა: ძმობილო, მიშველე რაძე, ნუ და-  
მარჩობო. რწყილი ახტა, დახტა, მივიდა ღორთან და  
სთხოვა:



ღორო, მომე ჯაგარი,  
დავგრებ თოკსა, ბაწარსა,  
ჩაეუგდებ, ამოვიყვან  
ჩემს ჭიანჭველსა ძმობილსა.

ღორმა უთხრა: შენ რომ  
ჩემთვის რკო მოგიტანიო! რწყილი ახტა, დახტა, მი-  
ვიდა მუხასთანა და სთხოვა:



მუხავ მომე წრკო,  
რკოს მივეტან ღორსა,  
ღორი მომცემს ჯაგარსა,  
დავგრებ თოკსა, ბაწარსა,  
ჩაეუგდებ, ამოვიყვან  
ჩემს ჭიანჭველსა ძმობილსა.

მუხამ უთხრა: შენ რომ ჩემთვის ყვავი მოგიშორებიაო!  
რწყილი ახტა, დახტა, მივიდა ყვაეთან და სთხოვა:



შეავო, ესენ მუხასა,  
მუხა მომცემს რკოსა,  
რკოს მივეუტან ღორსა,  
ღორი მომცემს ჯაგარსა,  
ღავეგრეხ თოქსა, ბაწარსა,

ჩაეუგდებ, ამოვიყვან ჩემ კინკველსა ძმობილსა.

შეავმა უთხრა: შენ რომ ჩემთვის წიწილა მოგიყვანიაო!  
რწყილი ახტა, დახტა, მივიდა კრუხთან და სთხოვა:

ძრუხო, მომე წიწილა, წიწილს მივეგვრი ყვაესა,  
შეავი დასთმობს მუხასა, მუხა მომცემს რკოსა,



რკოს მივეუტან ღორსა,  
ღორი მომცემს ჯაგარსა,  
ღავეგრეხ თოქსა, ბაწარსა,  
ჩაეუგდებ, ამოვიყვან  
ჩემს კინკველსა ძმობილსა.

ძრუხმა უთხრა: შენ რომ ჩემთვის ფეტვი მოგიტანიაო!  
რწყილი ახტა, დახტა, მივიდა ორმოსთან და სთხოვა:



ორმოვ, მომე ფეტვი,  
ფეტვს მივეუტან კრუხსა,  
ძრუხი მომცემს წიწილსა,  
წიწილს მივეგვრი ყვაესა,

შეავი დასთმობს მუხასა, მუხა მომცემს რკოსა,  
რკოს მივეუტან ღორსა, ღორი მომცემს ჯაგარსა,  
ღავეგრეხ თოქსა, ბაწარსა,

ჩაეუგდებ, ამოვიყვან ჩემს კინკველსა ძმობილსა.

ორმომ უთხრა: შენ რომ ჩემთვის თაგვი მოგიშო-  
რებიაო!

რწყილი ახტა, დახტა, მივიდა თავვთან და სთხოვა:



თავვო, ეხსენ ორმოსა,  
ორმო მომცემს ფეტვსა,  
ფეტვს მივუტან კრუხსა,  
პრუხი მომცემს წიწილსა,

წიწილს მივეგრი ყვავსა, ყვავი დასთმობს მუხასა,  
მუხა მომცემს რკოსა, რკოს მივუტან ღორსა,  
ღორი მომცემს ჯაგარსა, დავერებ თოკსა, ბაწარსა,  
ჩავეუღებ, ამოვიყვან ჩემს კინკველსა ძმობილსა.

თავვმა უთხრა: შენ რომ ჩემთვის კატა მოგიშორებიაო!  
რწყილი ახტა, დახტა, მივიდა კატასთან და სთხოვა:



კატავ, ეხსენ თავვსა, თავვი დასთმობს ორმოსა,  
ორმო მომცემს ფეტვსა, ფეტვს მივუტან კრუხსა,  
პრუხი მომცემს წიწილსა,  
წიწილს მივეგრი ყვავსა,  
ყვავი დასთმობს მუხასა,  
მუხა მომცემს რკოსა,  
რკოს მივუტან ღორსა,  
ღორი მომცემს ჯაგარსა,

დავერებ თოკსა, ბაწარსა,

ჩავეუღებ, ამოვიყვან ჩემს კინკველსა ძმობილსა.

კატამ უთხრა: შენ რომ ჩემთვის რძე მოგიტანილაო!

რწყილი ახტა, დახტა, მივიდა ძროხასთან და სთხოვა:




ძროხავ, მომე რძე,  
რძეს მივუტან კატასა,  
კატა დასთმობს თავვსა,  
თავვი დასთმობს ორმოსა,  
ორმო მომცემს ფეტვსა,  
ფეტვს მივუტან კრუხსა,

პრუხი მომცემს წიწილსა, წიწილს მივეგრი ყვავსა,  
ყვავი დასთმობს მუხასა, მუხა მომცემს რკოსა,

რკოს მიუტან ღორსა, ღორი მომცემს ჯაგარსა,  
 ღავეგრეს თოქსა, ბაწარსა,  
 ჩაუგდებ, ამოვიყვან ჩემს ჭინჭველსა ძმობილსა.

ძროხამ უთხრა: შენ რომ ჩემთვის ბალახი მოგიტანიო!



რწყილი წავიდა, დაგლიჯა  
 მინდორში ბალახი და ძროხას  
 მიუტანა. ძროხამ მისცა რძე,  
 რძე მიუტანა კატასა, კატა  
 დაეხსნა თავესა, თავვი მო-  
 შორდა ორმოსა, ორმომ მის-

ცა ფეტივი, ფეტივი მიუტანა კრუხსა, კრუხმა მისცა  
 წიწილა, წიწილა მიჰგვარა ყვავსა, ყვავი დაეხსნა მუ-  
 ხასა, მუხამ მისცა რკო, რკო მიუტანა ღორსა და  
 ღორმა ჯაგარი უთავაზა. ჯაგრის ბაწარი დაგრიხა  
 რწყილმა და ჩაუგდო წყალში ჭიანჭველასა, რომე-  
 ლიც ბალახს მოსჭიდებოდა. ჭიანჭველა ბაწარზედ  
 შეჯდა, რწყილმა ბაწარი გამოსწია, ჭიანჭველა ნა-



პირს გამოიყვანა და სიკვდილს გადაარჩინა.—მერმე  
 ისევ ძმურად გაუდგნენ გზასა.

ანდაზა: ძმა ძმისთვის, შავის დღისთვის.



### ქ უ რ დ ი.

ბლესს ფულები მოჰპარეს. ჭურდი ეძვხეს, ვერ იბოვნეს. შეიკრიბნენ ერთად გლებები. მამასახლისმა უცებ დაიყვირა: დახე, დახე, ჭურდს ჭუდი ეწვისო. მართმა გლებმა ფიცხლავ ჭუდს ხელი იტაცა. მაშინ ყველამ შეიტყო, რომ ის იყო ჭურდი.

ანდაზა: ჭურდს რომ ყური უგდო, დღეში ასჯერ გატყდება.

გამოცანები: სჭრის და არ აკაკუნებს.—ძაცხედ! მაღალი, ღორზედ დაბალი.—წითელი ხარის ნაძოვნზედ ბალახი აღარ ამოდის.



### ი რ ე მ ი.

— ირემო, მთასა მყვირალო,  
რად ჩამოვარდი ბარადა?  
— შეუღლე ჩემი მომიკლეს,  
ღავეხეტები ცალადა.

### ნაზოუნი სავარცხელი

მრი კაცი ერთად მიდიოდა. მრნივე ქაჩლები იყვნენ. ბზაზე სავარცხელი იბოვნეს და წაიხზუბნენ: არა, მე შერგება, და არა მეო. შესამეშ დაინახა, გაციინა და უთხრა: კაცნო, სავარცხლისათვის რა გაჩხუბებთ? დასავარცხნი თმა არც ერთს გასხია და არც მეორესაო.

გამოცანა: მრთი საბელი მაქვს, ვკეცე, ვკეცე, ვერ დავკეცე.



ტ ო რ ო ლ ა.



ტოროლას მაინც არ მოვკლავ,  
ბევრიც რომ მქონდეს წამალი,  
საწყალი ღამის მეხრისა  
ის არის კარგი მამალი.

ღირსეული კაცი.

არც არავის ყმა ვყოფილვარ,  
არც არავინ ყმად მყოლია,  
ძველი პური, ძველი ღვინო  
წლით-წლობამდინ გამყოლია.

მუქთა-მჭამელა.

იყო ერთი ზარმაცი და მუქთა-მჭამელა ბიჭი. შველას აბუჩად ჰყავდა აგდებული. იფიქრა, მოდი, ჩონხას გავიხდი, სერთუკს ჩავიცვამ და პატივი დამედებაო. ასეც მოიქცა, მაგრამ უარესი დაემართა: ყველამ უფრო მეტად აიგდო მასხარადა. მეზობელმა უთხრა: ბიჭო, ტანისამოსს კი ნუ იცვლი, ხასიათი გამოიცვალე, გაისარჯე და პატივი დაგედებაო.

ს ა ს ა უ ბ რ ო.

ტანზედ რა გაცვიათ? პერანგზედ რაღას იცვამთ? ახალოხზე? თავზე რა გხურავთ? ფეხებზე რა გაცვიათ? შველა ამ ნივთს რა საერთო სახელი ჰქვიათ? **საცმელი**. — რა და რა ნაწილი აქვს ახალოხსა? პერანგსა? ქუდსა? წალასა? ქალომანსა? ქულაჯასა? ნაბაღსა? რომელ საცმელსა აქვს, საპირეს გარდა, სარჩულიცა და რომელს მარტო საპირე?

ლამით ქვეშ რა გიგიათ? ზედ რა გხურავთ? **თავ-ქვეშ რა გიძევთ? ბალიშს რას უდებთ ქვეშ? ბალიშს შეძლებულით-კაცები რას აკვრენ? საურსა. ლეიბს ზემოდგან რას აფარებენ? შველა ამ ნივთებს ერთად რა ჰქვიათ? **ლოპინი ანუ ქვიშაზავი.****

**ტახტზე რას აგებენ? ხალიჩა ანუ ნოხი რისა იქსოვე-ბა? ქეჩა? ფარდაგი? ხალიჩას, ფარდაგსა, ქეჩასა რა საერთო სახელი ჰქვიათ? **საფენი.****

რითი ჰგავს ერთმანეთსა და რითი გაირჩევა: ჩოხა და ახალოხი, ქალამნები და წაღები, ბალიში და მუთაქა, ხალიჩა და ქეჩა?

როგორ ამზადებენ ჩოხასა? ახალოხსა? საბანსა? ლეიბსა?

**ანდაზება:** ნათხოვარი მოგიხდება, ისევ მალე გაგეხდება.—**მორთული ტიტველას პერანგსა ჰხდიდა.—**ცა ქუდად არ მიაჩნია, დედამიწა ქალამნადა.—**სოცხალს არ მეცვა კაბანი, მკვდარსა ჩამაცვეს ფარჩანი.**

**გამოცანება:** ლავბამ, დადის, ავუშვებ, სდგას.—**მრნი არიან, ტოლნი არიან, ერთად მიდიან, მიმღერნიან.—**ბამოცანას მოგახსენებ, დიდი არაფერიო, ზოგან ყვითელ, ზოგან წითელ, ზოგან ალის-ფერიო.—**შევსდგი ტაფა, ჩავდე ღუმა, დადნა ტაფა, არა ღუმა.**

**საზასუხო და სწერა:** ხალიჩა... საბანი... ძაბა... ლრუბელი... ახალოხი... ბალიში... თაბახი... ძათი-ბი... ბოზბაში... ჩოხა... ფარდაგი... ძოკა... ძალამ-ნები... ჩაი... ზეწარი... ძარცი... საური... წაღები... პერანგი... ძვევრი... ძულაჯა...

ვანო და ფრინველები.

მრთს პატარა ქალაქში სკოლა იყო გამართული. იმ სკოლაში სწავლობდა სოფლელი პატარა მანო.



მრთხელ მანომ ღამის ძილში მეტად საამური სიზმარი ნახა: ვითომც დილით ადრე მიირბინა მდინარის ნაპირზე, რომელიც ქალაქს გვერდით ჩაუდიოდა, და პირის ბანა დაიწყო. უცებ დედა მოაგონდა და ძლიერ დაღონდა. თვალ-ცრემლიანმა ყურება დაიწყო თავისი სოფლისაკენ. მრთიცი ვნახოთ, დაინახა იქიდგან მომფრინავი ჩიტები. მანომ ჩიტებს შესძახა:

ჰე, ჩიტებო, ჩიორებო, მალხაზო და ნაცარებო!

სად ჰყოფილხართ, რა გინახავთ, დედა ჩემი არ გინახავთ? ჩიტებმა მხიარულად ჩამოსჭყვივლეს:

ღედა შენი ამ დილაზედ ბანზედ იყო გადმომღვარი

და ჰრელს წინდებს მანოსათვის ჰქსოვდა ტკბილად მომღიმარი. მერე მოფრინდა მერცხალი. მანომ იმასაც შესძახა:

მერცხალო კუდ-მაკრატელა, მოქიკიკე, მონავარდე!

სად ჰყოფილხარ, დედა ჩემი არ გინახავს, თუ გიყვარდე? მერცხალმა აღერსიანად ჩამოსჭიკიკიკა:

თქვენის სახლის ერთ კუთხეში ბუდე მქონდა ანაშენი,

და ყოველთვის თვალ-წინ მედგა მხნე, გამრჯელი დედა შენი. ახალოხს რა უკერავდა მანოს დიდი სიამითა,

მე მალღიდგან დავმღეროდი, ვჭიკიკიკობდი ტკბილი ხმითა.

ბოლოს მოფრინდა ბულბული. მანომ ამასაც შესძახა:

შენ, ბულბულო, მგალობელო, ქვეყნად სწორი რომ არა გყავს,

სად ჰყოფილხარ, სიდგან მოხვალ, დედა ჩემი არ გინახავს?

ბულბულმა მშვენიერად ჩამოუსტვინა:

ღედა შენი? როგორ არა! ბაღში ვნახე მე ამ ხანად,

ლოყა-წითელს ვაშლებს ჰკრეფდა მანოსათვის გასაგზავნად.

ამ საამურმა სიზმარმა ისე ძალიან გაახარა მანო, რომ

გამოეღვიძა. ბათენებულიყო კიდევ. ადგა საჩქაროდ, პირი დაიბანა, ხატის წინ ილოცა, წიგნები ხელში აი-



ლო და მხიარულად მიირბინა სკოლაში. მანო სიხარულით ფეხზე აღარ იდგა და დედისაგან მოელოდა ჭრელს წინდებსა, ლამაზს ახალოხსა და წითელ ვაშლებსა. თვითონაც სცდილობდა კარგად ესწავლა და თავისი საყვარელი დედა გაეხარებინა.

ანდაზა: ძარგი შვილი დედის გულის ვარდიანო.

### ქარი და საბძელი.

ძალოობა იყო. მაძლიერებულმა ქარმა ბევრი ბზე მიჰყარა საბძლის კარებთან და დაუძახა: „საბძელო, კარები გამიღე, ბზე უნდა შემოვიტანო.“ საბძელმა უპასუხა: „ძამიავ, შენი ამბავი რომ ვიცი, წინიდან შემოტანილს ბოლოდგან გაიტან და თან ჩემს საკუთარს ბზესაც გაატანო. თუ დამეხსნები, არც შენი შემოტანილი მინდა და არც გატანილი.“

ანდაზა: ძარის შემოტანილს ისევ ქარი წაიღებსო.

### ხარი და გუთანა. [თრევანო.

ხარმა უთხრა გუთანსა: მომბეზრდა შენი მაგდენი ზუთანმა უპასუხა: მეც მომბეზრდა შენი მაგდენი ჭმევანო.



### გ უ თ ა ნ ი.

შენი ჭირიმე, გუთანო, გათლილო წმინდა სისაო,  
შენ აქმევ პურსა ცოცხალსა, დამმარხველი ხარ მკვდრი-  
საო.

ჩხუბი სულ აწაფერწე.

ორნი ძმანი გაიყარნენ. ერთი ქვევრი დვინო უნ-  
და გაეყოთ. შვეიდნენ მარანში. მე ბევრი მერგებაო,  
სთქვა ერთმა. არა, მე უფრო მეტი უნდა წავილოვო,  
უთხრა მეორემ. მოუვიდათ სულელობა, გამართეს  
ჩხუბი. მოხადეს ქვევრი და ცარიელი კი დახვდათ.

ანდაზება: ჩხუბში ისეთს სიტყვას ნუ იტყვი, რომ  
შერიგების დროს შეგრცხვეს. — თუ მტერი არა გყავს,  
ძმას გაეყარე, მტერს გაიჩენ.

გუთნის დედა.

შხერხული გუთნის დედა მებრეებს ემუქრებოდა,  
ცოტა მხვნელი და მთესველი მაღალს ღმერთს ემღუ-  
რებოდა.

უოჩხალი კაცვი.

ძაცი უნდა ხერხი იყოს, გაჰქონდეს და გამოჰქონდეს,  
ზანა კაცი ეჩო არის, სულ თავისკენ მიითლიდეს.

ორი სახნისი.

ერთს სამკედლოდგან ორი ერთ ნაირი სახნისი გა-  
მოვიდა. ერთი სულ ხვნაში იყო, მეორე კუთხეში  
ცუდად ეგდო. ძაი ხნის შემდეგ ერთმანეთს შეხვდნენ.  
ერთს ლაპლაპი გაჰქონდა, მეორე კი ჟანგით იყო  
შექმული. ჟანგიანმა ჰკითხა: მეგობარო, ეგრე რამ  
გაგამშვენიერაო? — შრომამაო, მიუგო ლაპლაპამა.



### ჩიტვი და ფეტვი.

მომოში ფეტვი ჩავეყარე შესანახად.


- მომოში წყალი ჩასულა დასაღობად;
- მომოდგანა ამოვეყარე გასაშრობად;
- ჩიტვი ღობეზედ შემოჯდა ასაკენკად;
- ჩიტვა ჯოხი წამოვეუსვი მოსაკლავად;
- ჩიტვი ბატონთან გაიქცა საჩივლელად;
- ჩიტმა კაცი მოიყვანა დასარბევად;
- იმან სრულიად წამართვა, რაც რამ მებადა.

### მ ე ნ ა ვ ე ე ბ ი.

მენავეებს შიგ შუა მდინარეში დიდი ქარიშხალი ამოუვარდათ. საშინლად შეშინდნენ, დაჰყარეს ხელიდგან ხიჩბები, მოჰყვენენ პირჯვრის წერასა და იძახოდნენ: ლმერთო, შენ გვიშველეო. ნაპირიდგან დაიძახეს: თქვე ოჯახჰქორებო, ლმერთს რო ევედრებით, ნიჩბებიც მოუსვით და ნაშველი იქნებითო.


ანდაზა: ლმერთმა მალლიდან გადმოიხედა და სთქვა: ქვეყანაზედ ბევრი ჩემი უნებური მკვდარი არისო.

გამოცანა: მიდის, მოდის, კვალს არ ამჩნევს.




### ს ა ს ა უ ბ რ მ.

სახნისით ხვნი, ნამგლით რაღას შვრებიან? ფოცხითა? კვერითა? ორთითითა? ფიწლითა? ნიჩბითა? არნადითა? და-



ნითა? ცულითა? ხელეჩოთი? წალდითა? ხერხითა? საქრეთ-  
 ლითა ანუ სატეხითა? ნემსითა? მაკრატლითა? სამართებლი-  
 თა? თოფითა? ხმლითა? ხანჯლითა ანუ სატევერითა? დამბა-  
 ჩითა? შველა ამ ნივთებს რა საერთო სახელი ჰქვიან? **იარა-**  
**ლი.** რა და რა ნაწილი აქვს: ნამგალსა, ფიწალსა, ცულსა,  
 მაკრატელსა, თოფსა, დანასა, ხანჯალსა? რითი ჰგავს ერთმა-  
 ნეთსა და რითი გაირჩევა: ორთითი და ფიწალი, სახნისი და  
 საკვეთელი, ნამგალი და ცელი, ცული და ხელეჩო?



რაში სდგებართ? სადა ლოცულობთ? სადა სწავლობთ?  
 საქონელი ზამთრობით სად გიბიათ? ძვევრები სად გიფლიათ?  
 პურს სადა ჰფეკავთ? სად აცხობთ? ბზეს რაში ინახავთ? შურ-  
 ძენს სადა სწურავთ ანუ სწნახავთ? სავაქროს სადა ჰყიდი-  
 ან? სახლსა, საყდარსა, სკოლასა, ბოსელსა, მარანსა, წის-  
 ქვილსა, სათონესა, საბძელსა, საწნახელსა, დუქანსა რა სა-  
 ზოგადო სახელი ჰქვიან? **შენობანი.** რა და რა ნაწილი აქვს:  
 სახლსა, საყდარსა, წისქვილსა და ბოსელსა? რითი ჰგავს ერთ-  
 მანეთსა და რითი გაირჩევა: სახლი და საყდარი, კოშკი და  
 ციხე, მარანი და ბოსელი? როგორ აშენებენ სახლებსა?

ანდაწყება: შუბი პარკში (ანუ ხალთაში) არ დაი-  
 მალება.—სანამ თონე ცხელია, პური გამოაცხე, გა-  
 ნელდება, აღარ გამოაცხობს.—წისქვილის ქვები რომ



ერთმანეთს არ ეხმარებოდეს, ცალმა რამდენიც უნდა იბრუნოს, ვერას დაფქვავს.

გამოცანება: რკინის ხარს ბამბის კუდი აბია.—**მრ-**მო ბნელი, შიგ მოზვერი, ძნელად მოსაბრუნებელი.—**სოცხალი** სცემს მკვდარს უწყალოდ, მკვდარი უძახის სოფელსა.—**მოფი** ხისა, ტყვია წყლისა, ხეს ეცა და ქვა გაიქცა.

**საშასუხა და საწერ:** ნამგალი... საყდარი... ტელი...  
საწნახელი... სახნისი... აღვირი... შიწალი... სადგი-  
სი... ძვევრი... სათონე... **მრთითი**... ბრიფილი...  
წისქვილი... წალდი... ძაფქირი... შილაფლაფი... **მო-**  
ფი... საჭრეთელი... ტიკინი... სასახლე... ლაგამი...  
სამართებელი... მრბო... მაკრატელი...

რომელი იარაღით რას აკეთებენ?

გ ვ რ ი ტ ი.

იყო და არა იყო რა, იყო ერთი გვრიტი. სცხოვ-  
რობდა თავისთვის ერთს ხეზე. მრთხელ თავისი ბა-  
რტყების საჭმლისათვის შორს მოუხდა წასლვა. ბო-  
როტმა კაცმა ამ დროს ბარტყები ამოუხსნა ბუდიდგან  
და შინ წაასხა. ღაბრუნდა შინ გვრიტი და შვილები  
ბუდეში აღარ დაუხვდნენ. ღაღონდა მწარედ. წავიდა  
ბარტყების საპოვნელად. შემოეყარა წინ მამალი.  
„გვრიტო, გვრიტო, სად მიფრინავო?“—შვილების სა-  
პოვნელადაო.—„მეც შენი მშველელი ვიქნებო.“—  
ძალიან კარგიო.

იარეს, იარეს და ახლა მახათი შემოეყარათ გზა-  
ზე. „გვრიტო, გვრიტო, სად მიფრინავო?“—შვი-  
ლების საპოვნელადაო.—„მეც შენი მშველელი ვიქ-

ნებიო. — ძალიან კარგიო. ღაედევნა უკან მახათიცა.

იარეს, იარეს და ახლა ფილთაქვა ანუ ქვასანაყი შეხვდათ გზაზედ. „ზვრიტო, გვრიტო, სად მიფრინავო?“ — შვილების საპოვნელადაო. — „მეც შენი მშველელი ვიქნებიო.“ — ძალიან კარგიო. ზამოუდგა უკან ფილთაქვაცა.

ბევრი იარეს, თუ ცოტა იარეს, ბოლოს წინ შემოეყარათ ვირი. „ზვრიტო, გვრიტო, სად მიფრინავო?“ — შვილების საპოვნელადაო. — „მეც შენი მშველელი ვიქნებიო.“ — ძალიან კარგიო. — ღაედევნა უკან ვირიცა.

მივიდნენ ღამით ერთს სოფელში. ღაუგდეს ყური. შრთი სახლიდგან პატარა გვრიტების საცოდავი ქყვილი შემოესმათ. შველანი იმ სახლთან მივიდნენ და საომრად მოემზადნენ. შირი კარებთან აიტუზა, მახათი კარებიდგან შეძვრა, სხვანი ერდოდგან ჩავიდნენ სახლში. მამალი ბუხრის თავზედ შეფრინდა, ფილთაქვა ნაღვერდალში ჩაეფლო, მახათი ბუხრის პირას დაერქო. ზვრიტი გალიასთან მიფრინდა თავისი ბარტყების გამოსაშვებად. ამასობაში გლესს გამოეღვიძა. წამოვარდა ზეზედ, ბუხართან მივიდა, ცეცხლი უნდა აენთო. ამ დროს ფილთაქვა გასქდა და ნაღვერდალი თვალეში შეაყარა, მახათი ბარდაყში შეერქო, მამალმა ზევიდგან დაჰყივლა. ზლესი შეშინდა, გარედ გამოვარდა. აქაც ვირმა ერთი ღონიერი წიხლი ჰკრა და გონება სულ დაუბნია. ამასობაში გვრიტმა გალია გაუღო თავისს ბარტყებსა, შეისხა მხრებზედა და ბუდისაკენ გააქანა.



### ძალღი და კატა.

ძატამ სთქვა: ლმერთო, პატრონი დამძროშავს,  
 ჯამს მუდამ მე ამოვუქამო.—ძალღმა სთქვა: ლმერთო,  
 პატრონი გამიმრავლე, ყველა თითო ლუკმას მომიგ-  
 დებს და მე მეტიც არ მინდაო.

### კ ა ტ ბ.

ღელა-კატა კარს უკან სცუცქს გძელ კუდ-ამოძუებული;  
 თვალში ცრემლი მორგვია, სიმწუხარით სწყდება გული.  
 ხედი მიდის, შეჰკრუტუნებს: ჩემო კარგო ციცუნია!  
 მიზედა ხარ გაბუტული და ან ვინ რა გაწყენია?  
 —ძოტემ თევზი მოიპარა, შეშინდა და გადაჰფიცა;  
 მე ქურდობა შემომწამა, ურცხვად ლმერთი დაიფიცა.  
 ის გადარჩა, მე გამცოცხეს, ის მტყუანი, მე მართალი,  
 ამისთანა სამართალს კი დაუდგება ორივე თვალი.

### მ ე ც ხ ვ ა რ ე.

მხედავ მეცხვარეს ჯოხით მხარზედა,  
 წინ უძღვის ცხვარსა, მიდის მთაზედა;  
 სალამურს უკრავს ხარის ხმაზედა;  
 ცხვარიც მეტი ჰყავს თავისს თმაზედა.  
 თავისი თავის წეველა.

ხარი ურმიდგან გამოშვებულიყო და გარბოდა-  
 ძუდ-მოგლეჯილი მეურმე უკან მისდევდა და მისძა-  
 ხოდა: სად მიხვალ, შე ოხერო, შე სატილოო! მგზავ-  
 რმა ჰკითხა მეურმესა: ძმობილო, ვისია ის ხარო?—  
 ჩემიაო, უბასუხა მეურმემ.—ძაცო, მაშ რად სწყევლო  
 შენს თავსაო? შთხრა მგზავრმა.—როგორ თუ ვწყევ-  
 ლიო?—როგორ და ისე, რომ ის ხარი ტიელი და  
 ოხერი მაშინ შეიქნება, როცა შენ მოკვდებიო.



ც ა ლ ი ხ ა რ ი.

ცხრა ძმას ცხრა ხარი ჰყავდა. ბევრი ბაიყარნენ და გაიყვეს. თვითეულს ცალ-ცალი ხარი ერგო. ღაღონდნენ: რა სულელობა მოგვივიდა, რომ გავიყარენითო. მერე კი გული ამითი გაიკეთეს: სულ არარაობას ცალ-უღელა ხარი სჯობიაო.

ხ ა რ ი.

მრშაბათობით აშენდა ციხე-ქალაქი კლდეზედა, ბარს გაღავანი არტყია, ცა ახურია თავზედა. ადამიანის შენახვა ვერავინ იღო თავზედა. სხენა, ფარცხვა, ზიდვა სარჩოსი გასჭირდა მეტად ძალ-ხარმა სთქვა პირმა-ნათელმა, მე დავიწვრავ თავზედა. მოცვიდნენ ანგელოზები, დაჰკოცნეს ორთავ თვალ-ზედა; ჩამოჰქნეს წყვილი სანთელი, მიაკრეს ორთავ რქაზედა: — წადი, ხარო, იმუშავე ერთგულად მთა და ბარზედა; მქვსი დღე უღელში ები, მეშვიდეს დაწექ მხარზედა; შინც კვირა-უქმით შეგაბას, ხელი შეახმეს მკლავზედა.

ა ლ ე ქ ს ი და ა ქ ლ ე მ ი.

პატარა ალექსის თავისს დღეში აქლემი არ ენახა. შინდვრად გავიდა და დაინახა მწოლარე აქლემი. ალექსი ძლიერ გამბედავი ბავშვი იყო. ბაექანა და აქლემზედ შეჯდა. აქლემმა ადგომა იწყო. ალექსი ძალიან მაღლა-მაღლა წავიდა. მგონა, ზეცას მივყევარ ამ აქლემსაო, და დაიძახა: მშვილობით, ჩემო საყვარელო დედ-მამაო.





თ ხ ა.

ერთი თხა ჰყავდა ბებიას ცქეტი, მარდი და ბატკანი.  
 თავს ევლებოდა, უვლიდა, უყვარდა წვერებ-ცანცარა.  
 ბატკოკდა ერთხელ ბეკეკა, გაიქრა ტყეში, გავარდა;  
 ნეკერი ჩააკნატუნა, კუნტრუშით შეინავარდა.  
 მაგრამ ჩამწარდა მოლხენა, დღე დაუბნელდა მას შავად:  
 მგელს სუნი ეცა და თავზედ წაადგა სულთა-მხუთავად.  
 ბაუმაძღარი თვალები ცეცხლივით დაუბრიალა,  
 ძბილი მოავლო, გაჰგუდა, აბლავლა, ააღრიალა.  
 სწრაფლ გადასანსლა მსუნაგმა, შესვლიბა, შეახრამუნა;  
 მხოლოდ რქები და ჩლიქები ბებიას დაუნარჩუნა.

ს ა ს ა უ ბ რ ი.


რომელი ცხოველი უდარაჯებს ადამიანის სახლსა? რო-  
 მელი ცხოველი იქერს სახლებში თავგებსა? რომელ ცხოვე-  
 ლებს ვაბამთ ურემსა და გუთანში? რომელს ცხოველს ვად-  
 გამთ უნაგირსა და ზედა ვსხდებით? რომელი ცხოველები  
 იწველიან რძესა? რომელს ცხოველს ვკრეკავთ მატყლსა?  
 რომელს ცხოველს ვინახავთ მხოლოდ ხორცისათვის? ძაღლ-  
 სა, კატასა, ხარსა, ცხვარსა და ღორსა რა საერთო სახელი  
 ჰქვიათ? **შინაური ცხოველები.** ძიდეგ რა შინაური ცხო-  
 ველები იცით? შირი, ჯორი, აქლემი.

რომლის შინაურ ცხოველის შვილსა ჰქვიათ ხბო? ზაქი?  
 კნუტი? ლეკვი? გოჭი? ბატკანი? კრავი? თიკანი? კოზაკი?  
 ჩოჩორი?

რა გამოსადგვია: ხარი, კამეჩი, ცხენი, ძროხა, თხა,  
 ცხვარი, კატა, ძაღლი, ვირი, ღორი, აქლემი?

რასა სქამს ხარი? ძიდეგ რომელი შინაური ცხოველები  
 სქამენ ბალახსა? ძაღლი რასა სქამს? ძიდეგ რომელი ში-  
 ნაური ცხოველები სქამენ ხორცსა? ჩითი ზრდიან თავისს

შვილებს შინაური ცხოველები? რომელ ოთხფეხთ აქვთ გა-  
ყოფილი ჩლიქები? რომლებს გაუყოფელი? რომლებს იცოხ-  
ნიან? რომლები არ იცოხნიან? რომლებს აქვთ რქები? შოქო



რომელნილა არიან? რომელს შინაურს ცხოველებს ჰქვიათ  
საქონელი და რომელს არა? რა და რა ასო აქვთ: ძალღსა?  
ცხვარსა? აქლემსა? რითი ჰგვანან ერთმანეთსა და რითი გა-  
ირჩევიან: კატა და ძაღლი, ხარი და კამეჩი, თხა და ცხვარი,  
ვირი და ცხენი?

**ანდაზება:** ოხისა წინიდგან გეშინოდეს, ცხენისა—  
უკანიდგანა.—ძროხამ იწველა, იწველა, ბოლოს ჰკრა,  
წიხლი და სულ დაღვარა.—ბედაური ცხენი მათრახს  
არ დაიკრავს.—ძვიცი რო დედის წინ ხტომას დაი-  
წყებს, მგელი შესკამს.—მრთმა ტალახიანმა ღორმა  
ასი ღორი გასვარაო.—ბქლემები წაიკიდნენ, კოზაკი  
შუაში გასრისეს.—ბქლემი ისე არ დასუსტდება, რომ  
ვირის ოდენა საბალნე ველარ აიკიდოს.

**გამოცანება:** მთლო-თოთლო, ოთხო ბოძო, ზე-  
ვით მთაო სათიბავო, ქვევით წყარო სადინარო.—  
სოცხალია, ბალახსა სძოვს, მოკვდება და ღვინოსა  
სვამს.—ტენესის და არა სტკივა რა, ეძებს და არა  
დაჰკარგვია რა.—მთხნი არიან, ძმანი არიან, ბაღჩას  
ჩადიან, ჩაიმღერიან.

**საშასუხო და საწერა:** სასწავლო ნივთები: სათამაშო  
ნივთები: მებელი ანუ დგამი: ჭურჭელი: საქმელები:  
სასმელები: საცმელები: საფენი: ლოგინი: იარაღი:  
შენობანი: შინაური ცხოველები.

ბალახის მჭამელი საქონელი: ხორცის მჭამელნი  
ოთხფეხნი: მეწველი საქონელი: საკლავი საქონელი:  
სატყაო საქონელი: მცოხნავი საქონელი: ჭარა მცო-  
ხნავი ოთხფეხნი: ჩლიქებ-გაყოფილი საქონელი: ჩლი-  
ქებ-გაუყოფელი საქონელი.

ჩიტე და მელა.

იყო ერთი ჩიტე-ჩიორა. ტყეში ხეზედ მოხერხე-  
ბული ალაგი იპოვნა და ბუდე გაიკეთა. მერე შიგ  
ჩაჯდა და სამი კვერცხი დასდო. სამს კვირაზედ გა-

მოსჩიკა პატარა ჩიორები. ღედა თავის შვილებს უზიდავდა კალიებსა, პეპელებსა, ბუზებსა, აქმეებსა და ზრდიდა. ღიდს სიხარულში იყო ჩიორა: ჩქარა დავაფრენ ჩემს ბარტყებსაო. მაგრამ მალე უბედურება ეწია. წყეულმა მელამ ბუდეს მიაგნო, ხის ძირში მიცუნცულდა და ჩიორას შესძახა:

- ჩიტო, ჩიტო, ჩიორაო!
- რაო, ბატონო, მელაო?
- მრთი შვილი გადმომიგდე,  
თორემ შავ ღდეს დაგაყენებ:  
ცულს მოვიტან, ცუნცულასა,  
ხელეჩოს და წალღუნასა,  
ხესაც მოვჭრი, ხის ძირსაცა,  
შენც შეგჭამ და შენს შვილსაცა.



შეეშინდა საწყალს ჩიორას, აიყვანა ერთი ბარტყი და გადმოჟუგდო მელასა. მელამ პირი დაავლო, ბუჩქებში გაარბენინა და გადაყლაპა. მეორედ კიდევ მიირბინა და შესძახა:



- ჩიტო, ჩიტო, ჩიორაო!
- რაო, ბატონო მელაო?
- მრთი შვილი გადმომიგდე,  
თორემ შავ ღდეს დაგაყენებ:  
ცულს მოვიტან, ცუნცულასა,  
ხელეჩოს და წალღუნასა,  
ხესაც მოვჭრი, ხის ძირსაცა,  
შენც შეგჭამ და შენს შვილსაცა.

დალონებულმა ჩიორამ მეორე ბარტყიც აიყვანა და მელას გადმოუგდო. მელამ პირი სტაცა, ბუჩქებში გაარბენინა და გადაყლაპა. მესამედაც მოცუნცულდა მელა და ჩიტს შესძახა!

— ჩიტო, ჩიტო, ჩიორაო!

— რაო, ბატონო მელაო?

— ერთი შვილი გადმომიგდე,

თორემ შავ დღეს დაგაყენებ:

ცულს მოვიტან, ცუნცულასა,

ხელეჩოს და წალდუნასა,

ხესაც მოვჭრი, ხის ძირსაცა,

შენც შეგჭამ და შენს შვილსაცა.

მწარედ დალონებულმა ჩიორამ მესამე ბარტყიც აიყვანა და მელას გადმოუგდო. მელამ გაარბენინა და ისიც სწრაფად გადაყლაპა.

შბედური ჩიტი აფრინდა და მოშორდა იმ არემარეს. შემოჯდა ერთ ხეზედ მეტად დალონებული. მონადირემ დაინახა და ჰკითხა: „ეგრე მწარედ რამ დაგალონა, ჩიორაო.“ — „არ გებრალეები, ერთმა წუწკმა მელამ შვილები სრულიად დამიჭამაო. — „აბა წამო, მიჩვენე ის წყეული და მე გაყურებინებ იმის სეირსაო.“ ჩიტი გაუძღვა მონადირეს და მელასთან მიიყვანა. მონადირემ მელას თოფი ესროლა, შიგ პირში მოარტყა და კბილები ჩააყრევინა.

---

ო რ ი ი რ ე მ ი.

ორი ირემი სძოვდა მაღალი ბალახით შემოსილს მინდორზედ. ერთმა მოჭვლიჯა მთელი ბლუჯა საუ-

კეთესო ბალახი, გაუშვირა მეორეს და მისთავაზა. მეორემ უთხრა: რად სწუხდები, ძმობილო, ხომ ჰხედავ, ბალახი მეც თავზედ საყრელი მაქვსო.— შიცი, რომ არც შენ გაკლია, მაგრამ ერთმანეთის გულის მოგებააო, უბასუხა პირველმა.

### ს ა მ ი მ გ ე ლ ი .

[გძელი, სერზედ მიდის სამი მგელი, ტუჩ-მოკლე და კუდა-მრთმანეთს ეუბნებიან, ქალას არის ლურჯა ცხენი; მრთმა თავსა დაურბინოს, ორმა გავკრათ გავას ხელი, პატრონს კაცი გაუუგზავნოთ, ნულარ გინდა თივა, ქერი.

### ს ა ზ ა ს უ ხ ა :

რა ქიხინებს და ხვიხინებს? რა კნავის, ჩხავის და კრუტუნებს? რა ჰყეფს და წკმუტუნებს? რა ჰყივის და ღრუტუნებს? რა ბლავის და ზმუის? რა ყროყინებს?

### ღ ო რ ი .

მთაში ღორმა დაიკვება, ყველგან გავიკეთე ბინა, ვერც არას თოვლი დამაკლებს, ვერცა შემოდგომის წვიმა.

მე რომ კბილებს გავილესავ, ვერვინ დამიდგება წინა.

### მჩხავანა კატა.

მრთს სახლში თავგები ძლიერ გამრავლდნენ. სახლის პატრონმა იმათ გასაწყვეტად კატა გაიჩინა. მაგრამ ეს კატა ახირებულის ზნისა გამოდგა: ისე ფეხს არ გადადგამდა, რომ ხმა-მალლა არ დაეჩხავლა, ვითომ შემომხედეთ, რა გამრჯელი ვარო. თავგები ამის

გამო ყოველთვის აღრევე ტყობულობდნენ კატის მი-  
ახლოვებას და იმალებოდნენ. შერც ერთი თაგვი ვერ  
დაიჭირა კაი ხნის განმავლობაში. სახლის პატრონი  
ადგა და მჩხავანა კატა გარედ გამოაგდო.

**ანდაზა:** მჩხავანა კატა თავეს ვერ დაიჭერსო.

### საწყალი მელა.

საწყალი მელა ჩიოდა, არ მომივიდა ძილია,  
მართსა საქათმეს მივაგენ, გამოვუთხარე ძირია:  
იხესა, ბატსა და ქათამსა ყველას გავკარი კბილია.



შკუ ვიხედე, მომდევდა პატრონი—გზირის შვილია;  
მხარზედ გაედო კომბალი, გათლილი შინდის ძირია;  
ზადმომკრა, გადმომიშნივლა, ცამდის ავასხი ტვინია;  
მაგრამ ტვინს ვილა ჩიოდა, ცოლ-შვილი დამრჩა ქვრი-  
ვია;  
ცოლიც მალე გათხოვდებდა, ობლები დამრჩა წვრილია;  
ობლებიც გაიზრდებიან, თავი დავკარგე გმირია.

### თხა და გიგო.

იყო ერთი ზარმაცი ზიგო. მართხელ სთქვა: მოდი,  
ერთი თავს გამოვიჩინ ბეჯითობითაო. ზამოვიდა სა-



ხლიდგან, გამოიტანა თან წიგნი, გავიდა სოფლის მოედანზედ, ჩამოჯდა ხეზედ, დაიღო წიგნი მუხლზედ და ცქერა დაიწყო შიგ, ვითომ, ერთი შემომხედეთ, რა ბეჯითი ბიჭი ვარო. წიგნი უკუღმა ედო, სრულიად არა კითხულობდა და შიგ ტყუილად იცქირებოდა. მალე ძილი მოუვიდა და თავს ასკილივით აქნევდა. ამ დროს მეზობლის თხა ფეხების ბაკუნია და წვერის ცანცარით ბაკიდგან გარედ გამოვიდა. ზიგოს თავის კანტური რო დაინახა, თხას ეგონა, ქიდაობაში მითხოვსო, გამოექანა, დაეჯახა რქებით შუბლში, ყირამალა გადაატრიალა და ააბლრიალა ჩვენი თავ-მომწონე ზიგო.

ცალ-თვალა ირემი და მონადირე.

იყო ერთი ცალ-თვალა ირემი. ირემს ცალი მხრიდგან მიპარვისა ეშინოდა და ძოვნის დროს დიდს სიფრთხილეში იყო. ბოლოს იფიქრა: წავალ ზღვის პირსა, ბრმა თვალს ზღვისაკენ ვიქ, საღს ხმელეთისაკენ და სიფრთხილე არ მომინდებო. სწორედ ასეც მოიქცა. მაგრამ მონადირემ შენიშნა ირმის დაუდევრობა, ზღვიდგან ნავით მიეპარა, ესროლა ისარი და მოჰკლა ირემი.



ანდაზა: სიფრთხილეს თავი არ ასტკივდება.

**ს ა ს ა უ ბ რ ო .**

მგელი სადა სცხოვრობს? ძიდევ რა ცხოველები სცხოვრობენ ტყესა და მინდორში? მელა, დათვი, ირემი, კურდღელი, შველი, ჯიხვი, ციყვი, კვერნა, თხუნელა, ზღარბი, თავგი. ამ გარეულს ცხოველებს რა საერთო სახელი ჰქვიათ? — ნაღიონი.

რომელი ნადირის შვილსა ჰქვიათ ლეკვი? ბელი? ბაქია?

ნუკრი? ღლაპი? რომელმა ნადირმა იცის ღმუილი? წკაპწკა-  
პი? ჩხავილი? ბურტყუნი? ბლავილი? წრუწუნი?



რომელნი ნადირნი არიან დიდი ტანისანი? შუა ტანი-  
სანი? პატარა ტანისანი? რქიანები? ხორცის მჭამელნი? ბა-  
ლახის მჭამელნი? რომელნი არიან გამოსადევნი გემრიელი  
ხორციით? ტყავით? რქებით? ბეწვით? რომელნი არიან მტა-  
ცებელნი? სცხოვრობენ თუ არა ჩვენს ქვეყანაში ღომი,

სპილო და მაიმუნი? რატომ არა? რომელი ნადირი ეძვრება  
შხამიანს გველებსა და თაგვებსა? ზღარბი.

ამიწერეთ და შეადარეთ ერთმანეთს: კურდღელი და  
ციყვი, ირემი და მაიმუნი, მელა და მგელი, ლომი და სპილო.



ანდაზება: მელას რაც აგონდებოდა, ის ესიზმრებოდა.—მელა მახეში გაება, თავი მოიძინარა, სიზმარი იქნებოდა.—შმანათს მგელიც შეინახავს.

გამოცანება: ერთი რამა სულიერი მიწა-მიწა მძრომელია, კაი ვაჟი-კაცისათვის თავსა წამომდგომელია, სამჯერ გითხარ მის სახელი, აბა მითხარ რომელია?

საზსუსხა და საწერა: მელა არის ნადირი... ძამეჩი არის საქონელი... ირემი... თხუნელა ანუ მუდო... რძე... ცხვარი... ღათვი... აქლემი... სკამი... ძურდღელი... ძატა... ძვერნა... ძოხი... ზღარბი... ლორი... საჭრეთელი ანუ სატეხე... ძირი... შარდაგი... ლეიბი... ჯორი... ტურა...

დედაბერი და ქათამი.

იყო ერთი დედაბერი. ჰყავდა ერთი ქათამი. შოველ დღე თითო კვერცხს უღებდა, მაგრამ დედაბერს

ეცოტავებოდა. უნდოდა, რომ ქათამს დღეში ორ-სამი კვერცხი დაედო. იფიქრა, მოდი მომეტებულს საკენკს დაუყური და უფრო ბევრს კვერცხს დამიდებსო. ღაუწყო ბევრის საკენკის დაყრა; მაგრამ ქათამი მეტის-მეტად გასუქდა და ერთი კვერცხიც აღარ დაუდო.

გამოცანა: უსულო ვნახე ორსული, სულიერისა მშობელი, შვილსა შობს, დედა მოკვდება, ვინ არის გამომცნობელი?

### კურდღლის სისმაჩი.

[ჩემზედაო;

ძურდღელმა სთქვა: ჩირგვში ვზივარ, ვერვინ მოვა შევიხედე სერზედაო, ბატონი ზის ცხენზედაო; წინ მეძებრები მოულის დაგეშილი ჩემზედაო. ღამისიეს, გამომიდგნენ, გავექეცი განზედაო;



აღმართშია მე ვაჯობე, იმათ თავდაღმართზედაო. მართმა წუწყმა მეძებარმა კბილი გამკრა გვერდზედაო; ბამწიეს და გამომწიეს, ჩამომკიდეს ცხენზედაო. [დაო; მხარეულებს მიმაბარეს, კარგად შესწვით ცეცხლზე-

[ხედო.

ცალი გვერდი ცეცხლზედ იწვის, ცალი ერბოსად-  
შუურეთ ამ მსუნაგებსა, რა ყოფა აქვთ ჩემზედარ?  
ამარიგეს, ჩამარიგეს წვრილ-წვრილ ლამბაქებზედაო,  
ხორცი ხორცად შემიჭამეს, ძვლებს იმტვრევდნენ  
ცერზედაო.

ქურდი და მამალი.

ქურდი სტუმრად იყო. მასპინძელი ოჯახიში-  
ღურად დაუხვდა. ქურდმა მანც თავისი არ დაიშალა,  
მასპინძელს მამალი მოჰპარა,  
კალთაში გამოიხვია და გაიპარა.  
პატრონი უკან დაედევნა, დაე-  
წია და მამალი ჰკითხა. ქურდი  
ეფიცებოდა, არა ვიცი-რაო;  
ძალთიდგან კი მამალს ბოლო  
უჩანდა. პატრონმა უბასუხა:



ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებსო.

მ კ ვ ე ხ ა რ ა .

აქეთ გორასა წიხლსა ვკრავ  
და იქით გორას ძრას ვუზამ;  
ადიდებულსა დიდს მტკვარსა  
დავაყენებ და ყლაპს ვუზამ;  
ას ლიტრა რკინას დავღვეჭავ  
ძევივითა და ყლაპს ვუზამ.

ს ა შ ა ს უ ხ ო :

რამ იცის ძუნძული? მგელმა და დათვმა. ცუნცული? მე-  
ლამა. სანცალი? ქურდღელმა. ცუცუნი? შაგვმა. ბაჯბაჯი?

ბატმა. ჩაქჩაქი? ცხენმა. ძუნტრუში? ხბომა. საქმელს რა  
 ჰკენკავს? რა სძოვს? რა სთქვლევფავს? ღორი. რა რიცხვნას?  
 რა ხრავს? რა ღრღნის? თიავი.

### ქელია და ძამძალი.

ღრშაბათ დილა გათენდა, რა ავი დარი დგებო;  
 ის ჩვენი წუწუკი მელია საომრად ემზადებო;

წავილა იქ მიცუნცულდა, სადაც მამალი ჯდებო:  
 — პატარა ხორცი მიბოძე, მელას გზა გაველგებო.

— შენ ჩემს ხორცს როგორ შეირგებ, ყელს ძვალი  
 დაგადგებო;

ჩემს პატრონს კარგი თოფი აქვს, მეხივით გავარდებო.

— მეც კარგად ვიცნობ შენს პატრონს, უყვარს მუ-  
 ცელზედ გდებო;

თოფი კაჩხას უკიდია, ჩახმახი უყანგდებო;

თუნდ მუგუზალი დაადოს, მაინც არ გავარდებო.

### ს ა ს ა უ ბ რ ო.

ბაკანი რამ იცის? ყივილი? ყიყინი? კიკივი? ღულუნი?



ძათამსა, მამალსა, ბატსა, ინდოურსა და მტრელსა რას ეძა-

ხიან?—**ფრინველებსა.** ჩად ეძახიან ფრინველებსა? სადა სცხოვრობენ ეს ფრინველები? ამიტომ რა საერთო სახელი ჰქვიათ?—**შინაური ფრინველები.** რომელი ფრინველი ბატატყსა ჰქვიათ წიწილა? ქუქული? ქუკი? ხუნდი?

ჩა და რა ასოები აქვთ ფრინველებსა? რისთვის ზრდის კაცი შინაურს ფრინველებსა? რომელი შინაური ფრინველი ატყობინებს კაცს გათენებასა? რომელმა შინაურმა ფრინველებმა იციან წყალში ცურვა? ჩად ვადვილებათ ბატებსა და იხვებს ცურვა? იმიტომ, რომ ტანი ნავივით აქვთ მოყვანილი, ფეხის თითები გაერთებული აქვთ კანითა და ამის გამო ფეხებს ისე უსმენ წყალში, როგორც ნიჩაბს მენავე; ფრთები და ბუმბული ლიბი აქვთ და წყალი ვერ ასველებს. ჩად ვადვილება ჩქარი ფრენა მტრედსა? იმიტომ, რომ ტანი პატარა აქვს და ნავივით მოყვანილი, ფრთები კი დიდრონი და ღონიერი. ჩად ეძნელებათ ფრენა სხვა შინაურ ფრინველებსა? რითი ჰგვანან ერთმანეთსა და რითი განირჩევიან: ქათამი და ბატი, იხვი და მტრედი, ინდოური და ბატი?

**ანდაზება:** ბარეულმა ქათამმა შინაური ქათამი გააგდო.—ქათამი რო წყალს დალევს, ღმერთს შეხედავს.—შს ქათამი ჩვენსას კაკანებს და სხვაგან კი კვერცხსა სდებს.—შდროვოდ რო მამალი ყვივს დაიწყებს, თავს მოსჭრიან.

**გამოცანება:** მრჯელ შობილი ერთხელა კვდება.—მრთს ტიკჭორაში ორფერი ღვინოა, თეთრი და ყვითელი, რამდენიც უნდა ატყაპუნო, ერთმანეთში ვერ აურევ.

**საზასუნო და საწერა:** ხორცის მჭამელნი ნადირნი... ბალახის მჭამელნი ნადირნი... სახორცე ნადირნი... სოროს მთხრელნი ნადირნი... მტაცებელნი ნადირნი... ბეწვიანნი ნადირნი... დასწერეთ, რითი განსხვავდებიან ერთმანეთისაგან ფრინველები და ოთხფეხი?



### კატო და კატა.

ბანზედ პურის მარცვლები ეყარა. ახლო მშვიდი კატა იწვა; თვალები დახუჭული ჰქონდა, კუდი გადაგდებული. ჩიტის ბარტყს ეგონა, კატასა სძინავსო, და ახლო დაუჯდა მარცვლების ასაკენკად. ბედად, იმავე ბანზედ კეთილი ძაღო წინდასა ჰქსოვდა. იმან კარგად იცოდა კატის ეშმაკობა, შეეცოდა გამოუცდელი ბარტყი, აუქშია, გააფრთხო და გადაარჩინა კატის კლანჭებსა.

### ქორი და იხვი.

მრთმა ქორმა ერთი იხვი დაიჭირა და შექმას უპირებდა. ამ დროს ზევდგან მონადირისაგან შეშინებულმა კაკაბმა ახლო ჩაუარა. ძორი წაეტანა, ამასაც დავიჭერო; იხვმა იდროვა, ქორს კლანჭებიდგან გაუსხლტა და უშველა თავსა. შერც კაკაბი დაიჭირა. ქორმა და იხვიც დაჰკარგა.

ანდაზება: მორი კურდღლის მდევარი ვერც ერთს ვერ დაიჭერსო.—ხარბის თვალი არ გაძღებო.



### ქორი.

აფრინდა ქორი, აფრინდა,  
 პრაგვი ჩაინადირა,  
 მცხეთას დაეცა დედალსა,  
 ავქალას მტვერი აღინა.

### მერცხალი და მეცხვარე.

ზამთარი მიწურული იყო. მრთი მერცხალი დაწინაურებულიყო, ადრე მოვიდა ჩვენს ქვეყანაში და ჭიკჭიკი მორთო. მეცხვარეს ეგონა, ეს არის გაზაფ-

ხული დადგაო. აღმა და ცხვრები დაჰკრიჭა. მაგრამ მეორე დღეს დადგა სიცივე, მოვიდა თოვლი და გაკრეჭილი ფარა ცხვარი სულ გაუწყვიტა. მაშინ მეცხვარემ სთქვა: „ახლა კი ვხედავ, რომ ერთის მერცხლის ჭიკჭიკი გაზაფხულს ვერ მოიყვანსო.“

მწვერი და მწვემსი.

ჟანაზედა მივდიოდი,

ამიფრინდა თვალ-წინ მწვერი;

სახრე ვტყორცნე, მოვახვედრე,

წავაწყვიტე თავ-კისერი.

ძირს დავხედე, ბუდე ვნახე,

შიგ ბარტყები, სულ ტიტვლები,

ძიგძიგობდნენ, ჭყიბინობდნენ

საცოდავად ის ობლები.

თითქოს ასე მაყვედრიდნენ:

შე უღვთო და შე უწყალო!

რისთვის უმტრე დედა-ჩვენსა,

რას ერჩოდრი, რომ მოჰკალო?

მწვერი და ღამურა.

ბალიაში დამწყვდეული მწვერი მხოლოდ ღამ-ღამით ჭუკჭუკებდა. ღამურამ ჰკითხა: „ღამ-ღამით რომ



ერთი ყოფა გაქვს, რატომ დღისით კი არა ჭუკჭუკებო?“ — ძიდევ დღისით ჭუკჭუკმა ჩამაგლო ამ ტყვეობაშიო, უპასუხა მწვერმა. „შე ჭკუა წინად უნდა

გეხმარა, თორემ ახლა რაღას გიშველისო,“ უთხრა ლამურამა.

ანდაზა: ურემი რომ გადაბრუნდება, გზა მასუკან გამოჩნდება.

### ქორი და წიწილა.

ძორმა წიწილა წაიღო,  
იძახდა „წიავ-წიავსა.“  
წიწილის თეთრი ბუმბული  
ველად გაჰქონდა ნიავსა.  
ისმოდა ბებრის ეზოში  
ქრუხის ქვითინი მწარეა,  
მოსვლოდნენ მოკეთეები:  
ქრუხნი, შამღები, ვარია,  
ნათესავები კრუხისა,  
მთელი იმისი გვარია.  
ცხარე ცრემლს ღვრიდნენ ქათმები,  
იღვა გლოვა და ხარია.

### გვრიტი და მტრედი.

გვრიტი გალიის მსგავს მახეში მოჰყვა და იწყო საბრალოდ ფრთხიალი. ხან აქეთ აწყდებოდა, ხან



იქით, ეგები როგორმე თავი დავახწიოო. ღაინახა ეს ახალგაზდა მტრედმა და დახმარების მაგივრად დაუწყო გულ-საკლავი დაცინვა: „არა გრცხვენიან, შუადლისას მახეში გაებიო; მე ავრე

ადვილად ვერ მომატყუებდნენო.“ თურმე იქვე ძუის მახე იყო გაბმული. ღამცინავმა მტრედმა ვერ შენიშნა და შიგ გაიხლართა.

ანდაზა: ნუ დასცინი სხვასაო, გადაგხდება თავსაო.



### სასაუბრო.

რომელმა ფრინველმა იცის ქუკუქუკი? ქიკქიკი? უიუიუი? ჰყიყილი? ჩხავილი? რომელი იძახის ყვაა? გუგუ? კუკუ?



შველა ეს ფრინველები სადა სცხოვრობენ? ამიტომ რა საერთო სახელი ჰქვიათ? **გარეული ფრინველები.** ძიღვე რა გარეული ფრინველები იცით? რომელ ფრინველებს უყვართ სოფლის ახლო ცხოვრება? რად ეტანებიან სოფელს ჩიტები,

მერცხლები და კაჭკაჭები? რომელი იტაცებენ და სჯამენ პატარა ფრინველებსა და პატარა ნადირებსა? რომელი ფრინველები დაფრინავენ გუნდ-გუნდად? ცალ-ცალკე? რომელი ფრინველები მიდიან საზამთროდ სხვა ქვეყნებში? რომლები არიან ბინადარნი და მუდამ ჩვენთან სცხოვრობენ? რომელი ფრინველი არას დროს არ იკეთებს საკუთარს ბუდესა და კვერცხებს სდებს სხვა ფრინველების ბუდეებში? რომელი ფრინველია განთქმული გალობით? ღამისახელეთ მგალობელი ფრინველები. შრინველების შვილებს რას ვეძახით? რომელი ფრინველის ბარტყსა ჰქვიან ჩოჩორი? მწყრისას. ბახალა? შვავისას. ხუნდი? მტრედისას. ჩიტი გვიშვრებიან ზოგი ფრინველები მეტად დიდ სიკეთეს? შლეტენ ჭია-ლუასა, მატლებსა და მავნე მწერებსა და ხელს უწყობენ მოსავალსა. რომელი არიან სახელდობ ამისთანანი? მერცხალი, ბელურა ჩიტი, მწყერი, ტოროლა, ბულბული, შოშია და ყველა მგალობელი ფრინველები.—ამიწერეთ და შეადარეთ: ჩიტი და მერცხალი, ყვავი და კაჭკაჭი, არწივი და ძერა, ტოროლა და მწყერი.

**ანდაზება.** ჩიტი სადაც გაიზდება, მისი ბაღდადი ის არის.—შვავსაც თავისი ბახალა მოსწონს.—შვავს თვალი არ ება, ღმერთს წამწამსა სთხოვდა.—არ გათეთრდება ყორანი, რა გინდ რომ ჰხეხო ქვიშითა.—შვავს რა აქვს, კაჭკაჭს რა მისცეს.—პატარა ტოროლა დიდს ტოროლას ატყუებდა.—მწყერს ერთხელ ეღირსა ხეზე შეჯდომა და მაშინაც შტომოუტყდაო.

**საზასუხეა და საწეა:** მტაცებელი ფრინველები: მგალობელი ფრინველები: სწრაფად მფრინავი ფრინველები: მომსვლელ-წამსვლელი ფრინველები: ბინადარი ფრინველები: მავნებელი ფრინველები:

ჩიტი გაირჩევა ერთმანეთისაგან შინაური და გარეული ფრინველი?



### მეთევზე და თევზი.

ბავშვმა მდინარეში პატარა თევზი დაიჭირა. თევზმა უთხრა: „გამიშვი, შენს გაზდასა, ხომ ჰხედავ, ჯერ პატარა ვარ, ერთი ლუკმაც ძლივს გამოვალო; გამიშვებ, გავიზდები და მაშინ დამიჭირეო; არც მე მოგკვდები უდროვოდ და შენც მეტს ხეირს ნახავო.“ ბავშვს ენანებოდა თევზის გაშვება, მაგრამ იმისი სიტყვა ჭკუაში მოუვიდა და გაუშვა წყალში.

### ლოკოკინა და ხელიკი.

— თქვენ ეი! ჩამომეცალენით, გზა მომეცით, ხომ ხედავთ მოვრბივარო! იძახდა თავ-მოწონებით ლოკოკინა.



— ღმერთო ჩემო! შესძახა ხელიკმა: მაგ ფორთხვას თუ სირბილს ეძახი, სიარული რომ შეგეძლოს, იმას რაღას დაარქმევდიო!

### მოჯამაგირის ლექსი.

სხვათა მოჯამაგრობას აღვილად იტყვის ენაო,  
 ღილიდგან სალამომდისინ არ მქონდა მოსვენებაო.  
 ღილით ძროხაში მგზავნიდნენ, სალამოს ღორისკენაო,  
 ძორ-მეძებრებს თან მატანდნენ, ხომ ინადირებ შენაო;  
 თუ კურდღელი დაიჭირო, ტყავი შენ, ხორცი ჩვენაო,  
 და თუ მელასა დაიჭერ, ხორცი შენ, ტყავი ჩვენაო.



ს ს ზ ს ს უ ხ ო.

რის კრებასა ჰქვიან ჯარი? მეომართა კრებასა? ნახილი  
რილას კრებასა ჰქვიან? ფარა? ჯოგი? გუნდი? ხროვა? ბობო?  
ქარაფანი? ტყე? ხეავი?

თ ე ვ ზ ი.

თევზსა ჰკითხეს: „შე საწყალო, რას გაჩუმებულ-  
ხარ, რატომ არაფერს ამბობ, ქვეყანა შენა გმტრობს,  
გდევნის, გჰამს და შენისთანა უვნებელი სულიერი  
კი ქვეყანაზედ არ მოიძებნებაო?“ თევზმა უპასუხა:  
„სათქმელი ბარემ ბევრი მაქვს, მაგრამ პირი წყლითა  
მაქვს სასვსო.“

გამოცანა: შრთები აქვს, არა ფრინავს, უფეხოა  
და დარბის.

მგელი და მეცხვარე.

მგელმა სთქვა: „მთაზედ მეცხვარეს შემოეშალა  
[ცხვარიო;  
თიკანს რო პირი დავავლე, თხამ დაიძახა ვაიო;  
იმ ჩამოსარჩობ მურიას ჩემსკენ ეჭირა თვალისო.  
ზადმოეშველა მეცხვარე, ეჭირა შინდის კავიო;  
ზადმომიჭირა, გადმომკრა, მომტენა თეძოს თავიო;  
ძლივს გავასწარი რა ყოფით, დღე დამაყენა შავიო.  
მაცალე, შვილო მეცხვარე, მოგვლოდეს ტკბილი  
ძილიო,  
შინ გაგპარვოდნენ ძაღლები, ღია დამიხვდეს კარიო;  
შევსულიყო შენს ფარეხში, მეწყვიტოს თხა და ცხვა-  
რიო.

ბამოსულიყვე დილაზედ, გეგლიჯოს თმა და წვერიო;  
თავს დაგჩხოდნენ კაქკაჭნი, გედოს სიკედლიოს ტე-  
რიო.

ბაყაყი და თაგვი.

ბაყაყი და თაგვი წაიჩხუბნენ. ავიდნენ მალლობ-  
ზედ და დაუწყეს ერთმანეთს ცემა-ტყება. ისე ცხარედ  
ებრძოდნენ ერთმანეთს, რომ ყველაფერი დაავიწყდათ.  
ძორსაც ეს უნდოდა. ჩამოუქროლა, დაავლო კლან-  
კები ორსავე ჭკუა-მოკლე მოჩხუბარსა და წააწიალა  
თავისს ბუდეში.

გამეცანა: წყალში ზის, თევზი არ არის, ბალახს  
სძოვს, ძროხა არ არის, ღუღუნებს, მტრედი არ არის.

ს ა ს ა უ ბ რ მ.


ძალმახი რა არის? ლოქო ანუ ღლაფი? ორაგული? და-  
მისახელეთ ყველა თევზები. თევზების შვილებს რა ჰქვიანთ?  
ლიფსიტები. კვერცხებსა? ძვირითი. ჩამომითვალეთ, რა და



რა ასო აქვს თევზსა? მთხფენი მიწაზედ სცხოვრობენ, ფრინ-  
ველები ჰაერში, თევზები? მთხფენი დარბის, ფრინველი

ფრინავს, თევზი? ოთხფეხს ბალანი ასხია, ფრინველს ბუმ-  
 ზული, ანუ ბურტყლი, თევზსა? ადამიანი ლაპარაკობს, ფრინ-  
 ველი გალობს, ოთხფეხი ჭყავის, თევზი? ადამიანსა, ოთხფეხ-  
 სა, ფრინველსა თბილი სადგური აქვთ, თევზსა? შვილების გა-  
 ჩენაში თევზი ოთხფეხსა ჰგავს, თუ ფრინველსა? რითია თევზი  
 სასარგებლო ადამიანისათვის? როგორ იქერს თევზებს ადა-  
 მიანი? რა ჰქვიან თევზების გროვასა? ჭარავანი. ამიწერეთ და  
 შეადარეთ: კალმახი და ორაგული, ორაგული და ლოქო.

რომელმა ცხოველმა იცის ყიყინი? სრიალი? რომელი  
 ცხოველი ზის ძვლის ბუდეში? ბაყაყსა, გველსა და კუსა რა  
 საერთო სახელი ჰქვიანთ? **მეწაურმაკვალნი**. ძიდევ რა  
 ქვეწარმავალნი იცით? ხვლიკი. რა ასოები აქვს გველსა? ბა-  
 ყაყსა? ხვლიკსა? კუსა? მათში რომელნი არიან უვნებელნი?  
 მათში და მანე რომელიდაა? რითია საშიში გველი? შველა



გველს აქვს შხაში? შეადარეთ ბაყაყი და კუ, ხვლიკი და  
 გველი.

ანდაზება: თევზი თავიდგან აყროლდება.—თევზი  
 მარხვაში, ცხენი აღმართში.—ბედაურებსა სკედლენენ,  
 ბაყაყმაც ფეხი იაშიერა.



გამოცანა: სირის, სირის ქათამო, სველი ფრთები  
გასხია, ბუდიდგან რო გადმოხვალ, ფიცხლაგ სული  
გაგცვივა.

საპასუხოდ და სწევა: მრაველი არის... ბველი...  
ქალამი... ბუ... ხრამული... ჩონა... საღვინე... ში-  
ხული... ქალამანი... ბაყაყი... ქალმანი... შაშვი...  
მელა... ხელიკი... ზურგიელი... ხონჩა... ტარაღანა...  
ჯამი... ტურა... ბალიში... შაბახი... ჩხიკვი... ინდო-  
ური... სტაქანი... ძერა... იხვი... მურწა ანუ წვერა...

ბუზი და ეტლი.

მრი ბედაური ცხენი ნიავსავით მიაქროლებდა  
ეტლსა. ჭვიშიანს გზას კორიანტელი ანუ ბღღვირი  
ასდიოდა. ბუზი გაექანა, დასკუბდა ეტლზედ, იფიქრა,  
ვითომც ის მიაბენინებს ეტლსა და თავ-მოწონებით  
მორთო ძახილი: ერთი შემომხედეთ, რა კორიანტე-  
ლი დავაყენო!

პეპელა და ფუტკარი.

მინდვრიდგან ფუტკარს თავლი მიჰქონდა და  
მიეშურებოდა თავისს სკაში. წინ შემოეყარა კრელი,  
მორთული პეპელა და ლამაყად დაუყვირა: „ეი, შენ,



თხუპნია, იქით ჩამომეცალე, ტანისამოსი არ გამი-



სვაროო!“ შუტკარს ჯერ გული მოუვიდა და იფიქრა: „ახი არ იქნება, რომ ამ ბრიყვს ჩემი მხანძრანი ისარი ვკრა და ფეხები გავაფშეკინოო.“ — მაგრამ მალე აზრი შეიცვალა და სთქვა: „რა ვაჟკაცობა იქნება, ძალა ვიხმარო ამ სუსტსა და უიარაღო სულდგმულობედა. ისა სჯობია, სულგრძელობით და თავაზიანად მოვექცეო.“ ჩამოეცალა გზიდგან და ცოტა დაცინვის კილოთი უთხრა; „მიბრძანდი, ქალბატონოო!“

ანდაზა: ბლახა ამბარტავანი ღმერთსაც სძულს და კაცსაცაო.

შესაძლებელია?

სანთლის გუთანს ავაშენებ,  
 შიგ შევაბამ უღელს დევსა,  
 ზღვაში ვხნავ და ზღვაში ვთესავ,  
 ხმელეთს ვანადირებ თევზსა;  
 შინულზედ კალოს გავლენავ  
 და მშრალზედ გადავყრი ბზესა;  
 შინქველას გოდორს ავკიდებ  
 და დევებს დავუყრი ბზესა.

ბავშვი და ჭრიჭინა.

მინდორში ყმაწვილმა ჭრიჭინა დაიჭირა და შინ მიჰყავდა. ბზაზედ უცაბედად ხელი ცუდად მოახვედრა ჭრიჭინას და ფეხი მოსტეხა. ყმაწვილს გული აევსო სიბრალუებით და მწუხარებით. როცა შინ მივიდა, ჩაიკეტა ოთახის კარები და ჯავრით იმ დღეს აღარაფერი უჭამია. ეს ბავშვი შემდეგში გამოვიდა უგულკე-

თილესი, ყველასათვის საყვარელი და ფრიად სახე-  
ლოვანი ადამიანი. ეს იყო განთქმული იტალიელი  
ბარიბალდი.

### კუდა-ხარი და ბუხები.

ზაფხულის პაპანაქება იდგა. საქონელი ჩრდილს  
შეჰფარებოდა. მარს ეხვია აუარებელი ბუხები და აწუ-  
ხებდა... პირუტყვი წამ-და-უწუმ კუდებს იქნევდნენ  
და იგერებდნენ გამაბეზრებელ მწერებსა. ამას ვერ  
ახერხებდა მხოლოდ ერთი კუდა-ხარი, რომელსაც  
ურიცხვი ბუზი დაჰხვეოდა და უწყალოდ ჰკბენდა.  
თვითონ რომ ვერა გააწყო-რა, ხან ერთ ხართან მი-  
ვიდოდა, ხან მეორესთან, ეგები იმათი გძელი კუდი  
მომხვდეს და ბუხები გამიფთხოსო. ჰკითხეს ხარებმა:  
„კუდავ, რას დაეხეტებიო?“—ვერა ჰხედავთ, ბუხებს  
გიგერებთო? არხეინად უპასუხა კუდამ.

ანდაზა: კუდა-ხარი თავისათვის არ იყო, სხვებს  
ბუხებს უგერებდაო.

### ბ უ ხ ი.

ხარები მორჩენ ალოსა, ბლომად გაჰიმეს ხნულები,  
მხლა შინისკენ მიდიან, ჯაფისგან მოქანცულები.  
ბუთანნი მიაქვთ ღრიჭინით, ბუზი შემოხვდა გზაზედა,—  
შესძახა მეორე ბუხსა, შავს ხარს რომ ეჯდა რქაზედა:  
სადა ყოფილხარ, დობილო, რად დაგვივიწყე ჩვენაო.  
მან უპასუხა... „ემუშაობ, ვერ მოვიცალე მენაო.“  
ბუთანნი გვება მინდორში, გამოვიყვანეთ ალოო,  
ახლა პური გვაქვს საღეწი, უნდა დავმართოთ კალოო.




### ჭიანჭველა და ფუტკარი.

ჭიანჭველას წამოეკიდნა ოთხი თავისი მოძრაობის ტვირთი, მიათრევდა და თან სჩიოდა: „ჩემოდენა ჯაფაში სულიერი არ არის, მაგრამ ქება კი არავისაგან მესმისო. აი უღონო და ბზუილა ფუტკარი კი მარტო ყვავილებზედ დაფრიალებს, ჯაფა არც კი შეუძლიან, მაგრამ ყველა იმის ქებაშიაო. მეტი უსამართლობა კიდევ იქნებაო?“ ფუტკარმა გაიგონა და უბასუხა: ძამიავ, შენ მარტო შენის თავისთვის ზრუნავ, ჩემი შრომა კი აღამიანისათვისაც სასარგებლოა და ღვთისათვისაც სასიამოვნოა. ამიტომაც მაქებს მე ქვეყანა და შენ კი არავინ არაფრად გაგდებსო.“

გამოცანა: ერთი რამა სულიერი შორით დამკრეფი ვარდისა, ჯერ ღვთისა მოსამსახურე, მერმე ყოველის კაცისა.

### ს ა ს ა უ ბ რ ო .

თაფლს რა აკეთებს? ბზუკუნი რამ იცის? ბზუილი? კრიკინი? აბრეშუმს რა გვიკეთებს? შაქარზედ დახვევა რას



უყვარს? იმ ცხოველებს რა ჰქვიანთ, რომელნიც ტანზედ

კბენენ უსუფთაო ადამიანებსა? იმ ცხოველს რაღა ჰქვიან, რომელნიც ხან-და-ხან გუნდ-გუნდად დაეცემა ხოლმე მინდორსა და მოსავალსა სტვლევს? ფუტკარსა, კოლოსა, ბუზსა, კრიკინასა, აბრეშუმის ჭიასა, ჭიანჭველასა, რწყილსა, ტილსა და კალიას რა საერთო სახელი ჰქვიანთ?—**მწერები.** მეორე რიგში პირველი ადგილი რომელს მწერს უქირავს? ძრახანასა. მეორე? ჭრიკინასა. მესამე რიგში მეორე ადგილზედ რა მწერია დახატული? ჭია-მაია. მესამეზე? ხის ჭია. რა მწერი ჰყავს ადამიანს გაშინაურებული? რად ინახავს შინ ფუტკარსა? რისგან აკეთებს ფუტკარი თაფლსა და ფიქასა? რომელი მწერები სცხოვრობენ ერთად კრებით? ცალკ-ცალკე? როდისა ვხედავთ მწერებსა? ზამთარში სადღა არიან? ასწერეთ და შეადარეთ: ფუტკარი და ბუზი, რწყილი და კალია, ჭიანჭველა და კრიკინა.

**ანდაზება:** ბუზი ბევრი ბზუის, ფუტკართან ყველა სტყუის.—ჰველა თავისას ჩიოდა, მენახირე ბუზანკალსა.—ჭიასაც რომ ფეხი დაადგა, ისიც კი ხმას ამოიღებს.—ძოლოც კი წააქცევს ცხენსა, თუ დიდი მგელი უშველის,—რწყილს დააწვენს და აქლემს აშობინებს.

**გამაჯანება:** ერთი პატარა მანანა ხან გაიცინებს, ხან არა.—შავი არის შაშვივითა, იკბინება ძაღლივითა, პატრონს ღამით ათამაშებს ქამანჩა და სტვირივითა.

**საშასუხა და საწერა:** ძოლო არის... შირითინა... ჭიანჭველა... ღოში... ნემსი... პური... ძალია... ფუტკარი... ქეჩა... ბაყაყი... რწყილი... ბაღლინჯო ანუ კედლის ტილა... შალვარი... მობობა... წინდა... ჭრიკინა... მარანი... ტოროლა... ტკბილი... ღომი... ბრიფილი... ძოჭი... შუბი... ტასტი...

რითი განირჩევიან ერთმანეთისაგან ფუტკარი და ჭიანჭველა?




## მელია და მწყერ-ჩიტა.

მშიერმა მელიამ ლეშს მიაგნო და ღონივრად მი-  
აძღა. ბაუჭირდა მონელეობა. შეეხვეწა მწყერ-ჩიტას:  
მეზობელო, ოღონდ კი ეს საკმელი მომანელეობინე  
და, თავი არ მომიკვდება, ჩემს დღეში შენს ბარტყებს  
პირს არ ვახლებო. — „ძარგიო, უთხრა მწყერ-ჩიტამა:  
მე ავფრინდები და შენ უკან ფეხ-და-ფეხ მომყეო.“  
აფრინდა და გაიდევნა უკან მელია. ხან მინდორზედ  
არბენინა, ხან ჩირგვებზედ ახტუნა, ხან წყალში ატო-  
პინა. იმდენი ახეტიალა, მინამ ფერდებს დაიხეთ-  
ქავდა.

„ნათლიმამ, მოინელე, თუ არაო?“ ჰკითხა მწყერ-  
ჩიტამ. „მონელებით მოვიწიელო, უბასუხა მელიამ,  
მაგრამ ახლა სიცილი მომინდა ძალიანა; ერთი გუ-  
ლიანად მაცინე და შენს შვილი-შვილებსაც არას  
დავუშავებო.“ — „ძარგიო, ეგეც ადვილი სამსახურია,  
გამომყე უკან და სიცილითაც გაგაძღობო,“ უთხრა  
მწყერ-ჩიტამ. მწყერ-ჩიტამ მიიყვანა მელია კალოზე  
და ძნაში დამალა. თვითონ მიფრინდა და ხარს რქა-  
ზედ დააჯდა. ზღეხმა სახრე მოუქნია მწყერ-ჩიტას,  
მაგრამ ის სწრაფად გაუსრიალდა, სახრე ხარს მოხვდა  
რქაში და მოსტეხა. მელია იცინის, იცინის, კვდება  
სიცილითა.

მერე მწყერ-ჩიტა მაწვნის ქოთანზედ დაჯდა. ჰვა  
ესროლეს, მწყერ-ჩიტამ აიციდინა, მოხვდა ქოთანსა.  
ქოთანი გატყდა და მაწონი კალოზედ დაიდვარა.  
მელია იცინის, იცინის, კვდება სიცილითა. მესამედ  
მწყერ-ჩიტა ბავშვს დააჯდა თავზედ. ბავშვმა სახრე

მოუქნია, უნდოდა მოეკლა, მოირტყა თავში და მორთო ბღრიალი. მელია იცინის, იცინის, კვდება სიცილითა.



მიფრინდა მწყერ-ჩიტა მელიასთან და ჰკითხა: „კარსერი გაჩვენე, თუ არაო?“ ამ დროს მელიას კიდევ მოჰშივნოდა, წაატანა პირი, უნდოდა მწყერ-ჩიტა დაეჭირა და შეეკამა. მწყერ-ჩიტა აფრინდა, მელიას ზემოდ ძნაზედ დაჯდა და უთხრა: „ერთი სერი კიდევ უნდა გაჩვენოო.“ მიეპარნენ მწყერ-ჩიტას და მოუქნიეს დიდი სახრე. აიციდნა მწყერ-ჩიტამ სახრე, მოხვდა მელას შიგ თავში და შუაზედ გაუტეხა. აფრინდა მწყერ-ჩიტა, გასწია თავისს ბინაზედ და მელას მიადახა: „სადაც უენი დაიკვებო, იქ ჩემიცა სთქვიო.“



ყუებსო, და ყურიც აღარ ათხოვეს. მგელი უშიშრად დაერია ცხვარს და დიდი ნაენვეი ჰქმნა.

ანდაზება: ტყუილის მოქმელსა რა სარგებლობა აქვს? ის, რომ მართალსაც აღარ დაუჯერებენო.— ტყუილს მოკლენ ფეხები ასხია.

### მთის წყარო.

მალლა მთიდგან უხუილითა მორბის ხტუნვით ცივი წყარო, მითქო მთა-ბარს ჩაჰკითხოდეს, მოწყენილი რადა ხარო. აბა, წყაროვ, მარდო წყაროვ, თამაშობით მომდინარო, ძორდი, ველი და ნახნავი ვინძლო კარგად გაახარო.

### უსუნო ყვავილი.

მინდორში გაშლილიყო მშვენიერი უსუნო ყვავილი. შმაწვილს ძალიან მოეწონა, მოგლიჯა და თავის ვარდის კონაში ჩაარქო. პატარა ხანს უკან ისევ ამოაძრო კონიდგან, უსუნა და იგრძნო, რომ იმ უბრალო ყვავილს ვარდის საამური სუნი მისცემოდა. შმაწვილი დაფიქრდა და სთქვა: ჰო, ეხლა კი კარგად მივხვდი, რად მირჩევს დედა-ჩემი კარგს ამხანაგებში ყოფნასაო.

ანდაზა: ხარი ხართან რომ დააბა, ან ზნეს იცვლის, ან ფერსაო.

### მინდორში გასვლა.

მწვანე მინდორი ბიბინებს, მეპატიეება მე სტუმრად, ზევრს მშვენიერსა ყვავილსა მპირდება ძღვნად და საჩუქრად. შეწვევი, შევკრავ კონებსა, ათას ფრად აყვავებულსა, მოვუბრუნებ ჩემს დებსა, ვასიამოვნებ მათ გულსა.

მოუფიქრებელი კითხვა.

ზღვს ურმით თვა მიჰქონდა. შემოეყარა მეორე გლეხი. „ზამარჯობა!“ — „ზაგიმარჯოსო... — „შეგრა მიგაქვსო?!“ — „შეშაო! — „რას ამბობ, კაცო, რის შეშა, თვა უძევს ურემზედო?“ — „ბა თვითონვე რომ კარგად ჰხედავ, რაც უძევს, რაღას მეკითხებიო?“

ანდაზა: მც-და-ოთხს ფებს რვა ქალამანი აცვია.

ს ა ს ა უ ბ რ ა.

ძინდარში საქონელი რასა სძლავს? აქ დახატულს ჯგუფში



პირველად რა ბადასსა ჰხედავთ? შატნის შემდეგ რა არის დახა-

ტული? ნაცრქათამს შემდეგ? იონჯას რა მისდევს? საშუურას მერე მეორე რიგში პირველი ადგილი რა ბალახს უჭირავს? მისდევს მრავალძარღვასა? გვირილასა? ლენტოფასა?—ანწლი. ჩამომითვალეთ სხვა ბალახებიც. ბალახის ქვემო ნაწილს რა ჭკვიან? ფესვებზედ ბალახს რა ამოსდის? ძირზედ რაღა ამოსდის? ღეროზედ რა ასხია? ძაშ რამდენი ნაწილი ჭკონია ბალახსა? საჭმელს ბალახი საიდგან სწოვს? რითი სწოვს მიწიდან საჭმელსა? როგორა ჩნდება ბალახი? ადამიანი რომელ ბალახს ხმარობს საჭმელად? წამლად? რომელი ბალახი არის შხამიანი? ამიწერეთ და შეადარეთ: იონჯა და საშუურა, შიტნა და აბზინდა, გვირილა და ვარდკატკა.



ვარდიც ბალახია? ძაშ რა არის? დამისახელეთ შხამილები. ამ გვერდზედ დახატულს ჯგუფში პირველი ადგილი რომელს უვავილს უჭირავს? ვარდსა. მეორე? იასმანსა. მესამე? შროშანსა. მეოთხე? თეთრს ზამბახსა. მეხუთე? ღიღილფოს ანუ ცოცხობანასა. მეექვსე? მიხაკსა. რა გარჩევას უვავილებსა და ბალახებს შუა? როდის გაიშლება ხოლმე უვავილები? უველსზედ ადრე რომელი უვავილი იშლება? ია. რა ფერისაა ია? ვარდი? უყანო? იასმანი? ნარგაზი? რომელ უვავილებს აქვს კარგი სუნი? რომელი არიან უსუნონი? რომელი უვავილი იზრდება ეკლიან ბუჩქებზედ? შეადარეთ ვარდი და ია, შროშანი და იასმანი, თეთრი ზამბახი და მიხაკი.

ანდაზები: სხვისა ხელით წარს ნუ მოგლეჯ, ეკლიანი  
ბალახია.—თივაში ცეცხლი არ დაიმალება.

საზასუსო და საწერა: იონჯა... ია... ღრუბელი... ია-  
სამანი... მჟაუნა... წარგიზი... სენტრი... შიხაკი... ხეკაკუნა  
ანუ კოდალა... ზამბახი... სატაკური... ლენცოფა... სპი-  
ლო... რძიანა... ლამბაქი... ძორკოტი... სამყურა... მუთა-  
ქა... წინდები... ბვირილა... ლომი... ნიბლია... შაფა... ძო-  
რი... შინქარი... ბალბა... შოშია...

დასწერეთ, რა სარგებლობა აქვს ადამიანს ბალახებისაგან?

### ბებერი და გოგოები.

იყო ერთი დედაბერი; ჰყავდა ორი გოგო. შო-  
ველთვის მამლის ყივილისას აღვიძებდა გოგოებსა  
და ერთს მათგანს ჯარაზედ ართვევინებდა ძათსა, მეო-  
რეს თითისტარზედ ახვევინებდა. ბოგოებს აღრე  
აღგომა ეზარებოდათ და სთქვეს: „მოდი, მამალი მო-



ვკლათ და ჩვენი ბებერი  
ისე აღრე ველარ გაგვადვი-  
ძებსო.“ აღგნენ და მოჰკ-  
ლეს. მაგრამ უარესი მოუ-  
ვიდათ: ბებერს უძილობა

სჭირდა, გვიან აღგომისა ეშინოდა და გოგოებს მამ-  
ლის ყივილზედ უფრო აღრე დაუწყო ღვიძება.

გამოცანები: ერთი პატარა ბაჭია სირბილით არის მაკვა-  
ძალლი წვეს და კუდი ღრინავს.



იმათ საუბედუროდ, გზის მარჯვნივაც წუმბე იდგა, გზის მარცხნივაც. მრსავე მოჩუბარს თავი წუმბეში ჩაუვარდა და შეიქმნენ თავლაფიანები.

ჭ ე ჯ ი ლ ი.


იხარდე, მწვანე ჯეჯილო, დაბურდი, გახდი ყანაო; იკურთხოს იმის მარჯვენა, ვინც გთესა, მოგიყვანაო. ზეცამ გიგზავნოს ცვარ-ნამი, მზემ შუქი გფინოს თანაო; ძარმა გაღელვოს ზღვასავით, მწყრებმა მოგძახონ ნანაო, ამალლდი, თავი დაისხი, ჯეჯილო, ნორჩო ყანაო, იმისი საზრდო შეიქენ, ვინც გთესა, მოგიყვანაო.

ცხვირის მალლა ვინ იწევს.

მამა და შვილი შემოსულის ყანის პირას იდგნენ. შვილი დააცქერდა ყანასა და ჰკითხა: „მამილო, ეს რისგან არის, რომ ზოგი თავთავი ძირს არის დაშვებული, ზოგი კი ზევით აშვერილიაო?“ მამამ უპასუხა: „რომელი თავთავიც სავსეა მარცვლებითა, ის თავ-დაღუნული არისო, და ცარიელი ფშუტა თავთავი კი ყალყსა სდგასო.“ — „ჰო, ახლა კი მივხვდი, ჩვენი მეზობელი ცხვირს მალლა რად იწევსო!“ სთქვა ბავშვმა.

ს ა ზ ა ს უ ხ ა.

ქვა არის უსულო საგანი. ჩიტო არის სუდიერი საგანი. უსულო საგანია, თუ სუდიერი ბატი? ჭია? ქვეერი? წიგნი? კადაა?



რწეილი? კვერი? ქალამანი? ბურთი? ბაყაყი? მუხა? ვაზი? ზეპელა?  
სკამი? სტრიკინა? დამისახელეთ ექვსი უსულო საგანი და უქმნივეთ  
ლიერი.

ე ა ნ ა.

ჰანაო, ქვეყნის სამოთხევე, გლეხის დიდებავე, ყანაო!  
ცისკრის სხივებმა შეგმოსა და ნამმა გადაგბანაო.  
ღილის ნიაჲმა დაგქროლა, აღერსით გითხრა ნანაო,  
ჟუჟუნა წვიმამ ზედ დაგკრა, ზურმუხტად აგამწვანაო!  
ზედ შფლის თვალი დაგყურებს, შენი ბარაქა ბრძანაო;  
აგშორდეს გვალვა და სეტყვა, მოსავლის გამოცანაო.  
ჰანაო, ოქროს ზურმუხტო, ყანაო, ჩვენო ყანაო,  
მაღალმა ღმერთმა აკურთხოს სხვაც ბევრი შენისთანაო!

ცუდი მეზობელი.

ივანეს ცხენი მეზობლის სიმინდში შეიპარა. მე-  
ზობელი გაბრაზიანდა, დაამწყვდევინა ცხენი და ივა-  
ნეს ზარალი ერთი სამად გადაახდევინა. ბავიდა რამ-  
დენიმე დღე. მეზობლის ხბო ივანეს ბოსტანში გადა-  
ვიდა და მწვანილეულობა სულ გააოხრა. ივანემ და-  
იჭირა ხბო, მიჰგვარა მეზობელსა და უთხრა: აი შენი  
ხბო, ჩემი ბოსტნიდგან მოგიყვანე; ჩაიბარე,—მეზობ-  
ლებს ჩხუბი და ჯიბრი არ შეშვენითო. შერცხვა  
მეზობელსა და უთხრა: ჩინებული კაცი ყოფილხარ,  
ივანე! მიირთვი უკანვე ცხენის ფული და ვიცხოვ-  
როთ მეგობრულად, როგორც კარგს მეზობლებს  
შეშვენითო.

ს ა ბ რ ა ლ ო დ ე დ ა ბ ე რ ი .  
საბრალო დედაბრისასა თაგენი ყანასა მკიანო,



ლოჲნი უგრეხენ ულოსა და ვეფხენი შეუკვიანო;



ღეგნი ურემსა აბიან, ირემნი ძანასა ჰყრიანო;

შველნი კევრებში შებმულან, კალოს გარს დარბენიანო-  
არქონული  
ქალაქი



ზედ ანგელოზნი უხბედან, წვირლ ხმაზედ დასძახიანო;



ჭინკები მარღად უქცევენ, ყინასა გაპტოცხიანო;



ტახნი მისწევენ კალოსა, მელეები კუღით ჰგვიანო;  
 წერონი ანიავებენ და ბატნი დაჰკმაზიანო;  
 ღათვებს ჰკიდიათ ტომრები, ორმოში პურსა ჰყოფიანო;  
 მგლები წისქვილში გაგზავნეს, პურს მალე დაუფქვიანო;  
 შაში ფქვილს მტკიცავს, გნოლი ჰხელს, კაჰკაჰნი ამოჰქნიანო;  
 მტრედნი ჩააკვრენ ლავაშსა და გვრიტნი ამოჰყრიანო.  
 მარიები ამზადებენ, იხენი სუფრასა შლიანო;  
 ზეცას ტაროლა გაგზავნეს, ფრინველნი მოჰკრიბიანო;  
 შენს მადლსა, ჩხიკენი ნუ გინდა, სუფრასა აგვიშლიანო.  
 სილამაზითა ხობობი შუაში ჩაისვიანო,  
 ბულბული ვალობისათვის სულ თავსა დაისვიანო;  
 ხაწყალი ბერი ქედანი ბოლოში მოიგდიანო.  
 მრთად სმენ, სჰამენ, ლხინობენ, ჰარალეს დასძახიანო.

ს ა ს ა უ ბ ო .


რა მტენარეებს სთესავს გლეხი ნახნავში? ზურსა, ქერსა, სი-  
 მიინდსა, ფეტვსა, შერასსა და ღომსა რა საერთო სახელი ჰქვიათ?  
**ჭინახული.** რადის სთესვენ ჭინახულსა? რა ამინდზედ მოჰყავს



კია მოსავალი ნათესსა? რამელმა ჭინახულმა უფრო დიდი გამოსა-  
 ვალი იცის? რადის მწიფდება ქერი? ზური? სიმინდი? ღომი? რა-

გორ იყენებენ გლეხები სიმინდსა? ქერსა? შერასა? ფეტვსა? ღობ-  
 სა? რაგორ მოჭყავთ პური? სიმინდი? რითი ჭკავს ერთმანეთსა  
 და რითი გაიჩნევს პური და სიმინდი, ქერი და შერასა, ფეტვა  
 და ღობი?

ხახვს სადა სთესვენ? ჩაზომითვალეთ ბოსტნეული-  
 სტაფილთსი რა აჩის სსჭმელი, თავი თუ ფიხი? კართფილისა?



კომბოსტოსი? ნიფრისა? ჭარქლისა? ბოლკისა? თაღვამისა? ნახუ-  
 რისა? წიწმაცისა? ქინძისა? ქანდრისა? ოხრახუშისა? რეჰანისა? რა და რა  
 ბოსტნის მცენარე ისხამს სსჭმელს ნაყოფსა? კიტრი და ტერტვი,  
 ნესვი და სსზამთრო. იმ მცენარეებს ბოსტნისას რა ჭკვანთ, რა-  
 მელნიც თავს ზედ ძირზედ იბმენ? ძირთავა. რამელი მცენარეა  
 ბოსტნისა ძილის წამალი? რითი ჭკავს ერთმანეთსა და რითი გაი-  
 ჩევს: ხახვი და სტაფილო, ბოლკა და კიტრი, ნესვი და სსზამთრო?

ანდაზები: ახალს კიტრს და ახალს ამბავს ძვირად  
 ნუ იყიდი, მალე გაიფუდება.—ნიორმა ძმარშიაც კი,  
 სამი წელიწადი შეირჩინა თავისი სიმყრალე.

გამოცანება: თოკი სვამს, ხბო იბერება. — შეიქმნა ხმა და ძახილი, მრავალი წაიქცევისა, უწყალოდ ყურია დაქრილი, სისხლი არ დაიქცევისა.

საშასუხო და საწერა: სიმინდი... წიწმატი... ჭარხალი... მრავალძარღვა... შეტვი... ახალოხი... სტაფილო... მუხუდო... ძალია... აქლემი... აბზინდა... ცერცვი... შვრია... რძიანა .. ია... სატაცური... მიმინო... ძინძი... ლომი... რწყილი... ბოლოკი... შვაფი... ზეწარი... ძაფქირი... ფლავი... ხაშხაში...

დასწერეთ რითი ჰგავს ერთმანეთსა სიმინდი და ცერცვი და რითი გაირჩევა?

### ირემი და ვენახი.

ირემი მონადირეებს ვაზებში დაემაღათ. მონადირეებმა თვალიდგან დაჰკარგეს ნადირი და ასცდნენ. ირემს გაეხარდა და კორტნა დაუწყო ვაზების ფოთლებსა. ფოთლებმა ნძრევა იწყეს. მონადირეებმა შენიშნეს ესა და სთქვეს: ნადირი უთუოდ იქ დაგვემაღაო. მსროლეს თოფი და დასჭრეს ირემი. ძვდებოდა ირემი და თან ამბობდა: „ახია ჩემზედ, ფოთლებმა მე დამმაღეს, სიკეთე მიყვეს და მე კი იმათ კორტნა დავუწყეო.“

გამოცანება: მამა კოჭლი, დედა ლამაზი, შვილი გიჟი. — მამა დაგრეხილი, დედა დაქყლეტილი, შვილი გადარეული.

### ეკალი და მოხუცი.

ეკლისა ადგილს ამოსვლა ეკლისა არის წესია; მოხუცი იმას მოიმკის, რაც სიყრმით დაუთესია.



ბერი კაცი და ნამყენი.

ერთი ღრმად მოხუცებული ბერი მსხალს ამყნობდა. მივიდა ერთი ყმაწვილი და უთხრა: „ბიძია, რას ეწვალეები, შენ ხომ მაგის ნაყოფს ველარ მოესწრებიო?“—მიცი, რომ ვერ მოვესწრები, მაგრამ სხვანი მოესწრებიან, გაიხარებენ, მომიგონებენ და ცხონებას შემომითვლიანო. შუტკარიც კი მარტო თავისთვის არა შრომობს და ადამიანმა როგორ არ უხდა იზრუნოს თავისი მოყვასისათვისაო.

გამოცანა: ხარი ბოსელში შევაგდე, კული ხელში შემრჩა.

### ბალი და ჩიტები.

ღამწიფდა ბალი, დაშაქრდა, გამოსჩანს ვითა ბროლია, და მის გარშემო შეუდგათ ჩიტებსა სიხარულია. ჩიორაები სტუმრადა დახუნძლოლს ხეხილს სწვევიან და ლხინით, ნაზი კიკიკით ტკბილს მარცვლებს შეექცევიან. არ დაგიდევენ ცელქები გლეხის წუხილსა, ჩივილსა, ხილსა ჰკენკავენ, არ სწყვეტენ ხმა-მალლა ჟივილ-ხივილსა. აგერ გამოძღნენ ყველანი, ბალიდგან წამოიშალნენ და ამწვანებულს მინდორში სიმღერით გამოიშალნენ.

### ძაღლ-ეურქენა.

პატარა ვანო ტყეში საქონელს აძოვებდა. ერთს ჩირგვზედ დაინახა მრგვალი და მოშაო ფერის ხილი. ეს უთუოდ ალუბალიაო, იფიქრა მანომ! მოგლიჯა ერთი მარცვალი და შექამა. ცოტა არ იყოს ეგემა. დაუწყო ქამა და მთელი ჩირგვი გაჰკრიფა. უცებ გულმა რევა დაუწყო და მუცელმა გლეჯა.



ძლივს მოაღწია შინამდის. ღელა მაშინვე სოფლის  
 სკოლის მასწავლებელთან გაიქცა ხამლისათვის. მასწავ-  
 ლებელმა რო ბავშვს გამოჰკითხა, სთქვა: ძალღ-ყურ-  
 ძენა უჭამია და იმას მოუწამლავსო. მაშინვე თბილი  
 რძე ბლომად ასვა, რათა ბავშვს პირღებინება ასტე-  
 ხოდა და ნაჭამი შხამი ამოერწყია. პირღებინება  
 მართლა აუტყდა და სიკვდილს ძლივს-ძლივობით გა-  
 დაურჩა გაუფრთხილებელი ბავშვი.

ხენა აჩის მოქმედება, გუთანი აჩის საგანი. ყურძენა აჩის  
 საგანი, კრეფა აჩის მოქმედება. მოქმედებას, თუ საგანი ჭამა?  
 ჰური? სმა? ღვინო? ლეწვა? ძნა? კაღო? თონა? ხორბალი? ფეჭა?  
 უანა? მკა? ვენახი? ტირილი? კრავი? ახაღოხი? სიცილი?—დაძისა-  
 ხეჯეთ ათი სხვა მოქმედება და ათი სხვა საგანი.

გ ა შ ლ ი.

მალა ფოთლებში ეღვარებს ვაშლი, სისხლივით წითელი,  
 მას აქეთ-იქით აქანებს სიო საამო და ნელი.  
 ღიდი ხანია შესცქერის მალა ვაშლს ცელქი შაქარა;  
 მხ, ნეტავ ერთი მოსწყდესო, ამბობს თვის გულში პატარა.  
 თითქო ქარმაო უსმინა, ხე შეარხია გრიალით,  
 კუნწში მოსწყვიტა ნაყოფი, ძირს მოდის ბზრიალ-ტრიალით.  
 შმაწვილმა ხელი დასტაცა ქარს მადლი უძღენა გულითა  
 და სახლისაკენ მოჰკურცხლა აღესილმა სიხარულითა.

ხ ე ე ბ ი ს ბ ა ა ს ი.

ხეები ერთმანეთს შეებნენ: არა, მე ვჯობივარ და  
 არა მეო. მუხამ სთქვა: ყველაზედ უკეთესი მე ვარ:



ფესვები ღრმად ჩამიშვია მიწაში, ღეროც მსხვილი მაქვს, ჩემი მალალი ტოტები ცაში იცქირობა და ქარიშხალი სხვა ხეებსავით თავს ვერ დამიდრეკსო.

ვაშლის ხემ ბალიდან გასძახა: ძმობილო, ტყუილად ტრაბახობ: შენს რკოს მარტო ღორები კადრულობენ და ჩემი წითელი ნაყოფი მეფის სუფრასაც კი ამშვენებსო.

შიკვმა ორივეს ასე უბასუხა: ძმობილო, თქვენ ორივენი ზამთარში საცოდავად ტიტვლდებით და მე კი მაშინ ლამაზი და მწვანე კოკოჩანებით ვარ შემოსილი; გლექს ბუხარსაც ვუხურებ, სახლებსაც ვუნათებ და სადგომსაც ვუშენებო.

### მარწვევისა და კიტრის ქება.

მარწვემა სთქვა მოვალ პირველად, მე ვერა მისწრებს ხილია, შერად მსგავსი ვარ ლალისა, მერე საქმელად ტკბილია. წინედ რა მისწრობს ტყემალი, მჟავე არის და გრილია, მისგან სჩივიან ყველანი, ვჭამეთ, მოგვკვეთა კბილია. კიტრმა სთქვა: რალა ვიკადრო საქმე ქებისა ჩემისა; ტკბილი და მჟავე არა ვარ, კაცი რად მემოყვრებისა; ბრილი ვარ, კაცსა გაგებრავ, თავი მე არ მექებისა; შინცა ჩემითა გაძლება, ციება შეეყრებისა.

### ს ა ს ა უ ბ რ ო .

ვაშლი ხეხილია, თუ უბრალო ხე? რად ვეძახით ხეხილს? ხილი რა გვარს ნაყოფსა ქქვიან? რომელსაც ადამიანი სსჭმელად ხმარობს. ჩამომითვალეთ ხ ე ხ ი ღ ე ბ ი . სადაც ბევრი ხეხილი ერთად სდგას, იმ ადგილს რა ქქვიან? რა განსხვავებას ბაღსა და ბაღჩას შუა? რა და რა ნაწილი აქვს ხეხილს? აუვავება როდის იცის ხეხილმა? რომელი ხეხილი მწითლდება ადრე? გვიან? რომელია

ხეილის ნაყოფია ტკბილი? მყავე? რომელი ხეხილების ნაყოფი უნდა  
ბუდეს და ნაჭუჭში?



ქუთაისი და ისხამს? სადა ბევრი ვაზი სდგას, იმ ადგილს რა  
ქვეყანა? რა განსხვავებაა ვენახსა და ზვარს შუა? ბაგას რას ვეძა-  
ხოთ? ვაზის ტოტებს რა ქვეყანა? რქები. ყვავილს? კვირტი. წა-  
ლაში რასა ქვეყანა? გამხმარ რქებს ვაზისასა. როდის მწიფდება

ეუროპეანი? როცა ეუროპეანი იკრიფება, იმ დროს რა ქვეყანა? რასს  
 ქვეყანა ჯავანია? ჭაჭა? ბადაგი? მაჭარა? ხურხურა? ანუ...  
 როგორ ვაუქნებთ ღვინოსა?

რითი ჭკავს ერთმანეთსა და რითი გაიძრევა: ვაძლი და მსხა-  
 ლი, კაკალი და წაბლი, კომში და ატამი, ბროწეული და ლეღვი,  
 ვენახი და ბაღი, ვაზი და ხენილი?

რა არი მუხა? განა მუხა კი არ ისხამს ნაყოფს? მამ რა-  
 ტომ ხეხილს არ ეძახიან? დამისახელოთ ხეები. საცა ბევრი  
 ხეებია ამოსული, იმ ადგილს რა ქვეყანა? ტყე სად უფრო ჩნდება,  
 მთაში თუ ბარში? რომელი ხის ფესვებსა ხმარობენ სანათად?  
 რომელი ხეები არის ამწვანებული ზამთარ-ზაფხულზე? რასს ქვეყანა  
 მუხნარი, ფიჭვნარი, ნაძვნარი? რა სარგებლობას აძლევს კაცს ტყე?  
 რითი ჭკავს ერთმანეთსა და რითი გაიძრევა: მუხა და ფიჭვი, ნა-  
 ძვი და ფიჭვი, ნერგი და ვერხვი, ტყე და ბაღი?

ხეებს გარდა ტყეში კიდევ რა სდგას? ჩირგვები. რა  
 ჩირგვები იცით? იმ ვაკე წელანს ადგილს რა ქვეყანა, რომელი  
 ჩირგვებით არის დაფენილი? ჭაღა. რითი ჭკავს ერთმანეთსა და  
 რითი გაიძრევა: კაკალი და თხილი, ჩირგვი და ხე?

ანდაზები: თურაშაულის პატრონი ტყეში დაეძებს  
 კუნელსა. — ასი წლის ბებერმა იანვარში მარწყვი მოინ-  
 დომა — მწიფეს ესროდნენ, მკუხე ცვივოდა. — ხე, რომ  
 წაიქცევა, ცულიანი და უცულო ყველა ხედ მიადგე-  
 ბა. — ზოგისა ბამბა ჩხრიალებს, ზოგის კაკალიც  
 არაო. — როგორიც ტყე იმისთანა ნადირი გამოხტის.

გამოცანები: აქლემზედ მაღალი, ქუდზედ დაბა-  
 ლი. — ბარეთ ატლასი, შიგნით ათასი. — თეთრად და-  
 ვქსელე, წითლად მოვქსოვე, შავათ ამოვჭერ. — ტყეში  
 ხარი შემვიარდა, გამო, გამო, ბიშერაო, ნაბდის ძვე-  
 ლა იქ დააგდო გამოვარდა შიშველაო.

საპასუხა და საწერა: ბროწეული არის... ხენილი...

ქვინჩხი... პერხვი... ძირტკბილა... უნაბი... კომბო-  
 სტო... თხილი... მუხა... ბოლოკი... ნაცანქათამა...  
 ხე-მაყვალა... ნაძვი... წაბლი... ხვართქლა... წალდი...  
 შრთხელა... ხაშხაში... ნეკერჩხალი ანუ მეკენჩხა-  
 ლი... ხმალი... მფოფი... სპილო... ბზა... შოცხვე-  
 რი... თელა... კომში... ლომი... წიფელა...

ღასწერეთ: რითი ჰგავს ერთმანეთსა და რითი  
 გაირჩევა: მუხა და კაკალი?

### ლომი და თავვი.

ლომს ტყეში ეძინა. თავგმა ტანხედ გადაურბინა. ლომმა  
 გამოიღვიძა და დაიჭირა თავვი. თავგმა უთხრა: გამიშვი და შეგი-  
 წყალეხო. ლომმა გულიანად  
 გაიციხა და გაუშვა თავვი.



ბავიდა რამდენიმე ხანი.  
 მონადირეებმა ლომი დაიჭი-  
 რეს და თოკით ხეზედ მია-  
 ბეს; უნდოდათ მერე მოსუ-  
 ლიყვნენ და ცოცხალი წაე-  
 ყვანათ. მონადირეები რო

წავიდნენ, ლომმა საშინელი ღრიალი მორთო. თავგს შემო-  
 გსმა, მიიტყუტუნა, გადალრღნა თოკი, გაანთავისუფლა ლომი  
 და უთხრა: „გახსოვს, შენ რომ მე დამციენე? ახლა ხომ  
 ჰხედავ, რომ პატარა თავგსაც შესძლებია მოწყალეობა დიდისა  
 და შძლავრის ლომისათვისაო!“

### მეკენახის სიმღერა.

ვაზის კირიმე, ვაზისა, უფლისგან კურთხეულისა,  
 წითელი ღვინის დედაა, გამხარებელი გულისა.

ვაზო, შეილივით ნაზარდო, უღვაშებ გადგიგრეხია;



ჩაკონებიხარ ჭიგოსა, შუაზედ გადგიტეხია.  
 ჭირიმე შენის ფესვისა, მოვკვდები მე შენს ძირშია;  
 შენით ვარ მხნე და გულადი, იმედით გასაქირშია.  
 შენის ზედაშის მაღლს ვფიცავ, შენ არ მოგაკლო ბარია,  
 ბაგსხლა, შეგყელო, გაგთოხნო. არც კი ჩნდეს მონათხარია,  
 შეგფურჩქნო, გაგალამაზო, როგორც რომ პატარძალია;  
 არა დავზოგო მე შენთვის ჩემი ღონე და ძალია.  
 შაზის ჭირიმე, ვაზისა, შფლისგან კურთხეულისა,  
 წითელის ღვინის დედაა, გამხარებელი გულისა.

### კატა და ქებვები.

მშვიერი კატა მდიდრის საკუქნაოში შეძვრა. იქ ხარხა-ზედ მწკრივად ეკონწიალა მსუქანი ძებვები. ძატას თვალები



აენტო და კბილებმა კაწ-კაწი დაუწყო. მაგრამ დახე მისს ბედსა, ძებვები ძლიერ მაღლა ეკიდა. ძატა ხან კედელს ებლაუქა, ხან პირდაპირ ძებვებისკენ შებტომა სცადა, ხან საცოდავად იკნავლა, იქნება რომელიმე ძებვმა შემობრალოს და ძირს ჩამოვარდესო, მაგრამ ვერაფერს გახდა. თვალები ტყუილად ზევით ცქერით დაებრიცა, კბილში კი ერთი ნამცეცი ვერ მოიგდო. ბოლოს უკან გამობრუნდა და გულის გასაკეთებლად წაიბუტბუტა!

„მართლა, დღეს ხომ პარასკევია, და ბარაქილა მე, რომ ძებვი არა ვქამე და მარხვა არ გავტეხეო.“

ანდაზა: ძატა ვერ შესწვდა ძებვსაო, პარასკევია დღესაო.



## რ ა დ რ ო ა ?

მინდორში ჰღელავს ჯეჯილი, ბალახი ყვავილიანი, ჰყვავის ათას ფრად ბაღები, ბაღები მწვანილიანი. მერ ძღება თვალი კაცისა ქვეყნის სიტუტის ცქერითა და ყური ათას ნაირის ფრინველთ გალობის სმენითა. ღიდება ისმის შფლისა სულდგმულთ სხვა-და-სხვა ენითა, წყალნიც კი ღმერთს აღიდებენ ლალად ტალღების დენითა.

## ს ა ზ ა ს უ ხ ა .

ნერგი არის საგანი, ნედლი არის თვისება. შაქარი არის საგანი, ტკბილი არის თვისება. თვისებაა, თუ საგანი ქადალდი? თეთრი? შავი? მეღანი? ღვინო? წითელი? ბურთი? მრგვალი? მწარე? ბოლოკა? ძმარი? მუყაე? ბოროტი? კეთილი? მუხა? მწვანე? დამსახვლეთ ექვსი საგანი და თორმეტი თვისება.

## მარგალიტი.

ზღეხმა გზაზე ძვირფასი მარგალიტი იპოვნა. ადგა და საჩუქრად მეფეს წაუღო. სასახლეში რო მივიდა, კარის-კაცმა უთხრა: რასაც მეფე გიწყალობებს, თუ იმის ნახევარს მე მომცემ, შეგიშვებ მეფესთან, თუ არა-და აქედგან დაიკარგეო. ზღეხი ნებას დაჰყვა. ძარის-კაცმა შეიყვანა მეფესთან. მეფემ ჰკითხა გლეხსა: „რა საჩუქარი მოგცე ამ ძვირფასის ძღვენი-სათვისაო? ზღეხმა მოახსენა: „მე გთხოვთ, რომოც-და-ათი მათრახის დაკვრით დამსაჩუქროთ; მაგრამ რადგან პირობა მივეცი შენის სასახლის კარის-კაცსა შუაზედ გაფუყო საჩუქარი, ამიტომ ოც-და-ხუთი მათრახი მე დამკრან და ოც-და-ხუთი მაგას გადაუჭირონო.“ მეფემ გულიანად გაიცინა, კარის-კაცი მაშინვე გააგლო და გლეხს-კი ასი თუმანი უწყალობა.



### ს ა ს ა უ ბ რ ა .

ქვაბებს რისას აკეთებენ? სპილენძისას. თოფს რითი სტუენ? ტყვიითა. ცუდი რისას? რკინისა. კარგს დანებს რისას აკეთებენ? ფოლადისას. თეთრი ფული რისას? ვერცხლისა. ყვეთელი ფული? ოქროსი. ქვაბებს რითი ჰკვლავენ? კალითა. საჩქვეს უკანა პირზედ ბჭყურიალა რა უსგია? სინდიკი ანუ ვერცხლის წყალი. ყველა ამ ნივთებს რა საერთო სახელი ჰქვიათ? **ღ ი თ ო ნ ე ბ ი**. მათში რამეელი ძვირფასია და რამეელი ააფი? შუფს გარდა რა ნივთებს აკეთებენ ვერცხლისას? ოქროსას? რა ნივთები კეთდება რკინისა? ფოლადისა? სპილენძისა? შეადარეთ ვერცხლი და ოქრო, რკინა და სპილენძი, ტყვია და კადა.

ტალინ ღითონია? არა, ტალი ქვაა. დაშისახელეთ **ქ გ ე ბ ი**. სიბი ქვა, თლილი ქვა, მარმარილო, შიფერი. რისთვის არის საჭირო ქვები? ალმასი რადაა? ძვირფასი ქვაა. კიდევ რა ძვირფასი ქვები იცით? ფირუზი, მარგალიტი, ლალი, ბრილიანტი, აგუნდი, ზურმუხტი. რისთვის ხმარობენ ძვირფასს ქვებს? სამკაულად. რამეელი ძვირფასი ქვითა სჭრან მინასა? ალმასითა. შეადარეთ ტალი და სიბი ქვა, ფირუზი და მარგალიტი.

**ანდაზები:** მგორავს ქვას ხავსი არ მოეკიდება. — ბაუთლელი სჯობს ალმასი გათლილსა ფირუზანასა. — რკინას ჭანგი სჭამს, კაცის გულს დარდი. — მრთი რეგვენი მოიქნევს ძვირფასს ალმასს და ზღვაში ვადაავდებს, ათასი ქვეიანი რომ მიადგეს, ველარ ამოიღებს.

**საშასუხა და საწერი:** ტალი... ხეკაკუნა... რკინა... იაგუნდი... ცარცი... სინდიკი... ალუბალი... სპილენძი... მარმარილო... ალუჩა... ძალი... სათონე... ლალი... შიფერი... შარშავანგი... ზურმუხტი... ტყემალი... ჩერქესკა... შონდარი... მაჩვი... შველი... ტყვია... შორანი... ოქრო... იონჯა... შერცხლი...

შემდეგ სიტყვებში რომელი ნიშნავს სულიერ საგანსა, რომელი უსულოსა, რომელი მოქმედებასა და რომელი თვისებასა: კედელი, მაგარი, აშენება, მღვდელი, მადლიანი, წირ-

ვა, ღონიერი, კამეჩი, რძიანი, რბენა, რძე, ღერო, ჩხრიალი, ჩურჩხელა, ჩამოკიდება, ხმელი, წყალი, წერა, ცხელი, ლაპარაკი, ოქრო, გადაგდება, ყვითელი, ოთხ-კუთხიანი, კლიტე, ლიპი, ყინული, პტყელი, ხბო, ზაქი, სახნისი, სასწავლებელი, სწავლება, ბეჯითი.

ღასწერეთ, რითი განსხვავდება ერთმანეთისაგან ქვა და მცენარე.

### ი რ ე მ ი.

ირემმა წყალში ჩაიხედა და თავისი ჩრდილი დაინახა. ძალიან მოეწონა თავისი გძელი ჯდაშტოიანი რქები. მერე ფეხებზედ დაიხედა და სთქვა: რა ლამაზი ვიქნებოდი, ეს წვრილი და გძელი ფეხები რომ არ მაუშნოებდესო.




უცებ ტყიდგან გამოხტა ლომი და გაექანა ირმისაკენ. ირემი ტრიალს მინდორზედ ისარივით გაეშვა. ლომი უკან დარჩა. მაგრამ როცა ირემი ტყეში შევარდა, რქები გაეხლართა ხის ტოტებში. ლომი მივარდა და დაიჭირა. ილუპებოდა ირემი და ამ-

ბობდა: „ჰაი, შე სულელო ჩემო თავო! რასაც იწუნებდი, იმათ ხითათს გადაგარჩინეს და რაც მოგწონდა, იმათ კი დაგლუპესო.“

### მ უ ქ ა რ ა.

მთვარიანი ღამე იყო. სოფლის ტოლ-ტოლი ბიჭები კალოზზედ იყვნენ მოგროვილნი და ლაზღანდარაობდნენ. სანდრომ უთხრა: „თქვენზედ ხელის გასვრა არ მინდა, თორემ



ყველას ერთად დაგლახავდითო.“ ბიჭებს გული მოუფიქდათ, მისცვივდნენ სანდროსა და გალახეს. მერმე მასხარად აიგდეს: „ჩვენს უძლეველს მდევს გაუმარჯოსო!“ — „მთვარიანი ღამე რომ არა ყოფილიყო, მე თქვენ გიჩვენებდითო?“ უთხრა მუქარით სანდრომ. — რას გვიჩვენებდითო? — „რასაო? ღვეთმალეობდითო.“

### გ ა ზ ა ფ ხ უ ლ ი

ბაზათხულდა, ბუჩქის ძირას თავს იწონებს ნაზი ია; ჩვენს სალხენად კოკობს ვარდსაც ეშხით გული გაუღია. ხავერდით მწვანე ბალახს აბიბინებს სიო ნაზად, თითქოს უნდა დაეფინოს იმ ყვავილებს ფიანდაზად. მალლა მთიდგან წმინდა წყარო მოჩქრიალებს ჩუხჩუხითა, თითქოს ნანას ეუბნება ძუძუ-მწოვრებს ტკბილი ხმითა. ხის ტოტებზედ ჩიტუნები ფრთხილობენ, სრიალობენ; იშენებენ მალლა ბუდეს, დაჰხარიან და გალობენ. და მახლობლად იქვე თაფი მოუყრიათ ყმაწვილებსა, იმღერიან და თან ჰკრეფენ სხვა-და-სხვა ფერს ყვავილებსა.

### ვ ი რ ი ს ჭ კ უ ა.

მარილით დატვირთული ვირი მდინარეში გადიოდა; წაიფორხილა და წყალში ჩაწვა. მარილი დადნა, საპალნე ბევრად შეუმსუბუქდა და ვირი ადვილად ადგა. „მს კარგია, შენმა მზემ, იფიქრა ვირმა: წყალმა კიდევ გამაგრებდა და საპალნეც შემიმსუბუქა! ძვლავისათვის ამას კარგად დავიხსოვნებო.“ რამდენისამე დღის შემდეგ ამ ვირს ღრუბელი აჰკიდეს და იმავე გზაზედ წაიყვანეს. შუა წყალში რო შევიდა, ვირი განძრახ წაიქცა: ეგონა, ტვირთი ეხლაც შემიმსუბუქდებოდა. ის კი არა, ღრუბელი წყალით გაიყვინთა, ტვირთი საშინლად დამძიმდა, უგუნური ვირი ველარ წამოდგა და დაირჩო.

გამოცანება: წყალში ჩავაგდე, წყლად გადაიქცა, ცეცხლში ჩავაგდე, ხმად გადაიქცა. — ას მუცლიანი ბებერი სულაც



არ ხმარობს საქმელსა, ლოთი კი ასეთი არის, ვერ მოაქარ-  
ბებ სასმელსა.

### მზე და მთვარე.

ნათელმა მთვარემა ბრძანა, ბევრით მე ვჯობივარ მზესა;  
„ღაჯდა, დასწერა წიგნები, ზენა ქარი მიათრევსა.

მზეს რო კაცი მიუვიდა, მზე ძალიან გაჯავრდესა:

„მე და ვარ და ის ძმა არის, რად ვძულდებით ერთმანეთსა;

„ავი ამინდი რომ დადგეს, ის ხომ ვერ გააშრობს გზებსა;

„ვივანა კაცს ვერ გაათბობს, თუ არ დაანთებდა ცეცხლსა.

„თუ ეს სიტყვა ტყუილია, ჰკითხვეით ღამის მეხრესა...

ღამის-მეხრე დაიბარეს, უღვაშებზედ ისვამს ხელსა.

„ღაჯექ, ბიჭო, სწორეთა სთქვი, თორემ მიგცემთ სატანჯველსა.“

„დასვეს და ალაპარაკეს, მეთუფე ყურს დაუგდებსა:

„მე უმზეოდა ვერ გავძლებ, ღამით კი გავტეხავ ბნელსა;

„ღლისით შევზვერაგ ბალახებს, ღამით მივრეკ საქონელსა.“

ერთი მაზარა უბოძეს, ღამით მავალია ესა.

ღვინოზედ კაცი გაგზავნეს, ორივე შეარიგესა.

„ვისკარი მოჩანჩალებდა, თავისს ტყავსა მოათრევსა;

ბათენებისას ამოდის, პანდური ჰკრეს გაადგესა.

შუქურ-ვარსკვლავი მობრძანდა ის ძალიან დაათვრესა;

ხალათი გამოუცვალეს, კაი ჩოხა ჩააცვესა.

### მეცხვარე და მარტი.

მრთხელ მეტად თბილი ზამთარი დადგა და ისე გავიდა,  
რომ მარტამდის მეცხვარეს ერთი სული ცხვარიც არ დაჰ-  
კლებია. მეცხვარე სიხარულით ფეხზედ აღარ იდგა და სულ  
ზამთრის ქებაში იყო. მაგრამ დადგა მარტი, მოიტანა თან  
ქარიშხალი, თოვლ-ჰყაპი, კორიანტელი და მეცხვარეს ფარა  
თითქმის მთლად გაუფლიტა.

ბავიდა ეს წელიწადი, დადგა მეორე ზამთარი. ისეთი

კული ამინდი დაიჭირა, რომ ცხვრის ფარას სულ ღობლისი გაჰქონდა. მეცხვარემ იმედი გადაიწყვიტა, რადგანაც მარტის ავდარს იმისი მისუსტებული ცხვარი სრულიად ვეღარ გაუძლოვდა. მაგრამ დადგა მარტი და ისეთი მშვენიერი დარი დაიჭირა, ისეთი ბალახი მოიყვანა ნაადრევად, რომ ცხვარი მოსულიერდა, ღონეზედ მოვიდა და მთლად გადურჩა ზამთარსა.

მაშინ მეცხვარემ სთქვა: მარტი რომ წინ გედოს, ზამთარს ნურც აქებ და ნურც აძაგებო.

ს ა ს ა უ ბ რ ე .

რასა ჰქვან დღე? ღამე? დამისახეეთ დღის ნაწილები. ჩამოითვალეთ დამის ნაწილები. დღისით რა ანათებს და ათბობს ქვეყანას? ღამით კი არაფერი ანათებს? ათბობს თუ არა დედამიწას მთვარე და ვარსკვლავები? რა გადაეუარება ხელმე მზესა, მთვარესა და ვარსკვლავებსა? ძაშ დრუბელი უფრო ახლო ყოფილა ჩვენზედა, თუ ცის მნათობები? რითი გაიჩნევა დღე და ღამე ერთმანეთისაგან? მზე და მთვარე?

როცა ცხელა, იმ დროს წელიწადისას რა ჰქვან? როცა ცივა? როცა თბილა? როცა გრილა? ზაფხულსა, ზამთარსა, გაზაფხულსა და შემოდგომასა საერთოდ რა სახელი ჰქვან? — წელიწადის დრონი. რად ცივა ზამთარში? ზაფხულში რად ცხელა? როდის არის დიდი დღეები და ჰატარა ღამეები? დიდი დღეები და ჰატარა დღეები? როდის სწორდება დღე და ღამე? რითი გაიჩნევა ერთმანეთისაგან ზამთარი და ზაფხული, გაზაფხული და შემოდგომა?

ანდაწები: ღრუბლიანი დღე პატარაძალს დილა ეგონა. — დილას ოქრო ხარ, სტუმარო, საღამოს ვერცხლად იქცევი, თუ ხანი დაგიგვიანდა, სპილენძად გადაიქცევი. — მზეს ვინც ტალახს ესვრის, მზემდის ვერ აუწევს, მასვე თავზედ დაეცემა.

გამოცანები: მოვიდა თეთრი მოზვერი, გააგლო შავი მოზვერი. — მრთი რომ ქვეყანაზედ ყოველს თვეს იბადება, მინამ თვე დადგებოდეს, ის კიდევაცა კვდება. — შენოდ ლაპარაკობს, უფებოდ მარდად დარბის, კაცთან ხშირად ბაასობს, თუმცა

უსულო არის.—აბლი, ბაბლი, ვერცხლის ტახტი, მზით ავი-  
დე, მთვარით დავდგი.

**საშასუხა და საწერა:** დასწერეთ, რას აკეთებენ გლეხები ზაფხულში, ზამთარში, გაზაფხულზედ და შემოდგომაზედ?

### ღარბი გლეხი.

იყო ერთი ლატაკი გლეხი. იმის ბედზედ არ მოიპოვე-  
ბოდა არც სახნავი, არც სათესი, არც სახლი და არც კარი.  
რაც ჰქონდა, სულ ტანზედ ეცვა. წავიდა ქალაქს სამუშაოდ



და გზაზედ ერთი ქილა ერბო იპოვნა. პილო ქილა, ყურში ჯოხი გაუყარა და მხარზედ გაიღო. მიდის გზა-გზა და თან ამას ამბობს: „მომხედა მშერთმა და ჩემი გამდიდრება ინება: ჩავალ ქალაქში, ერბოს მანეთად გავყიდი, იმ ფულით თორმეტ სამამლე ვარიკას ვიყიდი, დავზრდი, დავკოდავ და ყვერულებად დავასუქებ; მერმე ჩავიყვან ქალაქს და თითოს ათ-ათ შაურად

გავყიდი. ნაშოვნი ფულით გოჭებს ვიყიდი, დავასუქებ და ოროლ მანეთად გავყიდი. შემდეგ სახარე ხბორებს ვიყიდი, ხარებად დავზრდი, გავიმართავ ურემსა, გუთანსა; მოვხნავ, მოვთესავ და აშენებული შევიქნები.“ ამ ფიქრში რომ არის, ვითომც ურემს შეშა კიდევ დაუღო და ქალაქს გასასყიდად მიაქვს: „აქ ხომ ხარი ძნელად გაივლის, ხმა უნდა გავცეო.“ შესძახა: ჰამოო, და თან ჯოხიც მოუქნია. მრბოს ქოთანი ძირს დაეცა, ლუკმა-ლუკმად იქცა და ერბოც სულ დაიდგარა. დარჩა ჩვენი ოცნებიანი გლეხი ისეთივე ლატაკი, როგორიც იყო.

**ანდაზა:** ბავშვი ჯერ არ დაბადებულიყო და აბრამს კი არ ქმევდნო.



# კ უ თ ა ნ ი.

ბუთანო, შფლის ნაკურთხო, ღრმად გაუარევი ვალია, რომ შემოგვანატროს სუყველამ, მგზავრს ჩვენზედ დარჩეს თვალია-

შენი იმედით ვცოცხალვარ, რომ შენით ვჰამო პურია; შენა გმსახურებ, შენცა მე საქმე გამიწყე ძმურია.

ბაუსვი სახნის-საკვეთი, ნალესი აღმასივითა,

ბადააშავე ყამირი, აღარ აიესოს თივითა.

ჭირიმე შენი, გუთანო, ნაკურთხო შფლის ხელითა;

არ მილალატო, კენესამე, ბედ-შავ არ მომკლა ჯავრითა.

## ოთხი სურვილი.

ნიკომ პატარა ციგით ბევრი იცურავა თოვლზედ, მერმე



გაწითლებულმა და გახარებულმა მამასთან მიირბინა და უთხრა:

„უჰ, მამილო, რა კარგია ზამთარი, ნეტავი სულ ზამთარი იყოსო!“ — შენი სურვილი ჩემს უბის წიგნში ჩასწერეო, უთხრა მამამ. ნიკომ ჩასწერა.

ღადგა გაზაფხული. ნიკომ პეპელებს ბევრი სდია, ბევრი ყვავილი მოჰკრიფა და ლამაზი კონები შეჰკრა; მერმე



მამასთან მიირბინა და უთხრა:

„რა მშვენიერია ეს გაზაფხული, ნეტავი სულ გაზაფხული იყოსო!“ მამამ ნიკოს ეს სურვილიც თავისს უბის წიგნში ჩააწერინა.

მოვიდა ზაფხული. ნიკო და იმისი მამა სამკალში ერთად წავიდნენ. ბავშვი მთელი დღე დიდს სიხარულში იყო; ხან ხელეურს ჰზიდავდა, ხან წყალში ბანაობდა, ხან მარწყვსა

ჰკრეფდა და ხან მწყურებს დასდევდა. საღამოზედ რო მამასთან მივიდა, უთხრა: „უჰ, დღეს რამდენი ვისიამოვნებები იქნებოდა, რომ მუღამ ზატხული ყოფილიყო!“ მს სურვილიც ნიკოს მამამ თავისს წიგნში ჩააწერინა.



ღადგა შემოდგომა. ბალები მწიფე ხილით საფსე იყო; ვენახებში დამწიფებული მტევნები ვაზებზედ დნებოდა. ნიკომ



თავიანთს რთველში ბევრი აკიდო ასკრა და საღამოთი მამას უთხრა: „შემოდგომა ყველა დროს სჯობნებიაო!“ მაშინ მამამ უბიდგან წიგნი ამოიღო და ნიკოს წააკითხა ყველა იმისი ჩაწერილი სიტყვები. ნიკო აქედგან ცხადად მიხვდა, რომ ყოველი დრო თავის რიგზედ კარგი ყოფილა.



**კამოცანა:** მართა აღვისა ხეზედა თორმეტი ტოტი აბძა, სცვივა და სცვივა ფურცელი, ისევ იმდენი ასხია.

**ს ა ზ ა ს უ ხ ა.**

სურები დამტვრა, სურა გატვდა. ტომრები აწვეა, ტომარა სძევს. ვვავები დავხტე, ვვავი? ხარები გავრეკე, ხარი? წიწილები წავასხი, წიწილა? კრუსები ჩავასხი, კრუსი? ქვები ავკრათე, ქვა? ვაშლები ჩავუარე, ვაშლი? კაღები დავუარე, კაღამი? ნამუენმა ვაშლები მოასხა, ვაშლი? მარცვლები დავახნიე, მარცვალი? მსხლები ჩამოცვივდა, მსხალი? ქვები ჰქრია, ქვა? კამელები დამეხტნენ, კამეხი? მწვერები მოვასხი, მწვეარი?

**კოლო და ლომი.**

ძოლომ ლომი საომრად გამოითხოვა. ლომს ეს საცინლადაც არ ეყო. ძოლომ იწყინა, გაგულისდა, გაექანა და შიგ ცხვირში ეცა. ლაუწყო მწარედ კბენა ტიტველა ცხვირსა და ტურში. ლომს ძალიან ემწარა. იწყო ფეხების ცემა ცხვირ პირზედ, ეგონა, კოლოს მოვახვედრებ და მოვკლავო. მაგრამ კლანჭებით თავ-პირი სულ დაიკაწრა და კოლო კი ვერ მოიშორა. ბოლოს ლომი საცოდავად დაქანცული დაეცა მიწაზედ.

ბამარჯვებულმა კოლომ შინისკენ მხიარული ბზუკუნით გასწია; მაგრამ გზაზედ უცებ წააწყდა ობობას ქსელსა და შიგ გაება. მივიდა ობობა და წუწვნა დაუწყო. ძვლებოდა კოლო და ამბობდა: „ძლიერს ლომს მოვერიე და, დახე, წუწკი ობობასაგან კი ვიღუპებიო!“

**თვეების სიმღერა.**

ინვარი მოზუზუნებს, როგორც რომ მშიერი მგელი. მებერვალმა დაუბერა, როგორც კარგი საბერველი. მარტმა სთქვა: „თოვლ-ქყავს ვაპირებ, ლმერთო მიმართე ხელიო, ცხვარი და ძროხა გავწყვიტო, არ ვუშვა ქაკი ცხენიო; ღრანტე ხეები ავაფსო, არ სქამდეს ტურა, მგელიო.“ მრშაურად გავიხადო კამეჩის გავა სქელიო.



ბპრილმა შემოუთვალა: „მარტო, ხარ ქვეა თხელიო; სახნის-საკვეთი დავპიროთ, გუთანს ვუძართოთ ხელიო; შრემში შევღვათ უღელი, შევაბათ ყოყინებიო; ზერ ქერები დავათავოთ, მერე ყანებს ვჰყოთ ხელიო.“

ს ა ს ა უ ბ რ ე .

ბაღასს რა თვეში სთიბვენ? ზურს რა თვეში მკიან? მკათათვეს რა თვე მისდევს? თიბათვე, მკათათვე და მარცხობის თვე რომელი დროის თვეებია? ზაფხულის თვეები. სიმიანდის მოჭრა და უჭრის კრეფა რომელს თვეში იცინ? ღვინის რომელ თვეში აყენებენ? ღვინობისთვეს რა თვე მისდევს? ენკენისთვე, ღვინობისთვე და გიორგობისთვე რომელი დროის თვეებია? შემოდგომის თვეები. ქრისტეს შობას რა თვეში ვუქმობთ? ახალი წელიწადი რომელს თვეში დგება? დიდი ქარები რომელმა თვემ იცინ? ქრისტეშობისთვე, იანვარი და თებერვალი რა დროის თვეებია? ზამთრის თვეები. თებერვალს რა თვე მისდევს? რომელს თვეში იმისება შინდორი ბაღასითა და ტეე ფოთლითა? რომელ თვეში გაიშლება ხოლმე ყვავილები? მარტი, აპრილი და მაისი რა დროის თვეებია? გაზაფხულის თვეები. ზაფხული, შემოდგომა, ზამთარი და გაზაფხული ერთად რას შეადგენს? წელიწადსა.

წელიწადს რამდენი დრო აქვს? თვე რამდენიდა აქვს? თვეში რამდენი კვირია? კვირაში რამდენი დღეა? დამისხელოთ კვირის დღეები.

ანდაზა: მარტი პატარძალია, დღეში სამჯერ მოიროთვება და სამჯერ მოილოშება.

ენის გასატყნა: საყდარშია თეთრი მტრედი, ფრთა თეთრი და ფრთა ფარფალი.

საშასუხა და საწკრი: მრუშბათი არის დღე კვირისა... ზაფხული არის დრო... იანვარი არის თვე... პარასკევი... ზამთარი... ღილა არის ნაწილი... შინის... შუალამე... შემოდგომა... მკათათვე... შუადღე... ბაზაფხული... სტაქანი ანუ ქიქა... ბინდი... შაბათი... პრწივი... ხალამო... ჯაბა... თიბა-

თვე... სამშაბათი... თებერვალი... ხუთშაბათი... მსკენისთვე...  
 აპრილი... საწერელი... ხმალი... რკინა... ლენობისთვე...  
 მარტი... ბერვა... ხორკლიანი... ღაღლეჯილი... ტრიალი...  
 ლეწვა... ცისფერი...

ერთგული ჰატარა ქალი.

ჰატარა მაროს დედა ავად გაუხდა. მკიშმა ავადმყოფს მწარე წამალი მისცა დასალევად. ღედას ამ მწარე წამლის დაღვევა მეტად ეზიზღებოდა. მარომ ეს რომ შენიშნა, უთხრა: „დედილო, გენაცვა, ეგ მწარე წამალი მე მომე, შენს მაგიერად მე დავლევო.“

ანდაზება: ძაი შვილი დედის გულის ვარდიაო. — შვილმა რომ დედის გულისათვის ხელზედ ერბო-კვერცხი მოიწვას, იმისს ამაგს მაინც ვერ გაღიხდისო.

მ ერ ც ხ ა ლ ი

|                             |                             |
|-----------------------------|-----------------------------|
| ჩემს თანჯრის ზევით მერცხალი | მძლევა მოსვენებასა;         |
| ბუდეს უკეთებს შვილებსა;     | თავს ფრთის ქვეშ იღებს, იძი- |
| ნისკარტით მოაქვს ბუმბული,   | ნებს,                       |
| ფეხებით ჰზიდავს ჩალებსა.    | მოელის გათენებასა.          |
| მზის ამოსვლიდგან ჩასვლამდის | რაერაეზედ ფრთას ფრთას შე-   |
| შრომობს, ირჯება ერთგულად,   | მოჰკრავს,                   |
| თან მხიარულად, უწყვეტლივ    | ქვალად დაიწყებს ნავარდსა;   |
| ჭიკჭიკებს თავისებურად.      | აღვიძებს მუშაკთ ჭიკჭიკით,   |
| ხალამოს ჟამზედ დაღლილი      | შქარვებს ნაღველს და დარდსა. |

კ ე თ ი ლ ი მ მ ა .

შემოდგომა იყო. მენახში გლეხი მწიფე მსხალსა ჰკრეფდა. სანდრო ვენახის კარებთან იდგა და უცქეროდა. გლეხმა სანდრო დაინახა, დაუძახა და ერთი დიდი გემრიელი მსხალი



უთავაზა. სანდროს უნდოდა ჩაეკბინა, მაგრამ მოაგონდა და შინისაკენ გაჰკურცხლა. შინ ჰყავდა ავადმყოფი და. „ღედილო, ძეკეს მსხალი ხომ ექმევა? ჰკითხა სანდრომ დედას. როგორ არა, შვილო, უთხრა დედამა. სანდრო იმავ წამს დაიბადა თავისის დის ლოგინთან, მისცა ძეკეს მსხალი და სიამოვნებით უცქეროდა, როცა ავადმყოფი პირს იტკბანურებდა მსხლითა.

ანდაზა: მრთი თხილის გული ცხრა ძმამ გაიყო.

კ ბ რ გ ი კ ბ ც ი.

რა კარგია კაი კაცი, კარგს საქმეზედ აგებული: ძვეყანა ჰყავს მადლიერი, სწორის გული მოგებული.

ს ა ზ ა ს უ ხ ა.

კოკა გატუდა, კოკები? დაიმტვრა. ზარკი სძევს, ჰარკები? აწევი. ვვავი შოკვალ, ვვავები? ხარი გავაგდე, ხარები? წიწილას ავიუვანე, წიწილები? კრუხი ჩავსვი, კრუხები? ქვა ავიდე, ქვები? გაშლი ჩავაგდე, გაშლები? კაღამი დავაგდე, კაღამები? ნამუენმა გაშლმა მოიბა, გაშლებმა? მსხადი ჩამოვარდა, მსხლები? ქვა გღია, ქვები? კამეჩი მოკვდა, კამეჩები? ძწეჯარი მოვიუვანე, ძწეჯრები?

ც რ უ ზ ე ნ ტ ე ლ ა.

იყო ერთი ცრუბენტელი კაცი. მრთხელ უცხო ქვეყანაში წავიდა. შინ რო დაბრუნდა, ტყუილი ტრამახობით ყველას ყურები გამოუქედა: „მე იქ ისეთი საოცარი რამეები ვნახე, რომ თქვენ აქ სიზმარშიაც ვერ ეღიროსებითო.“ — აგეთი განა რანახეო? ჰკითხეს მეზობლებმა. „აი, მაგალითად, ინდოეთში ვირები ხის ტოტზედ არხეინად გადიოდნენ და გამოდიოდნენო.“ ამ დროს იქვე ხის ძირში ვირი ბალახსა სძოვდა. მეზობელმა უპასუხა: „შვილოსან, თუ ეგ ცოცხალი ტყუილი არ არის, აი ეს ვირი და ეს ხე, აბა აქაც გავიდესო.“



### რძლების სიუჟარული.

წიგნი არ მიმიწერია ჯერ ამის მეტად რძლისთვისა;  
 მოკითხვა არ შემითვლია გულითადს მეგობრისთვისა.  
 ნეტავი, რძალო, იმ დღესა, ჩემს მახლს მოჰყავდე ცხენითა;  
 ამბავი შენი მეკითხოს, გებრძანოს ტკბილი ენითა.

### შ ა ს უ ხ ა.

შენ რო წიგნი მოგეწერა, გარედ ვიჯექ ვარდის ჩრდილსა;  
 დაეწერა ბროლის თითსა, მარგალიტის ბაგე-ტკბილსა.  
 წავიკითხე და ვაკოცე, ვაკოცებ და მოვქამ ჭირსა;  
 ღამე უბეში ჩავიდებ, არ ვაღირსებ თვალსა ძილსა.  
 მალლა ვზივარ და წიგნსა ვწერ, წვერი მიტყდება კალამსა,  
 ჩემი თავი მოგახსენებს შორით მადლსა და სალამსა.

### დაკარგული ბავშვი.

წვარობა იყო. მრავალი ხალხი მისულიყო ქართლის  
 სოფელ არბოში წმიდა ბიორგის ხატის სალოცავად. მთელი  
 სოფლის გარემო გაქედილი იყო ურმებითა და ცხენებით.  
 მლოცავნი ბუზებივით ირეოდნენ. უცებ ერთი ხუთი წლის  
 გოგოცუნა გადასცდა თავისს დედასა და გზა დაჰკარგა. აქეთ  
 ეცა ბავშვი, იქით გაექანა, იძახოდა ხმა-მალლივ: „დედავ, დე-  
 დავ!“ ქვითინებდა, სტიროდა, მდულარე ცრემლსა ჰღვრიდა.  
 მლოცველებს ძლიერ შეეცოდათ, გარს შემოეხვივნენ და ჰკით-  
 ხავდნენ: „ბაწიავ, გავგავებინე, ვინ არის დედა შენიო?“—რა-  
 ვქნა, განა არ იცით? დედა ჩემი ის არის, ვინც ყველაზედ  
 უკეთესიაო, უპასუხა მტირალა გოგოცუნამა.

### ორგულის ლექსი.

მრთგულის კაცის ორგულსა ხიდნი წყალს ჩაუცვივიან,  
 მშვილდიც გაუწყვეტს ბაწარსა, ისარნიც ელეწებიან.



## მოსამართლის ლექსი.

ძრულია ის მოსამართლე, ვინც არ გაარჩევს მდიდარსა საქმეს გაუწყობს, ღარიბს მცირედსაც ართმევსა.

## მეფე და მხატვარი.

იყო ერთი ცალ-თვალა მეფე. ჰყავდა ერთი ხელოვანი მხატვარი. მოუტარა მეფეს ხუსტურმა ანუ შინმა და სთქვა: უნდა რამე მიზეზი ვუბოვო ამ ჩემს მხატვარს და დაესაჯო. უბრძანა: ჩემი სახე უნდა დამიხატო. სთქვა მხატვარმა თავისს გულში: „ახლა კი მოვიდა ჩემი აღსასრულის დღე: თუ ცალ-თვალა დავხატო, მომკლავს, როგორა მკადრეო, თუ ორ-თვალა დავხატო, თავს მოჩქრის, როდის არის ჩემი მსგავსიო.“ იფიქრა, იფიქრა და ეს ღონე მოიგონა: დახატა შორს მინდორზედ ირემი, აქეთ გამოხატა მეფე, მისცა თოფი ხელში, ბრმა თვალი დაუხუჭა და საღი თვალით მიზანში ამოაღებინა ირემი. სურათი რო გაათავა, მეფეს მიართვა. მეფემ მიზეზი ვეღარა უბოვა რა და გადარჩა მხატვარი.

## ს ს ს ა უ ბ რ ა.

სკამებს, სტოლებსა და სის ავეჯულობას ვინ აკეთებს? სახლებს ვინ აშენებს? რკინის ნივთებს ვინ აკეთებს? ქვანახს? ჰაერსა, თმის გაკრეჭსა და სისხლის გამომშეება ვინ იღის? ქუდებს ვინა ჰქვრავს? წადებსა? ტანისამოსსა? ჭურჭლის გამკეთებელს რა ჰქვან? ვერცხლის და ოქროს ნივთების გამკეთებელს რადა ჰქვან? ყველა ამათი საზოგადო სასული რა არის? ხელისნები. რა იარაღითა და როგორ ხელისნობენ: დურგალი, კალატოზი, მჭედელი, მკერვალი მჭურჭლე, ჭანი და სხვა ხელისნები?

რას აკეთებს: მასწავლებელი, მასწავლი უფროსი, მსახული? ამათ რა საზოგადო სასული ჰქვანთ? მოხელეები.

იმ ადამიანს რას ეძახიან, რომელიც მუდამ კარჯილობაშია? მხნესა. რომელსაც გლახაკი, ავადმყოფი და ყველა უბედური კაცი



ებრძლება და ჭეშუელის? **მეწყალებსა.** რომელიც უგელას წყენას  
 კრიდება? **მშვიდსა.** რომელსაც თავისი ქონება აწავისთავის ჭეშუერს?  
**უხვსა.** რომელიც უგუელთავის სამართლიანად ღამარაკობს და სი-  
 ნიღისიანად იქცევა? **ვატიოსანსა.** მხნეობასა, მეწყალებასა, სი-  
 მშვიდესა, სიუხვსა, სიმატიოსნესა რა საერთო სახელი ჭეჭვიან?  
**სათნობა.**

როგორს აღამიანს ჭეჭვიან ზარმაცი? შურიანი? ცრუ? ბორო-  
 ტი? ძუნწი? ქურდი? ამხარტავანი? სიზარმაცეს, სიშურეს, სიცრუეს,  
 სიბოროტეს, სიძუნწეს, სიამხარტავნეს რა საერთო სახელი ჭეჭვიან?  
**ბიწიერება.**

**ანდაზები:** მეჭურჭელს საითაც უნდა, ყურს იქით გა-  
 მოაბამს ქურჭელსა.— აქლემის ქურდი და ნემსის ქურდი  
 ორივე ქურდია.— მჭედელს დანა არა ჰქონდა და ფეიქარს  
 ზელსახოცი.— ქურდი ფიცზედ მზად არის.— ქურდმა ერთი  
 ცოდვა ჰქმნა, დამკარგავმა ათასი.— ქურდს რა უნდა, და  
 ბნელი ღამეო.

**ენის გასატყვისი:** თათარი თეთრს თათარასა სჯამდა.

**საზასუხო და საწერი:** ღალაქი... მასწავლებელი... ბეჯი-  
 თობა... ქურდობა... მარიამობისთვე... მოწყალეობა... ოქრო-  
 მჭედელი... ღურგალი... ძალატოზი... მსაჯული... ძირკიტა...  
 სიუხვე... შური... ღოში... სიმატიოსნე... ბეჯა... მხატვარი...  
 სიმშვიდე... მერცხლი... მარტი... ძომბოსტო... ჩაი... სამყურა...  
 მჭედელი... თელა... თუჯი... თითბერი... ნოყიერი... იონ-  
 ჯა... მანაობა... საქანელა... ლურჯი... საწნახელი...

დასწერეთ რისას და როგორ აშენებს კალატოზი სახ-  
 ლებსა? რისას და როგორ აკეთებს ქურჭელს მეჭურჭლე?

მოთმინება კაი საქანელია.

მონი და-ძმანი, ყვინჩილა და ვარიკა, ერთად სცხოვ-  
 რობდნენ და ერთმანეთის დიდი ხათრი ჰქონდათ. მართხელ  
 გაზაფხულზედ ყვინჩილა ბალში გაიქცა და მკუხე მაყვალს  
 კენკვა დაუწყო. ვარიკა უკან დაედევნა და მისძახოდა: „ნუ

სკამ, ძმაო, მაგ მწვანე მაყვალსა, მოითმინე, სანამ დამწოდებოდეს, თორემ გაწყენსო.“ შვინჩილამ არ დაუჯერა მწვანე მაყვალი ბევრი ჰკენკა, გახდა ავად და ძლივს-ღა შიალწია შინა. „ზაიმე, ვაიმე, ყვიროდა ყვინჩილა: უბედურება მეწვია, ვკვდები, დაო, ვკვდებიო!“ ზარიკამ პიტნის ჩაი დააღვეინა, ოფლი მოადინა და თავისი ძმობილი მოარჩინა.

შვინჩილა რომ მორჩა, მაშინვე მინდორში გაიქცა. ბევრი ირბინა, იხტუნავა, გახურდა და ოფლი დაასხა. ამ დროს წყალი მოსწყურდა და ცივის წყლის დასაღვეად წყაროზედ გაიქცა. ზარიკამ რომ დაინახა, დაუძახა: „მოითმინე პატარა ზანს, ძმაო, დაისვენე, ოფლი შეიშრე და მაშინ დალიე წყალი, თორემ გახურებულს გულზედ ცივი წყალი გაწყენს, გაცივდები და ისევ ავად გახდებიო.“ შვინჩილამ ვარიკას არ გაუგონა, დაღალულს გულზედ ცივი წყლით გაძღა და მაშინვე ციებამ ძაგძაგი დააწყებინა. ზარიკამ ძლივს-ძლივობით შინამდის მიიყვანა, დააწვინა ლოგინში და ექიმთან გაიქცა. ექიმმა მწარე წამლის სმა დააწყებინა. შვინჩილამ ლოგინში ბევრი იკვნესა, მაგრამ საზამთროდ მაინც მორჩა. როცა კარზედ გამოვიდა, რუ გაყინული დაინახა და ყინულზედ ცურაობა მონდომა. ზარაკა-კი ეუბნებოდა: „დაიცადე, ძმაო, ჯერ ყინული თხელია, გასქელდეს და მაშინ რამდენიც გინდა, იმდენი იცურავე, თორემ ჩაგემტვრევა და დაირჩობიო.“ შვინჩილამ ახლაც არ გაუგონა თავისს დასა და ყინულზედ ცურაობა დაიწყო. შინული უცებ ჩაუტყდა, ყვინჩილა ჩავარდა შიგ და დაირჩო.

### მორიელი და კუ.

მართი კუ და ერთი მორიელი დაძმობილდნენ. წავიდნენ ზხასა. ზასავალი წყალი დახვდათ. მორიელი დაღონდა, გახვლა არ შეეძლო. აქუმ უთხრა: „ზურგზედ შემაჯექ, მე



გაგიყვანო.“ შეაჯდა მორიელი ზურგზედ. ძუ რო წყალში  
 შეცურდა, მორიელმა თავისი შხამიანი კუდი  
 კბენა დაუწყო. ძუმ ჰკითხა: „ძმაო, რას შერე-  
 ბიო?“ მორიელმა უპასუხა: „რა ვქნა, ძმობი-  
 ლო, არც მე მინდა, მაგრამ ისეთის გვარისანი  
 ვართ, რომ მტერსა და მოყვარეს ყველას უნ-  
 და ვუკბინოთო.“ ძუმ დაიკურყუმელავა, მო-  
 რიელი წყალს მისცა და მიიძახა: „ძმაო, არც  
 მე მინდა, მაგრამ ჩემი გვარი თუ დაშხამულს  
 ტანს არ გაიბანს, გასივდება და მოკვდებაო.“



### მელიას კუდი მოწმად.

მელია ერთ საქათმეს შეეჩვია და ქათმებს სულ მუსრი  
 გაავლო. ბოლოს საქათმის პატრონმა უხერხა, ხათანგში გა-  
 აბა, დაიჭირა და მოკვლა დაუპირა. მელიამ უთხრა: „ტყუი-  
 ლად მკლავ, თავი არ მომიკვდება, მე ამ საქმეში უბრალო  
 ვარ; ამ საქათმისთვის მე ერთი ვარიაც არ მომიკლია, ფე-  
 ხიც არ შემომიდგამს აქა და მხოლოდ წუხელის გამიწყრა  
 ღმერთი, ბნელაში გზა დავკარგე და უნებლიეთ აქ მოვეხე-  
 ტეო.“ — მერე მაგისი მოწმე გყავს ვინმეო? ჰკითხეს. — „რო-  
 გორ არა, ერთი ისეთი მოწმე მყავს, რომ ათზე უფრო სარ-  
 წმუნოაო.“ — შინ არის ეგ მოწმეო? — „მს ჩემი პატიოსანი  
 კუდიო,“ არხეინად მიუგო მელიამ.

ანდაზა: მელიამ თავისი კუდი მოწმად მოიყვანა.

### პატარა მდინარე.

ღადგ, წყალო, და მიაბზე, სად ვინ რა დაგაბარაო?  
 შინა მოვიდა შენთანა, ხელ-პირი დაიბანაო?  
 ხომ არ ატირდა ბრაღადა, ცრემლები გადმოჰყარაო?  
 ომში წასულსა ძმასთანა დამან რა დაგაბარაო?



## უფროსი და უმცროსი ძმა.

მრთს დედ-მამას ორი ვაჟის მეტი არა გააჩნდა-რა. მრთი ვაჟი მეორეზედ ბევრად უმცროსი იყო. უცებ უფროსი მძიმე ავადმყოფი შეიქმნა და სიკვდილის პირზედ იყო მისული. მამას ძლიერ ენანებოდა მზა-მზარეულად გაზრდილი შვილი და სთქვა: „თუ სიკვდილი აუცილებელია, ისევ უმცროსი რომ მომიკვდებოდეს, ის მიირჩევნიაო.“ ღედამ უთხრა: „სულ ერთია, რომელი თითიც უნდა მოგვეპრან, ყველა ერთ ნაირად გვეტკინებაო.“

### ს ა ზ ა ს უ ხ ა.


რომელს საგნებს აქვს შემდეგი თვისება: ტკბილი, მყავვე, მწარე, შავი, თეთრი, მწვანე, ყვითელი, ცხელი, რბილი, ხმელი, ფაფუკი, მაგარი, ხასრი, ჩლუნგი?

### სასაცილო ჩხუბი.

მრთი მოხუცებული ქართველი გარდაიცვალა. მან თავისს ორს შვილს დაუტოვა, სხვათა შორის, ერთი „ვეფხისტყაოსანი.“ ძმებს გაყრის დროს წიგნზედ დიდი ცილაობა მოუვიდათ, ორნივე მის დასაკუთრებას ნდომობდნენ და ძლიერ წაიკიდნენ. შუაკაცმა უთხრა: „თქვენ ორივემ უთუოდ მშვენივრად იცით კითხვა, რომ წიგნზედ ვგრე ჩხუბობთო.“ — რა ბრძანებაა, წიგნისა ჩვენ არც ერთს არაფერი გაგვეგებაო, უპასუხეს. — „მაშ თქვენ სწორედ იმ ორს სასაცილო ქაჩაღსა ჰგვანებიხართ, ერთმანეთს რომ სავარცხელის გულისათვის თავპირს ამტვრევდნენ და დასავარცხნი თმა კი არც ერთს არ ეხნაო,“ უპასუხა შუაკაცმა.

### მ ა ი ს ი ს დ ი ლ ა.

ამომავალმა მზემ წითლად შეღება მთისა წვერები, მესძრა ყოველი სულდგმული, ააქიკქიკა ფრინველები.



ზადიფურჩენენ ათას ფრად ნამით ბანილნი ყვავილნი,  
 ღა ლალანობენ მწვანედა შეთქვირებულნი ჯეჯილნი  
 მეცხვარემ ცხვარი შეშალა ამწვანებულსა გორახე,  
 პატარა მეხრემ დასძახა ლექსი რაკრაკით გუთანზე;  
 ბოგმანა მწყერმა გააბა ქუკუქუკი მალალს ყანაში,  
 ღაუზარელმა ტოროლამ მორთო გალობა ზეცაში.

ტიდგან ისმის ბუღბუღისა სტვენა მეტად საამური,  
 თითქო მას ბანს დასძახისო სოფლის მწყემსის სალამური.  
 შვავილების სუნნელება მოჰფენია გარს ყველგანა,  
 ჰხარობს ახლად ვაღვიძული მალლა ცა და ძირს ქვეყანა.

### ჩხუბი ადამიანის ასოებისა.

ერთხელ ადამიანის ასოები წაიკიდნენ. შეხებმა სთქვეს:  
 „ალარ გვინდა თქვენი ტარება, თუ კარგია, თქვენ თვითონ  
 იარეთო!“ ხელებმა წამოიძახეს: „ამდენი მუშაობა თქვენთვის  
 აქამდისაც გვეყო, ახლა თქვენ თვითონ იმუშავეთ, თუ კარგი-  
 აო!“ პირმა წაიბუტბუტა: „განა სულელი ვარ, მუღამ გასვათ,  
 გაქამოთ, ალარ მინდა თქვენთვის საქმელის ღეჭვაო!“ თვა-  
 ლები ამბობდნენ: „მოგწყინდა ამდენი თქვენი დარაჯობა,  
 ალარ გვინდა თქვენთვის ცქერაო!“ შურებმაც ხელი აიღეს  
 სმენაზედ. ასე წაიჩხუბნენ ადამიანის ასოები და შესწყვიტეს  
 ერთმანეთის სამსახური. მაგრამ რა გამოვიდა? შველა ასო და-  
 სუსტდა, სხეული სულ ჩამოხმა და სიკვდილზედ მიდგა. მა-  
 შინ ასოები მიხვდნენ, რომ ჩხუბით ისინი ერთმანეთს დაჰლუ-  
 პავდნენ, ისევ შერიგდნენ, ერთმანეთის დახმარება იწყეს და  
 შეიქმნა სხეული უწინდელივით სალი და ღონიერი.

**გამოცანა:** ის რა სულიერია, რომ დილით ოთხ ფეხზედ  
 დადის, შუადღისას ორზედ და საღამოს სამზედ?

### ს ა ს ა უ ბ რ ა .

ადამიანის სხეულის შემო ნაწილს რა ჰქვიათ? შუა ნაწილსა?  
 ქვემო ნაწილსა? დამისახედეთ თავის ნაწილებს: საქონრე, კეფა,  
 პირი-სახე, ეურები, საფუთქლები.



თავი რითი უერთდება ტანსა? ჩამომითვალეთ ტანის ნაწილები: ძვერდი, მუცელი, ფერდები, ზურგი, ბეჭები და ხელებისა და მისისხელები ხელის ნაწილები: მხარი, მკლავი, ნიდაფი, მკაპა, ხელის სავარცხელი, ხელის გული, ხელის ზურგი, თითები. რა სახელი ჰქვიათ თვითუღს ხელის თითსა? ცერი, საღვკი თითი, შუათითი, არა თითი, ნეკი. ჩამომითვალეთ ფეხის ნაწილები: ბარძაყი, მუხლი, კანჭი, წვიფი, კუნთი, კოჭი, ქუსლი, ფეხის ზურგი, თითები.

ძიხვენეთ შუბლი. შუბლ ქვემოდ რა ნაწილია? წარბებს ქვემოდ? თვალებს შუა რა ნაწილია? ცხვირის აქეთ-იქით ხორცისა და ადგილებს რა ჰქვიათ? ცხვირ ქვეით რა ნაწილია? შიშ ქვეით? შუბლი, წარბები, თვალები, ღოგები, ცხვირი, შიში და ნიკაბი რის ნაწილები არის? შიშის სახის ნაწილები.

საჭმელს რითი ვდებავთ? კბილებს გარედგან რა აფარია? რაში სხედს კბილები? რამდენი უბა აქვს ადამიანს? კბილებს ძირს რამ ხორცი ჰფარავს, იმას რა ჰქვიათ? შიშში რა სძევს? ენის ზემოდ რა ნაწილია? კბილები, ტუჩები, ყბები, ღრძილები, ენა და სხვა რის ნაწილები არის? შიშის ნაწილები. წამწამები, ქუთუთობები, კაკალი, კუკა და ბაია რიდას ნაწილები არის? თვალის ნაწილები. დამისახელებთ ცხვირის ნაწილები.

ადამიანის ხორცი რას აკრავს? ძვლებსა. ხორცში მისხვილი ძაფებივით რა არის წასულ-წამოსული? ძარღვებში რა დგას? რაგორა ფერისაა სისხლი? რა ზრდის ადამიანის სხეულსა?

ანდაზები: მუცელი ჩემს ქვეით არის და არა ჩემს ზეითა.—მუცელს აქორებ, ქორია, აღორებ, ღორია.—სამართლით მოჭრილი ხელი არ მეტკინება.—მანამ ხმალი მოვიდოდა, ენამ თავი მომჭრა.—თეთრი კბილი, შავი გული.—ცალი ხელით ტაში არ დაიკვრის.

კამოცანება: წინ ზურგი, უკან მუცელი.—მრთი თახჩა მაქვს, სულ კენჭებით არის გამოცედილი.—ერთი ერლო მაქვს, ზამთარ-ზაფხულ ბალახით არის შემოსილი.—ერთი ბოსელი მაქვს, ვხვეტე, ვხვეტე, ვერ დავხვეტე.—მრთი პირსახოცი

მაქვს, ვაშრე, ვაშრე, ვერ გავაშრე. — აი ჩემი თოფ-თოფელა, ცის კიდემდის მიმწვდენელა. — ბოძი, ბოძი, ბოძანდარი, ზედ გულა და ზედადგარი, ზედ იქყიტი, ზედ იკრიქი, ზედ იალბუზის მთა არის, იმაშია ქალა, შიგ ღორები წვანან. — თეთრი სცეხვს, წითელი ურევს, ოხერი იძახის: ჩამაყარო.

მონი ფრინველნი ჩემს თავსა დაბადებიდგან სხდებიან; ამ წამს რომ ჩემთან არიან, იმ წამსა გაფრინდებიან;

სხვასა უსინჯვენ ჯავარსა, თავისას ვერა ჰხედვიან;

ახლო არიან მეზობლად, ერთმანეთს ვერა ჰხედვიან.

ენას გასატეხია: მრთსა კაცსა ბლისკინელსა ბლის კალათით ბლის ხიდზედა ბალი გააქვს და გამოაქვს. — ბაყაყი მყაყე ქაობში ბაყბაყებს ბაყბაყ მღვევივით.

საზასუხა და საწკრაი: ძეფა არის ნაწილი თავისა... ძუ-სლი არის ნაწილი ფეხისა... საფეთქელი... ნიკაპი... პირის სახე... ლოყა... საქოჩრე... ღრძილი... ნესტო... წარბი... ძუთუთო... მნა... ბუგა... ტუჩები... წამწამები... ძბილები... მკერდი... შბა... ბექები... ნიდაყვი... სასა... ძოქი... ბაია... მუცელი... მაჯა... ხერხემალი... შურები... ბარძაყი... ძუნთი...

ღასწერეთ, რითი გაიჩევა ერთმანეთისაგან ხელები და ფეხები.

### თავ-ნება თავკვი.

თავგვებს სორო ჰქონდათ ერთის სახლის ახლო. ამ სოროდგან ისინი მიწასა სთხრიდნენ ყოველ მხრივ, მხოლოდ ერთს მხარეს ძლიერ ერიდებოდნენ. მათში ერია ერთი ახალგაზდა და თავ-ნება თავკვი. აიტეხა ამ თავგმა: „ამ მხრისაკენაც უთუოდ მიწა უნდა ვთხარო და ქონი გამოვთხარო!“ ზამოცდილმა თავგებმა უთხრეს: „მანდეთკენ მიწის თხრას თავი დაანებე, თორემ ქონის მაგივრად კატას გამოსთხრი და თავს დაიღუპავო.“ არ დაუჯერა და სთქვა: „რა იციან ბებრუტუნებმაო.“

თხარა და თხარა მიწა და მართლა გამოთხარა, მაგრამ ქონი  
კი არა, ვეებერთელა მშვიერი კატა. ძვდებოდა თაფლი კატის  
კლანჭებში და ამბობდა: „ახია ჩემზედ, უფროსებმა და ჩემზედ  
გამოცდილებმა კარგი დარიგება მომცეს და მე კი არ გავუ-  
გონე და მასხარადაც ავიგდეო.“


ანდაზა: თავმა თხარა, თხარაო, კატა გამოთხარაო.

### დათვის სიძმარე.

დათვა სთქვა: სიზმარი ვნახე, რაც რომ თავს გადამხდებოდა:  
სიმინდი ბევრი შევქამე, ხილად არ გამიხდებოდა;  
ხელი შევუწყე სკაში თაფლს, ვსვლიბე, ვინ მიმიხვდებოდა;  
მეღორის ტყეში გადაველ, იქ ღორი მეგულებოდა!  
მრთი ბურვაკი შევქამე, შხამადაც შემერგებოდა;  
სოფლის ბოლოს რომ გავედი, ვიცოდი არ შემრჩებოდა;  
ლამაზ-ლამაზი ბიჭები თოფ-იარაღში სხდებოდა;  
ლამაზ-ლამაზი მწევრები თითის ფრჩხილებზედ სდებოდა.  
ბამიგდეს ისეთს მინდორსა, თვალი არ გადასწვდებოდა;  
ისეთს ხევ-ხუეში ჩამაგდეს, ქორი ვერ ჩაფრინდებოდა;  
ღამაზილეს ბევრი ტყვია, სიკვდილი მომსურდებოდა;  
იქ დადგა სისხლის მორევი, ზედ ნავი მოსცურდებოდა;  
შოვიდა ყვავი, ყორანი, სვამდა და არ ილეოდა;  
მრბებმა გამინაწილეს, სვავი ძვალ-ძვეულით ძლებოდა.

### კოჭლი და ბრმა.

კოჭლი და ბრმა მიდიოდნენ. მიადგნენ ერთს მდინარეს,  
გასვლა ვერ მოახერხეს და დაღონებულები დასხდნენ წყლის  
ნაპირსა. წაადგა თავს მესამე მგზავრი. „რას დამძარბულ-  
ხართო?“ ჰკითხა. შეთხრეს: „როგორ არ დავღონდეთ, ერთს  
უფეხობა უშლის გასვლასა და მეორეს უთვალობაო.“ შეთხრა  
მგზავრმა: „ერთმა მეორესაგან ფეხები ითხოვოს, სამაგიეროდ  
მას თვალეები ათხოვოს და ორნივე იქით ნაპირს გახვალთო.“



შართლა, ბრამ კოქლი ზურგზედ შეისვა, კოქლმა ბრამს გზა უჩვენა და ორნივე მშვიდობით გავიდნენ იქითა ნაბიჯსაჲთა.

ერთი და ორი.

შენ პირი ერთი გაქვს, ყური კი ორი; რისთვის? შენვე მიხვდი: ბევრი ისმინე, ცოტა იყბედე.

პირი ერთი გაქვს, თვალი კი ორი; რადა? იმიტომ-რომ ორჯელ გასინჯო და ერთხელ სთქვა.

პირი ერთი გაქვს, ხელი კი ორი; რადა? იმიტომ-რომ ბევრი იმუშავო და ცოტა სქამო.

ს ა ზ ა ს უ ს ა.

რის ხმას ვეძახით წკარუნსა? ზუზუნსა? ჟღარუნსა? შრიალსა? ჭრიალსა? შიშინსა? ღრიჭინსა? ხრიალსა? წანწკარსა? ჭკქასა და ჭუსხლასა? ბუებუესა? შიშინსა?

მახეში გაბმული ჩიტო.

ბავშვებო.

ბაბმულხარ, ჩიტო, მახეში? ბაჩერდი, ნულარ ფთხრილობი ჩვენი ხარ, ვერსად წაგეხვალ, დაგვიმორჩილდი, რას წვალობ?

ჩიტო.

ნეტავი რისთვის გინდივართ, ბავშვებო, გენაცვალებით? ბამიშვით, ჩემთვის გაფტრინდე, რას გამომრჩებით წვალებით?

ბავშვებო.

ვერ შეგეღვეით, მალხაზო, აგაცდენთ ყოველს გასაჭირს-სულ შაქრით ჩაგიტკბანურებთ მაგ პაწაწინა ყელს და პირს-

ჩიტო.

რად მინდა თქვენი შაქარი? არ მიყვარს, ჩემთვის მწარეა მინდორში ვიქერ ბუზ-პეპლებს, სხვაც ბევრი საკენკარია.

ბავშვებო.

ტრიალ მინდორში, საწყალო, გაგყინავს ცივი ზამთარი, და აქ კი ოქროს გალია შენთვის ეხლავე მზად არი.



ჩატა.

ნუ შიშობთ! ზადაფორინდები საზამთროდ თბილისს მხარესა,  
ტყვეობაში კი სამოთხეც არ მინდა გულ-მწუხარება!

ბავშვები.

ახ, რომ იცოდე, ჩიტუნავ, რა რიგად შეგიყვარებდით!  
არ მოგაწყენდით, ღმერთმანი, ნიავს არ მოგაკარებდით.

ჩიტა.

მე, მეგობრებო, მეც მჯერა, მეფერვით, უეჭველია;  
მაგრამ ეგ თქვენი აღერსი რა ექნა რომ მავნებელია?  
ზალია ჩემთვის ციხეა, ეს, ბავშვო, ნუ გავიწყდებათ;  
ტყვედ ყოფნა მაწყენს, ფეხებს ვფშეკ და თქვენვე გული დაგ-  
წყდებათ.

ბავშვები.

ზაუშვეს, უთხრეს: „მაშ ღმერთმა აწ მოგიმართოს ხელიო;  
ზაფორინდი, გადაიარე ქიკიკით მთა და ველიო.“

ბრძმა, კოჭლი და ლატაკი.

იყო სამი ამხანაგი: ბრმა, კოჭლი და ლატაკი. მართხელ  
სუფრაზედ ისხდნენ და ღვინით კარგა დაითვრნენ. ბრმამ  
უთხრა კოჭლსა: „შენ ეი, დიდ-დიდ ლუკმას ნუ იტენ პირ-  
ში, თორემ მზეს დაგიბნელებო!“ კოჭლმა უპასუხა: „აბა რას  
ხედავ, შე ბრუტიანო და მართლა მზე-დაბნელებულო, დიდს  
ლუკმას ვიდებ, თუ პატარასა? ახი არ იქნება შენზედ, ეხლავე  
წამოვხტე, კაი ღონიერი წიხლი ჩაგცხო და სული გაგანთხევი-  
ნოო!“ — მოჰკალ ეგ საძაგელი და მე ვზღაფო! დაუმატა ლატაკმა.

ასე სასაცილოთ ჰხდის ყველას ღვინის ჭარბად სმა.

ს ა ს ა უ ბ რ ა.

რითი ჰქედავთ? თვალგებთა. რითი ისმენთ? ყურებთა. რითი  
ჰგრძნობთ გემოსს? ენათა. სუნსა? ცხვირითა. რითი იკებთ სიძბი-  
ლეს და სიმაგრეს? შეხებთა. მხედველობასს, მსმენელობასს, გე-  
მოვნებასს, ენოსვასს და შეხებასს რა ჰქვიან? ხუთი გრძნობა. თვა-

ლებსა, უურებსა, ენასა, ცხვირსა და სხეულის კანსა ჭჭვინ გრძნობის  
სახსრები ანუ ორგანოები.

მე ვამბობ: ბადასი მწვანესა, ცა ლურჯისა, მელანსა შავსა, რძე  
თეთრია, სისხლი წითელია, — რამელი გრძნობით ვაგებ ამას? მხე-  
დველობითა.

ზარის რეკასა, წელიწადის შუადასა, სიმღერასა, გალობასა, ტიკტიკ-  
სა, ძახილსა, ბღაღღისა რამელი გრძნობით ვაგებთ? მსმენელობითა.

რამელი გრძნობა გვატყობინებს ქუხილსა? სიმწვანესა? ტკა-  
ცუნსა? ღაზარაკასა? ჭეიფილსა? სინათლესა? სიწითლესა? ხურხულსა?  
სიუფითლესა? სითეთრესა? სტყენასა?

მე ვამბობ: ვარდის სუნი მომდის, ღეში ჭვარს, — რამელი  
გრძნობით ვაგებ ესენი? ყნოსვითა.

რამელი გრძნობა გვატყობინებს რახუნსა? სიჭმარსა? სიღამა-  
ზისა?

მე ვამბობ: შაქარი ტკბილია, კომში ანუ ბია მყავვა, ბლღაკი  
მწარესა, მარდი მღაშესა, — რამელი გრძნობით ვაგებ ეგელა ეს?  
გემოვნებითა.

რამელი გრძნობით ვტყობულობთ მართულობასა? სიმჭკვარსა?  
სიმწარესა? სიტკბაღესა? სკამდის სუნსა?

მე ვამბობ: ფიცარი ხმელია, ბუმბული რბილია, ყინული ღი-  
ზია, თრფელი ცივია, თრე ცხელია, — რამელი გრძნობით ვაგებ  
ესენი? შეხებითა.

რამელი გრძნობა გვატყობინებს დანის სინჯუნგესა ანუ სი-  
ბღაგვებსა? ხანჯლის მჭრელობასა? შიტის სუნსა? ქაღალდის ფერ-  
სა? ცეცხლის სითბოსა? წიწილის წიფილსა? ზამთრის სიცივებსა?  
ძმრის სინჯარესა?

ანდაზები: როგორც თვალი შორს, ისე გული შორს. —  
რეგენს კაცს ჭკუა თვალში აქვს. — ბრმათა შორის ცალ-თვა-  
ლით არს პირველი სარდალით. — შრუსათვის ორჯელ როდი  
სწირვენ.

გამოცანები: მრთი მოლაპარაკე, ორი მატკერალი და  
ორი მსმენელი ერთ კვანზედ სხედან. — ის რა მხედარია, რომ

ცხენზედა ზის და თავისი ფეხები უკრებზედ აქვს გაწყობილი?  
ვის უნდა ცალ-თვალა იყვეს?

**ენის გასატყნა:** დედავ, რამან დაგაბერა, რამან დაგადე-  
დაკაცა?

**საშასუსო და საწერა:** დასწერეთ, რას გვატყობინებს  
მხედველობა, მსმენელობა, ყნოსვა და შეხება.

### ფუტკარი და მტრედი.

ჯაფისაგან დაღალული ფუტკარი ჩავარდა წყალში და



ირჩობოდა. ახლო ხე-  
ზედ დედა მტრედი იჯ-  
და. თვალი შეასწრო  
ფუტკარის გაჭირვება-  
სა, აფრინდა, მოჰგლი-  
ჯა ნეკერჩხალის დი-  
დი ფოთოლი და ჩა-  
უგდო წყალში. ფუტ-  
კარი ზედ შეჯდა და  
წყალმა ნაპირზედ გა-  
მორიყა. ბაიშრო მზე-

ზედ სველი ფრთები, აფრინდა და მხიარული ბზუილით გას-  
წია თავისი სკისაკენ.

ბავიდა რამდენიმე დღე. ბარტყებისთვის საქმლის ზიდ-  
ვით დაღალული მტრედი ხეზედ იჯდა და სთვლემდა. ამ დროს  
მონადირე მიეპარა მტრედსა, ამოეთარა ჩირგვსა და დაუმიზნა  
თოფი. ამას თვალი მოჰკრა ახლო ყვავილზედ მჯდომმა ფუტ-  
კარმა, აფრინდა სწრაფად მოუარა მონადირეს უკანიდამ და  
მარჯვენა ხელზედ უკბინა, სწორედ იმ დროს, როცა ჩახმახს  
აცემინებდა. მონადირეს სიმწარისაგან ხელი აუკანკალდა და  
ტყვია ასცდა მტრედსა.

**ანდაზა:** რასაც დასთესავ, იმასვე მოიმიკი.



## ყმაწვილი და პეპელა.

ჭრელი პეპელა დაათრო და გააბრუა იამა;  
მას მიეპარა ყმაწვილი, დაიჭირა და იამა.



პლერსით უთხრა პეპელას:  
„თავს რითი ირჩენ შენაო?  
როგორ არ გღალავს მთელი დღე  
მოუსვენარი ფრენაო?“  
პეპელამ უთხრა: მინდორში  
მცხოვრობ მე უზრუნველადო;

იქ ყვავილები გაშლილა ჩემ საზრდოდ, საწუწუნველადო.  
რაც დღე მაქვს, ტკბილად ვატარებ, ჩემს ნებაზედაც დაფრენო;  
მაგრამ დღე-გრძელი არა ვარ, გამიშვი, ნულარ მაცდენო.  
ყმაწვილმა ხელი გაუშვა, გაფრინდა ნაზი პეპელა,  
და თითქო ნიშნად მადლობის, თავს ევლებოდა ნელ-ნელა.

## თაგვები და კატა.

თაგვებს კატამ საქმე გაუჭირვა. ისე დღე არ გავიდოდა,  
ოთხი-ხუთი არ დაეფხრიწა თავისი კლანჭებითა და კბილებითა.  
დალონდნენ და შესწუხდნენ თაგვები. ბოლოს მოიყარეს ერ-  
თად თავი და დაიწყეს სჯა, თუ როგორ ეშველათ თავიანთ  
თავისათვის. მართმა ყმაწვილმა თაგვმა სთქვა: „ფიქრი ნუ  
გაქვთ, ძმებო, საქმეს ადვილად მოვევლება; ჩვენ იმიტომ  
ვიღუპებით, რომ კატის მოპარებას ვერა ვტყობულობთო.  
ჩვენ რომ ციკუნისა ეყვანი შევაბათ, ჟღარუნი ყოველთვის  
შეგვატყობინებს იმის მოახლოვებასა, მოვკურცხლავთ დრო-  
ზედ, თავს ვუშველით და კატას სიმშობლით მოვკლავთო.“  
„მშვენიერი აზრიაო,“ წამოიძახეს ყველა თაგვებმა ერთხმად.  
მაგრამ როცა მოხუცმა თაგვმა ჰკითხა: „აბა თქვენში ვინ  
იკისრებს კატას ეყვანი შეებასო?“ ყველანი შიშის ძაგდაგმა.  
აიტანა და სოროებში მიიმალ-მოიმალნენ.



## თ ო ვ ლ ი.

თეთრ-წვერა სპეტაკ-ზამთარმა გამოიჩინა თვის ძალა,  
ზაპყინა დაბლა ხმელეთი, სიცივით ააკანკალა.  
მაგრამ უფალმა მალლიდგან წყალობის თვალით დაპყურა,  
შეპყერა თოვლის საბანი, მცივანს ქვეყანას დაპხურა.  
ზამოეხვივნენ შიგ თბილად ბუჩქნი, ხენი და ხენილნი, [ჯეჯილნი.  
თეთრს საბანს თბილად ქვეშ მოპყვნენ ჯერ კიდევ ნორჩნი  
ზღეხმა სთქვა: „ამის უამესს რას ნახავს ჩემი თვალიო;  
შიცი, რომ ზამთარს თოვლიანს თან მოსდევს მოსავალიო.“

## ბორცოტისათვის სიკეთე.

თოვლიანი ზამთარი იდგა. ზღეხს პავლეს ხორბალი ჰქონდა  
და ჩასატანი წისქვილში დასაფქვავად. მარხილი უნდა შეებარა;  
მაგრამ წინა დღით ტყეში მარხილი გადაუბრუნდა და გაუტყდა.  
პავლემ მიჰმართა თავისს მეზობელს და მარხილი სთხოვა.  
მაგრამ მეზობელმა ხელი არ გაუმართა და ცივი უარი უთხრა.

ზავიდა რამდენიმე დღე. პავლეს მეზობელს ძლიერ დასჭირდა ხერხი. ხერხი თვითონ არა ჰქონდა, პავლემ კი იმ წინა  
დღით ქალაქიდან ახალი ხერხი მოიტანა. მეზობელი პირ-  
შავად იყო პავლესთან და ერცხვინებოდა ეთხოვა მისთვის  
ხერხი, მაგრამ მეტი ჯანი არ იყო. შივიდა და გაუბედავად  
სთხოვა ხერხი. პავლემ იმ წამსვე გამოურბენინა და თავაზიანად  
მისცა. მეზობელი სირცხვილით დაიწვა, სთხოვა პავლეს  
მიეტყუებინა მისთვის წინანდელი სიბრიყვე და პირშაობა და  
ალუთქვა: თავი მომიკვდეს, თუ ამ დღიდან შენი ერთგული  
მეზობელი არ ვიქმნეო.

## შენანებული ვაჭარი.

ერთი მდიდარი ვაჭარი ცხენით გზაზედ მიდიოდა და  
უცებ წვიმამ წამოუშინა. ვაჭარმა საყვედურითა სთქვა: შე



დალოცვილო ღმერთო, რა დროს წვიმაა; მიმალწვევინებლი შინა და მაშინ რამდენიც გნებავს, იმდენს აწვიმებდი.

ზაიარა ცოტა გზა და წინ ავაზაკი შეხვდა. ღინანა თუ არა ვაჭარი, ავაზაკმა მაშინვე თოფი მოიგდო ხელში, დაუმიზნა და ჩახმახი დააცემინა. მაგრამ წამალმა არ იფეთქა, რადგანაც წვიმას ფალია დაესველებინა და თოფი არ გაუარდა. მაქარმა იღროვა, გააქენა ცხენი და გადარჩა.

სამშვიდობოს რო გავიდა ვაჭარი, მოიხადა ქუდი, აღაპყრო მალა ხელები და სთქვა: შეგცოდნე უფალო! შენ უფრო კარგად გცოდნია, რა დროს უნდა წვიმა და რა დროს დარი. ეს დალოცვილი წვიმა რომ არ მოგვევლინა, ეხლა მე ცოცხალი აღარ ვიქნებოდლი.

ს ა ს ა უ ბ რ ე .

რასა ჰქვიან წვიმა? როდის და რა ამინდზედ ჩნდება წვიმა? რისთვის არის სსსარკებლად წვიმა? უამთარში წვიმის მაგვირად რა მოდის? რასა ჰქვიან ქარი? რომეღი მხარეღან ჰქვარს ქარი? რომელს ქარს ჰქვიან ზენა-ქარი? ქვენა ქარი? რასა ჰქვიან ნამი? რა დროს იცის ნამი? წვიმა და თოვლი დრუბლებს გასდის, ნამი რადას გასდის? ჰყარს. რაცა ნამიანს დამეს ძლიერა ცივა, ნამი გაიუინება ხოლმე. ამ გაუინულს ნამს რა ჰქვიან? რისთვის არის მასარალებელი რთვილი? თუ წვიმის მადლა ჰყარში ძალიან ცივი ქარი დაუხვდა, გაიუინება და მრგვალ უინულად კარდაიქტევა. რას ვეძახით ამ უინულებს? მას რა უოფილა სეტევა? რისთვის არის მასარალებელი სეტევა? რასა ჰქვიან ქუხილი და ელვა და რა დროს იცის? ელვა რა ძირს დედამიწაზედ დაეცემა ხოლმე, იმას რას ვეძახით? მესხს. წვიმასა, ქარსა, თოვლსა, ნამსა, რთვილსა, სეტევასა, ქუხილსა, ელვასა და მესხს რა საერთო სახელი ჰქვიან? ბუნების მოვლენანი. შეადარეთ წვიმა და თოვლი, ნამი და რთვილი, სეტევა და თოვლი.

გაიშვირეთ თითი იმ მხარისკენ, სადაც მზე ამოდის. რა ჰქვიან იმ მხარეს? აღმოსავლეთი. თითი გაიშვირეთ იმ მხარისკენ, სადაც მზე ჩადის. იმ მხარეს რადა ჰქვიან? დასავლეთი. პირი რამ



ადმოსავლეთისკენა ჰქმნა, რა მხარე იქნება მარჯვნივ? **სამხრეთი-მარცხნივ? ჩრდილოეთი.** რადა ჰქვეიან ამ უკანასკნელს **მხარეს** ჩრდილოეთი? იმიტომ რომ შუადღისას ჩრდილი სწორედ იმ მხარისაკენ წადგება ხოლმე. დაიხსენებთ, რომ ადმოსავლეთსა, დასავლეთსა, სამხრეთსა და ჩრდილოეთს ჰქვეიან **ოთხი მხარე ქვეყნისა.** რადის წადგება ხოლმე ჩრდილი დასავლეთისაკენ? ადმოსავლეთისაკენ? ჩრდილოეთისაკენ? რატომ სამხრეთისაკენ არ წადგება ხოლმე ჩრდილი? რომელ მხარესაკენ უნდა ციოდეს და რომლისკენ უნდა ცხელდეს? რად უნდა ციოდეს ჩრდილოეთისაკენ და რად უნდა ცხელდეს სამხრეთისაკენ?

**ანდაზები:** მოვიდა სეტყვა, დახვდა ქვა.—**მოვლი** თეთროია, მაგრამ სიცივე დიდი იცის.—**როგორც** ჰქუხს, ისე არა სწვიმს.—**ჰარის** მოტანილს ქარივე წაიღებს.

**გამოცანები:** ბევრჯელ მნატრობენ, გულით მელიან, როცა მოვალ-კი, იმალებიან.—**მალლიდგანა** წამოვიდნენ ხაპა-ხუპით ცხენოსანნი, სულ აქეთ-იქით გაჰფანტეს ქვევითნი და ცხენოსანნი.—**ცოცხალია**, ჩუმიად არის, მოკვდება, ღრიალს ასტეხავს.—**პრც** იწვის ცეცხლში, არც სძირავს წყალში.

**ენას გასატყენა:** თეთრი თრითინა თეთრ რთვილზედ თრთოდა.

**საპასუხა და საწერა:** მოვლი... ადმოსავლეთი... მხნეობა... სეტყვა... დასავლეთი... სიზარბაცე... შუხილი... ზღმარტლი... ბეჯითობა... ჩრდილოეთი... მღვა... ნესვი... მოწყალეობა... წვიმა... სამხრეთი... ბოლოკი... ნამი... ჩხიკვი... რთვილი... ბუზი... თუნგი... ბალბა... შურდობა... სპილო... მენი... ჰარი... ზამთარი... ბინდი... გზა... შშატი...

დასწერეთ, რითი გაირჩევა ერთმანეთისაგან წვიმა და თოვლი, რთვილი და ნამი?





ეროვნული  
ბიბლიოთეკა

# მოთხრობანი და ლექსები

წმიდა სწეობასე.

საინცხვალას აშორება.

შუა დღე იყო. ღიდი სიცხე იდგა. მინდვრიდან სახლში მიდიოდა პატარა სანდრო. სიმშილიც ძლიერ აწუხებდა და წყურვილიცა. ზხაზედ მეზობლის ვენახში ლობესთან დაინახა წითლად დაკუნწლული ვაშლი. თვალი ზედ დარჩა, პირში ნერწყვი მოუვიდა და კბილებმა კაწკაწი დაუწყაო. ვაშლები თითქო უტინოდნენ სანდროსა, იწვევდნენ და ეუბნებოდნენ: ამოხტი, მოგვგლიჯე, ჩაგვკბიჩე და პირი ჩაიტკბარუნეო.

სანდრო ყოყმანობდა. სხვისი ვაშლის ქურდულად მოკრეფა ეძნელებოდა, ეთაკილებოდა: თავისს დღეში ქურდობა არ ექმნა. ბოლოს ველარ მოითმინა, სულმა წასძლია, ახტა ლობეზედ, მოიწია ტოტი და ოთხი წითლად დაბრაწული ვაშლი მოგლიჯა.

მიდის შინისაკენ სანდრო, სკამს ვაშლსა და თანაც რაღაცა ჯავრსა გრძნობს, თითქოს გულში ვიღაც უზის და ეუბნება: „ეგ ხომ ქურდობა ჩაიდინეო.“ შხამად ეჩვენება ვაშლი საწყალს ბავშვსა, სწუხს თავისს სულწასულობაზედ; მაგრამ რაღა ჰქნას? ვაშლებს ხომ ველარ მიაბამს ხეზედ.

მიდის ასე შეწუხებული. უცებ სანდრო გაჩერდა, რაღაც აზრი მოუვიდა, სახე გაუნათლდა. იქნება წამალი უპოვნა თავისს სირცხვილსა?

სანდრომ მოჰკურცხლა ვენახის პატრონის სახლისკენ, მიირბინა კარებზედ და დაიძახა:

— ნათლი-დედ, ერთი გარედ გამობრძანდი.

— შენა ხარ სანდრო? რა გინდა, ჩემო კარგო? ჰკითხა შინიღვანვე დიასახლისმა.

— ნათლი დედ, გეთაყვა, ნუ გეწყინება: თქვენს ვენახში განაპირა ხეხილზედ ოთხი ვაშლი მოვგლიჯე პირის გასასველებლად და სამაგიერო სიკეთეს გადაგიხდი.

— შეგარგოს ღმერთმა, უთხრა კეთილმა დიასახლისმა.

სანდრო დაბრუნდა შინ სვინიდის დამშვიდებული და ტკბილად შეირგო წითელი ვაშლები.

### სიკეთე ბოროტისათვის.

მთ სკოლაში მარო სწავლობდა. ძლიერ ლამაზი გოგონა იყო; მაგრამ გული კი ბოროტი ჰქონდა. მეტად თავი მოჰქონდა სილამაზითა, ნაკლებად ბეჯითობდა და წამდაუწუმ დასცინოდა თავისს ამხანაგებსა. მეტადრე ამოჩემებული ჰყავდა პატარა ელამი ძატო; რამდენჯერ დაუცინია გულ-საკლავად და უტირებია ცხარე ცრემლითა.

ამხანაგებს ქირივით ეჯავრებოდათ ბოროტი მარო.

ზაჩნდა ერთხელ ყვავილი. მაროს აცრილი არა ჰქონდა ყვავილი დედ-მამის დაუდევრობით. შეხვდა ყვავილი და ისე დაუჯლანა პირის სახე, რომ კაცი ველარც კი იცნობდა. ზაჩოფურაგებულმა ბავშვმა დაჰკარგა სამუდამოდ სილამაზე, რითაც ამპარტავნობდა, და საშინელს მწუხარებაში ჩავარდა.

მორჩენის შემდეგ მშობლები მაროს სკოლაში გზავნიდნენ; მაგრამ ცივს უარზედ იდგა: თან რცხვენოდა და თან ეშინოდა ამხანაგებისა. ბოლოს, როგორც იყო, გაგზავნეს სკოლაში. შიდის მარო სკოლისაკენ და გულში უტრიალებს შიშის ალი: ჩემი ამხანაგები რომ დაკენკილს სახეს დამინახავენ, ხარხარს შეჰქმნენ, მასხარად გამხდიან, წინანდელს ჯავრს ამოიყრიან და გულს სულ ჩამითუთქავენო.

შევიდა სკოლაში გაფითრებული და აკანკალებული მარო, მაგრამ დახე მის გაოცებასა! მოლოდინი არ აუსრულდა, შიში არ გაუმართლდა. ამხანაგებმა მარო რომ დამახინჯებუ-

ლი დაინახეს, არამც თუ დაცინვა არ დაუწყეს, სიბრალუ-  
ლით ავესოთ გული და სცდილობდნენ ალერსითი ინტუიციები-  
ნათ. შველაზედ მეტს თანაგრძნობას უჩენდა ელამი შატო.  
შაროს გული ამოუჯდა სიხარულისაგან და ორივე თვალებიდ-  
გან შვების ცრემლი წასკდა.

### მოხუცის ნატვრა.

ნეტავი ჩემი სასახლე მალლა მთაზედა ამეგო,  
ზამვლელ და გამომვლელისთვის ყოველ დღე კარი გამელო,  
სიტყვა არვისთვის მეწყინა, სულ ყველას გული მომეგო,  
რაც მეშოვნა და მეპოვნა, სულ ღარიბებზედ გადმეგო.

### თავის გაწირვა მტრისათვის.

მრი ყმაწვილი გადამტერებული იყო ერთმანეთზე. სა-  
დაც კი შეხვდებოდნენ ერთმანეთს, უთუოდ ჩხუბი უნდა მო-  
სვლოდათ. მრთხელ მდინარის პირს წაიკიდნენ და დაიტაკნენ.  
ბევრი იბრძოლეს, თავბრუ დაესხათ, ველარა გაიგეს რა და  
ერთი მათგანი მდინარეში გადავარდა. წყალმა ბავში წაი-  
ლო და იხრჩობოდა. ღიდაგანი ახლო-მახლო არავინ შე-  
ესწრო, ყმაწვილები კი იყვნენ იქა, ზოგმა ცურვაც იცოდა.  
მაგრამ წყალს ვერავინ შებედა, ყველას ეშინოდა. მდინარე  
ადიდებული მიქუხავდა და მიშველება მეტად სახიფათო იყო.  
წყალ-წადებულ ყმაწვილს უსათუოდ დაღუბვა მოელოდა.

მაგრამ მას მხსნელად აღმოუჩნდა ის, ვისგანაც ამას სრუ-  
ლიად არავინ არ მოელოდა. ნაპირზე დარჩენილი ყმაწვილი  
თავისი პატარა მტრის სიბრალულით აივსო, მაღალმა წადილ-  
მა გაიტაცა და ადიდებულ მდინარეს არ შეუშინდა: იძრო  
სწრაფად ტანისამოსი, ახსენა ღმერთი და გადაეშვა წყა-  
ლში. ცურვა ჩინებული იცოდა და თავის-თავის იმედი ჰქონდა.



ჩახტა თუ არა ყმაწვილი წყალში, მდინარემ იმ წამსვე და-  
აპროწიალა და ჩააყურქუმელავა. „მაიმე, ამასაც დააპროწიალა  
წყეული მდინარე!“ შეჰკივლეს ბავშვებმა. მაგრამ მამაცმა ბავ-  
შვმა მალე ისევ ამოიყურქუმელავა, წყალს ზეით მოექცა  
და სწრაფი ცურვით გაექანა წყალ-წაღებული ბავშვისაკენ. ბო-  
ლოს, როგორც იყო, მიუახლოვდა დაბნედილ ბავშვსა. ცალი  
ხელი მაგრა ჩასქიდა და მეორე ხელით და ფეხებით იწყო  
ცურვა ნაპირისაკენ.

საქმე ახლა უფრო გაძნელდა. წყალმა არა ერთხელ გა-  
მოსტაცა ხელიდგან ბავშვი, არა ერთხელ აუღესო პირი და  
შეუგუბა სული; მაგრამ უშიშარი და თავგანწირული ყმაწვი-  
ლი ბოლოს მაინც ეწია თავისს სასიქადულო გულის წადილსა;  
გადაარჩინა თავისი პატარა მტერი დაბრახობასა და ცოცხალი  
გამოიყვანა ნაპირზე.

იქ მყოფი ბავშვები, აღტაცებულნი ასეთი სამაგალითო  
საქციელით, მისცივიდნენ ყმაწვილს, გადაეხვიდნენ და მხურ-  
ვალე გადაკოცნით დააჯილდოვეს.

ამ დღიდგან წინანდელი მოსისხლე მტერნი შეიქმნენ  
გულითადი მეგობრები და ერთმანეთს აღარაფერი ერჩივნათ  
სიკვდილამდე.

## მ ი უ დ გ ო მ ლ ო ბ ა .

მართი დიდებული მეფე იყო და სამი ვაჟი ჰყავდა. მეფემ  
სთქვა: „უნდა გამოვცადო ჩემი შვილები და შევიტყო, რო-  
მელს აქვს სამეფო ჭკუაო.“ სამივესა ჰკითხა: „რა უფრო კე-  
კლუცია, რა უფრო მსუქანია და რა უფრო სწრაფიაო?“ უფ-  
როსმა ვაჟმა ტრახხით მოახსენა: „კეკლუცი არის ჩემი ცოლი,  
მსუქანი არის ჩემი ცხენი და სწრაფია ჩემი ქორიო.“ მამამ  
უთხრა: „მეფობა არ გელირსოს შენაო.“ შუათანა ვაჟმა იხ-  
მარა პირფერობა და მოახსენა: „დედოფლის ულამაზესი, მე-  
ფის ცხენის უმსუქნესი და მეფის შავარდნის უსწრაფესი არა



იქნება-რა მთელს დედამიწაზედაო.“ იმასაც უბრძანა მამამ:  
„არც შენა ხარ ღირსი მეფობისაო.“ ბოლოს უმცროსი წინა-  
სდგა მამის წინაშე და მოახსენა: „გაზაფხულზედ უკეკლუ-  
ცესი, შემოდგომაზედ უმსუქნესი და თვალზედ უმაღლესი  
არა იქნება რა დედამიწის ზურგზედაო.“ მოეწონა მამას ეს  
მიუდგომლობა და სამეფო უმცროსს შეიღოს დაუმკვიდრა.

### ლექსი ძმობაზე. (ხალხურა).

ძმაო, რაი სჯობს ძმობასა, ერთმანეთისა ყმობასა,  
ძმა მაშინ მოგაგონდება, ათნი რომ გცემდნენ მარტოსა;  
ბამშველელბელი არ იყოს, ეფარებოდე ფლატოსა.

### ქ რ ო მ ა .

პატიოსანი შრომა წმიდაა, ვინ არ იცის.  
ამ ქვეყნად სასარგებლო და საამური ზეცის.  
ზარმაცობა ბუღეა, რაც ცოდვა და სენია,  
ამიტომაც შემოქმედს ასე გაუჩენია:  
რომ კვირაში ექვსი დღე ვიმუშაოთ, ვიშრომოთ  
და მეშვიდე—კვირა დღე—შევისვენოთ, ვიუქმოთ.

### საევედური უარესია ტყვეობაზე.

ორნი მეფენი შეიბნენ. მართმა მეორეს სძლია, დაიჭირა  
და ორმოში ჩააგდო. ბავიდნენ დღენი, მოვიდა ერთი ნაცნო-  
ბი კაცი და მოინდომა ამოყვანა და გაპარება მეფისა. ჩასძახა  
ორმოში: „კარგს არ ვიქ, რომ ამოგიყვანო და გაგაპარო?“  
მეფემ ქვემოღვან მადლობა უბრძანა. მოიტანა თოკი და ამო-  
იყვანა. ახლა უთხრა: „კარგი არა ვქენ, რომ ამოგიყვანე?“  
მეფემ კიდევ მადლობა გადაუხადა. პატარა ხანს უკან ხელ-  
ახლად ჰკითხა: „ხომ კარგი ვქენიო?“ მწყინა მეფესა და დაი-  
ძახა: „არავინ ხართ, ამ კაცმა გამაპარაო.“ მოცვიდნენ და-  
რაჯები, დაიჭირეს ორნივე და ჰკითხეს მეფესა: „რად გაამ-

ჟღაენე და არ გაიპარეო? მეფემ უთხრა: მინამ ამომიყვანდა და გამაპარებდა, საყვედურით ამავსო; სანამ შინ შიგაღწევიდი, კიდევ დამარჩობდა და აქვე ყოფნა ვარჩიეო.

### გულკეთილობა.

წუთი-სოფლის სტუმრები ვართ, ჩვენ წავალთ და სხვა დარჩება; თუ ერთმანეთს არ ვახარებთ, იმის მეტი რა შეგვრჩება.

### ეფერებოდეთ ობლებსა.

ობლები და ღარიბები ქვეყნად ბევრი იტანჯება, ზოგს დედ-მამა აღარა ჰყავს, ზოგი სიცივითა კვდება. შმაწვილებო, ამ გვარ საწყლებს, თუ რომ სადმე შეეყაროთ, შალი გაქვთ, რომ ძმებისავით მიეფეროთ, შეიყვაროთ.

### სიხარმაცეს მათხოვრობა მოსდევს.

მართს სკოლაში სწავლობდა ხანდრო. ისეთი ზარმაცი იყო, რომ ყველასათვის თითოთ საჩვენებელი შეიქმნა. სკოლაში სწავლის დროს სულ ეშმაკობდა, მასწავლებელს ყურს არ უგდებდა, თავისს ამხანაგებსაც ხელს უშლიდა. შინ ხომ წიგნი თვალის დასანახავად ეჯავრებოდა და სულ თამაშობასა და ეშმაკობაში იყო გართული. ბევრი ღონის-ძიება იხმარეს მასწავლებლებმა და მშობლებმა, მაგრამ ვერას გახდნენ, ჭკუაზედ ვერ მოიყვანეს, სწავლა ვერ შეაყვარეს. საქმე იქამდინ მივიდა, რომ დღეს თუ ხვალ სკოლიდგან უნდა გამოერიცხათ.

მართხელ ხანდროს სახლთან მივიდა ერთი სრულიად უცნობი მათხოვარა. ხანდრო თუმცა ზარმაცი იყო, მაგრამ გული კი კეთილი ჰქონდა. ხანდრომ მთხოვარას მაშინვე პური გამოუბრუნინა და რამდენიმე ფულიც აჩუქა, თან კიდევ გამოელაპარაკა.

— ბიძია, განა სხვებსავით მუშაობა არ შეგიძლიან? ხელი არ გაკლია და ფეხი; სიბერე შენზედ ჯერ შორს არის



და ჯანთაც არა გიშავს რა. რად წანწალებ და რად დათხო-  
ულობ? ჰკითხა სანდრომ მათხოვარასა.

— რადგანაც მოწყალება უხვად გაიმეტე, მართალს გეტ-  
ყვი, უპასუხა მთხოვარამა. მეც პატარაობისას შენსავით სკო-  
ლაში ვსწავლობდი; ჩემი დედ-მამა არას იშურებდა, რომ სწავ-  
ლა გამეთავებინა და კარგი კაცი გამოვსულვიყავ. მაგრამ ჩამიჯ-  
და თავში რაღაცა ეშმაკი და სწავლაზედ გული ამაცრუებინა,  
ჯათა შემაძულა, ეშმაკობა და ცუდაობა შემაყვარა. საშინელი  
სიზარმაცე ჩვეულებად და სენად გადამექცა და ბოლოს სკო-  
ლიდგანაც გამომრიცხეს. მალე დედ-მამაც დამეხოცა და დავრ-  
ჩი ობლად. სკოლაში სიზარმაცეს მიჩვეულს, ხელის განძრევაც  
მეძნელებოდა, გარჯილობა მძულდა, ვერა საქმეს ველარ მო-  
ვეკიდე. ლავარდი, დავუძღურდი და ლუკმა პური მენატრე-  
ბოდა. ავდექ, დავიწყე მათხოვრობა და იმ დღიდგან აქამომდე  
ძაღლსავით დავწანწალებ და მოწყალებით ვცხოვრობ. — სთქვა  
ეს გლახამ და სწრაფად გაშორდა სანდროსა.

ზლახის სიტყვები სანდროს გულს ელდასავით ეცა და  
ეს ელდა უებარ წამლად გაუხდა მის სიზარმაცესა. ამ დღიდ-  
გან სანდრო სრულიად სხვა ბავშვად გადაიქცა. სიზარმაცე,  
უსაქმობა და ეშმაკობა კირივით შეიძულა, ბეჯითობა კი სუ-  
ლითა და გულით შეიყვარა. ღლე და ღამ სულ სწავლაში  
იყო გართული და ძილშიაც კი ვაკვეთილებს იმეორებდა.  
ღედ-მამა ძალის-ძალად გაურევდა ხოლმე მოთამაშე ყმაწვი-  
ლებში, რომ მეტი მეცადინეობით ავად არ გამხდარიყო.

სანდრომ ბოლოს სწავლა ჩინებულად დაამთავრა და ცხო-  
ვრებაში დაიმსახურა მხნე და სასარგებლო მოღვაწის სახელი.

### სამხატვრო სიკეთე.

ზლახმა ფრინველებს დიდი მახე დაუგო. ამ მახეში არ-  
წივი გაება. არწივი ახალგაზრდა და მეტად ლამაზი იყო.  
ზლახმა სასიკვდილოდ ვერ გამოიმეტა და გაუშვა.

მრთხელ ეს გლეხი თავისი ძველის სახლის კედელთან იჯდა. ღიდი ქარი ქროდა. ძველი ის იყო უნდა გადმონგრეულიყო და პატრონი ქვეშ მოეტანა. ზღების ბედად, სწორედ ის არწივი მალლა ცაში დაფრინავდა. თვალი მოჰკრა ამ ხიფათსა, ისარივით დაეშვა ძირსა გლეხისაკენ, მოსტაცა ქუდი კლანჭებითა და გაფრინდა მიწის პირად, დაბლა, დაბლა. ზღები წამოვარდა და უკან დაედევნა. სახლს რო კარგად მოშორდნენ, არწივმა ქუდს კლანჭები უშვა და მალლა-მალლა წავიდა. ზღებმა აიღო თავისი ქუდი, დაიხურა და სახლისაკენ გამოეშურა. მაგრამ დახე მის გაოცებასა: როცა სახლთან მივიდა, კედელი გადმოქცეული დახვდა. ზღები შიხვდა, რომ მადლიერმა არწივმა ის ხიფათს გადაარჩინა, ზამაგიერო სიკეთე გადაუხადა.


### ღარბგება ვაშლის მიერ.

ჰანოს ცუდი ყოფა-ქცევის ბიჭებთან ჰქონდა ამხანაგობა. ღედ-მამა ძლიერ უშლიდა; მაგრამ ჰანო ურჩობდა, არ უგონებდა და ხშირად ატარებდა დროს თავისს უზნეო ამხანაგებთან.

ჰანოს დედას ერთი კალათა ვაშლი ჰქონდა შენახული საზამთროდ. ვაშლები დაბეჩილი ჩაეწყო და სულ ერთიანად დამპალიყო. მრთხელ დედამ მიიყვანა ჰანო ამ დამპალ ვაშლებთან და მათ შუა საკუთარი ხელით ჩაადებინა მას ერთი სისხლივით წითელი და სრულიად საღი ვაშლი. „აბა ვნახოთ, რა დამართება ამ ვაშლსაო,“ უთხრა დედამა.

ზავიდა ერთი კვირა. ღედამ ხელ-მეორედ მიიყვანა ჰანო კალათასთან და უთხრა: „აბა ამოიღე შენი ჩადებული ლამაზი ვაშლიო.“ ჰანომ ამოიღო და ძლივს-ღა იცნო: ვაშლი თითქმის სულ ჩამპალიყო და ჩაშავებულიყო.

— ხედავ, რა მოსვლია ამ საღსა და ლამაზს ვაშლსა? ღახედე და ქკუა ისწავლე! იცი, რას გეუბნება ეს უდროოდ დამპალი ვაშლი? რაც მე დამმართეს დამპალმა ვაშლებმა,



იმას შენ დაგმართებენ გაფუჭებული, უზნეო ამხანაგებო-  
 ნითი ცუდი ყოფა-ქცევა და გარყვნილობა შენს ცვაღმორგედე-  
 ბა და ისე გაფუჭდები და დაილუპები, როგორც მე წავხდი  
 და დავლბიო. — ეს სიტყვები ღრმად მოხვდა გულში შანოს და  
 ჩააფიქრა. ამ დღიდგან იგი თავისს უწინდელს ამხანაგებს კი-  
 რივით ერიდებოდა და შორი-ახლოც აღარ იკარებდა მათ.

### მკერზავი გოგოცუნების სიმღერა.

ღროს ნულარ ვჰკარგავთ, სწორებო,  
 მზემ ცაში იწყო ნავარდი,  
 ღილის ნიავმა გაფურჩქნა  
 ცისფერი ია და ვარდი.  
 ხელ-საქმეს ხელი მოგვიდოთ,  
 ტკბილად დავმღეროთ ერთიცა;  
 შრომისთვის კაცი დაგვლოცავს  
 და მოგვიწონებს ღმერთიცა.  
 შრომა ახარებს კაცის გულს  
 და ავარჯიშებს ღონესა,  
 უქონელსა სძენს ქონებას,  
 მეტს აძლევს ცოტას მქონესა.

საქმეს შევეუდგეთ, სწორებო,  
 ხელი-ხელ გადახვეულნი,  
 სწავლისთვის, მარტო სწავლისთვის  
 შართ აქ ყველანი მოსულნი.  
 შინც რომ შრომაში, სწავლაში  
 ბეჯითია და ვარგია,  
 იგი ყველასთან ყოველთვის  
 ამხანაგადაც კარგია. —  
 ძეთილი საქმე ყოველთვის  
 შავ-სიღარიბის მტერია:  
 შინც წმინდა საქმეს ჯანს ახმარს,  
 შველა მის მაღლიერია.

### გულკეთილი ქვრივი.

მართს სოფელში სცხოვრებდა ერთი ღარიბი და ღეთის-  
 ნიერი ქვრივი. შვილად ჰყავდა ერთი შვიდი წლის ვაჟი. ამ  
 ქვრივს ღრმადა ჰქონდა გულში ჩასახული უფლის მცნება:  
 „გიყვარდეთ მტერნი თქვენნიო.“ ამიტომ ბოროტისათვის ბო-  
 როტს არას ღროს არ უზამდა ადამიანსა, პირ-იქით სცდი-  
 ლობდა სიკეთე ექმნა და ამ გზით მტერი მოყვარედ გარდა-  
 ვქცია.

ამ ქვრივს ერთხელ დათესილი ჰქონდა ნახევარ-ღლის  
 მიწა სიმინდით და წლის სარჩოს აქედგან მოელოდა. მთელის  
 სოფლის არემარეხედ სდიოდა მხოლოდ ერთი პატარა რუ-  
 ამით რწყავდნენ სოფლელები რიგ-რიგით ბოსტნებსაც, ვენა-

ხეზსაცა და სიმინდებსაცა. როცა ქვრივის ჯერი მოვიდა, მერუეებმა მისცეს წყალი მხოლოდ ერთი ღამით სიმინდის მისარწყავად. ქვრივმა შვილის დახმარებით საღამო ჟამსელ სიმინდში წყალი ჩაუგდო, კარგად დაუნაკაღლა და როცა ხშირი ბინდი დადგა, შინ ჩამოვიდა. სრული იმედი ჰქონდა, რომ იმისი სიმინდი იმ ღამეს მთლად მოიწყვეებოდა. მაგრამ მეზობელმა, გამოიტყუილა თუ არა ქვრივი შინ, გადუგდო მის სიმინდიდან წყალი და მთელი ღამე თავისი სიმინდი რწყა. ქვრივის სიმინდი დარჩა მოურწყავი, გახმა და მოსავალი მოუცდა.

შავიდა რამდენიმე ხანი. ქვრივის მეზობელს ყმაწვილი ცოლი ძლიერ ავად გაუხდა სახადითა. სოფლელებს ეშინოდათ გადამდები ავადმყოფობისა და ყველანი ერიდებოდნენ. ავადმყოფს შინაც არავინა ჰყავდა მომვლელი და ამიტომ იმისი მორჩენა ძლიერ ძნელი იყო. ქვრივმა რომ ეს შეიტყო, თავისი ვაჟი ნათესავებში გაგზავნა, ახსენა ღმერთი და მეზობლისას მივიდა ავადმყოფის მოსაველეად. რამდენიმე კვირის განმავლობაში ქვრივი ისე უვლიდა სახადიანსა, როგორც ღვიძლი დედა და თავისს თავს მოსვენებას არ აძლევდა არც დღე და არც ღამე. ავადმყოფის ქმარს სირცხვილი სწვავდა, სინიდისი სტანჯავდა და თვალის გასწორებაც ქვრივისათვის ვერ გაებდნა. ბოლოს, როგორც იყო, ავადმყოფი გამობრუნდა და სახადისაგან სრულიად განთავისუფლდა.

როცა ქვრივი, მეზობელმა სიმინდი მოსჭრა და გაარჩია, ნახევარი მოსავალი მიუტანა ქვრივსა, ბოდიში მოსთხოვა თავისს შეცოდებაზედ და დიდი ვედრებით სთხოვა, სიმინდი მიეღო მისგანა. ამ დღიდან მეზობელი ბოროტს ერიდებოდა და სკდილობდა მტრობისათვისაც მტრობა არ ექმნა და სიკეთით მტერი მეგობრად გაეხადნა.



### ვედრება შვილებზე.

ბუდეზე მსხდომი ჩიტები ბარტყების ცქერით მათს სიცოცხლესა, გაზრდასა შუალსა ვევედრებიან.

— ღმერთო, გვიცოცხლე სამივე, მტრისაგან დაგვიფარეო, არ დაგვრჩეს ობლად ეს ბუდე და ჩვენი ტურფა მხარეო. ჩახუტებულებს ზედ სხივი ციური მოაფინეო, და სიყვარული, ზამჩენო, მარადის შეარჩინეო.

### ჭორის მსხვერპლნი. (იგავ-არაკი).

არწივმა მაღალს მუხაზედ ბუდე გაიკეთა და გამოჩიკა პატარა ბარტყები. იმავე ხის ქვეშ ბუნაგი გაიკეთა გარეულმა ღორმა და დაყარა გოკები. არწივი ყოველ დღე დაჰქროლავდა სანადიროდ და საქმელს უზიდავდა თავისს ბარტყებსა. ღორი სჩიქნიდა მიწას ხის გარშემო, დადიოდა ტყეში და საღამოობით მოჰქონდა თავისი გოკებისათვის საქმელი. სცხოვრებდნენ ასე მშვიდობიანად ორნი მეზობელნი.

ბატამ მოინდომა დაეღუბა ორივე სახლობა თავისს სასარგებლოდ და ქორიკანაობა იხმარა ხერხად. წარსდგა არწივის წინ და მოახსენა: შენ, არწივო, სიფრთხილე გმართებს, შორს ნუ მიღიხარ: თვალი ადევნე შენს მტერს ღორსა, მას ცუდი საქმე მოუწადინია: უნდა ხეს ძირი გამოუთხაროს, წამოაქციოს და ბარტყები დაგიქამოსო. მერმე წავიდა ღორთან და უთხრა: შენ ძლიერ საშიში მეზობელი გყავს; გუშინ უცაბედად ყური მოვკარი იმის სიტყვებსა; არწივი ეუბნებოდა თავისს ბარტყებს: არხეინად იყავით, შეიღებო, ხვალ გავიტყუებ თუ არა ტყეში ღორსა, დავავლებ კლანჭებს ერთს იმის გოქსა და საუზმედ ამოვირბენინებთო.

ზასკრა კატის კორმა. არწივს შიში მიეცა ღორისა, ღორს არწივისა. ვეღარც ერთი ანებებდა თავს ბინასა, ვეღარც მეორე, და ერთმანეთის დარაჯობაში აღამებდნენ დღეებსა. ღარჩნენ უსაქმლოდ ბარტყებიცა და გოკებიც და მალე დაიხოცნენ.

მატასაც ეს უნდოდა; გადმოაგდებდნენ თუ არა მკვლარს ბარ-  
ტყსა, ან გოქს, ის მაშინვე მივარდებოდა და შეახრამუნებდა.  
მართი შეილი აღარ შერჩათ უბედურს არწივსა და ღორსა.  
მეკორე კატამ კი მუსცელიც გაიძლო და ქონიც ბევრი მიიკრა.

### მოუთმენლობის მსხვერპლი.

შკათათვის საღამო იყო. სამი დაქანცული მომკალი, წელს უკან ნამგალ-გარკობილი, სოფელში შემოვიდა მინდვრი-  
დან და გაეშურა ცივი წყაროსკენ, რომელიც დიდ-ნაკადულად  
ამოიხუხუხებდა შიგ შუა სოფელში. პირველი მომკალი, გან-  
თქმული მკაში, მოუთმენლად გაექანა, მივარდა წყაროსთანა,  
დაემხო პირქვე, დაეწაფა და დიდხანს სვა ყინულივით ცივი  
წყაროს წყალი. მერმე აღგა და იქვე წყაროს თავზედ წამო-  
წვა. მეორემაც სწორედ ამ სახითვე იჯერა გული წყაროს  
წყლითა; მაგრამ არ დაჯდა კი, წყაროს თავზედ დაიწყო  
სიარული, თუმცა ძლიერ დაღალული იყო. მესამემ წყურვილ-  
სა სძლია, ჯერ კარგა ხანი დაისვენა და ბოლოს მადლრად  
დალია წყალი. პირველს მომკალს იმავე ღამეს ფილტვების  
ანთება დაემართა და მალე თან გადაიტანა. მეორე ცოტა უქეი-  
ფოდ შეიქმნა და მესამეს კი არა ვნებია-რა...

აბა, მიხვდით, რად აწყინა ცივმა წყალმა პირველს  
მომკალს ძლიერა, მეორეს ცოტათი და რად შეერგო იგი  
მესამესა? რა დარიგებას გვაძლევს ეს შემთხვევა?

### მატეუარას გამოაშკარავება.

მართმა ქვრივმა თავისი თავი მკითხვად გამოაცხადა:  
„მეო“, ამბობდა, ყველაფერი ვიცი: ისიც, რაც გადახდენია  
ადამიანსა, ისიც, რაც ახლა მის თავს არის, და ისიც, რაც  
შემდგეში მოეღოსო. მართი სიტყვით, სრულს ცოდნას იკვე-  
ხიდა წარსულისას, აწმდგომისა და მომავლისასა. ხალხს  
სჯეროდა მკითხვის სიტყვები და ბაწარ-აღებით მიდიოდა

მასთან, მიჰქონდა ფული, ხორაგეულობა და აკითხვინებდა. შდიდრდებოდა მკითხავი, ზარალობდა ხალხი, შეგნებულნი აღამიანები ეუბნებოდნენ ხალხსა: ნუ დადიხართ მაგ მატყუარასთან, ნუ იხარჯებით, არაფერი არ გაეგება და არაფრის შეტყობა არ შეუძლიაო. მაგრამ ხალხი არ უჯერებდა და მუდამ ფუსფუსი გაჰქონდა მკითხავის კარებზედა.

მრთს ღამეს მკითხავის სახლს ბუხრიდან ცეცხლი წაეკიდა და ისე სწრაფად გაძლიერდა, რომ მკითხავიც ცოტას გაწყდა შიგ არ დაიხრაკა, ძლივ-ძლიობით გამოასწრო გარეთა. სახლი მთლად ჩაიბუგა.

„აქი ყველაფერი იცოდი, ქალბატონო, რატომ წინად არ შეიტყე, რომ შენს სახლს ცეცხლი გაუჩნდებოდა? აი, შე მატყუარა, შენა! ახია შენზედ ეგ ცეცხლი. ჰე, გექცა თუ არა ნაცრად არმობით შეძენილი ქონება!“ ეუბნებოდნენ აქეთიქიდან მოტყუებულნი.

### უდიერნი ბატონის მოწაჯულება (იგავ-არაკი).

მინდორში ამადლებული იყო ბეგობი. ამ ბეგობში ქიან-ქველებს ბუდე ჰქონდათ. იმავე მინდორში სპილო სძოვდა. სპილო მიუახლოვდა ქიანქველების ბუდეს, უნდა ფეხი დაედგა და დაენგრია. ჰიანქველები მოეგებნენ წინ სპილოსა და შეეხვეწნენ: „დიდო ბატონო, ღმერთი გადღეგრძელებს, გზა აგვიქციე, ბუდეს ნუ დაგვინგრევ, ჩვენსა და ჩვენის შვილების ცოდოში ნუ ჩასდგებიო.“

სპილომ გულქვაობა გამოიჩინა, ყური არ ათხოვა ქიან-ქველების ვედრებას და სთქვა: „რად უნდა შევისმინო ამათი თხოვნა, ერთი წიწკნანი არიან, სამაგიეროს გადახდა არ შეუძლიანთ, ისევ ისა სჯობია, ჩემი ძალა მათზედ გამოვიჩინო.“ ღაადგა თავისი ტლანქი ფეხები ქიანქველების ბუდეს და ჩაუნგრია.

ჭიანჭველები საშინლად გაბრაზდნენ სპილოზე და სამაგიეროს გადახდას შეუდგნენ. მიხევივნენ, აუტოტდნენ ტანზედ ფეხებიდან, ზოგი ყურში შეუძვრა, ზოგი ცხვირში, ზოგი პირში და დაუწყეს უწყალოდ კბენა.

სპილო ბევრს ეცადა, როგორმე მოეშორებინა თავიდგან თავისი მწვალელები, მაგრამ ვერას გზით ვერ მოახერხა. ჭიანჭველები, რაც ძალი და ღონე ჰქონდათ, ჰკბენდნენ და ჰკბენდნენ სპილოსა ნახს ადგილებში, არც ღლისით და არც ლამით მოსვენებას არ აძლევდნენ. სპილომ ახლა კი ცხადად დაინახა, რომ პატარა სულიერებსაც შესძლებიათ სამაგიეროს გადახდა, ბევრი ინანა, რად ვუმტრე ჭიანჭველებსაო; მაგრამ გვიანლა იყო.

ჭიანჭველები თავისას არ იშლიდნენ და შეუსვენებლივ საშინლად სტანჯავდნენ სპილოსა. დაუსრულებელმა სიმწარემ, რამდენისამე ღლის მოუსვენრობამ მთლად გადარია სპილო, აღარ იცოდა, რა ექმნა, გიჟივით დარბოდა უგზო-უკვლოდ და კლდეზედ გადავარდნა ელოდა.

მაშინ სპილომ იკადრა თავის მომდაბლება, დაუჩოქა ჭიანჭველებსა და შეევედრა მათ დიდითა ვედრებითა: „ოღონდ ეხლა კი მაპატიეთ და გეფიცებით, რომ ჩემს სიცოცხლეში იოტის ოდენას აღარას გაწყენინებთო.“

ჭიანჭველებმა უპასუხეს: „კარგი, სასჯელათ მაგ ტანჯვას გაკმარებთ, შენსავით გულქვაობას არ გამოვიჩინთ, შეგიბრალებთ და გაპატივებთ, მხოლოდ ამ პირობით: დღეის შემდეგ შენ აღარ უნდა გაბედო არამც თუ ჩვენი წყენა, არამედ არაფერი არ უნდა დაუშაო სხვასაც, მეტადრე პატარასა და სუსტსაო.“

სპილომ ხელმეორედ შეჰფიცა და თავდებად მისცა მალლაცა და ძირს დედა-მიწა.

მაშინ გამარჯვებული ჭიანჭველები დაეხსნენ სპილოსა, ჩამოვიდნენ ძირსა და მხიარულად წავიდნენ ახალის ბუდის ასაშენებლად. ჭიანჭველებს ისე თავისი ძალის გამოჩენა

უხარმაზარ სპილოზედ არ უხაროდათ, როგორც ისა, რომ  
 სულგრძელობით და გულკეთილობით აჯობეს მასწავლებელი  
 იმ დღის შემდეგ სპილო შეიქმნა მეტად მომთმენი, სულ-  
 გრძელი, მშვიდი და უწყინარი ცხოველი.

### მებადურის შვილი.

იყო ერთი მებადური. ჰყავდა ერთი ვაჟიშვილი. წავიდა  
 სათევზაოდ და თან თავისი ვაჟი წაიყვანა. შივიდა დიდს მდი-



ნარესთან, ახსენა ღმერთი და გადაისროლა წყალში ბადე თა-  
 ვის ვაჟის ბედზედ. თევზი იმდენი მოხვდა ბადეს, რომ ნა-  
 პირს ძლივსღა გამოათრია. ბადახადა ბადეს და ნახა, რომ  
 იმდენს უთვალავს თევზში ერთი სისხლივით წითელი და მე-  
 ტად ლამაზი თევზი ურევია. მებადურმა უთხრა თავის შვილს:  
 „მე წავალ შინ, ურემს მოვიტან თევზების წასაღებად და მა-  
 ნამდინ აქ ყური კარგად უგდე, მეტადრე უფრთხილდი ამ წი-  
 თელს თევზსაო.“

მებადური რო შინ წავიდა, ყმაწვილმა აიყვანა წითელი  
 თევზი, ბევრი სინჯა, ეაღერსა და ბოლოს სთქვა: „ცოდვა  
 არ არის ამისთანა მშვენიერი თევზის სიკვდილი! შოდი ისევ

გავეშვებო.“ ადგა და თევზი წყალში გაუშვა. მაშინ თევ-  
ზი მიუბრუნდა ყმაწვილს, მადლობა გადაუხადა, <sup>მადლობა</sup>  
ფრთიდან ფხა და უთხრა: „რადგან მაგისტანა სიკეთე მიყა-  
ვი, აი ეს ჩემი ფხა შენთვის მომიცია; როცა ძლიერ გაგი-  
ქირდეს, მოდი წყლის პირას, ეს ფხა უბიდგან ამოიღე, ჩემი  
სახელი ახსენე, მაშინვე შენთან დავიბადები და უთუოდ გი-



შველიო.“ შემაწვილმა ფხა გამოართვა და უბეში ჩაიდო. თევ-  
ზმა მხიარულად გადაიქნია ბოლო და შესრიალდა წყალში.  
მივიდა მებადური, შეიტყო წითელი თევზის გაშვება, საშინ-  
ლად გაუჯავრდა შეილსა და უთხრა: „წადი, დაიკარგე, ჩემს  
სიცოცხლეში თვალით აღარ დამენახო.“


წავიდა ყმაწვილი. მიდის გზასა. მართი ცენახოთ, დაქან-  
ცული ირემი მორბის და უკან მოსდევენ ძაღლები და მონა-  
დირეები. შეეცოდა ყმაწვილს ირემი, გაექანა, მოავლო რქაში  
ხელი, დაიქირა და მონადირეებს უთხრა: „არა გრცხვენიანთ,  
ჩემს გაშინაურებულს ირემს დასდევთ დასაქერადო?“ მონადი-  
რეებს ეგონათ, ირემი მართლა შინაური იყო, თავი დაანებეს და  
წავიდნენ. როცა კარგად მოშორდნენ, ყმაწვილმა გაუშვა ირემი.  
ირემმა გამოიძრო ბალანი, მისცა ყმაწვილსა და უთხრა:

„რახან მაგისტანა სიკეთე მიყავი, აი ეს ჩემი ბალანი შენტვის მომიცია; როცა ძალიან ვაგვიქირდეს, ამოიღე, ჩემი მასხელი



ახსენე, იმ წამსვე შენტან დავიბადები და გიშველიო.“ შმაწვილმა ბალანი უბეში ჩაიდო და გასწია.

ბევრი იარა, თუ ცოტა იარა, დაინახა, რომ დაქანცულს წეროს მისდევს არწივი და, ის არის, უნდა დაიქიროს. შეეცოდა ყმაწვილს წერო, გაექანა, ესროლა კომბალი არწივს,



შეაშინა, გააფრთხო და გააშვებინა წერო. როცა წერომ სული მოიბრუნა, გამოიძრო ერთი ფრთა, მისცა ყმაწვილსა და უთხრა: „რადგანაც მაგისტანა სიკეთე მიყავი, აი ეს ფრთა

შენთვის მომიცია; როცა გაგიქირდეს, გამოდი მინდვრად ამოიღე ფრთა, ჩემი სახელი ახსენე, მაშინვე შენთან დავიბადები და გიშველიო.“ შმაწვილმა ფრთა უბეში ჩაიღო და გასწია.

ბალოს ნახა, რომ მწვერებს გამოუგლიათ წინ მელია, საშინლად დაუღალავთ და ის არის უნდა დაიქირონ. შეეცოდა ყმაწვილს მელია, ჩოხის კალთა აიხადა და მელია ქვეშ



დამალა. როცა მწვერები მოშორდნენ, ყმაწვილმა გაუშვა მელია. მელიამ ბალანი გამოიძრო, მისცა და უთხრა: „რახან მაგისთანა სიკეთე მიყავი, ეს ჩემი ბალანი შენა გქონდეს: როცა გაგიქირდეს, ამოიღე, ჩემი სახელი ახსენე, იმ წამსვე შენთან დავიბადები და გიშველიო.“ შმაწვილმა ბალანი უბეში ჩაიღო და გასწია.

ბევრი იარა, თუ ცოტა იარა, მივიდა ყმაწვილი ერთს ციხესთან. ამ ციხეში სცხოვრობდა ერთი მზეთ-უნახავი ქალი. ძმრად ის უნდა შეერთო, ვინც ამ ქალს ისე დაემალებოდა, რომ ვერ იპოვიდა. ზამოეცხადა ამ ქალს ყმაწვილი. ჰკითხა ქალმა ყმაწვილს: „რად მოსულხარო?“ — ცოლად მინდა შეგიერთო, მიუგო ყმაწვილმა. ქალმა უთხრა: „თუ ისეთ ადგილას დამემალები, რომ ვერ გიპოვნო, შენი ცოლი გავხდები და

თუ გიპოვნე, სამუდამოდ საპრობილეში ჩაგსვამო.“ შმაწვილ-  
მა უთხრა: კარგი, ოღონდ კი ოთხჯერ დამალვის ნება მომე-  
ციო. შალი დასთანხმდა.

შმაწვილი გამოვიდა ციხიდან, მივიდა წყლის პირას,  
ამოიღო თევზის ფხა და ახსენა წითელი თევზი. თევზი იმ



წამსვე ყმაწვილთან დაიბადა, მიესალმა და ჰკითხა: „რა გაგ-  
ქირვებია, ჩემო კარგო მეგობარო?“ შმაწვილმა უთხრა:  
„ასე და ასეა ჩემი საქმე და ისეთ ადგილას უნდა დამმალო,  
რომ ეშმაკმაც ვერ მიპოვნოსო.“ თევზმა შეისვა ყმაწვი-  
ლი ზურგზე, სწრაფად ჩაარბენინა შიგ ზღვის ძირში, ჩასვა  
ერთს ამოღრუტუნულს ფოსოში და ზევიდგანაც თვითონ გა-  
დაეფარა. შალმა ჩაიხედა თავისს სარკეში, ბევრი იცქირა და  
ბოლოს ყმაწვილს თვალი მოჰკრა უძირო ზღვაში. შალს ძა-  
ლიან გაუკვირდა: „თქვენი ჰირიმე, ეს რა ეშმაკი ვინმე ყო-  
ფილაო!“ მეორე დღეს ყმაწვილი თამამად გამოეცხადა ქალს.

ქალმა უთხრა: „ტყუილად თამამობ, კარგად დაგინახე, ზღვის ძირში რომ იჯექი და ზემოდან წითელი თევზი გეფარათ.“  
ზანცვიფრდა ყმაწვილი: „გენაცვა, დედავ, ეს რა თვალსაზრის-  
ცი ვინმე ყოფილაო!“

შმაწვილი გამოვიდა და კიდევ წავიდა დასამალავად.  
გავიდა მინდორს, ამოიღო ირმის ბალანი და ახსენა ირემი.



ირემი იმ წამსვე ყმაწვილთან დაიბადა, მიესალმა და ჰკითხა:  
„რა გაგქირვებია, ჩემო გულითაღო მეგობაროო?“ შმაწვილმა  
უთხრა: „ასე და ასეა ჩემი საქმე და ისეთს ადგილას უნდა  
დამბალო, რომ ეშმაკმაც ვერ მიპოვნოსო.“ ირემმა შეისვა  
ყმაწვილი ზურგზედ, ქარივით გააქანა, ცხრა მთას იქით გა-  
დაიყვანა, ერთს გამოქვაბულში შესვა და თვითონაც ზედ  
მიეფარა. ქალმა ჩაიხედა თავისს სარკეში, ბევრი იცქირა და  
ბოლოს ძლივს მოჰკრა თვალი დამალულს ყმაწვილსა. შეორე  
დღეს ყმაწვილი თამამად გამოეცხადა ქალსა. ქალმა უთხრა:  
„ტყუილად თამამობ, კარგად დაგინახე, ცხრა მთას იქით  
გამოქვაბულში რომ იყავი შემაღული და ირემი გეფარაო.“

ბანცვიფრდა კიდევ უფრო მომეტებულად ყმაწვილი და კიდევ შეშინდა.

ბამოვიდა ყმაწვილი ციხიდგან და მესამედ წავიდა დასამალავად. ტრიალს მინდორზედ ამოიღო ფრთა და ახსენა




წეროს სახელი. წერო მაშინვე ყმაწვილთან დაიბადა, მიესალმა და ჰკითხა: „რა გაგკირვებია, ჩემო კარგო მეგობარო?“ შმაწვილმა უთხრა: „ჩემის განსაცდელის დღეც ეს არის, ისეთს ადგილას უნდა

დამმალო, რომ ეშმაკმაც ვერ მიპოვნოსო.“ წერომ შეისვა ზურგზედ ყმაწვილი, აფრინდა, წავიდა მაღლა მაღლა, ლურჯს ცაზედ მიაკრა ყმაწვილი და ქვევიდგან ამოეფარა. ჭალმა ამოიღო სარკე, გაიხედა ოთხივ-კუთხივ, ვერ იპოვნა და შეფიქრიანდა. ზოლოს მაღლა აიხედა სარკითა და დაინახა ცაზედ მიკრული ყმაწვილი. ზაუკვირდა მეტად ქალს: „ეს რა ქაჯი ვინმე ყოფილა, თქვენი ჭირიმეო!“ მეორე დღეს ყმაწვილი თამამად გამოცხადდა. ჭალმა უთხრა: „ტყუილად თამამობ, კარგად დაგინახე, ცას რომ მიჰკროდი და ქვევიდგან წერო გეფარაო.“ შმაწვილი უწინდელზედ უფრო განცვიფრდა და ძალიანაც შეშინდა: „ვაიმე, მეოთხეჯერაც რომ მიპოვოს, ხომ დავიღუპებიო.“ ბამოვიდა ციხიდგან ხელ-ახლად დასამალავად.

შმაწვილი გავიდა მინდვრად, ამოიღო მელიის ბალანი და ახსენა მელია. მელია მაშინვე ყმაწვილთან დაიბადა, მიესალმა და ჰკითხა: „რა გაგკირვებია, ჩემო გულითაღო მეგობარო?“ — „ასე და ასეა ჩემი საქმე და ისეთს ალაგას უნდა დამმალო, რომ იმ თვალთმაქცმა ქალმა ვერ მიპოვნოს, თორემ თუ მიპოვნა, სამუდამოდ საპყრობილეში ჩამსვამსო.“ მელიამ უთხრა: „ნუ გეშინიან, ოლონდ ორის კვირის ვადა სთხოვე

ქალსა და ისეთს ადგილას დაგმაღავ, რომ თუნდა ძებნიდაც



მოკვდეს, ვერა და ვერა სო.“ შმაწვილმა გამოს-  
თხოვა ორის კვირის  
ვადა. მელია წავიდა,  
ერთის მთის ძირიღვან  
დაიწყო მიწის თხრა და  
სორო მიიტანა სწორედ  
იმ ტახტ ქვეშ, რომელ-

ზედაც ქალი იჯდა. შეაძვრინა შიგ ყმაწვილი, ატარა სორო-  
სორო და სწორედ ქალის ტახტ ქვეშ ამოსვა მიწაში.

ძალმა ჩაიხედა სარკეში და ბევრი ათვალიერა ყმაწვილი:  
ხან აღმოსავლეთისკენ იხედა, ხან დასავლეთისკენ, ხან სამ-  
ხრეთისკენ, ხან ჩრდილოეთისკენ, ხან ცაში იცქირა, ხან



ზღვაში სძებნა, მაგრამ  
ტყუილად, თვალი ვერსად  
მოჰკრა. ბოლოს დაიძახა:  
„სადა ხარ, შე ქაჯო, გამო-  
ჩნდი, ველარ დაგინახეო?“  
შმაწვილმა ქვევიღვან ხმა  
გასცა და ტახტის ქვეში-  
ღვან გამოძვრა. ღარჩა  
ქალი ნაჯობნი და ყმაწვი-  
ლი იქმნა გამარჯვებული.

მეორე მესამე დღეს  
ისეთი მშვენიერი ქორწილი გამართეს, რომ ჩიტის რძეც კი  
ბევრი ჰქონდათ.

ძორწილის შემდეგ ყმაწვილმა გაგზავნა კაცები თავისს  
დედმამასთან, მოაყვანინა თავისთან და ერთად იცხოვრეს  
ტბილად სიკვდილამდე.



## სიკეთის უკუდავება.

საქართველოდან რომ აღმოსავლეთისაკენ წახვიდე და პირდაპირ დიდხანს იარო, ბოლოს მიხვალ ერთს დიდს ქვეყანაში, რომელსაც ჩინეთი ჰქვია. ძველის-ძველს დროში ჩინეთში მეფობდა ერთი კაცთმოყვარე მეფე. მას ჰყავდა ცოლი, სახელად სილინჩი. მეფეს ძლიერ უყვარდა დედოფალი და მონატური იყო, რომ ის არას დროს ხალხს არ დაევიწყა და მისი სახელი უკვდავი ყოფილიყო. მეფემ იფიქრა: თუ დედოფალი ფრიად სასარგებლო რასმეს ასწავლის ხალხსა და ეს ცოდნა საშვილი-შვილოდ გადავა ერთი თაობიდან მეორეზე, იგი საუკუნოდ სათაყვანებელი შეიქნება მთელი ხალხისათვისაო. ამ მოსაზრებით მეფემ მოუყვანა დედოფალს უცხოეთიდან აბრეშუმის ქია, რომელიც იქნობამდინ ჩინეთში არ იცოდნენ, და უთხრა: შეისწავლე ამ ქიის მოვლა-მოშენება, მერმე ასწავლე ხალხსა და ის არას დროს არ დაგივიწყებს შენაო.

სილინჩი გულმოდგინედ შეუდგა აბრეშუმის ქიის შესწავლას და მოვლა-მოშენებას. იმავე თავით შენიშნა, რომ აბრეშუმის ქიას თუთის ხის ფოთოლი უყვარს. ამის გამო დარგო ბევრი თუთის ხე ბაღში. შემდეგ შენიშნა, რომ პარკის გაკეთების დროს აბრეშუმის ქია მშვენიერს წმინდა ძაფს უშვებს ტანიდანა და იმ დრომდინ ახვევს თავის გარშემო, სანამ პარკი არ დასრულდება. სილინჩიმ აილო რამდენიმე პარკი, დააღბო ცხელს წყალში, უბოვნა ყველა პარკის ძაფს თავი, შეართა და ამოახვია. ზამოვიდა მშვენიერი, ბჰყვრიალა, მაგარი ძაფი. ბოლოს მოქსოვა ამ ძაფისა ლამაზი ხელსახოცი და მთავრად ხელმწიფესა. ხელმწიფე სიხარულით ცას დაეწია. ამის შემდეგ დედოფალმა დაიწყო აბრეშუმის ქიის გამრავლება და ხალხსაც ასწავლა ეს საქმე.

მას აქეთ დღემდინ გავიდა ხუთიათასს წელიწადზე მეტი და მადლიერს ჩინელებს აქამდინ ისე ახსოვთ თავისი დედოფა-

ლი სილინჩი, თითქო ეს ამბავი გუშინ, ან გუშინ წინ მომხდარიყოს.



### დედობრივი სიყვარულის ძალა.

ნადირობიდგან მოვდიოდი ბალ-და-ბალ. ჩემ წინ ძალღი მიძუნძულედა. უცებ ძალღმა სიარულს უკლო. შეხ-აკრებით მიპარვა იწყო, თითქო ნადირის, ან ფრინველის სუნი აიღოო. ზავიხედე წინ, დავაცქერდი და ჩიტის ბარტყი დავინახე. იგი ბუდიდგან ჩამოვარდნილიყო, რადგანაც ქარი ხეებს ძალიან არხევდა, უძრავად იჯდა და ახლად ამოსული ფრთები აქეთ-იქით გადაეფოფხა უნუგეშოდ. ჩემი ძალღი მიძიმედ უახლოვდებოდა ბარტყსა.

უცებ გადმოქანდა იმავე ხიდგან ხნიერი შავ-გულ-მკერდა ბელურა და შურდულის ქვასავით ძალღის ცხვირ-წინ დაერქო. აბურძღნულმა და გაკაპასებულმა ერთი ორჯელ ისკუპა პირდაპირ დაღრენილი ძალღისაკენ. მცა მას და აფთარა თავისს შვილსა. ღედა-ჩიტს მაინც პატარა ტანი უთრთოდა შიშისაგან, პატარა ხმა გაუხრინწიანდა, ძაგძაგებდა, გული ელეოდა, მაგრამ იგი თავ-განწირული იყო შვილისათვის.

რა უშველებელ ვეშაპად უნდა სჩვენებოდა ძალღი ამ პაწია სულდგმულსა! მაგრამ ამ საშინელებამ მაინც არ შეაყენა ჩიტი, რომელიც უშიშრად იჯდა მალლა ტოტზედ. ძალღამ, ნებაზედ უფრო ღონიერმა, გადმოაქანა იგი ხიდგან.

ჩემი ტრეზორა შესდგა, უკან დაიწია. სჩანს, იმანაც აღიარა იგი ძალღა. მე დავუძახე გაშტერებულს მყეფარს და წამოვედი ბელურა ჩიტისადმი თავყვანისცემით გულ-აღვსილი.

ღიახ, ნუ გაგეცინებათ! მე მოწიწებით თავყვანისცემა ვიგრძენ იმ პაწია და თავ-განწირულის ჩიტის და მისის ფრთა-შესხმულის სიყვარულის წინაშე.

სიყვარული, ვიფიქრე მე, სიკვდილსაც და სიკვდილის შიშსაც სძლევეს. მარტო მითი, მარტო სიყვარულით მძლეობს და მოძრაობს ცხოვრება.




### ერთობის ძალა.

ერთს დროს საქართველოში ბრძანებლობდა დიდებული მეფე. მას ემორჩილებოდა ყოველი ნაწილი საქართველოსი: ძახეთი, ძართლი, იმერეთი, სამეგრელო, ზურია, სვანეთი, მესხეთი და სხვანი. ზაერთიანებული საქართველო ძლიერი სახელმწიფო იყო; მტრებზედ იყო გამარჯვებული და შინა სტკბებოდა ყოველი ბედნიერებით. მაგრამ მეფეს ფიქროჰქონდა, ვაი თუ ჩემის სიკვდილის შემდეგ ქართველებმა ერთობას უღალატონ, გაცალკევდნენ და დაუძღურდნენო. ამიტომ, სიკვდილის დრო რო მოუახლოვდა, დაიბარა დიდებული ქართველები: კახელები, ქართლები, იმერლები, მეგრელები, გურულები, რაჭველები, სვანები, აჭარლები, ჰანები, და ასეთი მაგალითით მისცა დარიგება. მოატანინა მთელი კონა შვილდისრები, მოიღო მუხლზედ, მოსწია და ბევრი ეცადა გადაეტეხა; მაგრამ ისრები ოდნავადაც ვერ მოხნიქა. მერმე გახსნა კონა და თითო თითოდ ისრები სულ მიღეწ-მოღეწა. მოუბრუნდა მაშინ ქართველებს და უთხრა: თუ ძმურად ერთად იქნებით, და ერთს პირზედ იდგებით, მტერი ისე ვერას დაგაკლებთ, როგორც მე ვერა დავაკელი რა ისრების ერთად შეკრულს კონასაო; მაგრამ თუ ძმობას და ერთობას უღალატებთ და განცალკევდებით, მაშინ მტერი ისე ადვილად მოგერევათ და დაგანიავებთ, როგორც განცალკევებული ისრები მე ადვილად დავამსხვრიეო.

### სამოსწავლო ნიშნები.

#### წ ი გ ნ ი.

თქვენ ყველას გაქვთ წიგნი და კითხულობთ. ამასთან უსათუოდ გინდათ შეიტყოთ, როგორ გაჩნდა წიგნი და რა გზით იარა, ვიდრე თქვენს ხელში ჩავარდებოდა. წაიკითხეთ შემდეგი სტრიქონები და გაიგებთ.




ნასწავლმა ქართველმა დასწერა თქვენთვის წიგნი ქალაღ-  
 ღზე და მიიტანა სტამბაში დასაბეჭდად. რად მიუტანა სტამ-  
 ბაში და რატომ არ გადააწერინა? იმიტომ, რომ წიგნი ათა-  
 სობით უნდა დაემზადებინა, და ამდენი წიგნის გადაწერა  
 ძლიერ ბევრს დროს მოითხოვდა და მეტად ძვირად დაჯდებო-  
 და. ამას გარდა ხელთნაწერი ასოები კარგად, გარკვევით არა  
 სჩანს და კითხვა ხელთნაწერისა ძლიერ გაგიძნელებოდათ.  
 სტამბა კი სწრაფად, გარკვევით და იაფად ბეჭდავს.

სტამბის პატრონი ჯერ გაურიგდა ფასში ხელთნაწერის  
 მომტანსა და მერმე იგი გადასცა ასოთ-ამწყობსა. ასოთ-ამწყობმა  
 ყოველი სიტყვა ააწყო თითბერზე ჩამოსხმულს ასოებითა;  
 სიტყვებიდგან შეადგინა სტრიქონები და სტრიქონებიდგან  
 გვერდები. როცა თაბახის ანუ თექვსმეტი გვერდის აწყობა  
 გაათავა, აწყობილი შავად აღბეჭდა ქალაღღზე და დაწერს  
 მიუტანა შეცდომების აღსანიშნად, რომელიც მას მოუვიდოდა  
 აწყობის დროსა. როცა ყველა აღნიშნული შეცდომები გაას-  
 წორა ასოთ-ამწყობმა, აწყობილი ერთიანად მიიტანა და სა-  
 ბეჭდავ მაშინაზე გამართა. შემაშინემ მელონი წაუსვა გვერდებსა,  
 მერმე ზევიდან ქალაღდი დაადო და მოუჭირა ქახრაკი. ქალაღ-  
 ღზე შავად აღბეჭდა ყოველი სიტყვა. მერმე ქალაღდი გადა-  
 ბრუნა და ახლა მეორე გვერდი დაუბეჭდა. საათში დაბეჭდა  
 ათასი თაბახი. ასე ააწყეს და ასევე დაბეჭდეს დანარჩენი თა-  
 ბახებიცა. დაბეჭდილი თაბახები სტამბიდან მიიღო წიგნების  
 დამკაზმელმა, რომელმაც იგინი დაჰკეცა, რიგზე დააწყო,  
 შეჰკერა და ბოლოს ყდაში ჩასვა. დაკაზმული წიგნები დამ-  
 წერმა მიატანინა დამკაზმელს წიგნის მალაზიებში გასასყიდად.

ვედრება პატარა კლესისა.

ბლენის პატარა ბიჭი ვარ  
 ღვთისა ამარას გდებული,  
 სინაწყლე-სილატაეში  
 ბაზრდელი დაბადებული.

შრომის შვილს მიყვარს მშობელი,  
 ღონეც მიდგია მუხლებში.  
 მეხრე ვარ: ხარი, კამეჩი  
 დამიდის მინდორ-ქალებში



მაგრამ მე მაინც არა ვარ  
 მადლიერ ჩემის თავისა;  
 მართი რამ დიდი მაკლია,  
 არა მესმის რა წიგნისა.  
 ისმინეთ, წიგნის მკოდნენო,  
 ჩემი ვედრება სიტყვავი;  
 მასწავლეთ წიგნი, მასწავლეთ,  
 მასწავლეთ წერა-კითხვავი.  
 რაც სოფლის საქმეს შეჭფერის,  
 მე ვიცი თითქმის ყველაი:

ქვერზე დადგომა, ვახის სხვლა,  
 შრამული, ოროველი,  
 მაგრამ რა არის ყველა ეს,  
 თუ კაცურ სიტყვას ვერ გაგცემ!  
 თუ სხვის გულის-თქმას ვერ ვხედავ  
 და ჩემსას ვერვის გადავსცემ.  
 მაშ ისევ თქვენა, ნასწავლნო,  
 ისმინეთ ჩემი სიტყვავი,  
 მასწავლეთ წიგნი, მასწავლეთ,  
 მასწავლეთ წერა-კითხვავი.

ქ ა ღ ა ლ დ ი .

შოველი წიგნი ქალაღზეა დაბეჭდილი. თქვენი რვეუ-  
 ლებიც ქალაღდის ფურცლებიდან არის შემდგარი; კერძო  
 წერილებსაც ფორტის ქალაღზე ვსწერთ. მართი სიტყვით,  
 ყველაფერი იწერება და იბეჭდება ქალაღზე. ახლა ვიკითხოთ,  
 თვითონ ქალაღდი როგორღა კეთდება?.

მართვარი მუშები დაიარებიან სოფლად და ქალაქად  
 კარ-და-კარ და ქუჩებში, აგროვებენ ტილოს ჩვრებსა და  
 სტენენ ტომრებში. როცა ტომრებს გააესებენ, მიაქვთ ერთს  
 დიდს სახლში, სადაც მოთავსებულია ქალაღდის ქარხანა.  
 მქარხნე ყიდულობს ამ ჩვრებს მუშებისაგან და აყრევინებს  
 დიდს ქვაბებში, რომელშიაც სდგას ნაცარ-წმენდილი. შეუკე-  
 თებენ ცეცხლს ქვაბებს და ხარშვენ ნაცარ-წმენდილში ჩვრებს  
 იქამდინ, ვიდრე თეთრი თოვლივით არ გახდიან. ზაწმენდილს  
 ჩვრებს იღებენ ამ ქვაბებიდგან, ჰყრიან სხვა ქვაბებში და დიდ-  
 ხანს კიდევ ხარშავენ. ჩვრები იშლება, ფაფას ემზავაესება და ცომად  
 იქცევა. ამ ცომში გაურევენ წებოსა და კარგად აურევენ.  
 შემდეგ ამ წებოიან ცომიდგან აკეთებენ ტყლაპივით ოთხ-  
 კუთხიან თაბახებსა. ამ თაბახებს ჯერ გაათანასწორებენ და  
 მერმე სუფთა ადგილს დააწყობენ გასაშრობად. გაშრობილს  
 თაბახებს ქარხანა გზავნის მაღაზიებში და იქ მას ყიდულობენ  
 მესტამბეები, წიგნების დამწერნი, გამომცემლები, მასწავლე-  
 ბელნი, მოსწავლენი და ყველა მსურველი.

ქალაქის ხისაგანაც აკეთებენ; ხეს ფქვილს ერთვება  
წისქვილზე, მერმე ამ ფქვილს ცომად აქცევენ ხოლო და  
ცომიდან ქალაქის თაბახებს აკეთებენ. მაგრამ ხისაგან ძლიერ  
მდარე ქალაქი გამოდის.

### კ ა რ ა ნ დ ა შ ი .

მამილო, ამისხენ, გეთაყვა: როგორ მოექცა ეს შავი და  
მზინავი ლურსმანი ხეში და გაკეთდა კარანდაში? ჰკითხა  
თავისს მამას პატარა სანდალამ, რომელსაც წინ ეყარა რამდე-  
ნიმე ნამტვრევი გამოჭრილი კარანდაშისა.

აბა კარგად დააცქერდი მაგ შავფერა ნამტვრევებსა, რასა  
ჰგვანან.

— ნახშირსა, მგონია, მამილო. — მართალი სთქვი. მაგრამ  
ნახშირი უფრო რბილია, და როცა გატეხავ, იმის ნატების  
პირები ოღრო-ჩოღროა, უსწორ-მასწორია და არა ისე სწორე,  
როგორც ამ ნატებისა. ბატებილი რკინა არ გაგიშინჯავს?  
აბა შეადარე.

მიხვდი, მიხვდი, წამოიძახა მკვირცხლმა სანდალამა. აქ  
უსათუოდ ერთად არის არეული ნახშირი და რკინა.

— ბარაქალა, რომ აგრე მალე მიხვდი, უთხრა მამამ.  
ღედა-მიწის სიღრმეში ზოგს ადგილას არეულია ერთმანეთში  
ნახშირი და რკინა, და ამ ნარევიდგან გაკეთებულა ახალი  
ნივთიერება, რომელსაც გრაფიტი ჰქვიათ. ამ გრაფიტს მიწაში  
პოულობენ, პატარ-პატარა ჩხირებათ სჭრიან, ამ ჩხირებს მერმე  
სმენ ხის ქარქაშში და კეთდება საწერი იარაღი, რომელსაც  
ჩვენ კარანდაშს ვეძახით.

### ჯერ შრომა, მერმე სტომა.

სწავლობს შიგლა, ტიტინა,  
მზემ შემოუტყვრიტინა:  
„შიგლავ, გეყოფა სწავლა,  
ახლა კარგია გავლა.

მამო, შეითამაშე,  
არვინ ეტყვის მამაშენს.“  
არა, მზეო, მზე-ქალავ,  
ჯერ გავათავო სწავლა.



მიგლამ დაიწყო წერა,  
 ჩიტმა დაუწყო მღერა:  
 „მიგლავ, გეყოფა სწავლა  
 ახლა კარგია გავლა;  
 ბამო, შეითამაშე,  
 არეინ ეტყვის მამაშენს.“  
 არა, ჩიტო მზეწვიავ,  
 მე ოსტატი მეწვიავ,  
 შენ თუ მორჩი მღერასა,  
 მაშ მეც მოვრჩე წერასა.  
 მიგლა სწავლობს გაკვეთილს,  
 არ უყურებს ბაღში ხილს,  
 ბაღიდან ალუბალი  
 ცდილობს მოსტაცოს თვალი

„მიგლავ, გეყოფა სწავლა,  
 ახლა კარგია გავლა  
 ბამო, შეითამაშე, არეინ ეტყვის მამაშენს.“  
 მორჩა სწავლას ბაღანა,  
 სწავლამ ის არ დაღალა,  
 ბამოვიდა გარეთა,  
 შესძახა მოყვარეთა:  
 შინ მეძახდით წელანა?  
 აქ მობრძანდით სულყველა.  
 მზე უცინის გიგლასა,  
 ჩიტი უგალობს მასა,  
 ალუბალი დარცხვენილს  
 აწვდის დიდს კუნწულასა.

მ ე ლ ა ნ ი.

ბაზათხულის საამო დილა იდგა. სახლის ახლო ვეებერთელა ძველი მუხა იყო ამართული. ამ მუხის ფოთლებზე დაფრინავდა პატარა ბუზის ოდენა მწერი. ამ მწერმა თავისი პაწია ხორთუმით მუხის ფოთოლი ამოღრუტნა და შიგ ჩააწყო თავისი პაწია კვერცხები. შოთლის წვენმა იწყო ცოტ-ცოტათ დენა ამ ამოღრუტნულს ფოსოში და შიგ ჩაწყობილი კვერცხები წალეკა. შოსოში ჩამდგარი წვენი გახმა, გამაგრდა და დაემსგავსა მუწუქსა ანუ გუნდასა. ამ გუნდაში მოქცეული კვერცხებიდან გამოიჩიკნენ პაწია მწერები როგორც წიწილები იჩეკებიან კვერცხებიდან, და ამოძვრნენ მაღლა. მოვიდა კაცი, მოგლიჯა ეს გუნდა და სხვა გუნდებთან ერთად შინ წაიღო. აქ იმან ეს გუნდები წყალში გახსნა, შეურია სხვა რამეებიც და დასდგა თბილს ადგილსა. ორ დღეს უკან გაკეთდა შავი სითხე, რომელსაც ჩვენ მელანს ვეძახით. ამ კაცისაგან მელანი შეიძინეს მემალაზიებმა, და ამათგან თქვენ იყიდეთ, ჩაასხით საწერლებში, აწობთ კალმებსა და სწერთ.

# საწერელი.



ქართული ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. 11

ტელ. 21111

ფაქსი 21111

საიტის მისამართი: <http://www.nlb.gov.ge>

საწერელი

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული ბიბლიოთეკის საწერელი

მართმა მექარხნემ მოინდომა საწერლების გაკეთება. ამისთვის მან აიღო წმინდა ქვიშა, დანაყა კარგად და გადურია მას კირი და გორჯილა. ეს ნარევი ჩაჰყარა ვეებერთელა თიხის ქოთანში. ქოთანი შესდგა ფეჩში, რომელიც ისე გახურებული და გაელვარებული იყო, რომ ნარევი სულ დადნა და წყალივით გახდა. მერმე ეს სითხე, კაი ხნის დუღილის შემდეგ, გადაიქცა ძარღვიან ფაფად. ამ ფაფიდან მექარხნემ ბუშტებივით დაბერა მომრგვალო შუშები და მაშით გაუკეთა ვიწრო ყელები. ამის შემდეგ დასდგა ეს მრგვალი შუშები ცალკე გასაცეებლად და გასახმობად. როცა გახმნენ, მექარხნემ მემალაზიეს შეატყობინა: ახალი საწერლები ბევრი მაქვს და თუ გინდა, იყიდეო. მემალაზიე მოვიდა, იყიდა საწერლები, მიიტანა თავის მალაზიაში და მიჰყიდა ყველას, ვისაც საწერელი ესაქიროებოდა.

## დილის ლექსი.

ნუ ზარმაცობ, აღსდგე ძილით,  
 დაიბანე პირი დილით,  
 პირუბანელს ხალხი უცქერს  
 თან ზიზღით და თან სიცილით.  
 დაირეცხე კბილი, ღრძილი,  
 მთლად გაიფრთხე ტკბილი ძილი,  
 და ილოცე, რომ შფალმან  
 შეგიყვაროს თვისი შვილი.  
 დიდხანს წოლა არას გარგებს,  
 შენს თავს ყველას შეაძაგებს;  
 სიფხიზლე და ბეჯითობა  
 ქველას შენ თავს შეაყვარებს.  
 შინც თავს აძლევს ხშირად ძილსა,  
 მერ ისწავლის გაკვეთილსა,  
 და დედ-მამაც შეიძულებს  
 იმისთანა ზარმაც შვილსა.

შინც რომ ცუდად იქცეოდეს,  
 მას ნუ ბაძვ ნურასოდეს,  
 მას შეუდეგ და მიენდე,  
 შინც სწავლობდეს და ვარგოდეს.  
 პური უგდე მასწავლებლებს,  
 როს გიხსნიან გაკვეთილებს,  
 და შფალი ხელს შეგიწყობს  
 შენ, მშრომელს და მეცადინეს.  
 შენ აღვომა დაგეზარა  
 და ვერ წახველ კლასში ჩქარა,  
 სკოლაში კი შეიკრიბნენ,  
 სწავლისათვის დაჰკრეს ზარა.  
 ნუ ზარმაცობ, აღსდგე ძილით,  
 დაიბანე პირი დილით,  
 სკოლისაკენ გაემართე  
 ხალისითა და ღიმილით.

## ღრუბელი.



ქართული  
ლიბრეოთეკა

საქართველოს  
ლიბრეოთეკა

ბავშვი ეს არის ადგა ლოგინილამ, ძილს ჯერ კიდევ არ გამოარკვევია სრულად, დილის სინათლე ეჩოთირება და წირპლიანს თვალებს კრუტავს. ამ დროს საშველად ჩნდება სველი ღრუბელი, რომელიც მოაქვს ბავშვის დედასა, უსვამს თვალებზე, უწმენდს, უგრილებს და ბავშვს სრულიად აფხიზლებს.

მოსწავლენი სხედან სკოლის ოთახში და მასწავლებელს ელიან. ხის საკლასო დაფა ერთს მოუსვენარს მოწათფეს თავით ბოლომდინ გაუვსია დაბლაჯნილი ლექსით. შინ, ან რა წაშლის დაწერილსა და გასწმენდს დაფასა? ჩნდება ისევ სველი ღრუბელი, რომელსაც მოარბენინებს მორიგე მოსწავლე, სისწრაფით უსვამს დაფასა, შლის ცარციტ დაწერილსა და სარკესავით აკარკარებს.

მოსწავლეს რომ ჰკითხო, საიდან ჩნდება ღრუბელიო, ხელს მიგიშვერს მეწვრიმალის დუქანზე, სადაც ღრუბელს ყიდულობენ. თუ მეწვრიმალეს შეეკითხე, ვისგან მოიპოვე ღრუბელიო, პასუხად გეტყვის, გემის პატრონისაგან ვიყიდეო. თუ გემის პატრონამდინ მიახწევ, შეიტყობ, რომ ღრუბელი უყიდნია ზღვის მუშისაგან. მუშა თავის რიგზე გეტყვის, რომ ის ღრუბელს ჰგლეჯს ზღვის ძირში ნაპირის ახლო და იქიდან ამოაქვს. მაშასადამე, ღრუბელი ყოფილა ზღვის შვილი. თურმე კიდევ ამიტომ არის წყლით გაუმადლარი.

როგორ ამოაქვთ მუშებს ღრუბელი ზღვის ძირიდან? იკითხავთ. აი როგორ: რამდენიმე მუშა-ამხანაგი შედის ზღვაში ნავით და ხელში უჭირავთ წყალში ჩაშვებული ძლიერ გრძელი თოკი, რომელზედაც მძიმე ქვაა მობმული. მათი მუშათაგანი სკიდებს ხელებს თოკსა, სდგება ქვაზე, რომელიც თოკზეა მიბმული, და სწრაფად ეშვება ძირს ზღვაში. რაც შეუძლიან სწრაფად გლეჯს ზღვის ძირში ღრუბლებსა და სტენს განიერს პარკში, რომელიც მიკრული აქვს ქამარზე. ზღვაში

მუშა რჩება იქამდინ, მანამ სულის შეგუბება შეუძლიან, როცა ილაჯი გაუწყდება, მაშინ თოკს ანძრევს და ამით ამხანაგებს ანძრევს, მაღლა ამიტანეთო. ამხანაგებსაც საჩქაროდ ამოჰყავთ ზეთო. დასვენების შემდეგ ისევ უწინდებურად ჩაუშვებენ ზღვაში, და ხელახლა ამოაქვს ახალი ღრუბლები. ეს მუშაობა გრძელდება იქამდინ, ვიდრე ნავს არ გაავსებენ ღრუბლითა. მერმე ამ ღრუბელს ზღვის პირზე რეცხენ, აშორებენ ლოკოკინებს, ლორწოს, ასუფთავებენ, აშრობენ და ბოლოს მიაქვთ გასასყიდად.

## რ ე ზ ი ნ ი.

ღრუბელი კარგად შლის საკლასო დაფაზე დაწერილსა. მაგრამ წაშლა ქალღმრთელზე კალმით, თუ კარანდაშით დაწერილისა ღრუბელს არ შეუძლიან. ამისთვის გაჩენილია რეზინი.

რა არის რეზინი? ამის გასაგებად მოვეუკიდოთ რეზინს ცეცხლი. უცქირეთ, მკვარივით აენტო და საამური ცისფერი ალი აიტანა. ამასთან ანთებულმა რეზინმა რაღაც ცხარე სუნი მოჰფინა თავის გარშემო. რის სუნსა ჰგავს? ფისისასა, ეს ცხადია. მაშ რეზინი ფისი ყოფილა? ღიად, ის სწორედ ერთ გვარის ხის ფისია. მაგრამ ეს ფისის ხე ჩვენში არ იზრდება, არა ხარობს. რეზინის ხე იზრდება და ხარობს მხოლოდ ცხელს ქვეყნებში. მას ჩვენი ფიქვივით, ან ნაძვივით ფისი გამოსდის, თუმცა სხვა თვისებისა, და ამ ფისიდან ამზადებენ რეზინებს ქალღმრთელზე დაწერილის წასაშლელად. ამავე ფისიდან აკეთებენ კალოშებსა. ძიდევ იმიტომ არის რეზინი ისე ძარღვიანი, კვეისავით იწევა, შეიძლება თითზედაც დაიხვიო; მაგრამ ჰალე ისევ გაგისხლტება და მოიკუმშება.

## ზინაური ცხოველები.

### ჭკვიანი ძაღლი.

მართს სახლში სცხოვრობდა ცუვა ძაღლი. მეტად გონიერი ოთხ-ფეხი იყო. იცოდა, რომ ღამით სახლისათვის უნდა.

ვეარაუღნა და ამიტომ დღისით ბლომათ ეძინა. ღამით კი მეტად ფრთხილი და ფხიზელი იყო. ისიც შემჩნეული ჰქონდა, რომ რბილი საქმე-ლი კბილებს უსუსტებდა და უჩლოუნგებდა და ამიტომ ძვლებს ხშირად ხრავდა და ამითი იმაგრებდა თავისს კბილებსა.



პყად რო გახდებოდა, მოძოვილი ბალახით გულს ირევდა, არწყევდა და ამითი თავს მოირჩენდა ხოლმე. თუ სალამოზედ ძროხები თვითონ არ მოვადოდნენ, წავიდოდა, იპოვნოდა, ჰკბენდა უკანა ფეხებში და მიერეკებოდა შინისკენ. ძუძუებში და გვერდებში კი კბილების წავლებას ძლიერ ერიდებოდა, ეტყობოდა, კარგად შეგნებული ჰქონდა, რომ ამ ადგილებში კბენა ძროხებისათვის მავნებელია.


მრთხელ ამ ძაღლის პატრონს მარანში შესვლა მოუნდა, იქ ერბო ჰქონდა შენახული და უნდა ამოეტანა სახმარებლად. იმას უკან შეჰყვა ჩვენი ცუგა ძაღლი. სახლის პატრონმა აიღო ერბო და გამოსწია გარედ. როცა გამოვიდა, მარნის კარები საჩქაროდ გამოიხურა. ამ დროს შემოესმა საშინელი ყვირილი. შვიროდა ცუგა, რომელიც პატრონს ვერ შეემჩნია და რომელსაც წინა ფეხი კარებში მოჰყოლოდა. ძარები მძიმე იყო და ამიტომ ცუგას ფეხი ძალიან დაშავებოდა. სახლის პატრონს ძლიერ ეცოდებოდა ძაღლი და ნანობდა, რატომ ვერ დავინახე და რად დაუშავე ფეხიო. იმან კარგად გაუშინჯა ძაღლს ფეხი, აიყვანა ხელში, შეიყვანა შინა და დაუწყო წამლობა: დაადო ნატკენ ფეხზედ მალამო და ჩვართ მგრა შეეკრა. ცუგას ფეხი მალე მოუჩა და წინანდებურად დაიწყო ხტუნაობა და თამაშობა.

მრთხელ სახლის პატრონი იჯდა მოხურულს ოთახში და საქმეს აკეთებდა. უცებ რადამაც დაუწყო გარედგან კარებს ფხაკუნნი. ზაადო სახლის პატრონმა კარები, და თავისი ცუგა კი დახვდა; მაგრამ მარტო არ იყო; ცუგასთან დაინახა ერთი კოქლი ძაღლი, რომელიც, როგორც ყველაფერში ეტყობოდა,

კუგას მოყვანა თავისს პატრონთან, ესეც ჩემსავით მოარჩინეო  
პატრონი მიუხვდა გონიერს კუგას გულის წადილსა, უწამლა  
მის მეგობარსაცა და მალე ისიც მოარჩინა...

კ ა ტ ა.

იმავე სახლში სცხოვრობდა დიდ-თავა კატა. სიფაქიზე ძა-  
ლიან უყვარდა. მრთს წამსაც არ დაიყენებდა ნახ-ღეწვიანს  
ტანხედ უწმინდურს რასმე, მაშინვე ფეხებით, ან ლიპი და ხო-  
რკლიანი ფეხით მოიშორებდა. სახლის პატრონი თავისს მურ-



ტალს შვილებს მალ-მალ არცხვენდა: ჩვე-  
ნი კატისაგან მაინც ისწავლეთ სიფაქიზის  
სიყვარულიო. ადამიანებს ლაქუციით ექ-  
ცოდა, ფეხ-აკრებით მივიდოდა ახლო,  
საამურად კრუტუნებდა და თავისი მწვა-  
ნე თვალებით ალერსიანად უცქეროდა.

მაგრამ თუ წვეტიანს ყურებზედ, ან გრძელს უღვაშებზედ ვინ-  
მე ხელს ახლებდა, მაშინვე თავისს ბრჭყალებს მოიხმარებდა და  
ფიცხლავ ხელს გააშვებინებდა. სახლში ყველას უყვარდა, მე-  
ტადრე ბავშვებსა. მაგრამ თავგებს კი საშინლად ეჯავრებოდათ,  
როგორც თავისი მოსისხლე მტერი. თავგები დღისით სორო-  
ებში იყვნენ მიმალულნი, ღამით კი ოთახში ამოდდიოდნენ  
საკმლის საშოვრად. მგონათ, წყეული კატა ბნელაში ვერ  
დაგვინახავს და ვერას დაგვაკლებსო; მაგრამ ძლიერ სტყუედე-  
ბოდნენ. კატა ღამითაც თითქმის ისე კარგად ხედავდა, რო-  
გორც დღისითა. ეს იმიტომ, რომ თვალის ბაიები დღისით,  
სინათლის გამო, ძლიერ დაპატარავებულნი, ღამით ერთი ათად  
უდიდდებოდნენ და ცოტაოდენი ვარსკვლავის შუქიც კი საკმა-  
რისი იყო, რომ კატას ყველაფერი გაერჩია თვალითა.

აი თავგები ნელ-ნელა გამოცოცდნენ სოროებიდგან და  
დაუწყეს ოთახში ძებნა პურის ნამცეცებსა, რძესა, შექამადის  
ცვარებსა და სხვა შესასუნავსა. შურ-მახვილმა კატამ მალე გაი-

გო მათი ცუცუნის ხმაურობა, გააქციტა დახუჭული თვალები და თავგები კარგად გაარჩია. ჩუმად, ფეხ-აკრებით მიწვარა, სწრაფად იხტუნა, თავზედ დაახტა ერთს უფრო მოზრდილს თავგისა, ჩაუყარა ბრქვალეები, დაავლო პირი და დააწყებინა საცოდავად წრუწუნ-წრუწუნნი. ბულ-გახეთქილი სხვა თავგები სოროებში ფაცხა ფუცხით ჩაცვივდნენ; მაგრამ იმათ ამხანაგს კი დღე მოესწრაფა. ძატამ მას ღონივრად ჩაავლო პატარა წინა კბილები, დაგლიჯა ოთხი გრძელი და მჭრელი შუა კბილით, რომელთაც მოახმარა ძირის კბილები, ხერხივით წვეტიანები, და რამდენიმე თვალის დახამხამებაში ვეებერთელა თავვი თავისს მუცელში ჩაგზავნა.

ძატა თავგების ჟღერით დიდს სიკეთეს უშვრებოდა თავისს პატრონებსა, რადგან თავგები უიმისოდ გამრავლდებოდნენ და სულ გაუფუჭებდნენ ქინახულსა და ხორაგეულობასა. თავგებს გარდა კატა, სამწუნხაროდ, ჩიტებზედაც ნადირობდა და იქერდა მათ ხეებზედ, რომლებზედაც საკვირველი სიმარდით აღიოდა.

### თავგების და კატის ოძი (ხალხური).

თავგებმა დასვეს ხელმწიფე, სახელად კეისარია, შავიდნენ, ცოლი მოჰგვარეს, მზეთ-უნახავი ქალია. შვიდ-დღე-ღამე ქნეს ქორწილი, აწვიეს მთა და ბარია. სამოცი დაკლეს ფურ-ბერწი, სხვა უთვალავი ცხვარია. ამდენი ღვინო დახარჯეს, რამდენიც ალაზანია!

მთაზე გამოჩნდა ნაწვევი, გადმოაბნელა მთანია! ციცის დაქერას ფიქრობენ, მძიმე შეჰყარეს ჯარია! ციცას მიუხდენ კარზედა: „ციცავ, გაგვიღე კარია!“ ციცა ციხეში შევიდა, წელთით დაკეტა კარია! — „ციცა, ციხეში რად შეხველ, თუ გულ არ გედვა მხდალია?!“ ციცამ კარი არ გაუღო: „კვირა-შაბათის ძალია; ორშაბათ დილა გათენდეს, თუ გული მიძევს მხდალია!“ ორშაბათ დილა გათენდა, ციცამ გაღესა ხმალია.



შელს ლარი გადაიკიდა, ბროლის ნაქერი ფარია.  
 თაგვებში გამოერია, დიდ დადგა ცოდვა-ბრალია  
 ზოგმა გასტეხა ხანჯალი, ზოგმა ფრანგული ხმალია!  
 ბასწყვიტა დიაც-ყმაწვილი, ცამდი ააგო მკვდარია!  
 თაგვებს მოუკლა ხელმწიფე, გააგდებინა თავია!

### ც ხ ე ნ ი.

პგერ ყორულში ცხენი აბია საბელით და სიჩქარით სძოვს ბალახსა. მივიდეთ ახლო და გავშინჯოთ. ბრძელი, ლამაზად მოყვანილი თავი ძირსა აქვს დალუნული და გრძელს, ყარყარა კისერზედ საამურად აყრია ხშირი ფაფარი. მისი ზემო ტუჩი სწრაფად მოძრაობს, მარჯვედ ევლება ბალახსა და სდებს პირში. თავისი წინა კბილებით შიგ ძირში მარდად ჰგლეჯს ბალახსა და უკანა კბილებით ღონივრად ღეჭავს. წამ-და-უწუმ ფრთხება, აჩერებს პირსა, ცქვეტავს წვეტიანს ყურებსა და შეკროთომით უგდებს ყურსა. მტყობა, რომ მგლისა დიდი შიში აქვს და ფრთხილად არის. თავისი დიდი თვალებით მეტად გონივრად იცქირება. იმისი შეკუმშული და მოგრძო ტანი, ლაზათიანად მოყვანილი, დაბჯენილია ოთხს წვრილს და გრძელს ფეხებზედ, რომელშიაც უდგია დიდი ღონე და ყუათი. ამ ფეხებს ქარივით სწრაფი სირბილი მეტად ეადვილებათ. ფეხებზედ აბია მრგვალი და ერთიანი ქუსლები. უკანა ფეხები მეტად ძარღვიანი აქვს და დიდი ღონეც უდგია, და ვაი იმ მგელსა, რომელსაც მისი ტყუპი წიხლი მოხვდება.



პი მოვიდა პატრონი, აუშვა ცხენი და წაიყვანა შინა. აქ იმან ჩაზნექილ ზურგზედ დაადგა უნაგირი, გამოუწასკვა კუდი, გრძელი ძუით შემოსილი, ამოსდო პირში ლაგამი, მოაჯდა ზედ და გააქროლა. რასაც ფეხით ორ-სამს დღეს გაივლიდა, იმ მანძილს ეს დალოცვილი საქონელი ერთს დღეს გაატა-



რებს თავისს პატრონს, გულის წადილს აღრე მოსწევს და საქმეს წაუმართავს.

### ც ხ ვ ა რ ი.

ცხვარი არის წყნარი, მშვიდი და უწყინარი საქონელი. თავისი თავისს დაცვა სრულიად არ შეუძლიან. ძალისავეთ კბილები მჭრელი არა აქვს, ხარსავეთ—მაგარი რქები და ცხენ-



სავეთ—ლონიერი საწიხლე ქუსლი, კურდღელსავეთ მარდი სირბილი არ იცის. მრთი სიტყვეთ, ყოველს თავ-დასაცავს იარაღს მოკლებულია. ამისათვის საბრალო ცხვარი ადვილი ლუკმაა ყველა თავისი მტრისა. სწორედ ამ მიზეზით ეძახიან ცხვარ კაცსა ყველას, ვინც კი მეტად მშვიდი, უწყინარი ხასიათისაა და ადვილად ებრიყვინება მტერსა და მოყვარეს.

შებედულობით კი ცხვარი არ დაიწუნება. ბრძელი, ხშირი და ფაფუკი მატყლი, მოყვანილი ტანი, შნოიანი თავი და წვრილი მოხდენილი ფეხები ამშვენებენ მას. მაგრამ სახეზედ კი აშკარად ეტყობა უგონობა. თვალელები მისი სულელურად სადღაც შორს გაიკტირებიან. ცოტაოდენი შიშიც კი საკმარისია, რომ ცხვარი სრულიად აირიოს. ხიფათის დროს გაშტერებული სულელურად ჩერდება ერთს ადგილასა, ან არა და უაზროდ მირბის წინ და თუნდა ღრანტეც იყოს, შიგ გადავარდება. ღამე რომ ცეცხლი წაეკიდოს სახლსა და ცხვარი გამოიყვანო და გადაარჩინო, თუ ხელიდგან გაუშვი, ბრმასავეთ შევარდება ცეცხლში და დაიწვის. მგელს რო ცხვარი დაინახავს, ხომ არ მოერიდება, გაჩერდება ერთს ადგილას და უგუნურად აბაკუნებს წინა ფეხებს მიწაზედ, თითქო ამითი უნდა მგელი შეაშინოსო. თავისი საკუთარი ნება ცხვარს სრულიად არა აქვს. ის დადის მუდამ ერკემლის ანუ ვაცის ნებაზედ. ზაცს რომ უცაბედად ფეხი მოუსხლტეს და წყალში ჩავარდეს, მთელი ფარა ცხვარი თან ჩაჰყვება და დაიხრჩობა, თუ პატრონი დროით არ

შიეშველა. მთელს თავისს სიცოცხლეში ისე უგუნურად იქცევა, თითქო თავში ტვინი სრულიად არა ჰქონდეს. ეცადო, ცხვარს ბევრს ვერაფერს ასწავლი. შაგრამ ადამიანი-სათვის მაინც და მაინც რა საჭიროა ცხვრის ქუკუა. მას უნდა ცხვრის მატყლი შალეების და მაულების მოსაქსოვად, მისი ქონი—სანთლისა და საპნისათვის, რძე—ყველისათვის, ტყავი—ჩასაცმელად და ხორცი—ბოზბაშად და სამწვადედ.

ჩვენს ხალხს ცხვარი იმდენად სასარგებლო საქონლად მიაჩნია, რომ ფიქრობს, სადაც ცხვარი გაჩნდება და იმრავლებს, იქ სიღარიბე ქრებაო. მს აზრი ჩვენს ხალხს შემდეგს მოთხრობაში გამოუთქვამს.

### ცხვარნი და სიღარიბე (ხალხური).

ცხვარი შევიდა სახლში, დაინახა სიღარიბე, ფეხები დაუბაკუნა და დაუყვირა:

— ადე, სიღარიბევ, გამეცალე აქედანაო!

— რად უნდა გაგეცალო? ეს სახლი ჩემიაო!

შენი კი არა, ჩემი უპრიანიოა. მხლავე უნდა გამეცალოო!

რო გაუჭირა საქმე ცხვარმა, სიღარიბემ სთხოვა:

სახლის ნახევარი მაინც დამითმეო.

— არა, ვერ დაგითმობო.

ბოლოს სიღარიბე შეეხვეწა: ერთი კუნჭული მაინც დამითმეო.

— შერ დაგითმობო, მთელი სახლი უნდა დავიჭიროვო.

— რად გინდაო?

— რათა და მათაო, რომ ერთ კუთხეში მე უნდა დავდგეო, მეორეში ბატკანი უნდა დავაყენო, მესამეში მატყლს დავდებ და მეოთხეში—ყველსაო.

— ადგა სიღარიბე და გაეცალა. — მთელი სახლი ცხვარს დარჩა.



ბოსტნის გვერდით მიდის ბანჯგვლიანი თხა და ისე დინჯად მიაბიჯებს, თითქო დიდი ვინმე ბრძანდებოდეს. მიდის, გრძელს წვერს აცანცარებს, უკან გადაზნექილს რქებს იქნევს, თან ბოსტანში იხედება, თავისს საყვარელს კომბოსტოზედ თვალი რჩება და ნერწყვი მოსდის პირში. ცდილობს როგორმე გადახტეს ბოსტანში და ეწვიოს დასრულებულს კომბოსტოს თავებსა; მაგრამ მარტო არ უნდა შეექცეს გემრიელს საჭმელსა, კამპანია უყვარს, ამიტომ ხმა-მალა კიკინებს და იწვევს თავისთან დედ-თხებსა თიკნებითურთ.



მაგრამ დედა-თხებს მისთვის არა სცალიანთ. იმათ უფრო აღრე უშოვნიათ გემრიელი სადილი. იქვე ახლო ვენახში შეპარულან თავიანთი თიკნებითა და გამალეზულები სძოვენ ბალახსა; სდგებიან უკანა ფეხებზედ, ეტოტინებიან ხეებსა, აძრობენ ქერქსა და ლექენ, ნორჩ ყლორტებს დაუნდობლად ჰკორტნიან, რომ თავისი თიკნებისათვის ნოყიერი რძე ჩაიყენონ ჯიქნებში. აი თიკნები ბოლოს მიცვივდნენ თავიანთ დედებთან, რძე საჩქაროდ გამოსწოვეს და რო დაძღნენ, ლობეზედ აცვივდნენ და რქებით ერთმანეთს დაეჭიდნენ. სწორედ ამ დროს თავს წაადგა მათ პატრონი, გაბრაზებულმა დაუშინა ჯოხი და სულ ბღლაძა-ბღლუძით გამოარეკა გარედ.

არც კი ჩვენი მამალი თხა დარჩა მშვიერი. მარდად აიქრა ბოსტნის ლობეზედ, გადაეშვა შიგ და გაუსვა პირი წყლიან და გემრიელს კომბოსტოსა. ღა ისიც პატარა თავებს-კი არ გამოუდგა, სულ დიდ-დიდი თავები შეარჩია და რამდენიმე ძალზედ გაკორტნა. ამ დროს ჩვენს თხას თვალი მოჰკრა ბოსტნის პატრონმა, დაავლო ხელი ერთს დიდს სარსა და გაბრაზებული გაექანა თხისკენ; მაგრამ თხა ცხვარსავით უგუნურად გაშტერებული როდი გაჩერდა ერთს ადგილას; სწრაფად მოკუ-


რცხლა, ერთი თვალის დახამხამებაში ავარდა ღობეზედ, ისკუბა  
 ოთხივე ფეხით, ვეებერთელა თხრილზედ ძაღლივით მარჯვნივ  
 გადახტა, შევარდა თავიანთ ბაკში და უშველა მისთვისა.

### ჩემი თხა.


ჩემო ლამაზო ბეკეკა, შენ ჩემო თხაო ბელოა!  
 ჩემი მტერი და ორგული შენ გენაცვალოს ყველაო!  
 წვერი გაქვს დეკანოზისა და რქები ეშმაკისაო,  
 ძბილები ნამგლად ნალესი, ნეკერს კრებს, ბალახს მკისაო.  
 მთაში რო წაკოკინდები, დააგდებ მინდორ-ველსაო.  
 ჯიხვებს ეწვევი კლდეებში, იქ მოიღერებ ყელსაო!  
 შაძლები, გასისინდები, ჯიქანს გაივსებ რძითაო,  
 რა გზითაც დილას წასულხარ, ბრუნდები იმავ გზითაო!  
 მოხვალ და საწველს ამივსებ, არ დამამადლი წველასო;  
 მეძღვნეო ჩემის შვილების, შენ მიჩვენებ ხარ ყველასო.  
 თვალის ჩინივით მოგივლი, ნუ გეშინიან მტერისო,  
 მაგ ძუძუების ქირიმე, საწველში ჩაიმღერისო!  
 ბეკეკავ, ჩემო ბეკეკავ, შენ ჩემო კარგო ბელოა!  
 ჩემი ოჯახის ურგები შენ გენაცვალოს ყველაო.

### ღ ო რ ი.

ღაბალი საღორიდან გამოძვრა ტალახიანი ღორი თავისი  
 ჭყვირილა გოჭებითა, ზანტად ეხახუნება კედელს და მიეთრევა  
 სანეხვისაკენ. წინ გაუშვერია თავისი ვიწრო და წვეტიანი დინ-  
 გი, პაწაწა თვალებით გაფაციცებით ეძებს შესათქვლევს რას-  
 მე, მოდიდო თავზედ ამოსულს გრძელს ყურებს ფარატინები-  
 ვით აქნევს, მოკლე და ღონიერი კისერი გაშეშებული უჭი-  
 რავს; განიერს ზურგზედ აუშვერია მაღლა ხერხემალი, რომელ-  
 ზედაც ყალყს უდგას ხშირი და მსხვილი ჯაგარი; თავისს ვიწ-  
 რო და ძირს დაშვებულს ტანს თითქმის დედამიწაზედ მიათ-  
 რევს, რადგანაც იმისი ოთხი წვრილი ფეხი, ოთხ ჩლიქად



გაყოფილი, მეტად მოკლე არის. ტიტველა და მოკლე კუდი შიგ ძირში სასაცილოდ მოუყაუტებდა და ოღნავ აქნევს.



პი მივიდა ღორი სანებვესთან, თავისი დინგი ჩაჰყო შიგ ღრმადა, ღრუტუნით გააქვს, დინგს ნიჩაბსავით ხმარობს, სთხრის ნებვსა, აქეთ-იქით ისვრის და სთქვლეფავს მატლებს, ბალახსა, ფოთლებსა, ლეშსა, პურის ნატებებსა და ყველაფერს, რის ქამაც კი შეიძლება. როცა სანებვეზედ საქმელი გამოლია, მინდვრად გავიდა და თავისი ეშვები ბარით დაუგდო ძირში მცენარეებსა, იღებს მათ მიწიდგან ძირიანად და ახრამუნებს. შიგვებმა შეიტყეს ღორის სიახლოვე და გულ-გახეთქილნი თავიანთ სოროებში მიიმალნენ. ცუდი საქმე დავმართებოდათ წრუწუნებსა, თუ ღორს მიეგნო მათი სოროებისათვის: მიანგრ-მოანგრევედა თავისი დინგით და ეშვებით, და საწყალს თავვებს წრუწუნ-წრუწუნით შეახრამუნებდა და ამითი კარგს სამსახურს გაუწევდა ქინახულსა. შაგრამ, ყანების საზარალოდ, ამ ჟამად ბედმა შეიბრალა წრუწუნები და გადაარჩინა ღორის კბილებსა. ჩვენმა ღრუტუნამ ბევრი გემრიელი საქმელი გაგზავნა თავისს გაუმადღორს მუცელში, მაგრამ ტყეს მაინც ნატრულობდა. რათა? იმიტომ, რომ იქ იზრდება მუხა, რომელიც ისხამს ღორის საყვარელს და გამასუქებელს საქმელს—რკოსა.

მეტად უშნო და ულაზათო საქონელია ღორი. ძიდევ უფრო უარესია მისი მურტლობა: დილით საღამომდის თავითფხამდის სულ ტალახსა და ლაფშია მოსვრილი. მაგრამ სარგებლობას კი ბევრს აძლევს კაცსა. ძაციისათვის ღორის ხორცი მეტად გემრიელი საქმელია, ქონი გამოსადეგია ბევრ ნაირად, ტყავსა და ჯაგარს კაი ფასი აძევს. წელიწადში ორჯელ დაუყრის პატრონს გოქებსა, თითოჯერ არა ნაკლებ რვისა. ამასთან საქმელს და მოვლას პატრონისაგან მაგდენს არაფერს ითხოვს. თავისს საკმარისს საზრდოს თითქმის მთლად თითონვე



შოულობს. ამიტომაც ღორის ყოლა გახშირებულია ყველგან, თუმცა მეტად უსიამოვნო პირუტყვია.

### ღორი მუხის ქვეშ (იგავ-არაკი.)


ღორი ას-წლოვან მუხის ქვეშ რკოთი გაძღა, გაიბერა; მერმე მის ქვეშ გაიშლარტა და ძილით გული იჯერა. შემდეგ თვალი გაახილა, გაიღვიძა, ზეზე ადგა, და მუხის ძირს მოსათხრელად თავის დინგით ზედ მიადგა. მუხის წვერზე მჯდარმა ყვავმა ღორის ჩიჩქნა დაინახა, ბაბრაზდა და გაგულისდა, მაღლიდან ქვეშ ჩამოსძახა: „რას სჩადიხარ? რათ არ იცი, რომ ხეს ჩიჩქნით ევენებაო, მუხას თუ ძირს გამოუთხრი, გაფუქდება, გახმებაო.“

ღორმა უთხრა: აი დარდი, ჩემს ჭირსა თუ გახმებაო, სრულიადაც არ ვიწუხებ, თუ ეგ მართლა მოხდებაო. მხოლოდ რკო კი იყოს ბევრი, სხვაზე მე არ ვწუხდებიო, მს ხომ შენაც კარგად იცი, მარტო რკოთი ვსუქდებიო.

მუხამ უთხრა: უმაღურო, ჭკუა-მოკლე, თავხედოო, რომ შეგეძლოს დინგი მაღლა აიღო და ამხედოო, შეიტყობდი, რომ რკოები ამ ჩემს ტოტებს ასხიაო და გახმობა ჩემის ძირის თვით შენთვისაც მავნეაო.

### ძ რ ო ხ ა.

შერდელა ძროხა მინდორშია საძოვრად გასული. აუშვე-რია მაღლა თავისი გრძელი და გაწვეტიანებული ხერხემალი, გაუშვერია აქეთ იქით ყურები, ჩაუყვია მაღალს ბალახში თავისი დიდი თავი განიერ შუბლამდის და მადიანად ჰგლეჯავს ბალახს. მაგრამ ცხენივით ძირში კი ვერა სწყვეტავს. მს რატომ? იმიტომ, რომ ზევითა ყბაში წინა კბილები არ ასხია; მათ მაგივრად ღრძილზედ მაგარი წითელი კანი აქვს გადაკრული. აი ძროხამ გაიტენა თავისი განიერი მუცე-



აქვს გადაკრული. აი ძროხამ გაიტენა თავისი განიერი მუცე-


ლი ბალახითა და დაწვა მიწაზედ. აქნევს განუწყვეტლად ყბებს და პირში, თეთრი ქაფი უდგას. ეს რას სჩადის? მუცელიდგან ისევ ზევით ამოაქვს ნაძოვნი ბალახი, თავისი პტყელის კბილებით მეორედ დექავს, ანუ იცოხნის და ბოლოს, როცა კარგად დადექავს, ისევა ყლაპავს. მთელი დღე ძოვნაში და ცოხნაში გაატარა, მოატანა საღამომ და ფერდელამ გასწია შინისკენ.

მუცელ-დაშვებული ფერდელა დინჯად, აუჩქარებლივ მოაბიჯებს თავისს ოთხ-ჩლიქიან ფეხებსა, იქნევს წამ-და-უწუმ გრძელს კულსა და იგერებს გამაბეზრებელს ბუზებსა. უცებ წამოვარდა ძალლი გლეხის კარაპანში და ყეფით გაექანა ფერდელასაკენა. შერდელამ თავისი დიდი თვალეზი დააბრიალა, მიუბრუნდა ძალლსა, დალუნა ძირს თავი და მიუშვირა თავისი ნამგალსავით მოყვანილი რქები. „ამ წყეული რქებით მიწაზედ მიმაქყლეტს, ან მალლა ჰაერში შემისვრისო“, იფიქრა ძალლმა და გაბრუნდა უკან კულ ამოძუებული. შერდელა ისევ არხეინად გაუდგა თავისს გზასა. შიდის დინჯად და თან სცდილობს, რომ უკანა ფეხები განზედ გალაჯული ატაროს. ეს რათა? იმისათვის, რომ ბარძაყები არ მოახვედროს თავისს სავეგ ჯიქანს და თავისი ოთხი ძუძუდგან არა ჰღვაროს ნოყიერი რძე. მაგრამ რა წამს დაინახა თავისი სახლი და გაიგონა თავისი საყვარელი ხბოს ხმა: „მ-ე-ე-ე“, ჩვენმა ფერდელამ ვეღარ მოითმინა, დაიბღავლა, თქარა-თქურით წავიდა და ბაკში სირბილით შევარდა. ღიასახლისმა რომ მოსული ძროხა დაინახა, გამოარბენინა სარძევე, შეუჯდა ჯიქანს ქვეშ და აუყენა რძეს წკარა-წკური ძუძუებიდგან. მალე ფერდელამ მთელი სარძევე პირამდის გაავსო და მერმე თავისი ხბოც გაძლო ნოყიერი რძითა.

### ძოღოდინი.

ხბო ბღავის, დედას ეძახის,  
რა ჰქნას რომ ძუძუ სწყურია!

შოდის ნახირი, თან მოსდევს  
ჭვრივ მარიამს ფურია.



მოსჩანს დელფანა, თან მოაქვს  
 რძით გატიკნილი ცურია.  
 ხბოსთან სჩანს პატარა სოფო,  
 უთმენლად უცემს გულია.  
 რძეს აკმევს, იმიტომა აქვს,  
 იმისი სიყვარულია.  
 შურმა ხმა მისცა თავისს შვილს,  
 ეზოში ყრიამულია;  
 ბარს შემოერთყა დელფანას

ჭვრივის ოჯახი სრულია.  
 ძატაც კი გამოეგება  
 იქვე კულს იქნევს შვილი,  
 ხარიც თან მოჰყვა ნიკორა  
 სიბერით დაჩაგრულია.  
 ძედ გახრემილი უღლისგან,  
 ღამწვარი დადაგულია,  
 იმას ზედ არვინ შეხედა,  
 პრავინ უგლო ყურია.

ხ ა რ ი .

უწინდელს დროში ხარი გარეული პირუტყვი იყო. იმა-  
 ზე უფრო საშინელი ნადირი ძნელად მოიპოვებოდა. როცა



გაბოროტებულნი იყო, აღარაფერს არ ერიდებოდა, ფეხებით  
 სთხრიდა მიწასა, ბულრაობდა,  
 თავს ძირსა ღუნავდა, წინ რქებს  
 გაიშვერდა და გაექანებოდა ხო-  
 ლმე ადამიანისაკენ, ან სხვა რო-  
 მელისამე თავისი მოწინააღმდე-  
 გისაკენ. ამ ხიფათის დროს ადა-  
 მიანი სწრაფად უნდა გაჰქცეო-

და გაბრაზებულს ხარსა, და ხეზედ აესწრო, თორემ ერთს წამს  
 თავისი ღონიერი რქებით ჰაერში აისვრიდა და მერმე მიწაზედ  
 მიაქყლეტდა. მეტადრე საშინლად ეჯავრებოდა ყოველ გვა-  
 რი ბქყვრიალა ფერი. საცა უნდა დაენახა წითელ ტანისამო-  
 სიანი კაცი, მაშინვე გაცეცხლებული მასთან დაერქობოდა.

ძაცს ძალიან ეშინოდა ხარისა; მაგრამ მალ-მალ ასეცა  
 ფიქრობდა: რა კარგი იქნება, რომ ეს მძლავრი ნადირი დავი-  
 მორჩილო, მოვაშინაურო და ღონიერს კისერზედ უღელი და-  
 ვადგაო: მიწასაც ადვილად მომიხნავს, ურმით საპალნესაც მი-  
 ზიდავს და ტყიდგან შეშასაც არ მომაკლებსო. მოიხმარა კაცმა  
 თავისი მახვილი გონება და მოახერხა ხარის დაქერა: ყულფი-  
 ანი თოკი შორიდგან მარჯვედ ესროლა, ჩამოაცვა რქებზედ,


სწრაფად შემოახვია თოკი გარშემო რქებზედ, ტანზედ, კისერზედ, ფეხებზედ, კარგად გაბოქა, მერმე მიიყვანა შინა და დაამწყვდია მაგარს ბაკში. ასევე დაიჭირა მეორე ხარიცა. რამდენსამე დღეს მათ არაფერი აქამა, ძალზედ დაასუსტა შიმშილით და მერმე დაუწყო გამოქნა. ღაადგა კისერზედ უღელი, შეაბა მაგარს ურემში და გარეკა. ძალიან ეჩოთირათ საწყალს ხარებს მონობის უღელი, მაგრამ რაღა შეეძლოთ ღონე გამოლულულებსა? როცა ხარები კარგად შეაჩვია ურმის ტარებასა, გამოქნა უღელში და დააქკვიანა. მაშინ კაცმა საქმელი საკმაოდ დაუყარა, უწინდებურადვე გაასუქა, ჯანზედ მოიყვანა და მუშაობა დააწყებინა. ხნავდა მიწასა, ზიდავდა ყოველ გვარს საპალნესა და აზიდვინებდა ტყიდვან შეშა-ფიჩხსა, სარსა და ხე-ტყესა. ძაცმა შემდეგ იფიქრა: ეს ხარები მალე დაბერდებიან, ხელ-ახლად გარეული ხარების დაჭერა საშიშია, გაშინაურება მათი ძნელია, ისევ ისა სჯობიან გარეული ძროხა მოვაშინაურო და ის დამიზრდის მე ახალს ხარებსაო. შოიფიქრა კაცმა ეს და კიდევ აასრულა. როცა ხარებს სიბერე შეეტყო, გაასუქა და დაჰკლა. ზორცი კარგ ფასად გაჰყიდა, ტყავისაგან გააკეთა საყვეარი, ჯამბარა, ჭაპანი და ამოისხა მაგარი და გამძლე ქალამნები. ამ სახით იქმნენ მოშინაურებულები ხარი და ძროხა და მასუკან განუყრელად ცხოვრებენ კაცთან და დიდს სიკეთეს უშვრებიან.

მაგრამ განა მარტო ხარი იყო უწინ გარეული პირუტყვი? არა, გარეული იყვნენ ყველა სხვა ახლანდელი შინაური ცხოველები და ადამიანმა იგინი მოაშინაურა.

## გუთნის ლექსი.

სახნისმა სთქვა: „ქვესკნელს დავალ, მზისა შუქი მენატრება, საკვეთელმა გაიგონა: „ჩემზედ მეტი შენ რა გხვდება? მეტის-მეტის წინძლოლითა წინა კბილი არა მრჩება.“  
ეს ჯამბარამ გაიგონა: „ჩემზედ მეტი თქვენ რა გხვდება?

პედარია, მე დავლპები, დარი ცეცხლად მომედება.“  
 ეს ხარებმა გაიგონეს: „ჩვენზედ მეტი თქვენ რა ზედდებოდა“  
 დავადებენ მძიმე უღელს, ზედაც მებრე დავაჯდება;  
 ჩავგიყრიან შინდის ტაბიკს, არ გასწიო, არ იქნება.




ის უსჯულო გუთნის-დედა ქვეშ-ქვეშ გამოიყურება.  
 იმას არ ეტყვის მებრესა, უდივრობა არ იქნება.  
 ზადმომკრეს მალლა რქაშია, სისხლმა ამხეთქა თავშია;  
 დავიჩოქე და შევყვირე შეუფეს მალლა ცაშია:  
 „ჩემო შეუფევ, მიშველე, სისხლმა ამხეთქა თავშია!“  
 — შე აქედგან რა გიშველო, მეც მაგინებენ ცაშია;  
 მე მაშინ მოგეშველები, აქ მოვლენ სამართალშია,  
 დავადო რკინის უღელი, ჩავაგდო ჯოჯოხეთშია.

**შინაური ფრინველები.**

**ბატები და იხვები.**

სისხამს დილაზედ საქათმიდან გამოიშალნენ ქათმები, ბატები და იხვები. ქათმები აქეთ-იქით მიწაზედ გაიფანტნენ და ფაცა-ფუციით დაუწყეს ძებნა მარცვლებსა, მატლებსა, პურის ნამცეცებსა და სხვა თავისს საკბილო საქმელსა. ბატები და

იხვები კი სხვა ნაირად მოიქცნენ. ისინი ბაჯბაჯით გაიქცნენ და სიხარულით გადაცვივდნენ ახლო მოჩანჩქარე რუში. თათა? იმისთვის, რომ ქათმებივით ამათაც უნდოდათ თავისი ჩინჩახვები ამოევსოთ მატლებითა, ხავსითა და წყლიანი ბალახითა, მდინარის პირად რომ იყო ამოსული. ჩაცვივდნენ თუ არა წყალში, მაშინვე წყალმა ზევით მოიტივტივა იმათი ნავის მსგავსი ტანი. იხვებმა ნიჩბებივით მო-



უსვეს თავისი პრტყელი ფეხები, რომელზედაც სამივე თითი გაერთებული ჰქონდათ კანითა, და დაიწყეს თავისუფლად სრიალი რუში. ტურვაში ისიც ძლიერა შეველოდათ, რომ ბუმბული ღიპი ჰქონდათ და წყალი შიგნით ვერ ატანდა და ვერ ასველებდა. შიშვე ბატები უფრო ზანტად დაცურავდნენ, იხვები კი ქარივით დაქროლავდნენ. ამ წამს რომ იხვი ყირამალა აქ დარქობილიყო

საქმლის საშოვნელად წყლის ძირში, ერთიც ვნახოთ, მეორე წამს სხვა ადგილას გამოუჩნდებოდა წყლიდგან მარტო კურტუმი და წითელი ფეხები, თითქო მათ მზეზედ იშრობსო.

მთელი დღე ბატებმა და იხვებმა გაატარეს ყურჭუმელაობაში, ჭყუმბალაობაში, საქმლის ძებნასა და ყიყინში. მაგრამ ერთმანეთს კი არ ეკარებოდნენ, სულ ცალ-ცალკე ატარებდნენ დროსა, რადგანაც იხვებს და ბატებს ერთმანეთი ძლიერა სძულთ.

სალამოზედ დედამ მანო გაგზავნა ბატების და იხვების შინ მოსარეკად. იხვები ამ დროს ისევ მორევში დაცურავდნენ. მანომ დაუძახა: „ჰეი, თქვენ, ცხვირაებო, მოყიყინენო, გაუმადლარნო! ბეყოფათ! მაგდენი ჭყუმბალაობა და საქმლის ტენა ჩინჩახვში! ღროა შინისკენ ჰქნათ პირი და თქვენი ბინა მონახოთ.“ იხვებმა გაუგონეს, გამოვიდნენ ნაპირას, გაიბერტყეს ფრთები და ყივყივ-ბაჯბაჯით გასწიეს შინისკენ. ბატები კი ამ

დროს წყლის ნაპირს იდგნენ, ფრთებს იქნევდნენ, ნისკარტები გაეღოთ და ყიყინებდნენ: „შინ წასვლა არ გვინდა, უკაცკარგადა ვართო.“ მანომ იცოდა, რომ მათ სიტყვას ვერ გააგონებდა, აიღო ფიჩხი და წინ გაირეკა შინისკენა.

### ქამალი თავისი ჯალაბობით.

ინათლა თუ არა, მამალი მაშინვე ჩამოფრინდა ქანდარიდან და გარედ მედიდურად გამობრძანდა. უკან გამოჰყვნენ მას ვარიები, ქათმები და კრუხები თავისი წიწილებით.

მიუძღვის წინ მამალი თავისს ჯალაბობას ყელ-მოღერებული, თავმოწონებული და ოცნებობს: საკვირველი ფრინველი ვარ მე: ჩემოდენა ტანი, ახოვანება და



სილამაზე აბა აქ ვის აქვს? რომელი ქათმის ბიბილო შეედრება ჩემს მაღალს და ბროწეულივით წითელს ბიბილოსა? რომელ ქათამს აყრია თავზე და კისერზე იმისთანა აბრეშუმივით თმა, როგორიც მე? რომელი ქათმის

ბოლო შეედრება ჩემს მორკალულს და ფერადს ბოლოსა? რომელს ქათამს ასხია ფეხებზე ისეთი კოხტა დეზები, როგორიც მე?

მაგრამ განა მარტო ქათმებს ვჯობივარ? არა, სხვებზედაც მეტი ვარ. რომელი ფრინველი ტყობულობს გათენების მოახლოვებასა და აღვიძებს დროიანად მძინარა ადამიანებსა? მხოლოდ მე და სხვა არავინ.

ბანა მამაცობა კი მეძრახება! სრულიადაც არა. მე ჩემი ჯალაბობის ერთგული მოსარჩლე და მფარველი ვარ. ჩამდენჯერ დამიფრენია წყეული ქორი და პირ-ცარიელი გამისტუმრებია! ჩემის ჯალაბობის საზრდოზედაც ერთგულად ვზრუნავ. აი ეხლაც დავწინაურდები და მეფურად გავეუმასპინძლდები ჩემს ქვეშევრდომებსა.

მამალი გაჭიმული გაეშურა, მივიდა ნაგვის გროვასთან, შეხებით და წვეტიანი ნისკარტით გაქექა და ქათმებს დაუჩახ-

ჩახა: ქათმებო, ქოჩორაებო, ბუდრუგუნა მანდილოსნებო, ქროლებო, ნაცრის ფერებო, შავებო, თეთრებო, ყველამოდ-  
აშურეთ აქეთკენ კრუხ-წიწილებით, თქვენი საყვარელი საყენ-  
კი გიშოვნეთ. ქათმებმა და წიწილებმა საჩქაროდ გასწიეს ნა-  
გვისაკენ, შემოეხვივნენ მას გარსა და იწყეს ქექა და კენკა.  
მაგრამ ერთმანეთში ვერ მორიგდნენ, ძმურად ვერ გაიყვეს  
საქმელი და დაუნისკარტეს ერთმანეთსა.


მამალს ეს არ მოეწონა, რადგანაც წესიერება ძლიერ  
უყვარს. მან თავისი ჯალაბობა იმავე წამს შეარიგა თავისებუ-  
რად: ერთს ქოჩორი გაუწია, მეორეს ბიბილოში სწვდა, მესა-  
მეს თავში წაუთაქუნა და ყველანი გააშველა. მარცვლები  
თვითონ შესჯამა და მაჩხუბარა ქათმები პირ-ცარიელნი და-  
ანარჩუნა. სამართალიც ჩინებული ვიცი, იფიქრა მამალმა.  
შეფრინდა ახლო ლობეზე და რაც ძალი და ღონე ჰქონდა  
თავმოწონებით დაიყვილა: ყიყლიყო!

### ძამალი და მარგალიტი (იგავ-არაკი).

მამალი რო ნაგავს ჰქექდა, მარგალიტი ნახა,  
ზააგორა ის იქითკენ და ეს დაიძახა:  
ზარეგნობით იტყუება, მხოლოდ თვალს იტაცებს.  
მე მიკვირს და ვერ მიმხვდარვარ, რისთვის მოსწონს კაცებს.  
მე კი ჩემდა თავად ვიტყვი წრფელის გულით მართალს,  
ამას ბევრად ვამჯობინებ მცირე პურის მარცვალს.  
უგუნურნიც ასე სჯიან და ასე ამბობენ,  
როცა ჭკუა აღარ უჭრით და ველარას სცნობენ.

ქ ა თ ა მ ი.

საბუდარში ზის ქათამი, არ ინძრევა და თითქმის არაფერ-  
სა სჯამს. რას აკეთებს? სჩეკავს კვერცხებსა, რომლებიც დას-



დო რამდენისამე კვირის განმავლობაში და მერმე პატრონმა ჩაუწყო მას საბუღარში. აკრუხებულ და დაჯდა ზევიდგან ამ კვერცხებსა და სცდილობს, რომ სითბო მათ ერთს წამსაც არ მოაკლოს. სითბო ამ კვერცხებში ნასახე-ბიდგან წიწილებს გააჩენს და გაზრდის. აბა ფრთხილად მივიდეთ სამი დღის კრუხთან, ამოვიღოთ საბუღრიდგან ერთი კვერცხი და მზეზედ შიგ გავხედოთ,—ჩვენ დავინახავთ, რომ კვერცხში უკვე გამოსახულა მომავალი წიწილის გული. მართი დღეც რომ მოვიცადოთ და მეოთხე დღეს სინათლემზედ გავხედოთ კვერცხში, შიგ შევამჩნევთ მთელს პაწაწა წიწილას, მაგრამ ფრთები, ნისკარტი და ფეხები ჯერ თითქმის უჩინარი აქვს. მეცხრამეტე დღეს რომ კვერცხი გავტეხოთ, შიგ ვნახავთ თითქმის მზა წიწილასა: თავი მარჯვენა ფრთის ქვეშ აქვს ამოდებული, ფეხები მოკეცილი უწყვია და მიკრული აქვს ტანზედ. თუ ოც-და-პირველს დღეს მივალთ საბუღართან, ვნახავთ, რომ წიწილები ნისკარტით ამტვრევენ ნაჭუქსა და გარედ გამოდიან. საბუღარში რჩება მხოლოდ ცარიელი კვერცხების ნაჭუქები. ზული და ცილა კვერცხებისა რალა ქნილა? ამას წიწილები სჭამდნენ და იზრდებოდნენ.

მერცხალი, ჩიტო, ყვავი და სხვა ბევრი ფრინველები სჩეკენ ტიტველა და სუსტს ბარტყებს, ანუ ღლაპებსა, რომელთაც პირის დაღების მეტი არა შეუძლიანთ რა პირველს დღეებში. ჩვენი ქათმის წიწილები კი მოჩიტულები და მოლონიერებულნი გამოვიდნენ კვერცხებიდგან. ტანი ჰქონდა შემოსილი ზშირი ფაფუკი ბუმბულითა, ფეხებში სასიარულო ღონე საკმაო ედგათ. ამიტომაც საამური სანახავები იყვნენ ეს პაწაწინა ქულა არსებანი. გამოძვრნენ თუ არა კვერცხებიდგან, მაშინვე ფეხზედ დადგნენ, საბუღრიდგან გადმოიწიეს, გადმოჰყვნენ თან დედასა და გამოეფინნენ გარედ. ძრუხი ეძებს თავისს შვილებისათვის საქმელსა და, როცა პოულობს, უძახის მათ. მაგრამ იმათ პირველს დღეს მზის შუქი, ჰაერი და თავი-

სუფალი მოძრაობა ისეთს ნეტარებას აგრძნობინებს, რომ სა-  
ქმელი მათ სრულიადაც არ აგონდებათ. მეორე დღეს კი პა-  
ტრონი უყრის მათ აზელილს სიმინდის ფქვილს. აი წიწი-  
ლები დაიღალნენ და მალ-მალ ეცემიან მიწაზედ, კრუხმა შე-  
ნიშნა ესა, მყუდრო ადგილს გაჩერდა, გაფხორა ფრთები, შე-  
ისხა წიწილები ქვეშ და ტკბილად დააძინა. ძაქვაქვი, ყვავი და  
ქორი ემტერებიან წიწილებსა; მაგრამ მათი დედა ძალიან გა-  
ფრთხილებულია და ყოველს ხიფათის დროს თავ-გამოდებული  
ებრძვის თავისის შვილების მტრებსა. ქვესის თვის განმავლობა-  
ში ეს პატარა წიწილები დიდ ქათმებად ვადიქცევიან და თა-  
ვისს პატრონს ბევრს სიკეთეს უზმენ.

## ი ნ დ ო უ რ ი.

ინდოური ტანით ყველა შინაურს ფრინველებზედ ბევ-  
რად უფრო დიდია, მაგრამ თავი კი ძალიან პატარა აქვს. ამი-  
ტომაც ჭკუაზედ მეტად სუსტად არის, ნამცეცს მოფიქრებას  
ვერ იჩენს რაიმე ხიფათის დროსა. თავისის ჭკუის სისუსტეს  
ინდოური კარგად ჰგრძნობს და ამიტომ ყველაფრისა ეშინიან.  
ხშირად ინდოურების მთელი გროვა გაშეშებული სდგას ერთს  
ადგილასა, აუღია თავი მალსა, გაშტერებით შესცქერის ცა-  
სა და საცოდავის ხმით შეჰკივის. ინდოურებს, როგორც ეტ-  
ყობათ, მზე ქორად მიაჩნიათ, ღრუბლები—ძერად და თით-  
ქო ვევედრებიან მათ, შეგვიბრალეთ და ნურას დაგვიშავებთო.  
მწყრისაც კი ეშინიანთ და როცა მინდორში ყოფნის დროს  
გაიგონებენ ხოლმე მის ჭუკჭუკსა, გულ-გახეთქილები გარბი-  
ან შინისაკენა. ინდოურებს ერთმანეთი არ უყვართ და ხში-  
რად მოსდით ჩხუბი. აი ორი ინდოური სრულიად უმიზეზოდ  
წაიკიდა, სცემენ ერთმანეთს ნისკარტებს თავში და თვითოე-  
ული მათგანი სცდილობს მოწინააღმდეგის ბიბილო პირში იგ-  
დოს. ზოლოს ერთმა მეორეს აჯობა სიმარჯვით და ბიბილოში წა-

ავლო ნისკარტი; ჩააბეირდა, დაულუნა ძირს თავი და მიწაზედ უგლისა. თავს იქამდინ არ დაანებებს, ვიდრე თვითონაც არ მოიქანცება. ამ სამაგელი თვისებით უტვინო ინდოურები მოგვაგონებენ ქუთა-მოკლე ადამიანებს, რომლებსაც ერთმანეთის შურში, სიძულვილსა და მტრობაში სული ამოსდით.



ინდოური თუმცა საყვარელი და სასიამოვნო ფრინველი არ არის; მაგრამ, სამაგიეროდ, დიდს სარგებლობას აძლევს კაცსა. მისი ხორცი მეტად გემრიელია, კვერცხები ნოყიერია და ბუმბული ძლიერ გამოსადევი. ამასთან ინდოურს ერთი კარგი თვისებაცა აქვს: დედას ძლიერ უყვარს ქუკები, დაულაღვად ზრუნავს მათთვის, და თავისი სიმხდალგეკი ავიწყდება, როდესაც რაიმე გასაჭირი მიადგება მის შვილებს. ძვერცხების დებას ინდოური იწყებს, ერთი წლისა რო შესრულდება. ხდებს დღე-გამოშვებით და თხუთმეტი კვერცხიდგან ოც-და ათამდის დასდებს ხოლმე აპრილის და მაისის განმავლობაში. ინდოური მთელი თვე ზის კვერცხებზედ და ოც-დამეათე დღეს სჩეკავს ქუკებსა.

ასი წელიწადი არ იქნება, რაც ინდოური გაჩნდა საქართველოში. წარსული საუკუნის დამლევს საქართველოს უკანასკნელს მეფეს ზიორგი მეცამეტეს მიაართვა ორი წყვილი დედამამალი ინდოური ერთმა რუსის სალდათმა, რომელიც რუსეთიდან მოსულს ჯარში ერია. რუსის ჯარის კაცებმა ძლიერ უქეს მეფეს ინდოურის ხორცი. მაგრამ მან არ ინება ინდოურების დაკვლა და უკანვე დაუბრუნა. ეს ორი წყვილი ინდოური მაინც ქართველებმა ჩაიგდეს ხელში; არ დაკლეს და კვერცხები ადებინეს, ამრავლეს ინდოურის ჯიში და გაავრცელეს მთელს საქართველოში. ინდოურის სახელი იმიტომ დაერქვა ამ ფრინველსა, რომ მისი სამშობლო ინდოეთია. აქედგან ის გავრცელდა მთელს დედამიწის ზურგზედ. ინდოეთში გარეული ინდოური ეხლაც ბევრი იცის.



შ ა რ შ ა ვ ა ნ ბ ი (იგაგ-არაკი). ეროვნული  
ბიბლიოთეკა

სოფლებს ხილი მიქონდათ ქალაქში გასასყიდად. ბზა-ზედ ვილაც დიდებულის ეზოში ერთი ფრინველი დაინახეს, რომლის მსგავსი ჯერ იმათს თვალებს არ ენახა; თურმე ფარშავანგი იყო. მს უცნაური ფრინველი ხან ბავშვივით გაჰკიოდა, ხან ბოლოს დიდად გადიშლიდა, კისერზედ გადმოიღერებდა და მზის სხივზედ ფერად-ფერადად ააქრებდა. სწორედ საუცხოვო სანახავი იყო!



— „რა მშვენიერია,“ სთქვა ერთმა: „შეხედე, რა საკვირვლად უბჭყვრიანებს ყელი! ხან მწვანედ უჩანს, ხან მტრედისფრად და ხან ოქროსფრად! თავზედაც თითქო თაიგული ადგია.

ახლა მის დიდებულს ბოლოს დააცქერდი! ამაზედ უმშვენიერესი ფრინველი ქვეყანაზედ არ უნდა იყოს!“

— „არც ისეთი ლამაზია, როგორც შენა გგონია: დააცქერდი, რა საძაგელი ფეხები აქვს და რა გულ-გასახეთქად ყვირის ზარნაშოსავით!“ უთხრა მეორემ.

მზოში ამ დროს დიასახლისი დასეირნობდა თავის ქალით და თურმე ამათ ლაპარაკს ყური მოჰკრა. სოფლები რომ ეზოს ჩასცილდნენ, დედამ ჰკითხა თავის ქალს: რომელი უფრო მართალს ამბობდაო? შვილმა პასუხი ვერ მისცა.

დედამ უთხრა, ორივე უსამართლოდ სჯიდა: ერთი მარტო კარგ მხარეს ხედავდა და მეორე—მხოლოდ ცუდსაო.—

### ზარეული ფინელები.



#### ტ ო რ ო ლ ა.

შანის გვერდით სათიბში სცხოვრებდა ცქვიტი ტოროლა. როდესაც თავის ბედს ადარებდა მწყურის ბედსა, ძალიან კმაყოფილი რჩებოდა. მართლაც და არა სცდებოდა. შფრო პატარა და მსუბუქი ტანი სრულიად არ ამძიმებდა ტოროლასა; მოზრდილი და მაგარი ფრთები გვიან ეღალებოდა. ამის გამო ფრინვაში ყოჩაღი და მარდი იყო, ასე რომ თვით მიმინოსაც არაფერს ებუებოდა. ბევრჯელ მოუქანცავს მიმინო დევნაში, ბოლოს ბალახებში ჩამოუსწვრია ზევიდგან და პირ-ცარიელი დაუნარჩუნებია. ადამიანიც იშვიათად სდევნიდა ტოროლას, რადგანაც ძნელი იყო მისი დაჭერა, ხორცი მეტად ნაკლებად ება და ამასთან მშვენიერი გალობით ხშირად უხალისებდა მას გულსა.

ბი ზაფხულის მზემ შუადღის პაპანაქება დაატრიალა, მინდორში ყველა სულდგმული ეძებს ჩრდილოსა და ემალება მზის ცხარე შუქსა. ტოროლა კი სრულიად სხვაგან ეძებს სიგრილესა.



ღაიძვრის ბალახებიდგან, ფრენით მალა-მალა მიდის იმ სახით, თითქო კიბეებზედ ხტებოა, და თვალ-მიუწვდენელს სიმალღეში იკარგება. აქაური სიგრილისაგან დამტკბარი და ეშხში მოსული, საამური ხმით დასძახის დედა-

მიწასა, სადაც დაღალული მუშა იმისი მხიარული სიმღერით სტკებბა. ბი ხანი იცურავა ჩვენმა კეკლუცმა მგალობელმა ცის სივრცეში. ბოლოს, როცა ღონიერი ფრთები დაეღალა, წამსვე შეკუმშა, ტანზედ გაიკრა და ტყვისასავით სწრაფად დაეჭანა ძირსა. ღედამიწას რომ დაუახლოვდა, თავი შეიმაგრა, ამოარჩია მოხერხებული ადგილი და ბალახებში ჩაიმაღა და სასვენებლად. ამ დროს რომ ტოროლას ზედ თავზედ წაადგე,

მიწაზედ გააკრავს თავისს ტანსა და ფეხებსა და ისე გაინახება, რომ სრულიადაც ვერ შეამჩნევ. ზანაბვა მეტად ~~თასტატური~~ იცის. ზოგმანშიაც მარტო ღაღღა თუ აჯობებს, ~~თორემ სხვა~~ ვერა ფრინველი ვერ შეედრება.

აი დადგა აპრილი და ტოროლა შეუდგა ბუდის გაკეთებასა. ხშირს ბალახებში მოსძებნა მოხერხებული ალაგი, ნისკარტით ამოგლ ჯა რამდენიმე ბალახი, მოატიტვლა ადგილი, გათხარა პაწაწა ორმო, ჩააგო შიგ ხავსი, ბალახი, დასდო ექვსი მოლურჯო კვერცხი და დააჯდა ზედ. მამალი ტოროლა ამ დროს თითქმის განუწყვეტლად გალობს და შეაქცევს თავისს გამრჯელს დედალსა. მის კვირაზედ გამოჩეკა დედალმა ტოროლამ პატარა ბარტყები, ერთგულად უშიდა მატლები და ქიები საქმელად, დაზარდა და მალე დააფრინა. შემდეგ ორჯელ კიდევ დასდო კვერცხები, აკრუხდა და დააფრინა ბარტყები. ასე რომ ერთს ზაფხულს სამი პირი ბარტყები დაზარდა. ღადგა შემოდგომა და, ყველა სხვა წამსვლელი ფრინველებივით, გასწია სამხრეთისაკენ, თბილს ქვეყნებში.

### სხვისი იმედი ამაოა (იგავ-არაკი).

ერთმა ტოროლამ ბუდე გაიკეთა სათიბში, რომელიც გზის პირად იდო. როცა ბარტყები გამოიჩიკნენ, მათი დედა ყოველს დღეს გაფრინდებოდა ხოლმე საქმლის მოსატანად და თავისს შვილებს ამ დარიგებას აძლევდა: წყნარად ისხედით ბუდეში და ყური უგდეთ გამვლელ-გამომვლელის ლაპარაკსა. ჩვენ უნდა ადრიანად შევიტყოთ ბალახის გათიბვა და ბინა ვიცვალოთ

ერთხელ, როცა დედა უკან დაბრუნდა მინდვრიდან, გულგახეთქილმა ბარტყებმა ერთხმით შესქვიველეს: „დედილო, დედილო!“ ჩვენ ამ წუთსავე თავი უნდა დავანებოთ ამ ბუდესა და სხვა ადგილას გადავიდეთ; ბალახს ჩქარა დაუწყებენ თიბვასა. ღღეს დილით გლეხმა თავისი შვილით ჩვენს ახლო გზაზე გაი-



არა და სთქვა: „ბალახი დასრულებულია, დარიცხვები სდგას, ხვალვე ჩვენს მეზობლებს და მეგობრებს ვახლოვდებით და ბალახი გამათიბინონო.“

ნუ გეშინიანთ, შეილებო, უთხრა ხნიანმა და გამოცდილმა ტოროლამ. ჯერ აჩქარება საჭირო არ არის. თუ გლეხი მეგობრების იმედზე დარჩა, ბალახს გათიბვა მალე ვერ ელირსება. — ბარტყები დაწყნარდნენ.

რამდენისამე დღის შემდეგ ბარტყებმა შეშინებული ხმით მიაძახეს დაბრუნებულს დედას: ახლა კი სწორედ დროა, რომ ახალი ბინა მოვძებნათ. გლეხი მეორედ იყო აქა და ამბობდა: „მეგობრებმა და მეზობლებმა ხელი არ წამახმარეს, მეტი ღონე არ არის, ნათესავებს უნდა მივმართო საშველადო.“

— ახლაც ფიქრი არ არის, უთხრა დედამ თავისს ბარტყებსა: არხეინად იყავით და ბინის მოშლისა ჯერ ნუ გეშინიანთ. — ზავიდა კიდევ რამდენიმე დღე. შინდვრიდან რომ ტოროლა დაბრუნდა, ბარტყებმა სრულიად სხვა ამბავი მიაგებეს: გლეხი დღეს კიდევ მოვიდა აქა და სთქვა: „მოვსტყუვდი ნათესავებშიაც, და ამიტომ მე თვითონ ხვალვე ვიწყობ ბალახის გათიბვასაო.“

აი, ახლა კი სწორედ უნდა გავეშუროთ აქედგან, უთხრა გამოცდილმა ტოროლამ. შინამ გლეხი სხვის იმედზე იდგა, ბალახის გათიბვა ძალიან საეჭვო იყო; მაგრამ რაკი თავისი შველა თვითონვე უკისრნია, ახლა კი ჩვენ ხიფათი მოგველის და ამ ბინას უნდა გამოვესალმოთ.

წრინველები მაშინვე აიშალნენ და სხვა უშიშარს ადგილას გადაფრინდნენ. მეორე დღესვე დილით ადრე მოვიდა გლეხი, იწყო გამოცელება ბალახისა და რამდენისამე დღის განმავლობაში სათიბი მთლად მოაკარკარავა.



# ტოროლაბ და ღრუბელი (ფრანგული იგავთრეცვი) ქართული ენციკლოპედია

პაწაწინა ტოროლები  
 ამოჰკროდნენ მწვანე ველსა,  
 და თვალს აღარ აშორებდნენ  
 მალა ცაში შავს ღრუბელსა.  
 — ში დედავ! დაიღუპა  
 მამა ჩვენი უკუნ-ბნელში,  
 შეფრინდა და აღარა სჩანს  
 მალალსა და შავს ღრუბელში.  
 რა უნდოდა ისე მალა,  
 ღრუბელში რას ერეოდა?  
 ბულის ტკენით ჭყიპინებდნენ,  
 შველას ცრემლი ერეოდა.  
 — შიქრი ნუ გაქვთ, თავისს შვილებს  
 უთხრა დედა ტოროლამა,

ხიფათი ვერ შეაშინებს,  
 არ შედრკება თქვენი მამა.  
 შავი ღრუბლის სქელი ნისლი,  
 მამაცურად გაარღვია,  
 შიგ შევარდა შურდულივით,  
 შეზუზუნდა, როგორც ტყვია.  
 ღრუბელს ზევით აწ უშიშრად  
 შრთა გაშლილი დასრიალობს  
 და მოწმენდილს ცის კამარას  
 შეჭხარის და თან შეჭგალობს.  
 საცა არის, ის მალლიდგან  
 დაეშვება სწრაფად ძირსა  
 და ყველაფერს თითონ გეტყვით  
 ლხენასა, თუ გასაჭირსა.


## მ ე რ ც ხ ლ ე ბ ი .

მართს სოფელში კედლის კუნჭულში მერცხალს ბუდე  
 ჰქონდა გაკეთებული. ბუდეში პაწაწინა ბარტყები სცხოვრებდნენ. ჯერ იმათ ფრენა არ შეეძლოთ. დედ-მამა ათბობდამათ თავისი ფრთებიტა, ამიტომ ისინი მუდამ თავისს შვილებტან უნდა ყოფილიყვნენ. მარტო ხანდახან საქმლისათვის გაფრინდებოდნენ ხოლმე მინდორში, მაგრამ იქ დიდ ხანს არა რჩებოდნენ, საჩქაროზედ ბრუნდებოდნენ უკანვე და უვლიდნენ თავიანთ შვილებტა.

მრთხელ, ძლიერი ქარის გამო, სახლის ქერი მეტად შეინძრა და მერცხლის ბუდე ძირს ჩამოვარდა; ამ დროს დიდი მერცხლები მინდვრად იყვნენ. ბარტყებს შეეშინდათ და დაიწყეს საცოდავად ჭყიპინი; ბუდე კი არ დაშლილა, რადგან სახლი დაბალი იყო.

დედა-მერცხალმა შორიდგანვე გაიგონა თავისი ბარტყების

ქვიპინი და საჩქაროდ დაიბადა სახლთან; მამალი მერცხალი



კი კარგა შორს იყო წასული. ღედამ არ იცოდა, როგორ ეშველა თავისი შვილებისათვის. ბაცხარე-

ბული ხან აქეთ ფრინავდა, ხან იქით და გაფაციცებული ეძებდა იმისთანა მოხერხებულს ალაგს, სადაც შეიძლებოდა ბარტყების გადასხმა. უცრივ თავს დაატყდა უფრო კიდევ დიდი ხიფათი: მოვარდა ვეებერთელა კატა; იმის თვალები ცეცხლივით ბღღვრიანობდნენ; დაჟღეტა მოელოდა პაწაწკინა მერცხლებს; მაგრამ დედა მერცხალმა თავი გამოიღო და გადასწყვიტა, ჩემი ცოცხალი თავით ჩემს ბარტყებს არ დავანებებო. ლეე, მე შემქამოს კატამა, ჩემს შვილებს კი არას გზით არ დავახოცინებო, ფიქრობდა მერცხალი. ის სისწრაფით ეცა კატას და მაგრად ჩაუჭირა თავისი ნისკარტი თავში; მასთანვე ისეთი გაცხარებით და სიჩქარით სცემდა თავ-პირში ფრთებსა, რომ კატამ აღარ იცოდა, სად იყო და რა ამბავი ხდებოდა იმის თავზედ. ამ დროს მამალი მერცხალიც მოფრინდა და წამსვე გაიგო, რა ხიფათი დასტეხოდათ თავსა. უჩუროხულა რაღაც დედალს, აფრინდა ბანიდამ მალლა და შეჰქმნა ძახილი: „ქიკ-ქიკ.“ მერცხლებიც თავიანთ ენაზედ ლაპარაკობენ და ეს სიტყვები ჩვენებურად ნიშნავს: „არიქა, მტერი, გვიშველეთ, ძმებოო!“

ამ ძახილზედ უეცრივ მოფრინდა მერცხლების ვეებერთელა გუნდი მყვირალა მერცხალთან, რომელიც იმავ წამს ჩაეშვა ძირს ბუდესთან. ამას ჩაჰყვა მთელი მერცხლების გუნდი და მაშინვე გაჩნდა საშინელი ბრძოლა. მერცხლები ეცნენ კატასა, დაუწყეს ფეხებითა და ნისკარტით წეწვა და სცემდნენ სილებს თავიანთი ფრთებით. საწყალმა კატამ აღარ იცოდა, რა ექნა! ბაქცევაც ველარ მოახერხა; საცოდავად კნაოდა და სცდილობდა ფეხებით მოეშორებინა მერცხლები, მაგრამ სულ ტყუილად. უცებ კატა დაეცა და გაქიმა

ფეხები; ეშმაკმა კატამ თავი მოიმკვდარუნა. ღაინახეს თუ არა  
ეს მერცხლებმა, სწრაფად დაანებეს თავი და აფრინდნენ მაღლა,  
ძატა კი ნელ-ნელა წამოდგა და შერცხვენილმა გაჰკურცხლა.

ამ სეირის მაყურებელი რამდენიმე ადამიანი იყო. ძატის  
დამარცხების შემდეგ, იმათ აიყვანეს ბარტყები და სხვა ცარი-  
ელს ბუდეში ჩასხეს. ბარტყების დედ-მამას ეს ძალიან გაუ-  
ხარდა და იმათ ჩვეულებრივი მხიარული ჭიკჭიკით მიჰყვეს  
ხელი საჭმლის შოვნასა და ზიდვასა. მხიარულად და მშვიდად  
ატარებდნენ ცხოვრებას ბარტყები. მშობლებმა ასწავლეს იმათ  
ფრენა, პატარა ბუხების ჭერა და „ჭიკჭიკი.“ რვა დღის გან-  
მავლობაში ყველაფერი შეიგნეს პატარა მერცხლებმა და შემ-  
დეგ თავისს თავს თვითონვე უვლიდნენ.

მრთხელ ერთს ამ დაფრენილ ბარტყთაგანს ფეხი გაე-  
ხლართა კარაპნის ბოძზედ ჩამოკიდებულს ძაფში. ბარტყი ცდი-  
ლობდა როგორმე ფეხი დაეხწია ძაფიდან, ხან აქეთ იწევდა,  
ხან იქით, მაგრამ სრულიად ვერაფერს გახდა. ბოლოს ამ  
ბარტყმა ჭყვილი დაიწყო, თითქო მოშველებასა სთხოვს  
დედა მერცხალსაო. ამ ჭყვილზედ სწრაფად მოცვივდნენ  
ყველა მერცხლები, რომლებიც კი იქ ახლო-მახლო იპოვე-  
ბოდნენ, და იწყეს გახლართული ბარტყის გარშემო ტრიალი,  
თითქოს ჰფიქრობენო, რა ღონისძიებით ვუშველოთ ამ საწ-  
ყალსაო. უცებ ერთი მერცხალი გაექანა და ჩაჰკრა თავისი ნის-  
კარტი ძაფსა ბოლოში, იმ ადგილის ახლო, სადაც მერცხალს  
ფეხი ჰქონდა გაბმული. მას მიჰბაძა ჯერ ერთმა, მერე მეორემ,  
შემდეგ მესამემ და სხვებმა ყველამ. მერცხლები დაუღალავად  
ირჯებოდნენ და განუწყვეტლივ სცემდნენ თავისს ნისკარტს  
ძაფსა ერთსა და იმავე ადგილას. ნახევარ საათის განმავლობაში  
ამ ადგილს ძაფი ისე გააწვრილეს, რომ ბოლოს გაწყდა და გან-  
თავისუფლდა საწყალი მერცხლის ბარტყი, რომელიც მხიარულის  
ჭიკჭიკით მადლობას უხდოდა თავისს განმათავისუფლებელთ.

ამ მერცხლების ბინის ახლო ერთს სხვა მერცხალს ბუდე  
ჰქონდა გაკეთებული. უცებ მოუვარდა ერთი ონავარი ბედურა



ჩიტი, ამოგდო ბუდიდგან, თვითონ ჩაჯდა ბუდეში და დაიჩქვმა. ღაბრიყვებულმა მერცხალმა საცოდავად დაიწყო ჭყვივილი შემოესმათ სხვა მერცხლებსა, მიხვდნენ, რომ იმათი მოძმე ხიფათში გაბმულიყო და სწრაფად გამოეშურნენ საშველად. რამდენსამე წამს ბუდის გარშემო უთვალავი მერცხლის გუნდი მოგროვდა. მსენი ბუდესთან წინ და უკან ფრინავდნენ, ტრიალებდნენ, ბუხებივით ირეოდნენ და შიგ იცქირებოდნენ, თითქოს უნდოდათ გაეგოთ, რა მოსვლია ბუდეს, ან ვინ ჩამჯდარა შიგაო. როცა შიგ ჩიტი დაინახეს, ერთი საშინელი ჭყვივილი გააბეს, ეგონათ, ჩიტს შევაშინებთ და ბუდისთვის თავს დავანებებინებთო. მაგრამ ინადიანი ჩიტი ამას აინუნშიაც არ იგდებდა. მოიყუჟა ბუდეში და ამოსვლას სრულიადაც არ აპირებდა. უცებ გაბრაზიანებულმა მერცხლებმა ერთბაშად შესჭყვივლეს და სადღაც გაქრნენ ყველანი. ჩიტს ეგონა, ეს არის გავიმარჯვეო, მაგრამ საშინლად მოსტყუვდა. მერცხლები დასხდნენ მახლობელს კაობზედ, ნისკარტები დაავლეს ტალახსა, აიღეს, რამდენიც შეეძლოთ, ერთბაშად აფრინდნენ, მოვიდნენ ბუდესთან, რომელშიაც ბრიყვი და ახირებული ჩიტი იჯდა, და რამდენსამე წამს ბუდის პირი სულ მთლად ამოგლისეს ტალახითა. როცა საქმე გაათავეს, მხიარულის ჭყვივლით აქა-იქ გაიფანტნენ, თითქო ჩიტს უძახდნენ, „სადაც შენი დაიკვებო, იქ ჩვენიცა სთქვიო. ჯიუტი ჩიტი ბუდეში ამოინჩხობოდა, ამ ოინისათვის რომ თვალი არ მოეკრა სახლის პატრონსა. იმას შეეცოდა საშინლად დასჯილი ჩიტი, შესწვდა ბუდესა, პირი აუხსნა და გულ-გახეთქილი ბედურა ამოუშვა ზეით.

### მარო და მერცხალი.

პატარა მაროს ძმამ მერცხლის ბარტყი მიუყვანა. მაროს ძლიერ უყვარდა პატარა ფრინველები და ამიტომ სათუთად გაზარდა მერცხალი და გააშინაურა. სრულიად გაჩვეული მერცხალი არხენად დაფრინავდა ოთახებში და თავისი ჭიკჭიკით აშინა-

რულვდა მთელს სახლსა. შარო ანებივრებდა შერცხალსა, ეა-  
ლერსებოდა და საუკეთესო საქმელს არ აკლებდა. შერცხალ-  
მაც ძლიერ შეიყვარა პატარა კეთილი გოგონა და სულ იმის  
გარეშემო ტრიალებდა; ხან თავზე აჯდებოდა, ხან მხარზე, ხან  
ხელზე, ხან წინ მიუფრინავდა, ხან უკან მოექცეოდა, ხან ზე-  
ვიდან დასტრიალებდა, თითქო თავს ევლებათ.

ასე ტკბილად ატარებდნენ დროს კაი ხნის განმავლობა-  
ში პატარა გამდელი და მისი ქიკიკა შვილობილი; მაგრამ [ამ]  
სიტკბოებას მალე ბოლო მოეღო, საუბედუროდ.

მართხელ შარო ტახტზედ იყო ჩამომჯდარი და ბანქოე-  
ბის ხუხულას აკეთებდა. უნდოდა აეგო ჩინებული ორ-სართუ-  
ლიანი ბანქოს შენობა. მაგრამ ძლიერ გაუძნელდა დამთავრე-  
ბა ამისთანა შენობისა, თუმცა შაროს ხუხულების კეთებაში  
ბაღალი არა ჰყავდა. თუნდა ათჯერ აიყვანა ხუხულა ზემო  
ბანამდინ, მაგრამ სწორედ დახურვის დროს ჩაეფუშებოდა  
ხოლმე და ფუქად მისდიოდა იმოდენა შრომა და წვალება.  
სხვა უამისო თავს დაანებებდა; მაგრამ შარო მეტად შეუპოვა-  
რი ბავშვი იყო და რასაც მოიწადინებდა, უთუოდ უნდა შეე-  
სრულებინა. ამიტომ ხუხულას თავი არ დაანება და იქამდინ  
ეცადა და ეწვალა, ვიდრე გულის წადილს ეწეოდა. აიყვანა  
მალალი კედლები, გაუკეთა კარები და ბოლოს გადახურა ზე-  
ვიდან ბანი ისეთი სიფრთხილით, რომ არც ერთი ბანქო იო-  
ტის ოდენად არ შეუნძრევია. დამთავრდა, დასრულდა მალა-  
ლი ორ-სართულიანი და მეტად უნოიანი ხუხულა; მაგრად  
და ლამაზად იდგა და ჩაფუშვის შიში აღარ იყო.

შაროს სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. დიდებულის  
მცხეთის ტაძრის აღმშენებელიც კი იმაზე მეტს სიხარულს არ  
გამოივლიდა, რასაც ამ წამს შარო გრძნობდა. „როგორ გაი-  
ხარებს დედა ჩემი, როცა ამ მშვენიერს ხუხულას ნახავს,“  
იფიქრა შარომ, და ზეზე ადგომა იწყო, რომ დედისაკენ გა-  
ქანებულიყო, მოეყვანა, ენახებინა თავისი ხუხულა, თავი  
მოეწონებინა და დედა გაეხარებინა. მაგრამ სწორედ ამ დროს



თაროდან წამოვიდა მერცხალი და ხელზე უნდა დასჯდომოდა მაროსა. ამითი უნდა ეჩვენებინა მერცხალს თავისი გამძლეობა სათვის, რომ მასაც მოსწონდა მისი ჩინებული ხუხულა და მისს სიხარულს თავისს სიხარულსაც უერთებდა. მაგრამ ღმერთმა თქვენს მტერსაც ნუ მისცეს ის სიხარული, რაც მერცხალმა მაროს მიაყენა: ხელზე დაჯდომის დროს ფრთა მოახვედრა ხუხულის ბანსა და ერთის თვალის დახამხამებაში მთელი შენობა რახა-რუხით ჩაიშალა ბანიან-კედლებიანად.

მცხეთის ტაძარი რომ დანგრეულიყო თავისი დამთავრების დროსა, მისი სახელოვანი ოსტატი არ გამოცდიდა იმაზე მეტს სიმწარეს, რაც პატარა მარომ იგრძნო თავისი ხუხულის ჩაფუშვით. ჯერ თითქმის გული შეუწუხდა, მერმე ეს გულის წუხილი სიბრაზედ გადაექცა და თავისი ბრაზი იყარა იმაზე, ვინც უნებლიედ ჩაუფუშა ხუხულა. მისწვდა თავისს საყვარელს მერცხალს, სტაცა ხელი და რამდენჯერმე დაურიდებლად ჩაუთაქუნა თავში. ნაზმა ფრინველმა ვერ აიტანა ცემა, დაეცა ძირს, იწყო საცოდავად ფრთხილი, მერმე გაიბნინდა, გაიშოტა და სული დალია.

„მაიმე, დედავ, მოვკალი ჩემი ქიკქიკა“, — ამოიკვნესა მარომ და წასკდა მღულარე ცრემლი თვალებიდან; მერმე ხვეწნა დაუწყო თავისს საყვარელს ფრინველსა: ჩემო კარგო, ჩემო ძვირფასო, მოცოცხლდი, გამოიღვიძე და გეფიცები, რომ კვლავ არასოდეს აღარ ვახლებ ხელს და სიყვარულის მეტს არას გიჩვენებო. მაგრამ მერცხალი გაფიჩხებულნი იყო და ვეღარ მოასულიერა მაროს აღერსმა და ტირილმა.

მარომ გამოიტირა თავისი უბედური შვილობილი, მერმე წაიღო და დამარხა ბაღიაში ალუბლის ქვეშა. ხშირად დადიოდა შემდეგშიც მერცხლის საფლავზე და სწუხდა თავისს დანაშაულობაზე.

ეს უბედური შემთხვევა ისე ღრმად ჩარჩა გულში მგრძნობიარე მაროს, რომ ამის შემდეგ ქირივით შესძულდა გაბრაზება.



საქართველოს  
წიგნების კავშირი

### მინდვრის ეარაულები.

მრთს მხენელ-მთესველს კაცს ხოდაბუნი ჰქონდა დათესილი. შანაში სცხოვრებდა მწყერი. ფერით და მოყვანილობით ბელურა ჩიტს ძალიან ჰგავდა, სიდიდით კი ორი იმოდენა იყო.




ფრთები ჰქონდა პატარა და სუსტი, ამიტომ ფრენა ეძნელებოდა და მალე იღლებოდა. შოველთვის ბალახსა და ყანაში იყო დამალული და ხეზედ, ან ჩირგვზედ, შეჯდომა სრულიად არ იცოდა. ფრენის დროს მალლა არ აღიოდა, დედამიწას და ბალახს არა

შორდებოდა, რადგანაც ეშინოდა მიმინოსი, ქორისა, ალაღისა და სხვა მტაცებელი ფრინველებისა. თუ ფრენით ჩიტსა და მერცხალს ვერ შეედრებოდა, სამაგიეროდ სწრაფი გოგმანით ძალიან სჯობდა მათ.

მწყერმა პურის ფესვებ-შუა თავისის ფეხებით და ნისკარტით მიწა ცოტათი ამოთხარა, პატარა ფოსო გააკეთა, შემო-ორტყა გარშემო მიწა, შიგ ჩააგო წვრილი ჩალა, დასდო თექვსმეტი კვერცხი და ბოლოს დააჯდა ზედა. ბუდეში მწყერი იჯდა ოცი დღე, სანამდინ კვერცხებიდგან არ გამოჩიკა პაწაწინა ბარტყები. ამ ბარტყების მამა ძალიან იშვიათად მიდიოდა ბუდესთან, სულ მინდორ-მინდორ დაფრინავდა და დაგოგმანებდა, ეძებდა მატლებს, სჭამდა იმათ და გაიძახოდა: „ქუკ-ქუკ-ქუკ!“

ამ ხოდაბუნში იცოდა ძალიან ბევრი ჭია-მატლები, რომელნიც სჭამდნენ ახლად ამოსულს პურის ღეროებს და მოსავალს ამცირებდნენ. მწყერს ძალიან უყვარდა ჭია-მატლების ქამა და ამისთვის, საცა კი მოასწრობდა, სინსილას უწყობდა. ღედალმა და მამალმა ასწავლეს თავისს ბარტყებსაც მატლების ჟლეტა. პაწაწინა ჩოჩრები დედასთან სიამოვნებით ატარებდნენ დროსა ყანაში. მაგრამ აი ზაფხული




გავიდა; დაიწყო სიცივეები; მინდორში კია-მატლები აღარსად იყვნენ; ამასთანავე ძნაც დიდი ხანია გლახმა მიზიდდა სახლში; მწყრებს კიდევ შიოდათ და კიდევ სციოდათ. ამიტომ აიშალნენ და წავიდნენ სამხრეთის თბილს ქვეყნებში. როცა ხელ-ახლად ზაფხული დადგა, ჩვენი მწყრები მოფრინდნენ ისევ იმ ყანებში, სადაც წინა წელს სცხოვრობდნენ. იმათ ახსოვდათ, რომ აქ ბევრი მატლები იცოდა. პატარა მწყრებმა ახლა თვითონაც გაიკეთეს ბუდეები, დასდეს თექვსმეტ-თექვსმეტი კვერცხი; ამიტომ ყანაში მწყრები ძალიან გამრავლდნენ. ბევრი, ძალიან ბევრი მატლი გახდა იმათი ნისკარტის წერა. პურის მოსავალმაც იმატა, რადგანაც კია-მატლები აღარ აფუქებდნენ ყანასა.

მრთხელ გლახი მკიდა თავისს პურსა და უცებ ნამგლით მწყერი დასქრა. საწყალი მწყერი მოკვდა. ზღახმა დაიწყო სინანული, რად მოკვალი მწყერიო. სალამოზედ სახლში წაიღო და ლამაზად მოხრაკა. მოხრაკული მწყერი ძალიან ეგემრიელა, ამიტომ გლახმა მოინდომა სულ მწყრები ექირა და მოხრაკული ექამა. იმის ყანაში ამის გამო მწყრები ძალიან შეცოტავდნენ. ზამოიჩიკებოდნენ თუ არა მწყრების ჩოჩრები, გლახი იგდებდა მათ ხელში და მოსახრაკავად მიჰყავდა შინა. სამაგიეროდ მატლები ძალიან გამრავლდნენ ყანაში, რადგანაც იმათ მწყრები ვეღარა სჭამდნენ. მატლებმა დაუწყეს ყანას ფუქება და მოსავალი შეამცირეს. ძლიერ ნანობდა გლახი, რა სულელობა მომივიდა, რომ მოსავლის მცველი მწყრები გავსწყვიტე და ამით ხელი შევუწყე კია-მატლების გამრავლებას ჩემის ყანის ასაოხრებლად.

ბ უ ბ უ ლ ი.

ოდესმე ერთი გუგული სცხოვრებდა ტყეში. ზაიკეთა ხეზედ ბუდე, შიგ რვა კვერცხი დასდო და ბარტყები გამოჩეკა. დედა იმათ აქმევდა და ასმევდა. შემდგომ წლებში ერთხელ



გუგული საქმლის საშოვრად გაფრინდა თავის ბუდიდგან. ამ დროს ამოვარდა ქარი, ხეებმა იწყო ნძრევა, გუგულის ბუდე ჩამოვარდა და დაიშალა. ბუგულს ამ დროს კვერცხების დადების დრო ჰქონდა. ახალი ბუდის გაკეთებას აბა სადღა მოასწრებდა კვერცხების ჩასადებად! ამიტომ დაიწყო აქეთ-იქით ბუდის ძებნა; უნდოდა იქვე ახლო სადმე ეპოვნა მზა-მზარეული ბუდე, რომ იმაში ჩაეწყო თავისი კვერცხები. ახლო-მახლო ალაგები სულ გაშინჯა; მაგრამ ცარიელი ბუდე ვერსად ვერ ნახა. უველა ბუდე დაქერილი ჰქონდათ იმ სხვა-და-სხვა ჩიტებსა, რომელთაც გაეკეთებინათ. აი გუგულმა თავისი კვერცხები ბალახზედ დასდო, — რა ექნა, მეტი ღონე არ იყო, და შემოჯდა ხეზედ. ღაღონებულმა და დაფიქრებულმა დაიწყო აქეთ-იქით ცქერა. უცრად დაინახა ბუდიდგან ამოფრენილი ჩიტი. ბუგულმა საჩქაროზედ წამოაგლო ნისკარტი და ფეხები ერთს თავის კვერცხს და ამოფრენილის ჩიტის ბუდეში ჩასდო. „ბუდეში რომ იდოს, ისა სჯობია, სანამ ბალახზედ ეგდოსო,“ იფიქრა იმან; მერე დაინახა იქვე, რომ მეორე სხვა ჩიტიც თავისი ბუდიდგან ამოფრინდა საქმლის საშოვრად. ბუგული მიფრინდა და მეორე თავისი კვერცხი ჩასდო ამ ბუდეშიაც. ამ ნაირად გუგულმა თავისი რვა კვერცხი სულ აქეთ-იქით ბუდეებში დაარია. ზამოფრინდებოდა თუ არა რომელიმე ჩიტი თავისი ბუდიდგან, ის მაშინვე მიაბრუნებდა თავის კვერცხსა და ჩაუგორებდა ბუდეში. მოფრინდნენ ჩიტები უკან და თავიანთ ბუდეში თითო მომეტებული კვერცხი ნახეს. ზაკვირვებით დაუწყეს ცქერა, მაგრამ უცხო კვერცხი მაინც ბუდეში დაანარჩუნეს. როცა ჩიტებმა კვერცხის დება სულ გაათავეს, ყველა კვერცხები ერთად დაჩეკეს. ზამოჩეკილებში თითო გუგული ერია. ჩიტებმა შეიყვარეს პატარა გუგულები და გულმოდგინედ ინახავდნენ და უვლიდნენ ისე, როგორც თავიანთს ბარტყებსა.



ბუდეში რომ იდოს, ისა სჯობია, სანამ ბალახზედ ეგდოსო,“ იფიქრა იმან; მერე დაინახა იქვე, რომ მეორე სხვა ჩიტიც თავისი ბუდიდგან ამოფრინდა საქმლის საშოვრად. ბუგული მიფრინდა და მეორე თავისი კვერცხი ჩასდო ამ ბუდეშიაც. ამ ნაირად გუგულმა თავისი რვა კვერცხი სულ აქეთ-იქით ბუდეებში დაარია. ზამოფრინდებოდა თუ არა რომელიმე ჩიტი თავისი ბუდიდგან, ის მაშინვე მიაბრუნებდა თავის კვერცხსა და ჩაუგორებდა ბუდეში. მოფრინდნენ ჩიტები უკან და თავიანთ ბუდეში თითო მომეტებული კვერცხი ნახეს. ზაკვირვებით დაუწყეს ცქერა, მაგრამ უცხო კვერცხი მაინც ბუდეში დაანარჩუნეს. როცა ჩიტებმა კვერცხის დება სულ გაათავეს, ყველა კვერცხები ერთად დაჩეკეს. ზამოჩეკილებში თითო გუგული ერია. ჩიტებმა შეიყვარეს პატარა გუგულები და გულმოდგინედ ინახავდნენ და უვლიდნენ ისე, როგორც თავიანთს ბარტყებსა.

პატარა გუგულები თანდათან მოიზარდნენ; თანაც ქამა  
 ძალიან ხარბად დაიწყეს; მათი გამღლები პატარა ჩეტები იყვნენ  
 და თავისი პატარა ნისკარტით სამყოფს საქმელს ვერ უზი-  
 დავდნენ; ამასთან სხვა გამოსაზრდელებიცა ჰყავდათ — თავიანთი  
 ღვიძლი შვილები. ბუგულებს უნდოდათ, რაც გამღლებს სა-  
 ქმელი მოჰქონდათ, სულ იმათ რგებოდათ. ამიტომ, როცა  
 გამღლები საქმლის საშოვრად მიდიოდნენ, გუგულები სცდი-  
 ლობდნენ, რომ ბუდიდგან გადმოეყარათ პატარა ბარტყები —  
 ჩიტების ნამდვილი შვილები. ორი ბარტყი გუგული თავისს  
 წადილს ეწია. იმათ გადმოყარეს პატარა ბარტყები ბუდიდგან  
 და საქმელი მარტო თვითონ დაინარჩუნეს. მაგრამ ეს ბორო-  
 ტება არც ერთს არ შერჩა. როცა ეს გუგულები დაიზარდნენ,  
 ისეთი სქელი გახდნენ მეტი ქამის გამო, რომ ბუდის პირიდან  
 ვერ ამოეტივნენ და შიგ ჩარჩნენ. შემოდგომამდის გამღელმა  
 ჩიტებმა საქმელი უზიდეს ერთგულად, მაგრამ რაკი აცივდა,  
 ისინიც სხვა ფრინველებს გაჰყვნენ თბილს ქვეყნებში. ჩვენი  
 ბოროტი გუგულები დარჩნენ ბუდეებში უსაქმლოდ და საშინ-  
 ლად ჩხაოდნენ. მრთი იმათგანი შიმშილით მოკვდა, მეორის  
 ხმა კი მონადირემ გაიგონა, ბუდეს პირი დანით გაუგანიერა,  
 ამოიყვანა იქიდგან, მერმე ჩასვა ვალიაში და ქალაქში გასას-  
 ყიდად წაიყვანა. ღანარჩენი ექვსი გუგული კი თავიანთ ბუ-  
 დეში მშვიდობით დაიზარდა, და რადგანაც ამ ბუდეებს პი-  
 რი კარგა განიერი ჰქონდათ, ამიტომ თავის დროზედ  
 ამოფრინდნენ და თავისუფალს ცხოვრებას მიეცნენ.

ღედა გუგულმა დაინახა, რომ მისი ბარტყები სხვა ფრინ-  
 ვლების ბუდეებში ღრიგოდ არ იზრდებიან, და ამისთვის მუ-  
 ღამ ამ ბუდეებში დაიწყო ჩუმ-ჩუმად კვერცხების დება. ჩქარა  
 სხვა გუგულებმაც შენიშნეს ესა და ბაძვა დაუწყეს. ამ დრო-  
 დგან გუგულები თავისათვის ბუდეს აღარ იკეთებენ; თავიანთს  
 კვერცხს ჩუმად აწყობენ სხვის ბუდეებში, როცა იმ ბუდეების  
 პატრონები საქმლისათვის გადიან მინდვრად. მვითონ კი ზარ-



მაცულად სცხოვრობენ, დაფრინავენ ტყეში და მარტო თავისი მუკლისათვის ზრუნავენ.

### ბელურა ჩიტები.

მართის სახლის სახურავის ქვეშ მოჩანდა ნაპრალი, რომელშიაც გაკეთებული იყო ჩიტის ბუდე. ბავშვები თვალყურს ადევნებდნენ, როცა ხნიანი ჩიტი აკეთებდა ბუდეს. იმათ ამ დროს ბევრი სასაცილო ოინი ნახეს ჩიტისა. მართელ ბავშვების მამას სურდა შეეფუტრჩქნა ვარდის პატარა ჩირგვები, რომლებიც დარგო ამას წინად თავის ბაღში. ამისათვის ერთი კონა წვრილი ჩალა მოიტანა და დასდო სკამზედ. მაგრამ მინამ მიიხედ-მოიხედავდა, ერთიც ვნახოთ, უეცრად მოფრინდა ჩიტი, მოსტაცა და გააქანა მთელი ბლუჯა ჩალა. ბავშვებმა ხმა-მალა სიცილი ასტეხეს, როცა დაინახეს, რომ ჩიტი დიდის გაჭირვებით მოათრევდა ჰაერში გრძელს ჩალებსა. თუმცა მამას გული მოუვიდა, მაგრამ სიცილის გამო გაჯავრება ვერ მოახერხა. ჩიტმა კი, თითქო აქ არაფერი ამბავიო, მალა აიტანა ჩალა და დასქვივლა იქიდგან, თითქო კიყინა დასცა ჩალის პატრონსაო. ცოტა ხანს უკან ჩიტმა პატარა ქალსაც მოსტაცა თოჯის რამდენიმე ნაჭერი და გაარბენინა თავის ბუდეში. მზოში არ გაუშვა არც ერთი ჩალა-ბულა, სრულიად აალაგა ქათმების და მტრედების ბუმბული და ეს ყველა ჩაგო ბუდეში. როცა ბუდე სრულად გამართეს ჩიტებმა, დედალი ჩაჯდა შიგ, დასდო კვერცხები, დააჯდა ზედ და დაუწყო ჩეკა ბარტყებსა. რამდენისამე კვირის შემდეგ ბუდიდგან მოისმა ბარტყების ქყვილი. ბავშვებმა შეამჩნიეს, რომ დედალ-მამალმა ახლა ერთგულად დაუწყო საქმელს ზიდვა. ბავშვებს უნდოდათ გაეადვილებინათ ჩიტებისთვის საქმლის შოვნა და ამიტომ გადუყრიდნენ ხოლმე ფანჯარის იქით პურის ნამცეცებსა. ამას მალე მიეჩვივნენ ჩიტები და რა წამს საუზმის დრო დადგებოდა, მაშინვე ფანჯარასთან დაიბადებოდნენ ხოლმე. აი, ისინი სხედან ფანჯარასთან და მალ-მალ იცქირებიან აქეთ-

იქით, ახლოს ხომ არავინ არის, არა დაგვიშაოს-რაო. ბრავის ენდობიან, ბავშვები შორიდგან შეჭხარიან ჩიტებსა, როცა ესენი პურის ნამცეცებს მარდად ჰკენკენ.

მაგრამ, ბავშვების გასაოცრად, ჩიტები ნამცეცებს სულ თვითონა სკამდნენ და ბუდეში კი შვილებთან პურის ერთი ნამცეციც არ მიჰქონდათ. მს რად? იმად, რომ ჩიტის პაწია ბარტყები ჯერ ვერა სკამდნენ ვერც პურსა, ვერც გემრიელს ბალსა და ვერც ხორბალსა. იმათ ჯერ კიდევ არ შეეძლოთ აეტანათ ამ გვარი მცენარეული საქმელი. მაშ რითი იზრდებოდნენ ბარტყი ჩიტები? სხვა-და-სხვა ჭია-მატლებითა. დედალი და მამალი ჩიტი მიფრინდებოდნენ ბოსტანში და ჩაკვირვებით შინჯავდნენ კომბოსტოს ფოთლებს და ყოველ ყვავილსა; ისინი აქედგან მარდად ჰკრეფდნენ ობობებსა, მატლებსა, პეპელებსა და უზიდავდნენ თავიანთს ბარტყებს საზრდოდ. რაც უნდა ძლიერ მიმალულნი ყოფილიყვნენ ფოთლებს ქვეშ ობობები, ქიები და მატლები, ჩიტები მაინც მიაგნებდნენ, დაიქერდნენ და მიუბრუნებდნენ თავისს შვილებსა.

მართხელ ბავშვს თითხედ ბუზი უჯდა და უნდოდა გაეშვა თავისს ნებაზედ. მახლობლად კი იჯდა ჩვენი გაქნილი ჩიტი; ბუზი რომ შენიშნა, ფრთები შეიკუმშა ასაფრენად. რა წამს ბუზი მხიარული ბზუილით აფრინდა ბავშვის ხელიდგან, იმავ წამს ჩიტი გაექანა მისკენ, ეცა თავისი ნისკარტით და გაარბენინა ბუდისაკენ.

პატარა ჩიორები სკამენ მხოლოდ პატარა სულდგმულებსა: ბუზებსა, მატლებსა, პეპელებსა, ობობებსა და სხვა მწერებსა; ამიტომაც, როცა ჩვენი ჩიტები შვილებსა ზრდიდნენ, სულ მუსრს ავლებდნენ ამ გვარს მანვე მწერებსა.

თუ შენ როდისმე ჩაგივარდეს ხელში ჩიტის ბარტყი და იმის შინ გაზრდა გინდოდეს, მას ცოტ-ცოტა უნდა აჭამო წვრილად დაკემსილი მოხარშული კვერცხი, ან წვრილად დაქრილი ხორცი და ამის გარდა აძლიო ფქვილის მატლები.



სოტ-სოტათი შეეჩვევიან ხოლმე ჩიტის ბარტყებზე და მარცვლების ქამას მხოლოდ მასუკან, როცა მათი მკვებისა და ცხვირზედ სიყვითლე მოშორდებათ და ფრენას დაიწყებენ.

თუმცა მებაღეებს არ უყვართ ჩიტები, რადგანაც ისინი კენკავენ და აფუჭებენ ბაღებში ხილსა, მაგრამ ჩიტები სიკეთეს უფრო ბევრს უშვრებიან ბაღებსა, მინამ ზარალსა, რადგანაც ჟღეტენ მეტად ბევრს მწერებსა, რომელნიც სწორედ რომ ააოხრებდნენ ყველა ბაღსა და ბოსტანსა, ფრინველები-საგან რომ არ იქლიტებოდეს მათი უთვალავი რიცხვი.

### ჩიტი გალიაში.

პატარა ჩიტი ჩიოდა, რათა ვარ დაშწყვდეულიო;  
ბალიაში ვარ ტყვედ ქმნილი, მწყდება, მიკვდება გულიო.  
ჩემს ტოლ-ამხანაგ ჩიტუნებს მოსვლიათ გაზაფხულიო;  
მათთვის გაშლილა ბუნება, ფერად-ფერადად მკულიო.  
დაჰფრენენ, დასჭიკჭიკობენ, შვება ეძლევათ სრულიო;  
და მე კი ყველა ამაებს ვარ ობლად მოკლებულიო.  
რად მინდა ტუსაღს აღერსი, ეს მოყვრობაა მტრულიო;  
და ვინც ამ დღეში ჩამაგდო, ღვთისაგან იყოს კრულიო.

### ვანო და ჩიტი.

ვანოს ბელურა ჩიტები ძლიერ მოსწონდა. მათი მარდი მოძრაობა, მხიარული ხტუნაობა, სიცოცხლით სავსე ჟივ-ჟივი, ხერხიანობა, საოცარი ჭკუა და უშიშრობა კიდევ აკვირვებდნენ ვანოსა და კიდევ ასიამოვნებდნენ. შრობილი ჩიტებიც მაგრე რიგად არ ერიდებოდნენ ვანოსა და სხვებზე მეტს ენდობოდნენ. რათა? იმიტომ, რომ უხვი ხელი ჰქონდა და ხშირად უყრიდა მათ საკენკსა.

უფრო მეტად შეიყვარა ვანომ ერთი ბელურა ჩიტი, სხვებზე უფრო ცქვიტი, მარდი, ქაჩორა და ლამაზი. შოველთვის

სცდილობდა, რომ საკენკი ამ ქოჩორასთვის მიემარჯვა და მეტი საკმელი ერგუნებინა მისთვის.

ასე გავიდა ზაფხული და შემოდგომა. ბოლოს დადგა ზამთარი; მაგრამ როგორი? ისეთი თოვლიანი და ყინვიანი, რომ მდინარეები მთლად გაიყინა. ჩიტებს საშინლად აწუხებდა ყინვაცა და უსაქმლობაცა. მანომ საკენკის ძლევას უმატა, მაგრამ ყინვის წინააღმდეგ კი აბა რას გააწყობდა.

მანო გულით სწუხდა, როდესაც ხედავდა თავისს საყვარელ ქოჩორა ჩიტს აბურძღნულსა, გამხდარსა, მობუზულს და დაღონებულსა. საწყალი ჩიტუნია საბრალოდ გასკეიოდა ზრინწიანის ხმით, თითქო სჩივის: „ვაიმე, დედავ, გავიყინეო.“

— მს წყეული ყინვა ამ ჩემს ქოჩორას უთუოდ ფეხებს გაათშეკინებს, თუ მე მას არა ვუშველე-რა, სთქვა მანომ და დაფიქრდა მასზე, თუ რა ხერხი მოეგონა. ზადასწყვიტა დაეჭირა ქოჩორა, ჩაესვა გალიაში, ზამთარში შინა ჰყოლოდა თბილად და მძძრად და გაზაფხულზე ისევ გაეშვა გარედ მისს ნებაზე.

ამ განზრახვით მანომ თავისს კარ-მიდამოზე ერთს ალაგას ბლომად დაჰყარა საკენკი, ამ საკენკზე წამოაყირავა ცხრილი, რომელსაც ქვევიდან ჯოხი შეუყენა დასამაგრებლად. ამ ჯოხს ძირში მოაბა ბაწარი, რომლის თავი ხელში დაიჭირა; მოშორდა ცხრილსა და შორი-ახლო ბოძს ამოეფარა.

ლოდინი დიდხანს არ მოუნდა. მარცვლებთან მოფრინდა ყველაზე ადრე ჩვენი ნაცნობი ქოჩორა და ხარბად დაუწყა კენკა. ღამალულმა მანომ იდროვა და უცებ გამოჰკრა ჯოხს ბაწარი. ცხრილი წამოიქცა და ქვეშ მოიტანა ჩიტუნია. მანომ მიიბრინა, ფრთხილად შეჰყო ხელი ცხრილ ქვეშა, დაიჭირა ჩიტი და გარედ გამოიყვანა. საჩქაროდ შეიყვანა შინა და ჩასვა დამზადებულს გალიაში, სადაც წყალიც დაუდგა და ფეტვის მარცვალიც ბევრი დაუყარა.

მანო დარწმუნებული იყო, რომ ჩიტი, სიცივესა და შიმშილს მოშორებული და დაბინავებული თბილსა და საკმ-



ლით სავსე გალიაში, მოკეთდებოდა, მოღონიერდებოდა, მომხიარულდებოდა და ბედნიერად იგრძნობდა თავის მშვენიერებას და ზანოს გაოცებას! მშვიერმა ჩიტმა პირიც არ დააკარა არც საქმელსა და არც სასმელსა. საცოდავად მიიყუთა კუნჭულში, მოიბუზა, საშინლად დაღონდა და მომაკვდავს დაემსგავსა.

— იქნება ჩიტუნისა ეხამა ეს ახალი მდგომარეობა და მერმე შეეჩვიოსო, იფიქრა ზანომ და იმედი მოიცა. მაგრამ არც მეორე დღეს გაეხსნა კრიკა ჩიტსა, და კიდევ უფრო მეტად იტანჯებოდა. ცხადი იყო, რომ ჩიტს გალია თავისი საპყრობილედ მიაჩნდა, თავისი თავი ტყვედ და ზანო მტრად, მწვალებლად, რომელმაც თავისუფლება წაართვა და დაატუსაღა. მრთი-ორი დღე რომ კიდევ დარჩენილიყო გალიაში, ქოჩორა უთუოდ ფეხებს გაფშეკდა.

ზანო ამაში სრულიად დარწმუნდა და მესამე დღეს გარედ გამოიტანა გალია, შორი-ახლო დასდგა, კარი გაუღო და თვითონ მოშორდა.

მიმკვდარებული ჩიტი მაშინვე მოცოცხლდა, გარედ გამოხტა, დაიფრთხილა და მახლობელ საბძელში ტყვიასავით შევარდა. აქ მალე მოიბრუნა გული და გაფაციცებით დაუწყო ძებნა პურის მარცვლებს ბზეში.

მტყობა, ჩიტსაც კი თავისუფლება ყველაფერს ურჩევნია, სთქვა გულ-კეთილმა ზანომ და მას უკან აღარ დაუტყვევებია არც ერთი ჩიტი.

### გაშვებული ჩიტი.

ზუშინ გავულე გალიის კარი ჩემს დატყვევებულს უცხო ფრინველსა, და ჩვეულებრივ სიმღერა მტკბარი მოჰფინა ეშხით ტყესა და ველსა. ზაფრინდა იგი, შემოაჯდა ხესა, შესტრფიალებდა მშვენიერს დღესა, იმ სიმღერაში მლოცავდა მეცა, დღისით, ზინდისას, დილით, ღამეცა.



ეროვნული  
ბიბლიოთეკა

## ჩიტის ბუდის ფასი.

სოფლის სკოლის მასწავლებელი დასეირნობდა ერთხელ სადილს უკან და დაინახა, რომ ერთი მისი მოწაფე ბაღში ხის ძირში იჯდა, თავისს წინ დადებულს ქუდში იხედებოდა და რაღაცას ეაღერებოდა. მას თავს დასტრიალებდა ორი ჩიტი და საცოდავად ჭყიოდა. „შთუოდ ბუდე გამოუშლია,“ იფიქრა მასწავლებელმა და გადაუხვია გზასა. როცა ბავშვთან მივიდა, დაინახა, რომ მას ქუდში უჯდა ხუთი პატარა ბარტყი, რომელნიც ხის ფუღურაში გაკეთებული ბუდიდგან ამოესხა. „რა გიქნია ეგ, ძოტე?—უთხრა მასწავლებელმა ბავშვსა. მანა აქამდის არ იცი, რომ ჩიტის ბარტყების გამოსხმა ცოდლა და ძლიერ მავნებელი ადამიანისათვის? ახლავე ჩახხი ისევ უკან ბარტყები და ისე ფრთხილად, რომ არაფერი დაუშაო.“ ბავშვმა გაუგონა მასწავლებელს და ბარტყები ისევ ჩახხა ბუდეში.

მეორე დღეს მასწავლებელი რო მივიდა სასწავლებელში, მთელი საათი მოსწავლეებს ელაპარაკა გუშინდელს შემთხვევაზედ. „ბუშინ ძოტეს მოვასწარი ბაღში, ჩიტის ბარტყები ბუდიდან ამოესხა. მს ჩვეულება სხვებისათვისაც შემიმჩნევია და ამიტომ დღეს უნდა აგიხსნათ, თუ რა უგუნურობაა ამ გვარი მოქმედება. რა გამოსადეგნი იყვნენ ჩიტის ბარტყები ძოტესათვის? საკმელად ისინი არ ვარგოდნენ და, თუნდა ვარგებულიყვნენ, ისეთი პაწაწინები იყვნენ, რომ გაბღღვანად და შეწვად არ ღირდა. შინ გაჩვევა იმათი არ შეიძლებოდა, ფასი იმათ არა სძევს და არავინ იყიდდა. ძოტე მხოლოდ რამდენსამე საათს ათამაშებდა იმათა, აწვალებდა და ამასობაში სულს ამოართმევდა. საწყალი ბარტყები უნდა უდროოდ მოჰკლებოდნენ მზესა, ჰაერს, ყვავილებს, კიკიკის და ყოველს სიხარულს ტყუილუბრალოდ. ლედ-მამა ბევრს ნაღველს და სიმწარეს გამოივლიდა და არა ერთხელ დასწყევლიდა ბოროტს ბავშვსა, რომელმაც საყვარელი შვილები დაუხოცა. ცოდვა არ არის ესა?“

„შაგრამ ყველაზედ ცუდი იქნებოდა ის, რომ ძოტე ბაღებს დიდს ზარალს მისცემდა: თითო ბარტყი დღეში სკამს, საშუალო რიცხვით, ორმოც-და-ათ მატლსა, ან ჭიასა; ამ ჭია-მატლებს დედამა ხეებზედ და მცენარეებზედ კრეფავს და მიაქვს შვილებთან. მაშასადამე, ხუთი ბარტყი დღეში ორას ორმოც-და-ათ ჭიას გაასაღებდა. ბარტყის ზრდა ბუდეში გრძელდება ერთ თვემდინ. მაშასადამე, ჩვენი ბარტყები დაფრენამდის ხეებს მოაშორებდნენ შვიდი ათას ხუთას ჭიასა. თითო ჭია ყოველ დღე თქველფავს თავის წონა ფოთოლს და ყვავილსა. ზაზრდა ჭიისა გრძელდება მთელს თვესა; აქედგან სჩანს, რამდენი ფოთოლი და ყვავილი უნდა გააოხროს თითო ჭიამა. ზაზრდის შემდეგ ჭია სკამს დღეში თითო გამოსახულ კოკორსა, რომელიც ნაყოფად გადაიქცევა ხოლმე. მაშასადამე, ყველა მატლი თვეში ოც-და-ათს ნაყოფს სკამს და შვიდი ათას ხუთასი ჭია შესკამს ორას ოც-და-ხუთი ათასს ნაყოფსა. ამიტომ, ძოტეს რომ უკანვე არ ჩაესხა ბუდეში ჩიტის ხუთი ბარტყი, მათ ბაღსა და მეზობლის ბაღებს დააკლდებოდა წლეულს ორას ოც-და-ხუთი ათასი ნაყოფი.“

„ახლა ხომ იცით ჩიტის ბუდის ფასი? ჰოინდომებთ კიდევ ამის შემდგომ ბუდის გამოშლას და ბარტყების ამოსხმასა?“ მოსწავლეებმა ერთ-ხმად აღუთქვეს მასწავლებელსა, რომ ისინი თავისს დღეში აღარ გაბედვენ ჩიტის ბუდის გამოშლასა და ეცდებიან, რომ სხვებსაც დაუშალონ ხოლმე ამ გვარი უგუნური და მავნე მოქმედება.

### გაზაფხულის ძაყრები.

მიიპარება ზამთარი, ძალ-ლონე გამოელაია;  
და თვალს არიდებს გაზაფხულს. რა ცუდი მასპინძელია!  
ძარის კაცებიც თან მიჰყავს: ანთება, სურდო და ხველა-  
წინ—წყალი, უკან—მეწყერი. წყალმა წაიღოს სუყველა!  
მის ნაცვლად ველით გაზაფხულს: ჟუჟუნა, შვენიერია!  
იმისი ტანისამოსი უცხო და მრავალ-ფერია!



წინ მოუძღვიან ჩიტები მაყრულით, საამურიითა.  
 ბუღბუღი ჩანგით დახვდება და შაშვი—სალამური  
 მერცხალი, მახარობელი, კიკიკით მონავარდია,  
 და სურნელების მფენელად მზად ზამბახ, ია, ვარდია!  
 ჭვეყანა მაჯას გაიხსნის, გული დაუწყებს ძგერასა  
 და საიდუმლო სიმებით იწყებს ბუნება ჟღერასა!

### ბარეული ცხოველები.

#### მეკობრების ღვერა.

მართს ვენახში სცხოვრებდნენ: ზღარბი, თხუნელა და მიწის ბაყაყი, ანუ გომბეშო. ზღარბი გველებსა ჰხოცავდა, თავებს კატასავით მუსრს ავლებდა, ლოკოკინებსა და ჭია-მატლებს ბევრსა ჰყლავდა. თხუნელა მიწაში დაძვრებოდა და ჟღერდა ყოველ გვარ ჭია-მატლებსა, რომელნიც ვაზის და ხეხილის ფესვებს ემტერებიან, აფუტებენ. გომბეშო ღამ-ღამობით ბოსტანში ნადირობდა და ყოველ საათში ოცხედ მეტს ლოკოკინას, ჭიასა და მატლს იჭერდა, ჰკლავდა და სჭამდა. სამივენი ვენახისთვის დიდად სასარგებლონი იყვნენ და მის პატრონს ძვირფასს სამსახურს უწევდნენ. მაგრამ ეს არ იცოდა ბაღის პატრონის ვაჟმა, უვიცმა და აბეზარმა მასომ. მს გადაემტერა სამივე ფრიად სასარგებლო ცხოველსა და იქამდინ არ მოიხვენა, ვიდრე ყველანი არ გამოასალმა სიკოცხლესა, თავისი ვენახის საზიანოდ და ოჯახის საზარალოდ.

ბავშვებო, ხელს ნუ ახლებთ ზღარბსა, თხუნელას და მიწის ბაყაყსა; მოსისხლე მტრები არიან ჩვენის ვენახების და ჭინახულის მტრებისა, ჟღეტენ მათ, და ამით მოსავალს ეხმარებიან, დიდს სიკეთეს გვიშვრებიან.

#### თ ა გ ვ ე ბ ი.

მართის ოთახის კუნჭულში თავი სცხოვრებდა. ღლისით განუშორებლივ იჯდა თავისს სოროში იატაკის ქვეშ. როცა

სახლში ყველანი დაიძინებდნენ ხოლმე, ის გამოდგობდა თავის სოროდამ და დაუწყებდა ძებნას პურის ნამცეცებს, და ხორცის პატარა ნაჭრებს; აგრეთვე იჭერდა ცოცხალ ბუზებს და სჯამდა. **პ**ი თავი ამოდგოა ქვევიდგან ზევით და თან ამოასხა თავისი ოთხი პატარა წრუწუნა. **ღ**იდმა თავგმა თავისი ღლაპები კუნჭულში დასტოვა, თვითონ კი ბუზების საჭერად ტახტისაკენ გაცუცუნდა და დაიჭირა ბუზი. „წრუ, წრუ!“ დაუყვირა თავისს შვილებსა. **თ**ავგებიც თავგურად ლაპარაკობენ. **ი**მ წამსვე ორმა წრუწუნამ დედასთან მიირბინა. **ღ**ედა-თავგმა ბუზი შუაზედ გა-



გლიჯა და ნახევარ-ნახევარი დაურიგა ღლაპებს; მერმე კიდევ დაუწრუწუნა დედა-თავგმა და პატარა წრუწუნები გაიქცნენ უკანვე თავიანთ კუნჭულში. **თ**ვითონ კი ისევ ნელ-ნელა მიცუცუნდა ტახტთან და დაუწყო ბუზებს ჭერა. **ღ**აიჭირა კიდევ ერთი მსუქანი ბუზი, დაუძახა ახლა დანარჩენს ორ შვილსაც და იმათაც ბუზი შუაზედ გაუყო.

**რ**ოცა სიცხეები დადგა, ოთახში ძალიან ბევრი ბუზები გაჩნდნენ. **პ**მ ოთახში მცხოვრებელმა კაცმა თავგები ძალიან შეიყვარა და ყოველ დღე უმზადებდა საჭმელად: ქონსა, პურის ნამცეცებს და ხორცის პატარ-პატარა ნაჭრებსა. **ღ**ედა-თავგმაც ძალიან შეიყვარა ეს კაცი და ისე შეეჩვია, რომ უშიშრად მიცუცუნდებოდა ხოლმე იმის ფეხებთან, როცა კი ქონი მოუნდებოდა.

**მ**რთს ღამეს დედა-თავგმა გალიაში მჯდომარე ჩიტი დაუბრჩო. **ძ**აცი ძალიან გაჯავრდა თავგზედ და დაჭერა მოინდომა. **ღ**ადგა სახლში მახე და შიგ ქონი ჩამოჰკიდა. **ღ**ამე ქონისათვის თავგი მახეში შევიდა, ქონი ჩამოსწია, იმ წამსვე მახის კარი ბრახუნით ძირს დაეცა და მსუნაგი თავგი შიგ მოემწყვდა. **ძ**აცს უნდოდა მოეკლა, მაგრამ ამ დროს პატარა თავგების წრუწუნი გაიგონა და თავისი განზრახვა დაიშალა. **ღ**ათიქრდა: „ეს რომ მე მოგკლა, ამის პატარა შვილებს ვიდაცხოვრებ-სო? მეტი ღონე არ არის, უნდა ვაპატიო, გავუშვაო.“ **ღ**ა გა-

უშვა კიდევ დედა მის შვილებთან. მაგრამ სამი ღამის შემდეგ თავგმა ახლა მეორე ჩიტი დაუხრჩო. ძაცმა ახლა კი ვადასუკი-ტა თავი მოეკლა და ამისთვის დაუგო მას ხელ-ახლად მანე. მაგრამ წრუწუნა სრულებითაც არ მიეკარა მახესა; გრძობდა, რომ მახედგან სოროში ცოცხალი ველარ მივიდოდა. თავისი ბაღლებიც დაარიგა: არამც და არამც ქონისათვის მახეს არ მიეკაროთო.

ამ ხერხით რომ კაცმა ვერა გააწყურა, ადგა და მოიგონა შემდეგი: აავსო ერთი ქილა წყლითა, ზემოდამ გადააფარა სქელი და მაგარი ქალაღი, ქალაღზედ პურის ნამცეცები დაყარა და ამ ნაირად დასდგა კუთხეში. თავგებმა ნახეს, რომ ქალაღი კარგა მაგარი იყო, ყველანი ავიდნენ ზედა, შექამეს ნამცეცები, მერე ძირს ჩამოვიდნენ და გაიქცნენ თავიანთ სოროში.

მეორე დღეს კაცმა აიღო სქელი ქალაღი, იმის მაგივრად თხელი ქალაღი გადააფარა ქილას და ზედ წინანდებურად პურის ნამცეცები მოჰფინა. ღამე დედა-თავი თავისი პაწაწკინა წრუწუნებით ხელ-ახლად მივიდა ქილასთან, ეგონა, რომ ისევ უწინდელი სქელი ქალაღი ექნება დაფარებულიო, და ამიტომ მისვლის უმალ ყველანი ქილას თავზედ მოექცნენ. ღაიწყეს გემრიელად ქამა, მაგრამ ამ დროს ქალაღი ჩაიშალა, ყველა თავგები ჩაცვივდნენ წყალში და დაიხრჩენენ.

### პატარა წრუწუნა (იგავ-არაკი).

სოროდან ფრთხილად გამოცუცუნდა პატარა წრუწუნა სასეირნოდ ეზოში: უნდოდა შეეტყო, რა ამბავია ქვეყანაზე, მაგრამ ცოტა ხანს უკან გულგახეთქილი ისევ სოროში შევარდა.

— სად იყავი, რა ამბავია, რა დაგემართა? — ჰკითხა დედამ.

— სასეირნოდ ვიყავი!

— რამ შეგაშინა?

—**მ**რი მხეცი ვნახე ეზოში, ერთი ძალიან საშიში უნდა იყოს: თავზე ხერხი ადგია, ფეხებზე დეხები ასხია, თვალები დაბლვერილი აქვს და ნისკარტი მოკაუჭებული. **რომ** შემოიხედა, ცალი ფეხი შეიკეცა, პირი დაალო და ისეთი დაიყვირა, რომ კინალამ გული გამისქდა. **შემეშინდა** და გამოვიქეცი.

—**მ**ე ხომ მამალია, შვილო, მაგისი როგორ შეგეშინდა, იმას არავისი ვნება არ შეუძლიან, უთხრა დედამ.

—**მ**ეორე კი ძალიან საყვარელი მხეცი უნდა იყოს. **თავი** რგვალი აქვს და თვალები დიდი, ტუჩებზე აქეთ-იქით ლამაზად გადაწყობილი უღვაშები ასხია; ტანი ბეწვით შემოსილი აქვს, კუდი გრძელი და ფაფუკი, ფეხები ნაზი და თითებზედ ჩვენსავით პატარა ბრჭყალები ასხია. **მე** რო გავედი ეზოში, მხეხედ იწვა, კოტრიალებდა, ხან წამოჯდებოდა და ენით თათებს ილოკავდა, ხან ისევ წამოწვებოდა; თვალებსაც ხან გაახელდა და ხან დახუკავდა. **ისეთი** ლამაზი ტუჩები ჰქონდა, რომ კოცნა მომინდა მისი და წინ წავიწიე. **რო** დამინახა, ჩემსკენ გამოექანა; მაგრამ მე შემეშინდა და უცებ გამოვიქეცი.

—**შ**ი ჩემს თავსა, ეგ ხომ კატა შვილო! **ღმერთს** გადურჩენიხარ! **მ**რიდე, შვილო, მაგას, თორემ სხვა თავგებსავით ვერც შენ გადურჩები მის კლანჭებსა და კბილებსა.

თბგვი და კატა (ხალხური ლექსი).

**თ**აგვი ავად გამხდარიყო, ტანში იყო ლერწვითაო;

**ღ**აეგო ქვეშა ლოგინი, ბუმბულს იწვა ბეწვითაო.

**კ**ატამ ეს რო გაიგონა, **ღმერთს** შეჰკნავლა ხვეწნითაო,

**მ**უხლებზე ბევრი იცემა, თმა იგლიჯა წეწვითაო.


**ა**დგა კატა, წამობრძანდა თავის დიდი ჯართაო,

**თ**აგვისა კარსა ჩამოხტა ფირუზის კარავითაო.

**თ**აგვი იწვა მხარ-თემოზე, ფიცხლავ ფეხზე წამოხტაო.

**რა** გინდაო, ყურდილაო?

—**შ**ენთან მოველ, ყურ-ცქვიტაო.



რა გინდა რომ ავად ვიყო, შენი ნახვა არ მინდაო.

აღვა კატა წამობძანდა თავის დიდი ჯარითაო, მუხლებზე ხელი დაიკრა, სულ თავგები დაგვიფთხაო.

### ჭიანჭველები.

მართს ბალში ბევრი ხეხილი იღვა. შაშლით, ატმით, კაკლით, მსხლით სულ სავსე იყო. ამ ბალში სცხოვრებდა მებალე; ხეხილებს გამხმარს ტოტებს უსხლავდა, ყვავილებს წყალს უსხამდა და ბალის პატარა სასეირნო ბილიკებზედ წმინდა ქვიშასა ჰფენდა. ბალის ახლო-მახლო თავიანთს ბუდეში სცხოვრებდნენ ათასობით ჭიანჭველები. ამათ შეიტყეს, რომ ბალში იღვა ბევრი ამათი საყვარელი ხილი. ჭიანჭველები დიდი გროვით გაემგზავრნენ ბალისაკენ. აცოცდნენ ერთს ხეზედ და მის ხილს ჰამა დაუწყეს. ხე ჭიანჭველებით ისე შეიფინა, რომ შავი ფერი დაედო.



მებაღე რომ ამ ხესთან გასახლეოდა მივიდა, ზედ უთვალავი ჭიანჭველა დაინახა და ხე ძალიან დაენანა. ჭიანჭველებს ხილამ ჩამორეკა დაუწყო; მაგრამ ისინი მიესივნენ და დაუწყეს კბენა; მებაღემ თავი დაანება და უკან გამობრუნდა.

შოველს ცისმარე დღეს ჭიანჭველები გაემგზავრებოდნენ ხოლმე ბალისაკენ და ყოველთვის იმავე ხეზედ აღიოდნენ.— რა უნდა ვუყო ამ ჭიანჭველებსაო? ჰკითხავდა ყოველს თავისს ნაცნობს მებაღე. მაგრამ გამოსადეგი რჩევის მიცემა ვერავინ შეიძლო. შემდეგ ერთმა ბებრუხანა კაცმა უთხრა მებაღეს: „იცი, ჩემო ნათლია, რა გითხრა: ჭიანჭველებს ძალიან ეშინიანთ თამბაქოს წვენი. თამბაქოს წვენი შემოუსვი ხეს გარშემო სალტასავით და ჭიანჭველები სრულებითაც ველარ მიეკარებიან იმას.“

მეორე დღეს, როცა ყველა ჭიანჭველები ხეზედ იყვნენ, მებაღემ აიღო თამბაქოს ფოთლები და მათის წვენით ხის ღერო

ორის თითის დადებაზედ გარშემო დაასველა. „ახლა კი ქიან-  
ქველები სამუდამოდ ხეზედ დარჩებიან, თავის ბუდეში ახარ-  
ელირსებათ დაბრუნება და აქ დაიხოცებიანო,“ იფიქროს მება-  
ლემ. როდესაც ქიანქველები დაძლნენ და დაიწყეს ძირს  
ჩამოსვლა, ნახეს, რომ ყველანი დატყვევებულიყვნენ და  
ველარ დაბრუნდებოდნენ თავიანთ სადგომში.

ხიდგან ჩამოხტომა ქიანქველებს არ შეეძლოთ; არც ფრენა  
იციან, რადგანაც ფრთები არა აქვთ. რა უნდა ექნათ?

ბი იმათ ერთად ხის კენწეროზედ თავი მოიყარეს და რჩევა  
იწყეს, თუ როგორ უნდა ეშველათ თავისათვის. ჩამდენმამე  
გამოცდილმა ქიანქველამ დაიწყო ქიანქველურს ენაზედ: „მოის-  
მინეთ, მეგობრებო! შინც ჩვენში უფრო გულადნი არიან, ისინი  
გავიდნენ გაყვითლებულს ფოთლებზედ; ფოთლები ძირს ჩაცვი-  
ვიან და მათზედ მჯდომარენი თან ჩაჰყვებიან; მერმე ისინი ეცა-  
დნენ და ქვემოდან მიწის ხიდი გაკვიკეთონ იმ თამბაქოს წვენის  
სალტაზედ. იმ წამსვე უფრო ღონიერი ქიანქველები დასხდნენ  
გაყვითლებულს ფოთლებზედ და მათთან ერთად ჩაცვივდნენ მი-  
წაზედ; მაშინვე მიჰყვეს იმათ მუშაობას ხელი; თამბაქოს სალ-  
ტასთან მოზიდეს ბევრი სველი მიწის ნამცეცები, ზედ გარდი-  
გარდმო კარგად მიაგლისეს და პატარა ხიდი გამართეს. ზაიმართა  
თუ არა ხიდი, ხეზედ მომწყვდეული ქიანქველები სიხარულით  
დაეშვნენ ქვეით, მშვიდობით გამოიარეს გაკეთებული ხიდი და  
ჩამოვიდნენ ძირსა. შემდგომ ამ ხიდზე ასვლა და ჩამოსვლა ისე  
გამართეს, ვითომ თამბაქოს წვენის სალტა სულაც არა ყოფი-  
ლიყოს. მებაღე ყველაფერს ჰხედავდა, რასაც კი ქიანქველები  
ჩადიოდნენ, მაგრამ არას კი უშლიდა; პირ-იქით, დიდი სია-  
მოვნებით და გაკვირვებით ადევნებდა თვალსა, თუ როგორ  
გონივრულად აკეთებდნენ თავისს საქმეებს ქიანქველები. მაგ-  
რამ ხეც კი ძალიან ენანებოდა. მებაღე დაღონდა და სულ იმას  
ფიქრობდა, თუ როგორ მოეშორებინა ქიანქველები თავიდგან.

მართხელ, როცა ქიანქველები სულ ყველანი ხეზედ იხს-  
დნენ, მებაღემ ხის გარშემო პატარა თხრილი გააკეთა, წყლით




აავსო და სთქვა: ეხლა კი ჭიანჭველები შინ დაბრუნებას ვე-  
ლარ ელირსებიან, გზა შეკრულია, გარშემო სულ წყალი დგას,  
სო. სალამოზედრო ჭიანჭველებმა ძირს ჩამოსვლა დაიწყეს, მიად-  
გნენ პატარა თხრილსა და გაჩერდნენ, გარშემო წყალი დახვ-  
დათ. „მრიჰა, უბედურება გვეწია, სთქვეს ჭიანჭველებმა:  
ველარ დავბრუნდებით ჩვენს სახლშიო.“ ხის გარშემო შეგ-  
როვდნენ ჭიანჭველები და რჩევა-საუბარი დაიწყეს, თუ რა  
გზით და როგორ დაეხწიათ თავი ხიფათისაგან. სამი გონიე-  
რი ჭიანჭველა მიუახლოვდა ყრილობასა და სთქვა: „ჩვენ  
საქმე ჯერ სრულებით არ არის წამხლარი, ნუ გეშინიანთ,  
ძმებო, გულ-მაგრად იყავით. ზოგი ჩვენგანი უნდა შევიდეს  
წყალში და დაიხრჩოს, მაგრამ ამას არა უშავს. რა, ამიტომ რომ  
დანარჩენი ყველა ჭიანჭველები ამ დამხრჩვლებზედ, როგორც  
კარგს ხიღზედ, ისე გაივლიან. შევლაზედ უწინ ჩვენ სამნი  
მოგცემთ მაგალითსა.“ როდესაც ამათ ყველა სხვა ჭიანჭველე-  
ბი დაეთანხმნენ, ეს სამი ჭიანჭველა პირდაპირ შეცვივდა  
წყალში, ამათ მიჰყვნენ უკან ბევრი, ძალიან ბევრი ჭიან-  
ჭველები; ერთი ერთმანეთზედ შედგნენ, გამწყრივდნენ გუბის  
მეორე ნაპირამდინ და ამ ნაირად გამართეს ჩინებული ხიდი,  
რომელზედაც ადვილად გავიდნენ დანარჩენი ჭიანჭველები და  
მივიდნენ თავის ბინაზე.

როდესაც მებაღემ დაინახა, რომ ჭიანჭველებს ისე უყვართ  
ერთმანეთი, რომ საერთო გაჭირვების დროს სიცოცხლეს არა  
ზოგვენ ერთმანეთისათვის და თავსა სდებენ, მაშინ მათს შევიწ-  
როებას თავი გაანება და მისცა ნება ექამათ იმის ბაღში იმდენი  
ხილი, რამდენიც უნდოდათ.

### ჭ რ ი ჭ ი ნ ა.

მრთს სახლში ბუხრის გვერდით ჭრიქინამ ბინა გაიკეთა-  
მოიკალათა ღრმად წასულ ხუხრუტანაში და მალე გააბა თავისი

მხიარული კრიჭინი. ამ სახლის ბავშვებს ჯერ არ გაეგონათ კრიჭინას ხმა და ამიტომ ეგონათ, რომ ჩვენ ბუნებაში პატარა ჩიტი შემძვრალა და ისა გალობსო. როცა იმათ გაიგეს, რომ უცნაური მომღერალი ფრინველი არ იყო, ბევრს ეცადნენ, რომ კრიჭინას ბინისათვის მიეგნათ, დაეჭირათ და კარგად გაეშინჯათ; მაგრამ ვერაფერს გახდნენ. ღიღებს კი არ უნდოდათ ბავშვებისათვის ეშველნათ კრიჭინას დაქერაში, რადგანაც კარგად იცოდნენ, რომ ბავშვები ამ უვნებელს ცხოველს, რაკი ხელში ჩაიგდებდნენ, ხერს არ დააყრიდნენ. ასე გადარჩა ხიფათსა ჩვენი კრიჭინა.



ჭრიჭინა იყო პატარა სულდგმული და ძალიან მიაგავდა კუტს კალიასა. მას ძალიან უყვარდა სი-

თბო და ზამთრობით მხოლოდ ოთახში შეეძლო ცხოვრება. ზამთრის სიცივეს სრულიადაც ვერ აიტანდა და მალე გაფიჩხდებოდა. ღლისით კრიჭინა ჩუმი იყო, რადგანაც ეძინა; ღამე კი ფრთხილად გამოძვრებოდა ხოლმე თავის ბინიდან და ოთახში ეძებდა პურის ნამცეცებს და ფქვილის მტვერსა. ამ დროს კუტი კალიასავით დახტოდა, თუმცა ისე მალლა კი ვერა. თავი სასაცილო ჰქონდა, რადგანაც ბებერი კაცი თავს მიუგავდა. ამიტომაც მოიგონეს ძველმა ბერძნებმა კრიჭინაზედ არაკი, ვითომც კრიჭინა უწინ კაცი უფილიყოს და მერმე პირუტყვ სულდგმულად გადაქცეულიყოს. ამ კაცმა ღმერთს სამუდამო სიცოცხლე სთხოვაო, მაგრამ ამასთან დაავიწყდა, რომ ეთხოვნა სამუდამო სიყმაწვილეცაო. ამიტომ ეს კაცი სულ ბერდებოდა და იღეოდა იქამდის, მინამ კრიჭინად არ გადაიქცაო.

ჩვენს ბავშვებს ეგონათ, რომ კრიჭინა ფრინველივით პირითა მღერისო. ის კი არ იცოდნენ, რომ კრიჭინ-კრიჭინი მას სხვა ნაირად გაჰქონდა: თავისს გრძელს ფეხებს აყოლებით ახახუნებდა მაგარი ფრთების გვერდებზედ და ამ ხახუნის გამო გაისმოდა კრიჭინ-კრიჭინი.

მართი წლის შემდეგ ჩვენი კრიკინა მოკვდა. ასე უწე-  
 რია ყველა ამის ჯიშსა. მაგრამ იმან მოასწრო დადგენა რამდენ-  
 ნისამე კვერცხისა თავისს სადგომში. ამ კვერცხებიდან ცოტა  
 ხანს უკან გამოძვრნენ პატარა კრიკინები. პირველად პატარა  
 დაბადებულები ნათელი ფერისანი და უფროთონი იყვნენ. მრბი-  
 სამი კვირის შემდეგ ისინი იმდენად გაიზარდნენ, რომ ძველს  
 კანში აღარ ეტეოდნენ; ამიტომ ეს კანი იმათ გაიძრეს და და-  
 რჩნენ ახალს კანში, რომელიც პირველი კანის ქვეშ ამოსლო-  
 დათ. რვა დღის უკან ტანისამოსი მეორედ გამოიცვალეს. ეს  
 კანის გამოცვლა ოთხჯერ მოუხდათ. მეოთხედ რომ კანი გაი-  
 ძრეს, ჩვენი პატარა სულდგმულები გამოვიდნენ დაფრთიანე-  
 ბულები და მოშაო ფერისანი: ეს ფერი იმათ შერჩათ მთელს  
 სიცოცხლეში. მეოთხე ცვლილების შემდეგ იმათ მორთეს მზი-  
 არული სიმღერა-კრიკინი. აქამდის კი ისინი ჩუმად იყვნენ.  
 აბა გამოიცანით, მინამ მეოთხედ კანს გაიძრობდნენ, რატომ  
 კრიკინი არ შეეძლოთ პატარა კრიკინებსა?

### კურდღლის ფეხი.

სკოლაში სტოლზედ ეწყო ცარცი და კურდღლის ფეხი.  
 ცარცით სწერდნენ ხის ფიცარზედ, კურდღლის ფეხით კი  
 შლიდნენ დაწერილსა. ბავშვები ბევრჯელ შინჯავდნენ ამ ფე-  
 ხსა და უნდოდათ შეეტყოთ, თუ სად და როგორ სცხოვრებდა



ამ ფეხის პატრონი და როგორ გა-  
 ჩნდა ეს ფეხი მათს კლასში. მართხელ  
 იმათ გაბედეს და შეეხვეწნენ თავისს  
 მასწავლებელსა, კურდღლის ამბავი  
 შეევატყობინეო. მასწავლებელმა დი-

დის სიამოვნებით აუსრულა მათ წადილი და უამბო შემდეგი:  
 „კურდღელი, რომელსაც ეს ფეხი ეკუთვნოდა, სცხოვ-  
 რებდა მწვანე ტყეში. იმას ჰქონდა გრძელი ტანი, რუხი  
 ფერი, გრძელი ყურები, ბღვრიალა თვალები და კატის მსგა-  
 ვისი თავი. მაგრამ ყველაზედ შესანიშნავი იყო იმისი უკანა ფეხე-

ბი, წინაფეხებზედ უფრო გრძელი, მაღალი და ღონიერი სირბილში იყო ისეთი მარდი და ჩქარი, რომ შორიდგან ვეგონებოდა. მიწაზედ კი არ ადგამს ფეხებსა, ჰაერში მიფრინავსო. რამდენჯერმე მწვევრებმა ტყის გარედ მოასწრეს და წინ გაიგდეს, მაგრამ კურდღელი იმდენს ეცდებოდა ხოლმე, რომ აღმართს შესდგამოდა, და მაშინ მალე სტოვებდა მწვევრებს უკანა. მართხელ კი მწვევრები ისე შემოეხვივნენ, რომ კურდღელს მეტი ღონე არა ჰქონდა, უნდა თავ-დაღმა დაშვებულიყო. ასე სირბილი კურდღელს ეჩოთირებოდა, არ ეხერხებოდა, თავისებურად ვერ მირბოდა, დიდრონი უკანა ფეხები უშლიდა და ამიტომ მწვევრები თან-და-თან უახლოვდებოდნენ. მონადირეს ეგონა, ეს არის კურდღლის სამწვადე ხელთ ვიგდეო, მაგრამ ამ დროს კურდღელმა იხერხა, მრგვლად მოიკუმშა და უცებ გორგალსავით დაგორდა თავ-დაღმა. როცა მთის ძირამდის ჩაგორდა, სწრაფად წამოვარდა და ისეთი სიჩქარით მოკურცხლა, რომ მწვევრებმა იმედი დაჰკარგეს იმისი მოწვევისა და თავი დაანებეს.

ცოტა ხანს უკან ჩვენი კურდღელი ღამით ისევ დაბრუნდა თავისს ტყეში. თუმცა აქ იმას კარგი მყუდრო ბინა ჰქონდა, მაგრამ ყველაფრის კი ეშინოდა: ადამიანისა, ნადირისა და ფრინველისა. ნიავის შრიალიც კი საკმარისი იყო, რომ კურდღელს ძაგძაგი დაეწყო და გასაქცევად მომზადებულიყო. ამ სიმბდალის გამო კურდღელი დღისით სულ თავისს ბუნაგში იწვა; მხოლოდ ღამე, ან დილის რაჭრაჭის დროს, ან კიდევ საღამოზედ მზის ჩასვლის შემდეგ გამოდიოდა თავისი ბუნაგიდგან; ამ დროს ის მხიარულად დახტოდა, თამაშობდა და მუცელს იძღობდა; სძოვდა ნორჩსა და წყლიანს ბალახსა და იმითი იკვებებოდა. მცენარეების მეტს ის არაფერს არა სჯამდა, თუმცა კი კბილები მჭრელი ჰქონდა. რადგანაც ტყეში და ახლო მინდორში ნოყიერი ბალახი ბევრი იყო, ამიტომაც კურდღელს საქმელი თავზე საყრელი ჰქონდა.

ჩვენი კურდღელი ბევრს წელიწადს გაატარებდა ბედნიერად, თუ რომ დაკმაყოფილებულიყო მარტო ტყის და მინ-

დვრის ბალახითა. მაგრამ, თავის საუბედუროდ, გლეხის ბოსტანში შესვლა მოინდომა და კომბოსტოს გემოს გაღებამ, გლეხს კი კომბოსტო თავისთვის და თავისი სახლობისთვის ჰქონდა დათესილი და არა კურდღლისათვის, და ამიტომ იმას სრულიადაც არ უნდოდა, რომ კომბოსტო კურდღელს ეჭამა.

მაგრამ კურდღელმა იქნება ეს არ იცოდა? როგორ უნდა შეეტყობინებინა ეს გლეხს მისთვის? მოლაპარაკება კურდღელთან არ შეიძლებოდა, კითხვაც კურდღელმა არ იცოდა, რომ გლეხს წერილი მიეწერა. ადგა გლეხი, დაარქო ბოსტანში მალალი სარი და მიიბა ზედ გარდი-გარდმო ჯოხი; სარის წვერზედ ჩამოაცვა ძველი ქუდი და ჯოხზედ დაჰკიდა დაბრანძული ახალუხი, ასე რომ რალაცა კაცის მსგავსი გამოვიდა. ამაზედ უკეთესი კასაფრთხილებელი ძნელად-ღა იქნებოდა; ეს ცხადად ეუბნებოდა კურდღელს: ეს მამული ეკუთვნის ადამიანსა, თუ აქ შემოხვალ, შენ ის უთუოდ დაგიქერს და დაგსჯისო.

მაგრამ კურდღელი თავისებურად ფიქრობდა. პირველად ეგონა, რომ ბოსტანში ცოცხალი კაცი დგასო; მაგრამ, რადგანაც კაცი არ ინძრეოდა, ამიტომ კურდღელი თანდათან ცოტ-ცოტად მიუახლოვდა. ბოლოს ისე გამამაცდა, რომ შიგ ბოსტანში მოექცა, მხიარულად იწყო ხტუნვა კვლებში, საფთხოზებლას აღარ დაერიდა, მიუცუცქდა კომბოსტოსა და ჰამა დაუწყო. მეორე დღეს გლეხმა ნახა, რომ მისი კომბოსტოს უკეთესი თავები გაკორტნილი იყო. ძალიან ბრაზი მოუვიდა, მით უმეტეს, რომ სწორედ დღეს აპირებდა ამ თავების მოჭრასა, გაყიდვასა და თავისი შვილებისათვის ტანისამოსის ყიდვასა. არა, ამას ვეღარ მოვუთმენ, სთქვა გაბრაზებულმა გლეხმა და მოიწვია მონადირე.

სალამოზედ მონადირემ გატენა თოფი და გასწია ბოსტანისაკენ. აი იმან განაბა სული, გაშეშებული დადგა ბოსტანში და დაუწყო ცდა. ბოლოს კურდღელმაც მოირბინა, ეტყობოდა, კომბოსტო ძალიან ეგემრიელა. „ოჰო, იფიქრა კურდღელმა: გლეხს მეორე საფთხოზებლაც დაუდგამს, რომ მე უფრო დი-



დი შიში მომცეს. ღიახ, როგორ არა! მე ისეთი მხდალი არა ვარ, რომ ამისთანა რამეებს შევუშინდე.“ ზულადლი დადგა უკანა ფეხებზედ სწორედ მონადირის პირდაპირ, ყურები აცქვიტა და წინა ფეხები ისე ააყოლა, თითქო დიპლიზიტოს უკრავსო. ზექ! გავარდა თოფი და კურდღელი იქვე მკვდარი გაგორდა. როცა მონადირე შინ დაბრუნდა, ერთი ფეხი მოსჭრა კურდღელსა და სათამაშოდ მისცა თავისს შეილსა. როცა ბავშვმა გული იჯერა კურდღლის ფეხის თამაშობით, ეს ფეხი მეწვრიმალემ იყიდა, ამ მეწვრიმალესაგან მე ვიყიდე და მოვიტანე კლასში ცარკით ნაწერის წასაშლოლად.“

### კურდღელი (ლექსი).

კურდღელმა სთქვა, ღმერთს შევცოდე, უქმე გავტეხე კვირესო, საწყალის გლეხის ყანაში სამკალად დამიპირესო.  
იქ თურმე სუნი სცემოდა ვილაც წუწკს მონადირესო, მომძებნეს, დამიცაცხანეს, მიკივლეს, მომაყვირესო.  
მეძებრებს გამოვექეცი, მწვერებმა დამიჭირესო.  
ტყავი გამაძრეს, გამწელეს, უწყალოდ დამამცირესო.  
ფეხით დამკიდეს თავდაღმა, კისერზე მიმაშვირესო.  
შემწვეს და ჩამახრამუნეს და დედა ამიტირესო.

### მცენარეულობა.

#### ბოსტანი და მწვანელობობა.

ზღების ქვრივს საბედას სახლს უკან ბოსტანი აქვს. ბოსტანს გარშემო ავლია მაღალი თხრილი. მთელი ბოსტანი საქონლის ნეხვით არის ღონივრად გაპატივებული. ბოსტანს მეტად ერთგულად უვლის ქვრივი საბედა. ის აბარვინებს ბოსტანსა, აკეთებს კვლებსა და სთესავს შიგ კიტრსა, კომბოსტოსა, სტაფილოსა, ხახვსა, კართოფილსა, თაღამსა, ხაშხაშსა, ქინძსა, წიწმბატსა, ნიახურსა, ნიორსა და სხვა მწვანელობობასა. მწვანელობის მიწიდგან თან ამოსდევს უბრალო ბალახი, მიწის სინოყვირეს


სწუწის, საქმელს ართმევს მწვანილსა და სჩაგრავს მას საბედომ ეს კარგად იცის, და ამიტომ მალ-მალ მარგონებს მზის-ტანსა, გლეჯავს უბრალო ბალახს და ბოსტნის გარეთ ჰყრის. ბალახისაგან განთავისუფლებული მწვანილი მალე იზრდება. შაგრამ მას სხვა მტრებიცა ჰყავს. შატლები უქამენ ძირსა, უფუქებენ ფოთლებსა და ახმობენ. შინაური ფრინველები და საქონელიც ძალიან ემტერებიან; ხანდახან გვალვაც გაუჭირვებს ხოლმე საქმესა. გვალვის დროს საბედა ხშირად რწყავს ბოსტანსა და ამით აცოცხლებს გაყვითლებულ მწვანილსა. მწვანილი ბევრ სიკეთეს უშვრება საბედას სახლობასა: მწვანილს ატანენ პურსა, საქმელს უშვრებიან და ამითი აგემრიელებენ, კარტოფილს ხარშვენ და გემრიელ შექამანდს აკეთებენ; კომბოსტოს წნილად სდებენ და ზამთარში ხმარობენ, კიტრს პირდაპირ სქამენ, ზოგს კი წნილად ინახვენ.

### კომბოსტოს ჰეპელა.

სანდრომ ბოსტანში დაიჭირა თეთრი პეპელა და მამას უთხრა: შეხე, მამილო, რა ლამაზი პეპელა დავიჭირე.

„მე ძალიან მაზარალებელი პეპელაა, უთხრა სანდროს მამამა: თუ მაგისთანანი ბევრნი გაჩნდებიან ბოსტანში, კომბოსტოზედ ხელს აგვალბინებენ.“

— ზანა ეს პატარა პეპელა ეგრეთი ღორმუცელია? გაკვირვებით ჰკითხა ბავშვმა მამასა.



„ღორმუცელია და მაზარალებელი თვითონ ეგ პეპელა კი არ არის, მაგისი შატლები არიან, მიუგო მამამ. მე პეპელა დაჰყრის ერთი ბეწვა კვერცხებსა, ზაფხულის სითბო ამ კვერცხებიდგან გამოსჩეკავს პატარა შატლებსა, სწორედ ისე, როგორც კრუხი სჩეკავს წიწი-

ლებსა. ბამოვლენ თუ არა კვერცხებიდგან მატლები, იმ წამსვე იწყებენ კომბოსტოს თქვლეფასა. საოცრად ეგაფიან არიან ეს მატლები. ზაუწყვეტელი ქამის მეტს არასფერს აკეთებენ და ამიტომ ჩქარა იზრდებიან. ჰხრავენ დაუსვენებლივ კომბოსტოს ფოთლებს და აოხრებენ. როცა მატლი გაიზრდება და დასრულდება, მკვდარივით გაუნძრევლად დაწვება, არცა სჭამს და არცა სვამს. ამ დროს მის კანს ქვეშ პეპელა იზრდება. როცა პეპელა შიგ დასრულდება, კანი გასქდება და გამოფრინდება სწორედ ისეთი პეპელა, როგორიც შენ გიქირავს ხელში. ასე ცვლილობს სახეს ყველა პეპელა: კვერცხიდან მატლი გამოდის და მატლი პეპელად იქცევა ხოლმე. როცა პეპელა კვერცხებს დაჰყრის, ამის შემდეგ რომელსამე ფოთოლზედ კვდება.“

### ბოსტნის ეარზულები დღისით და ღამით.

ჩიტებს მალ-მალ ჰხედავს კაცი ბოსტანში. რას აკეთებენ ისინი? ბოსტნის მტრებსა მუსრავენ, ჰკრეფენ მწვანილზედ პეპელების კვერცხებსა, ქიებსა, მატლებსა და სჭამენ. სხვა ფრინველებიც ბევრს სიკეთეს უშვრებიან ბოსტანსა ლოკოკინების და ჭია-მატლების ხოცვითა. მაგრამ ფრინველებს ღამე სძინავთ. მს კარგად იციან ლოკოკინებმა და მატლებმა და ამიტომ დღისით იმალებიან ნესტიან ადგილებში, ღამით კი მწვანილთან მიცოცავენ. ცუდ დღეს დააყენებდნენ ბოსტანს, თუ მას ღამის მცველებიც არა ჰყოლოდა. მს მცველები არიან მიწის ბაყაყები. ისინი ხომ საზიზღარნი რამ არიან თავისი მურტალი და აბურცული ტანით, მახინჯი ფეხებით და საძაგელი სუნით; მაგრამ სარგებლობას კი დიდს უშვრებიან ადამიანსა: უშიათოდ ბოსტანი გაოხრდებოდა. ამათ დღისით თავისს ნოტიო სოროებში სძინავთ; მაგრამ დაბინდდება თუ არა, გამოდიან ბოსტანში სანადიროდ. შისზედ ნადირობენ? მწვანილის მტრებზედ. მატლების და ლოკოკინების კვალს დაეძებენ, პოულობენ, მისდევენ, იჭერენ და ყლაპავენ. ამიტომ ღამ-ღამე


ბოსტნები სავსენი არიან ამ ბაყაყებითა. რაც მატლები ამალამ გადაურჩება იმათ პირსა, იმათ ისინი ხვალღამ ვადასაღებენ. ამიტომაც შევნებული მებოსტნეები ცდილობენ, რომ ეს მიწის ბაყაყები გაამრავლონ თავიანთ ბოსტნებში.

შრინველებს და მიწის ბაყაყებს რომ არ ეყოლიტათ ბოსტნის ქია-მატლები, ერთს მებოსტნესაც არ მოუვიდოდა რივიანი მწვანილი, რაც უნდა ბევრი ცდილიყო.

### კომბოსტო და კეკე.

მრთს გამრჯელ დიასახლისს ბოსტანში ბევრ-გვარი მწვანელი ეთესა და მშვენივრად ჰქონდა მოვლილი. მრთხელ დილით აათვალთვალა-ჩათვალთვალა თავისი ბოსტანი და კომბოსტოზე შენიშნა პაწაწინა კვერცხები. მიუბრუნდა თავის პატარა ქალს და უთხრა: „ქეკე! ხედავ კომბოსტოს ფოთოლზედ მოყვითალო პატარა კვერცხებსა? იქიდან მეტად მავნებელი მატლები გამოვლენ. ღდეს სადილს უკან დაათვალთვიერე ყველა ფოთლები და სადაც ეს კვერცხები ნახო, მოაშორე ფოთლებსა და დასრისე. შაშინ ჩვენი კომბოსტო დარჩება ისეთივე სალი და მწვანე, როგორიც ეხლა არის.“

ქეკემ აღუთქვა ასრულება. მაგრამ მერე იფიქრა, კვერცხების მოშორებას ხვალაც მოვესწრობიო. მეორე ღდეს ზეგისთვის გადასდო და მერმე სრულიად დაავიწყდა. ქეკეს დედა ავადმყოფობის გამო რამდენსავე კვირას არ გამოსულა გარედ. როცა გასაღდა და გაიგო დაუდევრობა თავის ქალისა, წაავლო ხელი მას და მიიყვანა კომბოსტოს კვალთან. მთელი კვალი კომბოსტოსი სულ გამოხრული და შექმული იყო, მარტო ღეროები-ღა იყო აშვერილი. შერცხვენილმა და შეშინებულმა გოგომ დაიწყო ტირილი თავის სიზარმაცესა და დაუდევნელობაზედ; მაგრამ დედამ გააჩუმა და უთხრა: ეს კარგად დაიხსომე და კვლავ აღარ გადასდო ხვალისათვის ის, რაც ღდეს უნდა გააკეთოო.



გ ე ნ ა ხ ი.

ზოსტნის გვერდით საბედოს ვენახი აქვს გაშენებული. მას განიერი და მაღალი თხრილი ავლია გარშემო. თხრილზედ აწყვია ეკლის კონები. ეს იმიტომ, რომ ლობეზედ ქურდი არ გადაიპაროს, ან შინაური საქონელი არ გადავიდეს. შინაურების შესასვლელად ფიცრის კარები აბია, რომელიც დაკეტილია. ზვერდებზედ ვენახში ჩამწყრივებული არიან ხეხილები: კაკალი, ვაშლი, მსხალი, ბერძნული თხილი, ქანქური, დამასხი, კომში, ფშატი, ნუში, ბალი, ალუბალი და სხვანი. მათ შუა ყვავილების ბუჩქები არიან დარგულნი. ჩრდილოეთის მხრივ სასარე ნერგებიც არის ნახარები ლობის სიგრძეზე. შუაგული ვენახისა კი დაქერილია ხშირად ჩაყრილი ვაზებითა. შიგა და შიკ ვაზებში ატამია ამოსული.

ვაზებს ნოყიერი მიწა უყვართ. ამიტომ ვენახს ხშირად აპატიებენ საქონლის ნეხვითა. ვაზს ხეხილივით ზეზე დგომა არ შეუძლიან, მიწაზედ წოლა კი მის ყურძენს წაახდენს. ამიტომ ყველა ვაზი მიკრულია სარზედ. საზამთროდ ამ სარებს გამოუყრიან ხოლმე და ვაზებს მიწაში მარხვენ. ეს იმიტომ, რომ ამ სოფელში ცივი ზამთარი იცის, და თუ ვაზი ზეზე დარჩა, სიცივე დასძრავს და გაახმობს. ზაზათხულზედ ვაზებს ზეზე აყენებენ, სხლავენ და ისევ უდგმენ სარებსა.

საამური სანახავია საბედოს ვენახი გაზათხულზედ, როცა ხეხილები სხვა-და-სხვა ფერად ჰყვავიან: თეთრად, წითლად და თეთრ-წითლად. ძიდევ უფრო სასიამოვნოა მისი ნახვა ზათხულში: დამწიფებული ბალი წითლად გამოსქვივის, მოსული მსხალი ყვითელ ქარვასავით გამოიციქირება, დასრულებული თურაშაული ვაშლი მწვანე ფოთლებში სისხლივით გამოსჩანს. მაგრამ ვენახი შემოდგომაზეა უფრო კიდევ საუცხოვო სანახავი. დამკრახული ყურძნის მტევნები, თეთრ-წითლად დამწიფებული ატმები, კომშები და საზამთრო ვაშლები სწორედ სამოთხეს ამსგავსებენ ვენახსა.

შედარეთ თქვენი ვენახი აქ აწერილსა.

# სხვა-და-სხვა კვარი მცენარეები.



მცენარეებში ჩვენ ვიცით: ხეები, ჩირგვები, მცენარეები, სოკოები და ბალახი.

ხეს ერთი მსხვილი ღერო აქვს. ამ ღეროს ამოგლეჯა მიწიდან ძალიან ძნელია, რადგან მისი მსხვილი და გრძელი ფესვები ღრმად არის წასული მიწაში. ფესვებით ხე მიწიდან სწოვს ნოყიერს წვენსა და იზრდება. ღეროზედ ხეს ასხია ბევრი ტოტები, ტოტებზედ ამოსულია ყლორტები, ყლორტებს ასხია ფოთლები. ხე ბევრს წელიწადსა სცოცხლობს. ხე მეტად სასარგებლოა: ადამიანს უთბობს სადგომსა და უშენებს სახლსა. ზოგიერთი ხეები საქმელ ნაყოფს ისხმენ. ამისთანა ხეებს ხეხილს ვეძახით.

ჩირგვს ხესავით ერთი ღერო არა აქვს; იმას ასხია რამდენიმე წვრილი ღერო; ღეროებზე ამოსულია პატარა ყლორტები, და ეს ყლორტები შემოსილია ფოთლებითა. ჩირგვის ამოგლეჯაც ძნელია, იმიტომ რომ ფესვები განივრად აქვს გამდგარი მიწაში. ჩირგვი ბევრს წელიწადსა სძლებს. ზოგიერთი ჩირგვები საქმელ ხილს ისხამენ. ჩირგვსა სჭრის კაცი და ფიჩხად ხმარობს.

საპურე მცენარეებს წვრილი და გულ-ცარიელი ღეროები აქვთ. ეს ღერო ამოსულია მოკლე და წვრილ ფესვებზედ. ამიტომ საპურე მცენარეების მიწიდან ძირიანად ამოგლეჯა ადვილია. ღეროებს თავზედ ასხიათ მარცვლიანი თავ-თავები. ეს მარცვლები ადამიანის პურს შეადგენენ, ღეროები კი შინაური საქონლის საქმელია. შოველი საპურე მცენარე ხნულში ითესება ადამიანისაგან ყოველს წელსა, რადგანაც მარტო ერთს წელს სცოცხლობს.

ბალახს ისეთი პაწაწა ღერო აქვს, რომ ფოთლებში არც კი უჩანს. მისი ფესვებიც ერთი ბეწვაა, ამიტომ ადვილად იგლიჯება ძირიანად. ბალახიც სცოცხლობს მხოლოდ ერთს წელიწადსა, ზამთარში ხმება და იფშხნება. ბალახი ჰკვებავს ში-

ნაურ საქონელსა. ზოგი ბალახი თესლს ისხამს, ზოგი კი არა. თესლიანი ბალახი თესლიდანვე იბადება მეორე წელიწადსა, უთესლო კი თავის ფესვებზე ამოდის ახლად. ზოგი ბალახი წამლად იხმარება.

სოკო ცხადად განირჩევა ყველა სხვა მცენარეებისაგან. ღებლა მიწაში დამალულია მისი კუნძივით ძირი. ამ ძირზე ამოსულია მომსხო ღერო, რომელსაც არც ტოტები ასხია და არც ფოთლები. ზემოდ აბია მრგვალი თავი, რომელიც ქოლგასავით უჩრდილებს და ადამიანის ქუდს მოგაგონებს. სოკომ წვიმაზედ იცის ამოსვლა და ბალახზედ კიდევ უფრო მოკლე დღე აქვს. რამდენსამე დღეს ძლივსა სძლებს. ზოგიერთი სოკო ადამიანისათვის საღი და გემრიელი საქმელია, ზოგი კი შხამიანია და ადამიანსა სწამლავს.

### ერთი ვაშლის ხის თავგადასახვალი.

ტყეში იდგა გარეული ვაშლის ხე. შემოდგომაზედ ძირს ჩამოუვარდა მუავე ვაშლი. შრინველებმა გაძიძგნეს ვაშლი და აკენკეს მისი გულის მარცვლები. მარტო ერთი მარცვალი გადარჩა ფრინველების ნისკარტსა, ჩიმალა მიწაში და ჩარჩა იქ. ზამთარი ვაშლის მარცვალმა თოვლის ქვეშ გაატარა. მაზაუხულზედ, როცა მზემ სველი მიწა გაათბო, მარცვალი გალოლოვდა, ძირს მიწაში პაწაწინა ფესვები ჩაუშვა, ზეით კი ამოაყოფინა თავი ორს პატარა ფოთოლსა. ფოთლებ შუა ამოიზარდა პატარა ღერო კოკორით. ძოკორი კოკორს მოჰყვა, ფოთოლი ფოთოლს, ტოტი ტოტსა და ექვსი-შვიდის წლის შემდეგ ლამაზი ვაშლის ხე იყო ამაღლებული იმ ადგილას, სადაც მარცვალი დაეცა. მისი ტოტები შეხუნძლული იყო ვაშლებითა.

მოვიდა ტყეში მებაღე ბარით, დაინახა ვაშლის ხე, მოეწონა და სთქვა: მე ამას კარგად გამოვიყენებ. მებაღე მაშინვე შეუდგა ვაშლის ამოთხრასა. მაშლიმა საცოდავი კანკალი შექმნა და ფიქრობდა: „ახლა კი მოვიდა ჩემი აღსასრულის დღე.“ მაგ-

რამ მებაღემ ბარით ფრთხილად მოთხარა ხე, ფესვები არ გა-  
უფუქა, მიიტანა თავისს ბაღში და დარგო ნოყიერ მიწაში.

ბაღში ვაშლი გაამპარტავენდა: „უთუოდ მე იმეინათი ხე-  
ხილი ვარ, რომ ტყიდგან ბაღში ნებივრად გადმომიტანეს და  
აქ თავაზიანად დამაბინავესო, ფიქრობდა ვაშლი, და მალლიდ-  
გან მისი წვეროკინა ამპარტავენულად დასცქეროდა ძირს სხვა  
ხეების უშნო რაკებსა, რომლებიც ჩვრებით იყვნენ შეხვეულ-  
ნი. ის კი არ იცოდა, რომ ის მოექცა ნამყენების სკალაში.

მეორე წელიწადს მოვიდა მებაღე დიდი მოკაკული და-  
ნით და დაუწყო ვაშლს ქრა. აკანკალდა ვაშლი და ფიქრობ-  
და: „ახლა კი სწორედ მომესწრაფა დღე.“ მებაღემ ვაშლს ყვე-  
ლა ტოტები სულ ძირში დააქრა, მარტო ერთი შუა ტოტი  
უფრო მალლა მოსქრა და შეარჩინა მხოლოდ ერთი მალალი  
როკი. როკი მან ზემოდგან ერთი თითის სიგრძეზედ გააპო;  
ნაპრალში ჩაარქო ახალი ყლორტი კარგი ჯიშის ვაშლისა;  
წასამელით ამოავსო ნაპრალის ხანები, ყლორტს შემოახვია  
ჩვრები და აქეთ-იქიდგან შეუდგა სარები. ამ სახით ჩინებუ-  
ლი ვაშლი დაამყნო გარეულს ვაშლზე და წავიდა შინ.

შეიფოდ შეიქმნა ჩვენი ტოტებ-დაქრილი ვაშლი; მაგ-  
რამ ის ახალგაზდა იყო და ღონით სავსე; ამიტომ ჩქარა გა-  
საღდა და ადვილად შეიხორცა უცხო ყლორტები, ანუ ნამყე-  
ნები. ნამყენები სვამდენ ძირიდან მძლავრის ვაშლის წვეწასა და  
სწრაფად იზრდებოდნენ. ძუკური კუკურზედ გამოჰქონდათ,  
ფოთოლი ფოთოლზედ, ყლორტი ყლორტზედ, ტოტი ტოტ-  
ზედ და სამი წლის უკან ვაშლი გაიპენტა თეთრ-წითელი ყვა-  
ვილითა. შვავილი მალე ჩამოსცვივდა და მის ადგილას გამოჩნდა  
ნაყოფის ნასახები, ანუ კოკრები. მს კოკრები საშემოდგომოდ  
ვაშლებად გადაიქცნენ და ისიც როგორ ვაშლებად? ტყის წვრი-  
ლი და მთავე ვაშლს კი არა გვანდნენ, ისინი იყვნენ დიდრონები,  
წითლები, ტკბილი და ქაშა. ისეთი სანაქებო ვაშლი გამოდ-  
გა, რომ სხვა ბაღებიდგან მოდიოდნენ და მიჰქონდათ მისი  
ყლორტები დასამყნობად.

ჭ ი ა - მ ა ი ა.



ეროვნული  
ბიბლიოთეკა

**შვილი.** შემოხედე, მამილო, როგორი მრგვალი და თანაბრი  
ქია დავიჭირე: თავი შავი აბია, ფრთები მოწითალო ასხია და ამ  
ფრთებზე შავი წინწყლები აყრია; მაგრამ  
ცოცხალი კია? როგორღაც არ ინძრევა.



**მამა.** ცოცხალია, მაგრამ თავი მო-  
იმკვდარუნა; თავისი ექვსი ფეხი მოიკეცა,  
ულვაშები დამალა და უცდის, როდის  
გადააგდებ ბალახებში. მე არის ქია-მაია,  
რომელსაც რუსები ღვთის-ძროხუნას ეძახიან. მეტად სასარ-  
გებლო ქიაა. მე და მაგისი მატლი ხოცავენ მრავალ მწვანე  
მწერებს, რომლებიც ხროვა-ხროვა სცხოვრობენ ბოსტნეულის  
ფოთლებზედა და ახდენენ მათ.

**შვილი.** უყურე, მამილო, ქიამ გული მოიბრუნა და  
ჩემ თითზედ ამოცოცდა. მნახოთ, აქედგან სადღა წავა.

**მამა.** ახლავ დაინახავ, თუ სად წავა: უცქირე, როგორ  
ნელ-ნელა და ჩუმ-ჩუმად შლის თავისს სუბუქსა და სიფრიფანა  
ფრთებსა.

**შვილი.** აი კიდევ გაფრინდა; როგორი ეშმაკი ქია ყო-  
ფილა, თქვენი ქირიმე!

კამათი (ხალხური ლექსი).

ნახშირმა სთქვა, მე მაჩივლეთ, ნახეთ ჩემი სამართალი:  
შველა ჩემით კეთდებოდა სახნისი და საკვეთელი.

ძარგი თოფი, კარგი ხმალი, კარგი იარაღი მჭრელი.

იმას ბამბა წამოუდგა, მე რითი მჯობს ფერი შენი?  
ჩემი ბუშა არ მოსცდება ჩიხრიხი და საპენტელი.

პარკის ქია წამოუდგა, მე რითი მჯობს ფერი შენი?

თავადები დავამშვენე, ახლა მივჭყავ გლეხებს ხელი.

ამას ცხვარი წამოუდგა, მე რითი მჯობს ფერი შენი?

ცალ მხარეზე მატყლი მიძევს, სამ კუნჭულზე კვერი ყველი-  
ბაკის კარებთან ვყუდივარ, შიგნით ბატკანს გამოველი.

### მიწა როგორა ჰქვებავს კაცსა.



მიწა ადამიანსა ჰქვებავს, მაგრამ მუქთად კი უნდა იმუშაონ ადამიანებმა, რომ მიწამ უბრალო გვირად მოუყვანოს მათ პური, სიმინდი, ღომი, ქერი, დიკა, ფეტვი და შვრია. თავდაპირველად მიწას გააპტივება უნდა, თუ ის დიდი ხნის დასვენებული არ არის და ღონე აკლია. ზღეხი უღებს ურემზედ ნეხვსა, გააქვს მინდვრად და გროვა-გროვა ჰყრის სახნავ მიწაში. ბოლოს იღებს ნიჩაბსა და ნეხვს თანასწორად ჰფენს მიწაზედ.

მიწას მერმე მოხვნა უნდა. ზღეხი კაცი ხნავს მიწას კავითა, თუ მიწა ფხვიერია და ღრმად მოხვნა საჭირო არ არის. თუ მიწა გაუტეხავია, ან მაგარი და ღრმად მოხვნას ითხოვს, მაშინ გლეხი გუთანსა ხმარობს. ძავი გაშორებით უფრო სუბუქია გუთანზედ და ამიტომ მასში აბმენ უღელ ხარსა. გუთანი ბევრით მძიმეა კავზედ, ღრმად აპობს მიწასა, ამიტომ გუთანში აბმენ რამდენსამე უღელ კამეჩსა და ხარსა, ოთხი უღლიდგან რვა უღლამდინ.

მოიხნა მიწა. თავიდგან ბოლომდინ დაფენილია დიდი ბელტებითა, რომელნიც კეც-კეცად აწყვიან. ხვნის დროს ნეხვი მიწაში აირია და თანაბარი სიმსუქნე მისცა; მაგრამ ეს არა კმარა მოსავლისათვის. ხმელი ბელტები მარცვლების საწოლად არ ვარგა. ამათ უფრო რბილი საწოლი უნდათ და გლეხიც უმზადებს ასეთს საწოლსა. ბააქვს გლეხსა მსხვილი წკნელისაგან დაწნული ფარცხი, სთესავს მოხნულში მარცვალსა და თან კიდევ ფარცხავს. შარცხი ამტვრევს და ფხვნის ბელტებსა და ათანასწორებს ხნულსა. საღამოზედ შეხედავ, მთელი ხნული ახლად დაგვილ სახლსა ჰგავს. ნათესს უხარიან, რომ გლეხმა ასეთი რბილი საწოლი მოუმზადა. თესვა გლეხებში იციან გაზაფხულზედაც და შემოდგომაზედაც. შემოდგომაზედ სთესვენ პურსა და ეძახიან ძველ თესლსა: გაზაფხულზედ სთესვენ: სიმინდსა, ქერსა, შვრიასა და ახალ თესლს პურსა.

ძველი თესლი შემოდგომაზედვე ამოდის მიწიდან. ამ



დროს მთელ მინდორში ბალახი გაყვითლებული და გამწმარი  
 დგას. ახლად ამოსული ყანები კი მშვენიერი მწვანე ხავერ-  
 დივით გამოიკვირებიან. მაგრამ აი გავიდა შემოდგომა და  
 ზამთარი დადგა. თვალები გტკივა, როცა ხედავ, რომ ალა-  
 ლანებულს ყანებს თოვლი დასდის ზემოდგან, ნორჩს პატარა  
 ფოთლებს სუსხავს, სძრავს, აქკნობს და აქრობს. მაგრამ, სა-  
 მაგიეროდ, ამ დროს მიწაში ფესვები უფრო მეტად იზრდება,  
 ღონიერდება, მრავლდება და ღმრად მიდის ქვეით. თოვ-  
 ლიანი ზამთარი ძალიან რგებს ნათესსა. ზემოდგან მიწაში  
 თოვლი ყინვას არ უშვებს და ამის გამო პურის ფესვები არ  
 იყინება. მაგრამ თუ ხმელი ყინვა დადგა დიდს ხანსა, მა-  
 შინ კი ფოთლებთან ძირებიც იყინება, ქკნება, და მო-  
 სავალი სკდება. აი რისთვის გლახებს ძალიან ეშინიანთ უთოვ-  
 ლო, ხმელი ყინვისა და უხარიანთ, როცა ცა საზამთ-  
 როდ ყანებს გადაჰხურავს ხოლმე თოვლის თეთრს საბანსა.

პატარა მდინარე.

|                                |                             |
|--------------------------------|-----------------------------|
| მელზედ ჩამორბის წანწყარით      | ბვალვისაგანა ჩათუთქულს      |
| პატარა წყალი ანკარა;           | და დაყვითლებულს ყანებსა     |
| ძვებზედ გადადულს ჩანჩქარით,    | ისევ უბრუნებს სიცოცხლეს,    |
| ძვიშას მიტბორავს წყნარ-წყნარა, | ამწვანებს, ალალანებსა.      |
| მიხვევ-მოხვევით გზას იკვლევს,  | სიმინდის, პურის მალამო,     |
| ბალახებს შუა ჩაუდის;           | ვენახის მალხენელია,         |
| ხან იმაღლება, აღარ სჩანს,      | სოფლის დიდი და პატარა       |
| ხან კი ლაპლაპი გაუდის.         | შველა მის მადლიერია.        |
| შერად-ფერადი ყვავილნი          | არ კმარობს ამდენს სიკეთეს,  |
| მის ნაპირებზედ ხარობენ;        | აგერა ღარს ეტანება, [სა     |
| ლურჯი ცა, შორნი ღრუბელნი       | წისქვილს აბრუნებს, ბორბლებ- |
| თავისს სარკედა ხმარობენ.       | თავს ახლის, არ ენანება.     |
| მირბის, ჩახჩახებს ანკარა,      | ჯაფისგან აქაფებული          |
| შხვად რწყავს არე-მარესა;       | მიწხუის ქვემო მხარესა,      |
| ღედის რძქსავით ერგება          | და აქ ამ სოფელს, იქ იმას    |
| მიწას ხმელს და მწყურვალესა.    | უყვავებს არე-მარესა.        |



## ტყე და მისი სიმშვენიერე.

ეროვნული  
ბიბლიოთეკა

ტყე ქვეყნის შვენებაა. საცა ტყეა, იქ ბუნება სიცოცხლით არის სავსე. ხოლო საცა ტყე სრულიად არ მოიპოვება, იქ ბუნება მკვდარია. მეტადრე ზაფხულობით ტყეს არაფერი შეედრება. ხეები შემოსილია ხშირი მწვანე ფოთლით, რომელიც ნიავის დროს საამურად შრიალებს და სიცხის დროს გრილს ჩრდილს აყენებს ხეებს ქვეშა. ზოგი ხე ისე მალაა წასული, რომ თვალს ვერ შეუწვდენ წვერამდინ; ზოგს ისე განივრად გაუდგამს ტოტები, რომ მის ქვეშ რამდენიმე სახლობა თავისუფლად დაბინავდება. მრთ ადგილას მდევეებსავით ჩამწკრივებულან უზარმაზარი მუხნები, მეორე ადგილას ალვის ხესავით მალა ცაში ატყორცნილა ქანდრები, მესამე ადგილას მშვენიერ სუნს ჰფენენ ხშირ ფოთლიანი ცაცხვები, მეოთხე ადგილას ამშვენიერებს ტყეს დიდი წიფელი, მაგარი ნეკერჩხალი და სხვანი. მარდი ქიანქველები ათასობით დაბუდრუგუნებენ ხეებს შუა. თუ ძირს ბალახებში ჩააცქერდები, წითლად დაბრაწული მარწყვი, ყოლი და შავად დამწიფებული მაცვალი შემოგაქყეტს თვალებს. თუ მალა ხეებს ახედავ, მრავალ გვარს ფრინველს შენიშნავ. აქ მუხის უმაღლეს ტოტზედ მოუკალათნია ქორსა და ბღღვრიალა თვალებით აქეთ-იქით იცქირება; იქ გუგული შემომჯდარა გამარტოებულს იფნის ტოტზედ და ბოლოს ქნევით გაიძახის თავისს „გუგუსა;“ მესამე ხეზედ მოუკალათნია წყნარ ბუღბუღს, თვალები დაუხუჭნია და ტკბილს გალობას ნაზად დასძახის; მეოთხე ხეზედ კოდალა ღონივრად სცემს თავისს მაგარს ნისკარტს ხის ფულუროსა და კარგი ღურგალივით აკაკუნებს. ტყის შუაგულიდგან მელიას წკაპ-წკაპი მოისმის და მას თითქო ბანს აძლევს მგლის ყმუილი. სადღაც დაბურულს კუთხეში ისმის ხეების ჩახა-ჩუხი, — ეს დათვს მოშინინა, თავისი ბუნაგიდგან ამდგარა და სანადიროდ მიდის. მშიშარა კურდღელი ამ ხეების ჩახა-ჩუხს ტკბილი ძილისაგან გაუღვიძებია და გულ-ვახეთქილი სწრაფად მირბის ხეებს შუა.

დიდი მნიშვნელობა ტყისა და  
მცველი ფრინველები.



ტყეს ისეთი დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ ამისი სრული აღწერა ძნელია. მოკლედ გეტყვი: ტყე წვიმის წყალს იფარავს მზისაგანაც და მშრალი ქარისაგანაც. წვიმის წყალი მიწაში ჩადის, გროვდება და აჩენს წყაროებსა და მდინარეებსა. ამიტომაც, სადაც ბევრი ტყეებია, იქ წყალიც უხვათა სდის და მოსავალს ხელს უწყობს. შტყეო ადგილის მცხოვრებთ კი წყალი ძალიან ნაკლებად აქვთ და გვალვის დროს მოსავალი უცდებათ. ტყე ადამიანის სიმრთელისთვისაც ძალიან სასარგებლოა. ტყის ფოთოლი ჰაერსა სწმენდავს და საღს თვისებას აძლევს. ამიტომ ტყის ახლო მცხოვრებნი ყოველთვის უფრო ჯან-საღნი და მხნენი არიან, მანამ ტყეზედ დაშორებულნი ბინადარნი. შენიშნულია, რომ ხოლერა, ქირი, საოფლე და სხვა ავი ავადმყოფობანი ტყის ახლოს ნაკლებად ხოცვენ მცხოვრებლებსა, ტყის მოშორებით კი უფრო ბლომადა ჟღერენ. სწორედ ამის გამო ხდება ისა, რომ ხორველობის დროს ხალხი ტყეებში გარბის.

ტყე აძლევს კაცს შეშას, რომლითაც ის ცეცხლს ინთებს, საქმელს იხარშავს და სახლს ითბობს ზამთარში. ტყიდგანვე მოაქვს მას კვარი, რომელიც ღარიბს გლახს სანთლის სამსახურს უწევს. ტყე გვაძლევს შენობის მასალასა, რისგანაც ჩვენ ვაკეთებთ: ქერსა, სახლის კოჭებსა, ბოძებსა, იატაკსა, ლამფასა, ფანჯრებსა, კარებსა, საკედლე ფიცრებსა და სხვათა. ხე-ტყიდგანვე აკეთებს ადამიანი ურემსა, გუთანსა, ფარცხსა, კავსა, მარგილსა, ნაფსა, გემსა, გეჯასა. ტყის მასალიდგანვე კეთდება მრავალი ავეჯი და ჭურჭელი: კიდობანი, თაბახი, ხონჩა, ტაბაკი, კუტალი, კულა, სკამი, მაგიდა, შკაფი, კამოდი, ტახტი, და სხვანი. აი რამდენს საარგებლობას აძლევს ტყე ადამიანსა.

მაგრამ ქართველი კი ძალიან უმადურად ექცევა ტყესა:

დაუზოგავად ჩებავს და აჩანაგებს მას. სადაც ამ ოცი-ოროცი წლის წინად მწვანე ტყე მშვენოდა, იქ ბევრჯერ მხოლოდ ცარიელი მზისგან გადამწვარი ხრიოკები გამოისჩანს. მს დიდი უგუნურებაა. სხვა, განათლებულ ქვეყნებში, არამც თუ ტყეს არ აჩანაგებენ, დარგვით ამრავლებენ, სწორედ ისე, როგორც ჩვენში ბაღებში ხილებსა ვრგავთ.

თუ ტყის დაზოგვა არ ვისწავლეთ, ჩვენს ქვეყანას მოვლის დიდი უბედურება: წვიმა იშვიათი მოვლენა შეიქნება, სარწყავი წყლები ძლიერ იკლებს, ყოველ-გვარი მოსავალი შემცირდება, სხვა და სხვა ავი სენი უფრო გაძლიერდება და სიკვდილი გახშირდება; საჭირო ავეჯეულობა მოგვაკლდება, შეშა მეტად გაჭვირდება და ცხოვრება ძლიერ გაჭირდება.

თუ ქართველები ტყეს არა ზოგვენ და აჩანაგებენ, სამაგიეროდ ტყის ფრინველები დიდს სამსახურს უწევენ მას იმითი, რომ უღეტენ ტყის მტრებსა. შინ არიან ეს მტრები? სხვა და სხვა მატლი და ჭია, რომელიც ღრღინის, აფუტუროებს და ახმოებს ხეებსა. მს ტყის მტრები საყვარელს საქმელს შეადგენენ ფრინველებისას, რომელიც ჭია-მატლებს ნისკარტებით იჭერენ, ხოცვენ და ყლაპავენ. მეტადრე შესანიშნავია ამ მხრივ კოდალა და გუგული. ძოდალა უკაკუნებს ხეებს თავისს დიდს ნისკარტსა და აფთხობს შიგ მყოფს მატლებსა. მსენი დაფეთიანებულები გარედ გამოიბიან და ხდებიან კოდალას ნისკარტის მსხვერპლი. უფრო კიდევ მეტს სიკეთეს უშვრება ტყეს გუგული. ტყეში იცის ერთგვარი შხამიანი მატლი, რომელიც ძლიერა ვნებს ხეებსა და ახმოებს. ამ მატლს საზოგადოდ ფრინველები ვერ ეკარებოიან, რადგანაც მათ ეს მატლი სწამლავს თავის შხამით და ხოცავს. მხოლოდ ერთს ფრინველზე, სახელდობ გუგულზე, სრულიად არ მოქმედებს ამ მატლის შხამი. ამის გამო გუგული დაურიდებლად იჭერს ამ მატლსა, ხოცავს და ამითი ხეებს იცავს გახმობისაგან. უგუგულოდ ბევრი ხე გახდებოდა მსხვერპლი ამ შხამიანი მატლისა.



ბ ვ თ ა ნ დ ი ლ ი .

(სახალხო ლექსი).

ბეთანდილ გადინადირა ქედი მაღალი ტყიანი;  
ვერც მოჰკლა ხარი, ვერც ფური, ვერცა ირემი რქიანი.  
ნახტომსა შეელსა ფერდსა ჰკრა ისარი ორბის ფრთიანი,  
დაჰკიდა ცხენის ტახტასა ტყავ-გაუხდელი, რქიანი.  
ჩამოხტა მუხისა ძირსა, ცეცხლი დაანთო ძლიერი,  
ცხენსა მოხადა, დაიგო თაქალთო უნაგრიანი;  
დაჯდა და თალა შამფური, მწვადი ააგო მცვრიანი.  
სანამ მწვადი შეიწოდა, ცხენსა მისცა საძოვარი.  
ლურჯამ კაცი დაინახა, შორი გზიდამ მომავალი,  
შეჰხტა ცხენი, შესჰიხვინა, ისა კაცი ავი არი.  
მეჯინიბეს დაუძახა, ლურჯა მომგვარე ჩქარადა;  
ბავაზედ ხელი გადუსვა, ზედ წამოახტა მარდადა.  
მიწრონი გაარბენინა, მინდორი უფრო ჩქარადა;  
შუკუ იხედა მოსდევდნენ ის ურჯულონი ჯარადა.  
ასი ჰკრა და ასი მოჰკლა, ერთი გადურჩა შავადა;  
ერთი იმანაც ესროლა, სისხლი წავიდა ღვარადა.  
მუხისა ძირსა ჩამოხტა, ტოტი იწოდა ფარადა;  
დაჯდა და წიგნი დასწერა, მტრედს გამოაბა მხარადა.  
„მს დედა-ჩემსა მიმირთვი, ველარ მოგივალ ჩქარადა;  
ბიყვარდა თეთრი მანდილი, ჩემზედ შელღებე შავადა;  
ის ჩემი ქამარ-ხანჯალი მღვდელს მიეც საწირავადა;  
ის ქალი ისეთს კაცს მიეც, მე მჯობედს თვალად-ტანადა;  
ის ჩემი ციხე ქალაქი თან გაატანე მზითვადა.“



სხვა-და-სხვა მოვლენა \*).

მ ე ხ ი (ბავშვის მოგონება).

ჯერ ისევ პატარა ვიყავი. ღედამ ტყეში გამგზავნა, სოკო დაკრიფე და მოიტანეო. ტყე შორს არ იყო ჩვენი სახლიდან, ავიღე კალათა და გავწიე. შევედი თუ არა ტყეში, დავინახე ორი ქამა-სოკო. მივვარდი, ცოტათი ძირი მოვუქექე, ფრთხილად მოვსწყვიტე ორივე და კალათაში ჩავაწყე. ავეყვი ტყესა და მალე კალათა სულ გავავსე. ის იყო წამოსვლა დავაპირე შინა, რომ ცა საშინლად მოიგრავნა, წვიმამ კოკისპირულად დაუშვა, ცამ დაიქექა. მე შემეშინდა, არ ვიცოდი, რა მექნა, სად წავსულიყავი. მივიხედ-მოვიხედე, დავინახე დიდი მუხა და იმის ქვეშ შევეფარე. მხოლოდ ბედად ხის ძირთან არ მივედი, ერთი დიდი და განიერი ტოტი ჰქონდა გამოშვერილი, ამ ტოტების ქვეშ დავდექი. შეცრივ ისე იელვა, რომ სინათლემ თვალები ამინთო და დავხუჭე. დაიქექა, თავში რალამაც დამკრა და უგონოდ ძირს დავეცი.

რამდენს ხანს ვეგდე ასე, არ ვიცი. მხოლოდ როცა გონს მოვედი, დავინახე, რომ წვიმას გადაეღო, ჩიტები მხიარულად ჭიკჭიკობდნენ, სველს ფრთებს ისწორებდნენ და მზეს ეალერსებოდნენ. ავდექი, ვხედავ მუხა შუაზე გახლეჩილა და ცეცხლი წაჰკიდებია. ახლა კი მივხვდი, რომ მუხას მეხი დასცემოდა და შიშის ზარმა ამიტანა.

ავიღე კალათა და საჩქაროდ შინისაკენ გამოვსწიე. როცა დედას ვუამბე ჩემი თავგადასავალი, მითხრა: „ღმერთს გადურჩენიხარ, შვილო! ძიდევ კარგი, რომ გამოშვერილის ტოტის ქვეშ დამდგარხარ: მუხის ძირში რომ მისულიყავი, ეხლა ცოცხალი აღარ მეყოლებოდი. ეს შემთხვევა კარგად

\*) თუმცა ეს განყოფილება მეორე წლის მეორე ნახევარისათვის არის დანიშნული, მაგრამ რადგანაც რთულია და უფრო ძნელი, ამიტომ მასწავლებელს მოვლენათა ახსნასა და განმარტებაში მეტი ოსტატობა ესაჭიროება.

დაიხსომე და ქეჩა-ქუხილის დროს არც ხის ქვეშ, არც მაღალი შენობის კედელთან არ უნდა დადგე, მოშორებოდი უნდა გაჩერდე, სანამ წვიმას გადაიღებდეს. ხეს, ან შენობას, თუნდაც მეხი დაეცეს, შენ არაფერი გვენება, რადგანაც მეხის ძალა, რომელსაც ელექტრონს ეძახიან, ხიდან, ან კედლიდან, პირდაპირ მიწაში ჩავა, და შენ კი ვერ მოგწვდება, არაფერი გვენება.

მეორე წელს ერთმა უბედურმა შემთხვევამ მთლად გაამართლა დედა ჩემის სიტყვები. მართი ჩინებული ჩვენებური ვაჟკაცი სამკალად იყო მინდორში და თან ჰყავდა თავისი პატარა ვაჟი. უცებ წვიმამ წამოუშინა და ქეჩა-ქუხილი გაჩნდა. ვაჟკაცი მივიდა და მაღალის კოშკის ძირში შეეფარა. მისი ვაჟი იქვე ახლო იდგა და საბლით ცხენი ეჭირა ხელში. უცებ ერთი საშინლად დაიქეჩა, ცხენი დაფრთხა და პატარა ვაჟი საბლით შორს გასტყორცნა. როცა პატარა ვაჟი გონს მოვიდა და კოშკის ძირთან მივიდა, საშინელი თავზარი დაეცა: მამა მკვდარი დახვდა. კოშკს მეხი დასცემოდა და იქ მდგომი ვაჟკაცი მოეკლა. მთელმა სოფელმა მდუღარე ცრემლით იგლოვა მეხის საბრალო მსხვერპლი.

### დუღილი და ჩუხჩუხი.

ღიასახლისმა ქოთანში წყალი ჩაასხა და ცეცხლთან ბუხარში მისდგა, უნდა ლობიო მოეხარშა. პატარა ხანს უკან წყალმა მოძრაობა იწყო ქოთანში. ცეცხლისაკენ მიშვერილი გვერდიდან წყალი ზეით ამოდის და აქეთა გვერდში ჩადის. ეს მოძრაობა წყლისა ჯერ მცირეა, მერმე თანდათან მატულობს და ბოლოს სწრაფად ამორბის წყალი იქითა მხრივ და ჩარბის აქეთ მხრივ. მართი სიტყვით, გაჩაღდა დუღილი. სწორედ ამ დროს ღიასახლისმა ლობიო ჩაყარა ქოთანში. აღრე რო ჩაეყარა ლობიო, შექამანდი უგემური გამოვიდოდა. პატარა ხანს წყალი გაჩერდა, მაგრამ მალე ისევ დუღილი იწყო. ეს დუღილი ჩქარა ჩუხჩუხად გადაიქცა, რადგანაც სახლის პატრონმა



ცეცხლს შეშა მიუმატა, რომ ლობიო მალე მოხარშულიყო. როგორა ჩნდება ეს დუღილი და ჩუხჩუხი სიხეთი უბრალოდ. ცეცხლი აცხელებს ქოთნის მახლობელს გვერდსა, ეს გაცხელებული გვერდი თავის მხრივ აცხელებს ახლო მდგომს წყალსა. ბაცხელებული წყალი სწრაფად განიერდება და მეტად მსუბუქდება. ქოთნის აქეთა გვერდში ამ დროს უფრო გრილი და მძიმე წყალია. ეს გრილი და მძიმე წყალი აწვება ცხელსა და მსუბუქს წყალსა, ადვილად სძლევეს მას და ისვრის ზეთ. ეს ამოტყორცნილი ცხელი წყალი ზეთ ცივი ჰაერისაგან გრილდება, მძიმდება და მეორე მხრით ჩარბის ძირს ქოთანში. მას აქ უხვდება უწინდელი წყალი, უკვე გაცხელებული და გამსუბუქებული, აწვება მას, ერევა და ზეთ ისვრის. ასე აღის და დადის წყალი ქოთანში, ვიდრე ლობიო არ მოხარშება და დიასახლისი არ გადმოდგამს ქოთანსა.

ითუ წყალს ქვაბით შესდგამთ ცეცხლზე და ცხელებას დაუწყებთ ძირიდან და არა გვერდიდან, წყალი იწყებს ჩუხჩუხს ქვევიდან ზევით და ბევრიც გადმოვა. უფრო მეტი გადმოვა, თუ ქვაბში წყლის მაგივრად რძე იქნება, რადგანაც რძე ცეცხლისაგან წყალზე უფრო მეტად განიერდება და მსუბუქდება.

**შრომის ლუკმა (ლექსი).**

ღედა პატარა შვილითა კოჭბით ლობიოს ხარშავდა  
 და თან საწინდე ფთილებსა გულ-ჩათხრობილი ართავდა.  
 მოხარშეს კიდევ ლობიო, ხონჩა მოიდგეს მჭადითა,  
 მრევე წითელ ლობიოს შეექცეოდნენ მადითა. [დნენ;  
 ბვერდს სქელი ლიტრა მოედგათ, ცივ წყაროს არაკრაკებ-  
 ძახურს, ატენურს, სვირულსა მასთან არაფრად აგდებდნენ.  
 და ტკბილად შეექცეოდნენ თვის საზრდოს, მოსულს ომითა;  
 მოხნულს, მოთესილს, მოცხვილს თავიანთ ოფლით და შრომითა.

**ჭაერნი და მისი მოძრაობა.**

საკვირველი ნივთიერებაა ჰაერი. სწორედ საარაკო უჩინმაჩინის ქუდსა ჰგავს. ჩვენ ყოველთვის იგი გარშემო გვა-

ხვევია, ვსუნთქავთ მას და მასში ისე ვცხოვრობთ, როგორც თევზი წყალში. მაგრამ ხედვით კი ვერა ვხედავთ. ჰაერის ატმოსფეროს მხოლოდ მაშინ ვგრძნობთ და ვამჩნევთ, როცა მისი გარეგნული არ არის, მოძრაობს და ქარს აჩენს.

რად მოძრაობს ჰაერი და როგორ აჩენს ქარსა? შურადღებით მოისმინეთ შემდეგი და გაიგებთ.

ბაძლიერებულს ბუხართან ზის პატარა ზიგა და ხელიდან ბუმბულებს უშვებს. ბუმბულები სწრაფად გარბიან ბუხრისაკენ და იწვიან ცეცხლში. ზიგას ეს ძალიან ართობს; მაგრამ თანაც, ცოტა არ იყოს, აკვირვებს. მასაკვირველი კი აქ არაფერია.

ოთახის ჰაერი ცივია და მძიმე, ცეცხლიანი ბუხრის ჰაერი კი ცხელია და მსუბუქი. ოთახის ჰაერი გარბის ბუხრის ჰაერისაკენ, სძლევს მას, ისვრის ზეით ბუხრის მილში და იქერს მის ადგილსა. მაგრამ ცეცხლისაგან ერთს წამს თვითონაც ცხელდება და მსუბუქდება. აწვება მას ოთახის ახალი ცივი ჰაერი და სტყორცნის ზეითა. მს ქროლა ჰაერისა ბუხარში იქამდინ ვრძელდება, ვიდრე ბუხარს არ დახურავენ, ან ცეცხლი არ გაქრება. ასე ჩნდება ბუხრის ქარი.

მეორე დღეს ლამპამ ზიგას ბოლი დაუყენა ოთახში. ზიგამ ფანჯარა გააღო, ბოლი უნდა გარედ გაეშვა და ცოტას ხანს გაჩერდა ფანჯარაში. მალე იგრძნო, რომ შუა წელი გაუცივდა, თავს კი სითბოში გრძნობდა. როცა კარგად დააკვირდა, შენიშნა, რომ ფანჯრის ზემო ნაწილიდან თბილი ჰაერი ოთახიდან გარედ გაჰქროდა, ქვემო ნაწილიდან კი ოთახში შემოჰქროდა ცივი ჰაერი გარედან. რომ სრულიად დარწმუნებულიყო ამასში, ზიგამ ანთებული სანთელი მიიტანა და გააჩერა ჯერ ფანჯრის ძირთან; სანთლის ალი მაშინვე ოთახისკენ წამოვიდა. მერმე სანთელი ფანჯრის თავში აიტანა; ახლა კი ალი გარედ გაექანა. აქედან ზიგამ ცხადად დაინახა, რომ ფანჯარაში და ოთახში ჰაერის ორ გვარი დენა იყო: ცივი ჰაერი ქვემოლამ შემოჰქროდა, თბილი ჰაერი ზემოლამ გაჰქროდა.

ასე ჩნდება ოთახის ქარი.



რაც ოთახში ხდება, იმასვე ვხედავთ ოთახის გარედან, შიგნით ბუნებაში, ვხედავთ უფრო აშკარად და დიდად ვხედავთ. მათაში ცივი ჰაერი ტრიალებს, ბარში—თბილი. მთის ჰაერი მორბის ბარისაკენ, აქაურს თბილს ჰაერს ზეით იტივტივებს, მალლა ეწევა და იჭერს მის ადგილსა. მაშინ ვიძახით: ცივი ქარი ქრისო.

რას სიკეთეს გვიძღვრება ქარი.

შველამ კარგად ვიცით, რა ძლიერ არის საჭირო წვიმა მოსავლისათვის. როცა წვიმა არ მოდის და გვალვა დგება, სარწყავის მიწების კინახულიც კი ჰქნება, ურწყავის ნათესი ზომ სრულიად იღუპება.

როგორ ჩნდება დალოცვილი წვიმა?

თბილს დარში ზღვებიდან, ტბებიდან და მდინარეებიდან შრავალი ორთქლი ადის ზეით ჰაერში, იქ ეს ორთქლი იკრიბება, ცივდება და პაწაწა ნამებად იქცევა. ამ ნამების გროვას ზვენ ღრუბელს ვეძახით. ღრუბელი რომ მუდამ ზღვებსა და ტბებს ზეით იდგეს გაჩერებული უძრავად, წვიმას მუდამ იქვე ჩაუშვებდა და ხმელეთი უწვიმოდ დარჩებოდა. მაგრამ, ბედად, ზღვის ჰაერი ხშირად არის მოძრაობაში. ამ მოძრაობას ჰბადავს შემდეგი მიზეზი. ზაფხულში ზღვის ჰაერი გრილია და მძიმე, ხმელეთის ჰაერი კი თბილია და მსუბუქი. ზღვის ჰაერი მოჰქრის ხმელეთისაკენ, ხმელეთის თბილს ჰაერს აწვება, მალლა სტყორცნის და იჭერს მის ადგილსა. მაგრამ მალე თვითონაც თბება და ახლა ამ გამთბარს ჰაერს ახალი და გრილი ზღვის ჰაერი აწვება და ზეით იტივტივებს. ამის გამო ზაფხულობით ზღვიდგან ხშირადა ჰქრის ქარი ხმელეთისაკენა.

ბი დაიძრა ზღვის ჰაერი, გადმოიტანა ღრუბლები ხმელეთზე და ამ ღრუბლებმა დაუშვეს მალლიდან ყუყუნა წვიმა ძირს დედა-მიწაზე. მორწყო დალოცვილმა წვიმამ ქვეყანა, კინახულს და მთელს ბუნებას ლალანი დააწყებინა. უქა-



როდ ვერც წვიმა მოვიდოდა ხმელეთზე და ვერც მოსავალს  
ელირსებოდა მხვნელ-მთესველი.

სხვა დიდს სიკეთესაც უშვრება ქარი ადამიანსა. საცა  
ადამიანები და პირუტყვი საქონელი სცხოვრობენ, იქ ჰაერით  
ფუჭდება, მძიმე, მავნე სუნი დგება და სიცოცხლე უჭი-  
რდება ადამიანსა. აგრეთვე ძლიერა სწამლავს ჰაერსა ის  
ოშხივარი, რომელიც ყოველს ქაობს ასდის. ამ გაფუჭე-  
ბულს ჰაერში მცხოვრებნი სულ დასნეულდებოდნენ, თუ  
რომ ჰაერის გამწმენდელი მოვლენა არ ყოფილიყო. ეს  
მოვლენა არის ქარი. აი დაუბერა ქარმა, მძიმე სუნი  
გააქანა, გაფანტა და ცხრა მთას იქით გადაკარგა; მის  
ნაცვლად მთებიდან და ტყეებიდან ახალი, წმინდა და სალი  
ჰაერი მოიტანა და მცხოვრების სიმრთელეს და სისალეს ხე-  
ლი შეუწყო.

### გუთნის ჩივილი.

ჯამბაჯამ სთქვა: „ჩემი საქმე მბეზდრებსაც ნუ მოსვლას:  
წვიმა მოვა, დაჯობილები, მზე—ცეცხლივით მომედება!“  
კბილამ სთქვა: „ბეგრდზე ცურვით ბეგრდის ტყავი გადამძვრება.“  
ფრთემ სთქვა: „ბელტის ბრუნებითა ნეკნები სულ დამემტვრევა.“  
სახნისმა სთქვა: „ქვეშ ტარებით მე მზის შუქი მენატრება.“  
საკვეთმა სთქვა: „წინ-ტარებით წინა კბილი არა მრჩება.  
მეტის-მეტის თავში ცემით თავის ტვინი დამებნევა.“  
რვილმა სთქვა: „წელში წევნითა წელის მძივი გადამწედება.“  
ღირღიტამ სთქვა: „ძახილითა კრინტი ხმა აღარა მრჩება.“  
ხარმა სთქვა: „გვ საქმეები სულ ჩემ კისერს გადასდება.  
მეხრე უდელს დამიჯდება, თუ არ გასწევ, არ იქნება.  
ის უწეალო გუთნის-დედა კვალ-კვალ გამოიფურება.  
იმას არ ეტყვის მეხრესა, უდიურობა არ იქნება.  
მოვს და ისინი გამარტვამს, თუ არ გასწევ, არ იქნება.“  
დაიბრქა და შებღვლა მადლა მეუფეს ცაშია!  
— „მე რა გიუო, შე საწეალო? მეც მაგინებენ ცაშია!“



როგორ იცავს თავს ადამიანი გაცვიებისგან.

ზამთარია და პატარა გლეხს შანოს სცივა. დაიბუნოს, თორემ გაცივდება და ავად გახდება. შანო იღებს ცხვრის ტყაბუქსა, იცვამს ტანზე და მალე ძალზე თბება.

პატარა ძეკეს სიცივისაგან ხელები ეყინება. ჯიბიდან ამოიღო მატყლის ხელთათმანები, წამოიცივა თითებსა და ხელებზე და კარგად დაიბუნა.

პატარა გლეხს ხოსოს ფეხები ეკრუნჩხება სიცივისაგან. სძებნის მატყლის წინდებს, იცვამს ფეხებზე, მერმე ზედ იკრავს ქალამნებსა და ფეხები სწრაფად უთბება.

როგორა ხდება ესა? როგორ ათბობს ადამიანს ტყაბუქი, ხელთათმანი და მატყლის წინდები, რომელნიც თავისთავად ცივი არიან? როგორ აძლევს ტანისამოსი ადამიანს სითბოს, რომელსაც თვითონ მოკლებულია?

საქმეც ის არის, რომ სითბოს ადამიანს ტანისამოსი არც აძლევს და ვერც მისცემს. ეს მოვლენა სრულიად სხვა მიზეზით ხდება.

ადამიანის სხეული გახურებულს ბუხარსა ჰგავს. როგორც ბუხარში იწვის შეშა და სიცხეს აყენებს ოთახში, ისე კაცის კუჭში იწვის და იხარშება საქმელი და ამის გამო კუჭში დიდი სითბო ტრიალებს. ეს სითბო სისხლს მიაქვს ძარღვებში და მთელს სხეულში ჰფენს. ამიტომ ადამიანის სხეულს რომ ხელი მიაკარო, სიცხეს იგრძნობ. ეს ყველამ კარგად ვიცით.

ჰაერი, რომელიც ადამიანს გარშემო ახვევია, თვით ზაფხულშიაც კი ნაკლებად არის ცხელი, ვიდრე ადამიანის სხეული. გრილი და ცივი ჰაერი მიდის ადამიანის სხეულისაკენ და უნდა განდევნოს მისი სითბო და დაიჭიროს მისი ადგილი. ეს ჰაერის დენა სხეულისაკენ ხშირად გახდის ავად ადამიანსა, თუ რომ ამის წინააღმდეგ მას ღონისძიება



არ მოეგონა. ეს ღონისძიება ტანისამოსია. ძაღვი იცვამს სხეულზე ტანისამოსსა, რომელიც არც სხეულის სითბოს უშვებს გარეთა და არც გარეთა ცივს ჰაერს უშვებს სხეულთან. ამ სახით, მთელი სითბო ადამიანისა რჩება მისსავე სხეულში. ამის გამო ადამიანი თბილად ჰგრძნობს თავის თავსა, ხშირად არ ცივდება და ავად არა ხდება. რომელი ტანისამოსიც უფრო კარგად იჭერს შიგნითა სითბოსა და გარეთა სიცივესა, იმას ზამთარში ხმარობენ. ასეთია, მაგალითად, ტყავის ტანისამოსი, მატყლისა, შალისა, მაუდისა. რომელი ტანისამოსიც ნაკლებად იჭერს სხეულის სითბოსა და ადვილად უშვებს ჰაერს სხეულთან, იმას ზაფხულში იცვამენ. ასეთია ტანისამოსი ტილოსი, მიტკლისა, ჩითისა, პარუსინისა. მაგრამ თბილი ტანისამოსი ძვირია, ღირებები ვერ ყიდულობენ მას და ამიტომ ზამთრობით ხშირად ცივდებიან და ავად ხდებიან.

რატომ ზღუები არ იუხება და ნაპირებიდან არ გადმოდის?

ჩვენ ყველანი ვხედავთ, რომ წყაროები ქვემოდ მირბიან, ერთმანეთს ერევიან და აჩენენ ფუნებსა. ფუნებიც ერთმანეთს ერთვიან და ადგენენ მდინარეებს. მდინარეებიც აგრეთვე ქვემოდ დიდხანს მიდიან და ბოლოს ჩადიან ზღვაში. მაგრამ განა მდინარეები მარტო ეხლა ჩადიან ზღვაში? არა, ჩადიოდნენ წინადაც, ყოველთვის, ქვეყნის გაჩენის დღიდან.

მაშ როგორ მოხდა, რომ ზღვა აქამდინ ვერ გაივსო წყლით, ნაპირებზე არ გადმოვიდა და არ წალეკა ხმელეთი?

ამის გასაგებად ჯერ ვიკითხოთ, სად იხადებიან და საიდან გამოდიან წყაროები და მდინარეები? ზამოდიან მაღალი ადგილებიდან, მთებიდან. ეს ყველამ ვიცით. რად გამოდიან მთებიდან? იმიტომ, რომ იქ ხშირად მოდის წვიმა ზაფხულში და თოვლი ზამთარში. წვიმისა და თოვლის წყალი აჩენს წყაროებსა, ნაკადულებსა და მდინარეებსა. რამდენადაც მთა

უფრო მაღალია; იმდენად უფრო მეტი წვიმა და თოვლი მოდის მასზე და უფრო მეტი წყლები გამოდის მისგან და ცნაკლებად მოდის წვიმა და თოვლი, იქ წყარო და მდინარე იშვიათად მოიპოვება. ხოლო საცა წვიმა და თოვლი არ მოდის სრულიად, იქ მდინარე წყალი გამწყვდარია, უდაბნოა, და კაცი ერთს ცვარსაც ვერ იშოვის დასალევად.

ახლა ვიკითხოთ: წვიმასა და თოვლს რაღა აჩენს და ჰბადავს? მათი გაჩენა არ შეუძლიან არც ჰაერსა და არც ხმელეთსა, რადგანაც თავისი წყალი არა აქვს არც ერთსა და არც მეორესა. წვიმისა და თოვლის გაჩენა შეუძლიან მხოლოდ ზღვასა, რომელიც მართა წყლიდან შესდგება.

მაგრამ ზღვა შორს არის და როგორ ახერხებს წვიმისა და თოვლის მოყვანას შორეულს მთებსა და ქვეყნებში?

მს ხდება ასე:

ზღვიდან აუარებელი წყალი ადის განუწყვეტლივ მაღლა ჰაერში ნისლისა და ორთქლის სახით. მს ნისლი და ორთქლი ზეით ჰაერში იკრიბება და იქცევა ღრუბლებად. მს ღრუბლები ქარს მიაქვს შორს ხმელეთზე, ბარსა და მთებში და მოჰყავს ზაფხულობით წვიმა და ზამთრობით თოვლი.

წვიმა და თოვლი აჩენს მდინარეებსა და მათ ჩააქვთ ზღვაში ის წყალი, რომელიც მათ ზღვიდან მიიღეს. რამდენს წყალსაც ზღვა უგზავნის ხმელეთს ღრუბლებით, სწორედ იმდენს წყალს უკანვე უბრუნებს ხმელეთი ზღვასა მდინარეებით, არც მეტსა და არც ნაკლებსა. აი რისთვის არის, რომ ზღვის სივრცეს არც არაფერი აკლდება და არც არაფერი ემატება ქვეყნის გაჩენიდან დაწყებული დღევანდელ დღემდე.

რად ცივა მთაში და რად თბილა ბარში.

ზაფხულის პაპანაქება იდგა. სანდალას სახლობას კალო ება და ყანას ლეწავდა. თვითონ სანდალა კევრზე უჯდა და ხარებს მარდად დაარბენინებდა. მაგრამ ძნელი ის

იყო, რომ სანდალას მეტად სცხელოდა და ოფლი წურწურით ჩამოსდიოდა პირისახიდან. უცებ სანდალამ ჩრდილოეთისაკენ გაიხედა და ძავეკასიის შუბლზე დაინახა თოვლის გოგონალი ზოლი. „ახ ნეტავი ის თოვლი ახლოა ყოფილიყო, რომ გავეგრილებინე, სთქვა სანდალამა. მერმე ჩაფიქრდა ამ მოვლენაზე და თავის-თავს დაეკითხა: სითბო მაღლა მზიდან მოდის, მაღალი მთები უფრო ახლოა მზეზე, ვიდრე დედამიწა; იქ უნდა უფრო ცხელოდეს, აქ კი უნდა გრილოდეს; ნამდვილად კი დედა-მიწაზე ცხელია, მთებში კი გრილია და ცივა. საოცარი და გაუგებარია ეს,“ დაასკვნა ქვეიანმა სანდალამა.

აქ გაუგებარი არაფერია. ამ მოვლენას თავისი მიზეზი აქვს:

დედა-მიწას გარს ახვევია ჰაერი, რომლის სიმაღლე სამოც და ათს ვერსს შეადგენს. როცა მზის სხივები ზევით კვემოდ მორბიან, ჯერ ჰაერში უნდა გამოიარონ და მერმე დედა-მიწაზე დაეცენ. ასეც ხდება. მაგრამ მზის სხივები ჰაერში ისე გამოივლიან ხოლმე, რომ იოტის ოდენა სითბოსაც ვერ აძლევენ მას. ასეთია თვისება ჰაერისა. სამაგიეროდ, როცა დედა-მიწაზე ეცემა მზის სინათლე, დიდს სითბოს აძლევს მას. მერმე ეს დედამიწის სითბო მაღლა ადის და ჰაერს ათბობს. ასე, რომ ჰაერი სითბოს მზიდგან კი არა, დედა-მიწიდან იღებს. ამის გამო რამდენიც უფრო ახლოა ჰაერი დედა მიწაზე, იმდენი უფრო თბილია. სამაგიეროდ, რაც უფრო დაშორებულია ჰაერი დედა-მიწასა, და ახლოა მზეზე, მით უფრო გრილია და ცივი. ამიტომაც მაღლა ჰაერში, რამდენიმე ვერსის სიმაღლეზე, ისეთი დიდი სიცივეა ზაფხულშიაც კი, რომ კაცი გაიყინება. მთები მაღლა ცაშია ატყორცნილი და დიდად დაშორებულია დედა-მიწასა, და ამიტომ იქ ზაფხულშიაც კი ცივა და თოვლი სძევს, როცა იქვე ახლოს ძირს, ბარში, პაპანაქება სდგას და ადამიანს ოფლი წურწურით ჩამოსდის.

ცა და დედა-მიწა (ხალხური)



შეიბნენ ცა დედა-მიწა.  
 მოჰყვენენ თავ-თავის ქებასა:  
 ძვეით მიწამ უთხრა ცასა,  
 ძებით ნუ მეტყვი მაგასა,  
 მე რომ მიწას ავამწვანებ,  
 შენ რას ნახავ ამის ფასსა!  
 ახლა ცამ უთხრა მიწასა,  
 ძებით ნუ მეტყვი მაგასა,  
 მე ზეციდან ნამსა ვუშვებ,  
 შენ რას ნახავ ამის ფასსა!  
 ახლა მიწამ უხრა ცასა,  
 ძებით ნუ მეტყვი მაგასა.  
 ზაზაფხულზე გამოვიყვან  
 ჰიასა და ჰინჭველასა,  
 შენ რას ნახავ ამის ფასსა.  
 ახლა ცამ უთხრა მიწასა,  
 მე რომ ზეცას ავაყვავებ,  
 ზედ დავასხამ ვარსკვლავებსა,  
 შენ რას ნახავ ამის ფასსა.  
 ახლა მიწამ უთხრა ცასა,  
 ძებით ნუ მეტყვი მაგასა,  
 მე რომ პურს თავთავს დავასხამ,  
 იმითი დავარჩენ ხალხსა,  
 შენ რას ნახავ ამის ფასსა.  
 ახლა ცამ უთხრა მიწასა,  
 ისეთ გვალვას გამოვუშვებ,  
 ზადაგიწვავ მთას და ბარსა,  
 შენ რას ნახავ ამის ფასსა.  
 ახლა მიწამ უთხრა ცასა,  
 ალაგსა და ულაგოს

ისეთ წყაროს გამოვიყვან  
 ძირი დამ მივსცემ სიგრილეს,  
 შანას გავუკეთებ თავსა,  
 შენ რას ნახავ ამის ფასსა.  
 ახლა ცამ უთხრა მიწასა,  
 ძებით ნუ მეტყვი მაგასა,  
 მე და მთვარე ჩემს პირზეა,  
 მე ვანათებ ქვეყანასა.  
 ახლა მიწამ უთხრა ცასა,  
 ძებით ნუ მეტყვი მაგასა,  
 მე რომ ვენახს გავაკეთებ,  
 იმითი ვალხინებ ხალხსა,  
 ზედაშედაც წაიღებენ,  
 ახსენებენ თავისს მკვდარსა!  
 ახლა ცამ უთხრა მიწასა,  
 ძებით ნუ მეტყვი მაგასა,  
 ელვა-ჰექას გამოვუშვებ,  
 სულ შევანძრევ მთა და ბარსა.  
 ისეთ სეტყვას წამოვუშენ,  
 ზადაგანგრევ თავზე სახლსა.  
 დედა-მიწამ უთხრა ცასა,  
 ძებით ნუ მეტყვი მაგასა,  
 შენ ელვა-ჰექას ვინ მოგცემს,  
 თუ ზღვიდან არ მოგცემ წყალსა,  
 ღეთის ამარა ფუტკარი მყავს,  
 ჩამოვასხამ კელეპტარსა,  
 გამჩენელს შევებვებობი,  
 ზანვაქარვებ შენს სეტყვასა.  
 სამი ჩარეკით აჯობა  
 დედა-მიწამ ზეით ცასა.

# ს ა ქ ა რ თ ე ე ლ ო



## ჩუენი სოფელი.

ჩუენს სოფელს ვარაიანი ჭქვიანი. მცხოვრებნი სულ გლეხები არიან. ას კომლამდე იქნებიან. ახლო-ახლო ცხოვრობენ. ქვით-კირის შენობა მხოლოდ ზოგიერთს უდგა. სხვები სცხოვრობენ ან მიწურში, ან ქვა-ტალახა სახლებში. სახლებისვე გვერდით გაკეთებული აქვთ ბოსლები და ბაკები. ამის გამო სოფელს სისუფთავე აკლია. რადგანაც სოფელი მჭიდროდ არის დასახლებული, ამის გამო ჰატარა ადგილი უჭირავს.

შიგ შუა სოფელში აშენებულია ქვით-კირის საყდარი ღვთის-შობლის სახელობაზე. საყდრის ზეით და ქვეით ამოჩუხნუხებს მიწიდან ორი ვეებერთელა წყარო. ეს წყაროები ქვემოდ ერთდება და აჩენს მოზრდილს ფშანსა. ამ ფშანში ბევრი თევზი ბუდობს, მათ შორის კალმხინც, ეველა თევზზე გემრიელი.

ვარაიანს არცვლივ შემორტეულია აქვს ვენახები. ეს ვენახები სავსეა ვაზებითა, ხილი კი მათში ნაკლებად არის დარგული. ვენახების აქვთ-იქვთ იწეება სახნავ-სათესი მიწები. ამ მიწებმა და ვენახებმა ჩინებული მოსავალი იცაინ. ეს იმიტომ, რომ მიწა ნუფთიერია და უხვად ირწეება რუების წყლითა. ეს რუები გამოყვანილია მდინარე ღიახვიდან, რომელიც აღმოსავლეთის მხრივ ჩამოუდის ვარაიანსა. ვარაიანლებს მოჭვავთ ზური და სიმინდი. სხვა მცენარეს იშვიათად სთესავენ. ღვინის მოყვანასაც ერთგულად მისდევენ. ზამთარი ვარაიანში მეტად ცივი იცის. ეს უფრო იმიტომ, რომ ჩრდილოეთიდან ზედ დაჭურვებს კავკასიონის მდელი მთები, ზამთარ-ზაფხულ თოვლით შემოსილია. რადგან ვაზი ვერ იტანს ზამთრის ეინვასა და ხმება, ამიტომ ვარაიანლები შემოდგომასზე ვენახს სარს უერიან და ვაზებს მიწაში ფლავენ, რასაც ისინი ვაზის დამარხვას ეძახიან. გაზაფხულზე კი ისევ აყენებენ ხოლმე ვაზებსა და სარებს უდგამენ.

სამხრეთით ვარაიანს მოზრდილი ჭაობი უძევს. ამ ჭაობს



მეტად ცუდი სუნი ახდის, რომელიც სწამლავს ჰუკრსა და აჩენს ავს ციებას ზაფხულობით. ბუდად, ვარაიში თითქმის უკვე დაეჭარი ჰქრის და ჰუანტავს ამ მოშხამულს ჰუკრსა, თორემ უკვე დაემართებოდათ ვარაიელებსა.

ვარაიელები ზამთრობით ახსად მიდიან საქმეზე და შინა დროს უქმად ატარებენ. სახნავ-სათესი მიწაც ნაკლებად აქვთ და ისიც სადაღო. ამის გამო ღარიბნი არიან და ვალი ბევრი მართებთ სხვა-და-სხვა ფულიანი მოქალაქეებისა.

შატარა და ღარიბი ვარაიანი; მაგრამ მე კი ეს სოფელი ძლიერ მიუვარს. მიუვარს იმის გამო, რომ იქ დავიბადე, იქ ვიხილე სინათლე მზისა, იქ გავატარე ბედნიერი დღეები ჩემის ბავშვობისა, იქა ვტოვებოდი მშობლების, ძმების და დების სიყვარულით, იქ ჩემს ურუბებს ასიამოვნებდა წყლების ჩხრიალი, ჩიტების ჰაიკიკი, იქ მწვანე ტყე-ველს აღტაცებაში მოგვაუგდი, იქ ვისწავლე ბევრი ხალხური ლექსი და მოთხრობა, იქ შევითვისე და შევიფარე მშრომელი ხალხი. აქვე სასაფლაოზე მარჩიან ჩემი ძვირფასი დედ-მამა, ძმები, ნათესავები.

ასწორეთ თქვენი სოფელი და შეადარეთ მარჩიანსა.

### ვანო და ქალაქი.


ვანოს მამა დილით ადრე ურმით ქალაქს მიდიოდა. ვანო აუტუდა: მამალო, კეთილვა, თან წამიუვანე და ქალაქი მახვენიო. მამამ დაისვა ურემზედ და წაიყვანა. შუადღისას ქალაქი შორიდან გამოჩნდა. ვანო ტქერად გადაიქცა და სულ ქალაქისკენ იუერებოდა.

— მამალო, აი ის თეთრად და ვეითლად რაები ბჭუვრიალებს მადლა ჰუკრში? ჰუკითხა ვანომ მამასა. — საუდრების გუმბათებია, შვილო, უთხრა მამამ. — რად უნდათ მაგდენი საუდარი, განა ჩვენსავით ერთი ეკკლესიაა კი არ ეუფათ? — რაგორ ეუფათ, შვილო, როცა ამ ქალაქში ჩვენს სოფელზედ ოცჯერ უფრო მეტი მცხოვრებია.

აი შევიდნენ ქალაქში. ვანოს თვალები აუჭრიალდა, იმდენი ახალი სახანავი დახვდა. მას აკვირვებდა ღამაში ორ-სამ სათუღიანი სახლები, განიერი, სწორე და გრძელი ქუჩები, ბაზარი, სადაც

ათას ნაირი ხალხი ბუზივით ირეოდა, სსახელსნოები და სსავსე  
მადლობები, სსავსენი შეიდეულებითა.

სსავსე  
ეროვნული  
ნიშნით



— როგორ მოგეწონა ქალაქი? ჰკითხა მამამ ვანოს, როცა ქალაქიდან გამოვიდნენ. — უჰ, ძალიან მომეწონა, უთხრა ვანომ. მაგრამ ეს კი მაკვირვებს: რატომ ბოსლები, ბაკები, სსბძლები, ბოსტნები და ვენახები არსადა სჩანდა? — რად უნდათ, შვილო, ეგები ქალაქელებსა, უთხრა მამამ; ისინი არცა ხუნენ, არცა სთესვენ და არცა საქნელი ჰყავთ; იყლებს შოულობენ ვაჭრობით, ხელსნობით, სსმისხურით და უიდეობენ სოფლებიდანაგან ჰურსა, სსკლავსა, შეშას.

საღამოზედ ვანო იჯდა თავისს ტოლებში და ქალაქის ამბავს ელაშარაკებოდა.

### საქართველოს ბუნება და საზღვრები.

ეველა იმ სოფლებს და ქალაქებს და იმ მიწა-წყალსა, სსცა საქართველები სცხორებენ, საქართველო ჰქვიან. საქართველო მატარა ქვეყანა; მაგრამ ბუნების სიმდიდრით ბევრს დიდს ქვეყანასა სჯობიან. ზოგი ქვეყანა მოკლებულია მთებსა და სერებსა და ერთს უშველებელს სწორე ვაკეს წარმოადგენს. ასეთია, მაგალითად, რუსეთი. ზოგი ქვეყანა კი სულ მთლად მთა-გორიანია და ეიქურები სწორე მინდორს დანატრულებულნი არიან. საქართველოში კი მთები



და მიზნდურები ერთად არიან შეთანხმებულნი. ზოგს ქვეყანაში მეტად ცხელა, ზოგში მეტად ცივა; საქართველოში კი ზამთარში ძლიერ არ ცივა და ზაფხულში გადამეტებით არა ცხელა. ზოგს ქვეყანაში მარტო ქერი მოდის და არც ერთი ხეხილი არა ხარობს. ამის გამო იქაურები დანატრულდებიან არიან ზურსაცა და ხილსაცა. ჩვენში კი მიწას მოჭყავს სხვა-და-სხვა პური, ბევრ ნაირი ხილი და ვურძენი.

დაიდ, საქართველოს ბუნება მდიდარია, მაგრამ ქართველ ხალხს სიღარიბე ძლიერ აწუხებს. მთავარი მიზეზი ამ სიღარიბისა ისაა, რომ ქართველ გლეხს სახნავ-სათესი მიწა ცოტა აქვს, ისიც სადა-ღოდ აღებული. ქართველი გლეხი აქამდინ აძლეუდა დაღასში მიწის შესაკუთრეს მოსავლის მეოთხედსა და ვენახის მოსავლიდან იხდიდა ნახევარსა. ახლა გლეხები თავგამოდებით ცდილობენ საკმაოდ მიწა მოიპოვონ საკუთრებად და მთელი მოსავალი მიწისა და ვენახისა თვითონ დანიარჩუნონ. ამედა, რომ ეს ნატურა და წადილი მოკლე ხნის განმავლობაში საქართველოს გლეხობას აუსრულდება, და მაშინ იგი სწრაფად წავა წინ ქონებით, განათლებით და თავისუფლებით.

საქართველოს საზღვრავს: ჩრდილოეთით კავკასიის ქედი, აღმოსავლეთით დაღესტანი, ანუ ლეკთა ქვეყანა, სამხრეთით სომხეთი და დასავლეთით შავი ზღვა. მთელს საქართველოში ორ მილიონზე მეტი ქართველი სცხვარობს.

ჩვენ კარგად ვიცით, რომ ერთისა და იმავე მშობლების შვილებს გვარი ერთი აქვთ; მაგრამ სახელები კი სხვა-და-სხვა ჰქვიათ. მსგავსად ამისა, ჩვენის ქვეყნის სხვა-და-სხვა კუთხეებს ანუ ნაწილებს გვარ-ტომობის სახელი ერთი და იგივე ჰქვიათ — საქართველო; მაგრამ ამავე დროს თვითეულს ნაწილს თავისი საკუთარი სახელიც აქვს, სწორედ ისე, როგორც ღვიძლს ძმებსა და დებსა სხვა-და-სხვა სახელებს უწოდებენ ხოლმე.

კავკასიონის ქედიდან გამოდის და სამხრეთისაკენ არის გაწოლილი ერთი გრძელი მთა, რომელსაც სურამის ქედს ვეძახით. ეს მთა საქართველოს ჭეოფს ორ ნაწილად: აქთა ნაწილს ჰქვიათ

ადმოსავლეთის საქართველო, იქითა ნაწილს—დასავლეთის საქარ-  
თველო.

დასავლეთ-საქართველოს მკვიდრთ ჰქვიანთ იმერი ქართველები.  
ადმოსავლეთ საქართველოს—ამერი ქართველები. გულწრფელობით,  
პირდაპირობით ამერები სჯობიან იმერებსა; მაგრამ რწავლის სი-  
უფარულით, გამბედაობით, დაუღალავი შრომით იმერი ქართველები  
წინ არიან ამერებსედა. ამერები ისე აფასებენ სწავლას, რომ  
თითქმის ყოველ სოფელში სკოლა აქვთ გამართული და წიგნი  
ბევრმა გლეხმა იცის. ამერებმა ჯერ სწავლის პატივი არ იციან,  
სკოლები ძლიერ ნაკლებად აქვთ და ასე გლეხში იქნება ათიჯერ  
იტირეს წიგნი.

როგორც ადმოსავლეთის, ისე დასავლეთის საქართველოს აქვს  
თავისი კერძო ნაწილები.

### ამერ-იმერ ქართველთა სიძღვრება.

1.

გაჟაკსა უნდა უუფარდეს მამული, თავის ერია,  
არ შედრკეს, თუნდა ბუზივით ეხვიოს თავზე მტერია,  
არ გადაწვიტოს იმედი, არ შეიცვალოს ფერია,  
თორემ დაგმობს და დასწეველის მოძმე, ერი და ბერია.

2.

მამულა, შენთვის მოგვედებო, შენთვის ჩავიცვამ შავსაო,  
შენ შემოგწირავ სიცოცხლეს, შემოგველებო თავსაო.


3.

მე პატარა ქართველი ვარ, კავკასიის მთების შვილი,  
და განცხრომით სხვაგან ყოფნას მიჩვევიან აქ სიკვდილი.  
ქართლ-კახეთი, იმერეთი, გურია და სამეგრელო,  
ყველა ჩემი სამშობლოა, საყვარელი საქართველო.  
ხან თუ მტერნი აცხრებდნენ, იყო მღვრელი ცრემლის ცხარის,  
ბრწევივალე დროც დასდგომია, დრო დავითის და თამარის.  
მე პატარა ქართველი ვარ, სახელოვან ერის შვილი  
და მსურს მერგოს სასახელო მეც სიცოცხლე სიამ-ტკობილი.

# საქართველოს კავშირის რუკა

ნომერის ახსნა:

- გზა - გზები
- ხეობის ახსნა
- ხეობის ახსნა
- ხეობის ახსნა



1906 წლის რუკის მიხედვით

# ადმონავლეთის საქართველო.



## 1. კახეთი.

საქართველოს ადმონავლეთის ნაწილს კახეთი ქვეყანს. კახეთს ადმონავლეთით უძველეს მადალი მთები, რომელიც მას ჰყოფს ლეკების ქვეყნიდან ანუ დაღესტნიდან. ზედ შუაგულს კახეთზე ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ მისდევს სკამად მადალი მთა, რომელსაც ცივი ქვეყანს. ცივი კახეთს ორ ნაწილად ჰყოფს: იქითა, ადმონავლეთის, ნაწილს ქვეყანს შიგნით-კახეთი, აქეთა, დასავლეთის, ნაწილს გარედ-კახეთი. სამხრეთის ნაწილს შიგნით-კახეთისას ქვეყანს ქიზიური; ქიზიურის იქით, ადმონავლეთისაკენ, სძვეს სანგილო, დასახლებული ძველი ქართველებით. შიგნით-კახეთის თავში კავკასიონის ქედთან არის თუშეთი. გარედ-კახეთის თავში, თუშეთის დასავლეთით, სძვეს ფშავეთი და ხევსურეთი.

შიგნით-კახეთზე სდის მონადირე მდინარე ალაზანი, რომელიც კავკასიონის ქედიდან გამოდის. გარეთ-კახეთზე მდინარეებს მდინარე მდინარე იორი, რომელიც აგრეთვე კავკასიონის ქედიდან გამოდის. იორი ჩადის ალაზანში ცივის მთის ბოლოში. შემდეგ თვითონ ალაზანიც მტკვარს ერთვის.

კახეთის მთავარს სიმიდირეს ვენახებია შეადგენს. მთელი კახეთი სავსეა ვეებერთელა ზურბითა და ვენახებითა. ცივის მთის სიმაღლიდან რომ კახეთს გადახედო, ერთს დიდს ზვარად გეჩვენება. მვეენახობას იმიტომ მისდევს მთელი კახეთი, რომ აქაური მიწა და ჰეური ძლიერ ხელს უწეობს ვენახს; აქ ვახს მცხევეს მდიდარი მოსავალი. ამ მოსავლიდან, კახურის ვახს წვენიდან, ჩინებულს დვინოს ავენებენ. კახური დვინო განთქმულია შორეულს ქვეყნებშიც და ბევრიც იუილება დიდ ფასად.

კახელი ქართველი მკარა აკებულობისა და დინჯი ხასიათისა. სიტყვა-მასუსა და მოქმედებაში შირდაშირობა უევეარს, ეშმაკობა და შირ-მოთხეობა ევეარება. სტუმარ-მოევეარებით და შურადობით კახელები განთქმულნი არიან. ლხინიც ჩინებული იციან. მკარამ, სუბედუროდ, სკოლები კახეთში ცოტა არის და

წიგნის ცოდნა ნაკლებად არის გავრცელებული და ეს დიდად ვნებს კახელებსა.

კახეთში ორი ქალაქია: თელავი და სიღნაღი. ორნივე მადლობად აღგიღზე არის აშენებული და მშვენიერი გადმოსახედი აქვთ.



იმერ-კახელი ბავშვი.

კახელი ყმაწვილი.

თელავში სცხოვრობს ათი ათასი სული, სიღნაღშია ცამდენივე. მცხოვრებლებში ბევრი სომეხი ურევია. სიღნაღის ახლო ბოდბის მონასტერია, სადაც მარხია ქართველთა განმანათლებელი წმიდა ნინო. დასასახელებელია ზემო-კახეთში დაბა-თიანეთი, სადაც სამარცხ მართველობას.

### კ ა ხ ე თ ს (ლექსი).

ძიუვარხარ, ტუბილო კახეთო, დიდო აღაზნის ჭკალა;  
ირემო იაღადზედა, ივრის შირებზე ჩაღალა;  
ბარდებში მძრომო ხოსობო, ტურთუაო ხარის თვალა;  
შირაქო, ცხვრების დეღაო, ზედ ჭყვირნების ფარაო.

### ზატარა მთიელის ნატვრა.

ღმერთო! ზამთარი შემჯავრდა, ნეტავ გამოადარაო,  
მზე დამანახვა, კაი მზე, ნეტავი გამახარაო,



თოვლი დააშრო, მთა-ბარი საამოდ ააშწავნაო,  
 ტყეს ფოთოლ-უვავილ დასხსა, ბაღახი მოიყვანაო,  
 ზედ გვევლად შიშველ ფეხითა, ხელითაც გვაკლავს  
 უვავილ-ბაღახში გვაგორა, ზეზელა გვაჭერინაო.  
 მამას ვუშველათ თიბვაში, ნამგლითაც გვაშეკვინაო.  
 წაგვასხა ტოლი ბიჭები, ჩვენს ხევზე ჩაგვარბინაო.  
 კამკამა წყალში გვაბანა და შიგვე გვატობინაო.  
 მერმე ყოფობას წაგვასხა, ყოფ-მარწოვი გვაკრეფინაო.  
 ნეტავი კიდევ მადირსა მერცხლის ხმა გამაგონაო,  
 ძალე მოგვეკვარა ზაფხული და აღარ წაიყვანაო.

## 2. ქ ა რ თ ლ ი.

ქახეთის აქეთ, დასავლეთით, ქართლი სძევს. ქართლის შუა  
 გულზე აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ მისდევს მალაღი და  
 გძელი მთები, რომელსაც თრიალეთის მთები ჰქვიათ. ეს მთები  
 ქართლს ორ ნაწილად ჰყოფს: ჩრდილო ნაწილს ჰქვიათ შიდა-ქარ-  
 თლი, სამხრეთის ნაწილს—ჯავახეთი და ახალციხის მხარე, რომელსაც ძველად მესხეთი ერქვა.

ქართლზე მოდის უდიდესი მდინარე საქართველოსი—მტკვარ-  
 რი. მტკვარი გამოდის სამხრეთით სომხეთის საზღვარზე, ჯერ  
 მესხეთზე მობრბის, მერმე შიდა-ქართლზე მომდინარეობს და ბო-  
 ლოს ჩადის კასპიის ზღვაში. მტკვარს შიდა-ქართლში ერთვის  
 სამი მდინარე: ლიახვი, ქსანი და არაგვი, რომელნიც კავკასიის  
 ქედიდან გამოდის, ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ მობრბან და  
 მტკვარში ჩადის.

წყლის სიუხვე ძალიან ხელს უწყობს ხენა-თესვას ქართლში.  
 აქ სახნავი მიწები თითქმის სულ სარწყავია. ამიტომ გვაღვა ქარ-  
 თლში მოსავალს ვერ მოაცდენს ხოლმე. ქართლელები ხენა-თესვას  
 ძლიერ მისდევენ. მათ მოჰყავთ ბევრი პური და სიმინდი; ზოგს  
 თვითონ ხმარობენ და ზოგს ჰყოდიან სხვა-და-სხვა ხარჯის გადასახ-  
 დელად. ვენახებიც ბლომად აქვს გაშენებული; მაგრამ ჰაერის სიგ-  
 რილის გამო უურძენი კარგად ვერა მწიფდება და ამის გამო ქარ-


თელუღი ღვინო მუაკვა და ვერ შეედრება კახურს ღვინოს. ამ სიტყ-  
 რილეს ჭკერისას ჭბადავს სიანხლოვე კავკასიონის ქედის <sup>უჩიუნი</sup> <sup>რამელი</sup>  
 თოვლით არის შელესილი ზაფხულის ზამანაქებაშიაც კი.



ქართლელი ყმაწვილები.

ქართლელი მშვიდობიანი ხასიათის ზატრია. სარჩოს იძენს  
 სწორე და ზატოხსანი გზით და უღარსად მიაჩნია ვისიმე მოტუეუბა.  
 ერთმანეთის მტრობა, შეფთი და შური ქართლელებში შედარებით  
 იშვიათია. ქართლელი უველასე მეტად წმინდა სინიღისს აფასებს;  
 ამიტომ უზატოხსნობას ძლიერ ერიდება. მაგრამ ქართლეებს თვით  
 კახელებზედაც კი უფრო ნაკლებად უფვართ სწავლა. მთელს  
 ქართლში ათიოდე სასოფლო სკოლა ძლიერ იშვოება, ამის გამო  
 წიგნის მცოდნე გლეხი ქართლში უფრო კიდევ იშვიათია, ვიდრე  
 კახეთში.

ქართლში რამდენიმე ქალაქია. პირველი ქალაქი არის თბი-  
 ლისი, რამელიც სძევს მტკვრის აქეთ-იქით ნახირებზე. თბილისი  
 იყო და არის მთავარი ქალაქი საქართველოში. მცხოვრებთა რიცხვი



ადემატებს ორას-ათასს სულისა. თფილისში უფრო სომხობა სცნო-  
რობს. სასწავლებლებშიაც სომხები ერთი-ორად შეტანილი არიან  
ქართველებზე.

მეორე ქალაქი არის გორი, რომელიც სიძვეს აქ, სადაც  
ლიახვი ერთვის მტკვარსა. მესამე ქალაქი დუშეთია, მეოთხე ახალციხე  
და ბოლოს ახალ-ქალაქი. ახალ-ქალაქში ახლა თითქმის მარტო-  
სომხობა სცნოვრობს. ქართველთა რიცხვი აქ მცირეა. შესანიშნავია  
კიდევ სოფელი მცხეთა, რომელიც ძველს დროში დედა ქალაქი-  
იყო საქართველოსი. აქ არის უძველესი და უმშვენიერესი ტაძარი-  
სვეტი-ცხვლისა. მოსახსენებელია აგრეთვე სამი დაბა: ცხინვალი,  
სურამი და ბორჯომი.

ღ ი ა ხ ვ ი.

ლიახვიმ სთქვა ავდიდლები, არავს არ დავედარები,  
ისე მოვალ და მოვშუუვი, თითქო ფეხს მეკრას ნალები.  
ცხინვალის ხიდს შეუუთვადე, აწ სადღა დამემალები?  
შუა ღამე რომ შეიქმნა, მაშინ ავუბი თვალები:  
ორი მტურავი დავარჩე უღვაშ-ნალები ღალები,  
მათი ცოლები სტაროდნენ, დაიხრჩუნენ ჩუენი ქმარები.  
დაიცა გნახო, ლიახვო, დავგვეოდნენ კოდებო,  
ბიჭ-ბუჭნი გაჭეაზუნებდნენ და გწკუზღავდნენ გოგობო.

ტფილისის ქება (მესტვირული).

ნეტა ქება როგორ ითქმის ამ ტფილის ქალაქისა,  
ზამთარი არის ბროლისა, ზაფხული — ზურმუხტისა.  
გარს ახვევია ბადები, ჩარხი უბრუნავს წყლისა.  
ქალაქში აბანოები — ბადალი ხმელეთისა;  
ძირიდან აშენებული აუზები აქვს ქვისა;  
მაღლიდან გადაჭედელი წითელის აკურისა;  
გვერდიდან ფანჯარები — სანათურია მზისა,  
ვინც შევა, აგრევე გახდის, როგორც თოვლია მთისა;  
ქალი და რძალი გამოდის, ვითა ევაკილი ხისა.  
დუქნები ბევრი დამართეს, სასხდომი ბაყლებისა;



გვერთ ქუხები დაატანეს, სარბენი არის გზისაჲ;  
 წინ ხათხარი ორმოები — ნაკები სარდაფისაჲ;  
 საუღარიც ბევრი ააგეს იმ თეთრის ქვათეირისაჲ;  
 ხატი და ჭვარი შიგ არის, საღვინავია ღვთისაჲ;  
 ბერი და ღვდელი ამდენი, როგორც რომ წვიმა წელისაჲ;  
 ხაზინაები აწუვია მოჭრილი თამაზ-ხნისაჲ;  
 ერეკლე ბატონი იჯდა ბადალი ხმელეთისაჲ!

### დასავლეთის საქართველო.

#### 1. იმერეთი და რაჭა.

ქართლს დასავლეთით საზღვრავს სურამის გძელი მთა. ამ მთიდან დასავლეთისაკენ მიდის საკმაოდ მაღალი და გძელი შტო, რომელსაც ნაქერდას ქედი ჰქვიათ. ამ ქედს უძევს სამხრეთით იმერეთი, ჩრდილოეთით რაჭა.

ზემო, აღმოსავლეთის, ნაწილი იმერეთისა, მთა-გორანია, ქვემო, დასავლეთის, ნაწილი სწორედ და ვაკე. ზემო-იმერეთში უფრო გრილი და სადი ჰავაა, ქვემო-იმერეთში ცხელა და ციებ-ცხელება იცის. ზემო-იმერლებს ქართლელებივით მოჰყავთ ბევრი ზური და სიმინდი და ღვინოსაც კარგს აყენებენ. კანთქმულია, მაგალითად, სვირის ღვინო. დომს ზემო-იმერეთში ძალიან ცოტასა სთესენ. ქვემო-იმერეთში დომს ზურის ნაცვლად ხმარობენ და ამიტომ ბევრი მოჰყავთ. სიმინდსაც ქვემო-იმერლები ბლამად სთესენ; ზური კი ძალიან ნაკლებად მოჰყავთ და იშვიათად ხმარობენ საკმელად. გვნახები ზემო-იმერეთში დაბლარია, ესე იგი ვაზები სარზე არის მიმაგრებული, როგორც ქართლსა და კახეთში. ქვემო-იმერეთში კი გვნახები მადლარია: ვაზები აშუებულია მადლს ხეებზე. ეს იმიტომ, რომ მიწა ქვემო-იმერეთში უფრო ნოტიოა და ურძენი ფუჭდება, თუ დაშორებული არ არის მიწის სინოტივესა.

ზემო-იმერლები ხასიათით ემსგავსებიან ქართლეებსა, ქვემო-იმერლები კი განსხვავდებიან მათგან. შირდაპირობა ქვემო-იმერლებს ნაკლებად უყვართ, ეშმაკობასა და შირფერობას არ ერიდებიან. სამაგიეროდ, სწავლის სიუფარულით ბევრად სჯობიან ჯამბ თუ ქართლეებსა, ზემო-იმერლებსაც კი.

იმერეთზე სდის მდინარე რიონი, რომელიც მტკვარზე ცოტა პატარაა. რიონი გამოდის კავკასიონის ქედიდგან, ჯერ რაჭაზე მობრუნდებიან, შემდეგ იმერეთზე შემდინარეობს და ბოლოს შავ-ზღვაში ჩადის. ზემო-იმერეთზე მობრუნდებიან პატარა მდინარე—უფრიდა.



იმერელი ყმაწვილი.

ბად ურევიან, ასე, რომ ქუთაისი ნამდვილი ქართული ქალაქია.

ზემო-იმერეთში ერთი მოზრდილი დაბა — უფრიდა, სადაც ბინადრობს სამაზრო მართველობა.

რაჭა ერთი ოთხად პატარაა იმერეთზე. რაჭას მდლობი ადგილი უჭირავს; ჭავა აქ გრილია და მეტად სადი. ციება სრულიად არ იცის. ამის გამო რაჭველი გლეხი ძლიერ მაგარი და სადი აკებულების პატრონია და დიდი ჯაფის ატანს შეუძლიან. შრომის-მოყვარეობითაც რაჭველი ნაქებია. შირდაზირობით და გულწრფელობით რაჭველი ქართულს არ დაუვარდება.

რაჭაში სთესენ პურსა და სიმინდს; დომის თესვა ჩვეულებად არა აქვთ. მევენახეობასაც ერთგულად მისდევენ, მეტადრე ქვემო-რაჭაში, სადაც უფრო თბილა. აქ ურძენი კარგად მწიფდება და კარგს დვინოს აყენებს.

რაჭაში ქალაქი არ არსებობს. ქალაქის მაგივრობას ასრულებს მოზრდილი დაბა-ონი, რომელიც რიონის პირზე სდევს.



საზოგადოდ. სიღინჯით, ხასიათით, სოფლის მოწყობილობით და ხუნჯ-თესვის წეს-რიგით რაჭველები უფრო მოწინააღმდეგეები ჰქვანან, ვიდრე იმერებსა.

## 2. სამეგრელო და სვანეთი.

დასავლეთით იმერეთს ჩამოუდის მდინარე ცხენის-წყალი. ამ წყალს რომ გახვად, შეხვალ საქართველოს მეოთხე ნაწილში, რომელსაც სამეგრელო ჰქვანან. ეს სახელი იმიტომ დაერქვა, რომ აქაურს ქართველებს მეგრელები ჰქვანათ.

მთელი სამეგრელო ვეებერთელა ვაკე ადგილია. მხოლოდ მისი ჩრდილოეთის მხარე ცოტა მთა-გორიანია. ჰქერი სამეგრელოში მეტად ნოტიოა. ეს იმიტომ, რომ ნაში და წვიმა უხვად მოხდის შავი-ზღვიდან, რომელიც საზღვრავს სამეგრელოს დასავლეთით. ხშირი წვიმების გამო სამეგრელოში ბევრი ჭაობია. ეს ჭაობები ახენს ავს ციებსა, რომელიც დიდად ვნებს მეგრელების სიმრთელესა. ნიადაგი სამეგრელოში მეტად ნოყიერია. ამის გამო მიწის გაპატოვება აქ სრულიად არ იცინან. ჭინახულის მოყვანას ერთგულად მისდევენ. სიმიწი იმდენი მოჰყავთ, რომ ბევრს ჰვიდინ უცხო ქვეყანაში და დიდს ფულს იძენენ. ღამის მოყვანაც ძლიერ არის გავრცელებული აქ. მალაჩი ვენახებით სავსეა სამეგრელო. ღვინო ბევრი მოჰყავთ მეგრელებს; მაგრამ ეს ღვინო უღონოა და წყლიანი, რადგანაც აქაური ნიადაგი და ჰქერი დიდი სიხესტით არის გაუღენთილი. მხოლოდ ჩრდილოეთის მხრივ მალაჩი ადგილებში მოდის კარგი ღვინო. მეგრელები ნიჭიერი, გამბედავი და მოხერხებული ხალხია. საქართველო მათ სხვა ქართველებზე თუ მეტად არა, ნაკლებად არ უყვართ.

სამეგრელოში სამი მდინარეა: ცხენის-წყალი აღმოსავლეთის მხრივ, ენგური შუაგულში და კოდორი დასავლეთის მხრივ. სამივე მდინარე გამოდის კავკასიონის ქედიდან. მათგან ცხენის-წყალი ჩადის რიონში, ენგური და კოდორი ერთვის შირდაშირ შავს ზღვასა.

სამეგრელოს დასავლეთ-ჩრდილოეთის მხარეს ჰქვანან სამურ-ზაყანო, რომელშიაც შესანიშნავი ქალაქია სოხუმი. თვითონ

სამეგრელოში არც ერთი ქალაქი არ არის. ქალაქის მაგიერ აქ  
ანსებობს ორი დიდი დაბა: სენაკი და ზუგდიდი.



მეგრული ბავშვი.

სამეგრელოს ნაწილს  
თით სძევს საქართველოს  
უმაღლესი ნაწილი—სვანე-  
თი. სვანეთს მეტად მაღალი  
ადგილი უჭირავს, იგი ზედ  
აკრავს უმაღლეს მთას—აღ-  
ბუჯს, რომელიც სამთარ-  
სათუსულ თოვლით არის შელე-  
ნილი. ამის გამო, სვანეთი  
ძლიერ ცივი ქვეყანაა. აქ არ  
მოდის არც ზური, არც ხილი  
და არც ყურძენი. სვანეთში  
სთესენ მხოლოდ ქერსა და  
ამითი იკვებებიან. სასმელად  
ხმარობენ, ღვინის ნაცვლად,  
ქერის არაყსა.

### 3. გურია და აჭარა.

სამეგრელოს სამხრეთით, რიონის ვადმა, გურია სძევს. გურია  
ხეტარა კუთხეა. იგი სივრცით ვერ შეედრება ვერც კახეთს, ვერც  
ქართლსა, ვერც იმერეთს და ვერც სამეგრელოს. გურია უმცროსია  
ამ თავისი უფროს ძმათა შორის. მაგრამ სახელი კი დიდი გაიგდეს  
გურულებმა და მთელი ქვეყნის თვალში დაიჭირეს პირველი ადგილი  
ყველა ქართველების რიგში. როგორ მოხდა ეს? მოხდა იმის გამო,  
რომ გურულებში ერთად არიან შეერთებულნი ღირსებანი ამერ-  
ქართველებისა და იმერ-ქართველებისა. გურული პირდაპირია,  
გულწრფელი და შეურყეველი, როგორც ქართლელ-კახელი; ამავე  
დროს იგი მკვირცხლია, გაბედული, მარჯვე და სწავლის მოყვარე,  
როგორც იმერელ-მეგრელი. ასე, რომ ყველანაირ სრულ ქართველებად  
გურულები უნდა ითვლებოდნენ.

გურია მთა-გორიანი კუთხეა საქართველოსი, სწორე ადგილი ძლიერ მტრე აქვს. მთებს შორის უფრო დიდი ნიგბრისაა ქედი, რომელიც აღმოსავლეთიდან მდინარე დასავლეთისკენ და გურიას ჰყოფს



რ-ნაწილად: ჩრდილოეთის ნაწილი დაქანებულია რიონისკენ, რომელიც გურიას ჩამოუდის ჩრდილოეთის მხრივ. სამხრეთის მხარეს გურიისს შირი აქვს შავი-ზღვისკენ, რომელიც გურიას საზღვრავს დასავლეთით. სამხრეთს-გურიაში უფრო შესანიშნავია მდინარე სუფსა, რომელშიაც ნაგები დადიან შავი-ზღვიდან ოცის ვერსის მანძილზე.

გურული ყმაწვილი.

სახნავ-სათესი მიწა გურიაში ისეთივე მსუქანია და ნაყოფიერი, როგორც სამეგრელოში. ამიტომ აქაც მიწის გახატეობა საჭირო არ არის და არც ჩვეულებად აქვთ. მიწის მოხვნა გურიაში თითქმის არ იცინა. უმეტეს ნაწილად მიწას ან ბარვებს, ან თახნისს. ეს იმის გამო, რომ აქ მიწა უსწორ-მასწორთა, ოდრო-ოდრო, და ამასთან ტყით, ან ბუჩქნარით არის დაფენილი. გურული გლეხი ბარავს მიწას ხეებსა და ბუჩქებს შორის და სოესავს ჭირნახულსა. ჰური გურულებს არ მოჰყავთ და არცა ხმარობენ. მხოლოდ რიონის მხარეზედ მტრედს სთესენ. თავი სარჩო გურულებისა ღომი და სიმინდია. ღომსა და სიმინდმა დიდი მოსავალი იცის: მიწას ერთი-ორად მეტი ღომი მოჰყავს ჰურზე და ერთი-ოთხად სიმინდი.

გენახები გურიაში ძლიერ ბევრია. რა ადგილიც ტყისაგან თავისუფალია, უმეტეს ნაწილად გენახებს უჭირავს. გენახები აქც სულ მადლარია, ვაზები მადლა ხეებსზეა აშვებული. ვაზებს მოჟდა სრულიად არა აქვთ; მაგრამ ზოგს ადგილებში ჩინებული ღვინო ღებობა. გურიაში ძლიერ გავრცელებულია აგრეთვე ყაჭის ჭიის ყოლა.



გურულებს ბევრი ეაჭი და აბრეშუმი მოჭყავთ და კარგ ფასად ქვე-  
დიან უცხო ქვეყნებშიად.

გურიაში ორი ქალაქია: ოსურგეთი და ფოთი. ოსურგეთი  
სძევს სამხრეთ-გურიაში, მდინარე სუფსის სამხრეთით. ფოთი სძევს  
ჩრდილო-გურიაში, შავი-ზღვის პირად, რიონის შესართავთან. ფოთს  
დიდი ნავთ-სადგური აქვს. ბევრი საქონელი გააქვთ და შემოაქვთ  
ამ ნავთ-სადგურიდან.

ტანისმოსად გურული იცვამს ჩოხასა და თავზე იხურავს ჩაბა-  
ლასსა, ან ფაფანაკსა. ხმარებაშია აგრეთვე მოკლე კოხტა გადასაც-  
მელი „ჭონია“, რომელიც ძლიერ უხდება გურულებსა. გურული  
მეტად ჩქარია ლაშარაკში, მოძრაობაში, საქმეში, უეფარს პირდაპირ-  
ობა და სძულს პირმოთხრობა. სწრაფად მოხდის გული, თოფის  
წამალივით იცის აფეთქება; მაგრამ ჩქარა ისევ მშვიდდება. სამარ-  
ჯვით და გულადობით გურულები განთქმულნი არიან. განათლება-  
საც გატაცებით მისდევენ. თათქმის ეველა სოფელში არის სკოლა  
და სამკითხველთა.

სამხრეთით გურიისა სძევს აჭარა. აჭარლები ძლიერ გვანან  
გურულებს აგებულებით, შეხედულებით, სწესებულებით და ლა-  
შარაკის კილოთი.

ძველ დროში აჭარლები სხვა ქართველებივით ქრისტიანები  
იყვნენ. შემდეგში აჭარა წაართვა საქართველოს ოსმალეთმა და  
მცხოვრებლები ძალდატანებით გაამაჰმადიანა.

აჭარაში ერთი დიდი ქალაქია—ბათუმი. ბათუმი სძევს შავი-  
ზღვის პირად და ფართო ნავთ-სადგური აქვს. ეს ნავთ-სადგური  
მუდამ სავსეა გემებითა. ზოგს გემს ჩვენი ქვეყნის ნაწარმოები მიაქვს  
უცხოეთში, ზოგს უცხოეთიდან მოაქვს საქონელი ჩვენს ქვეყანაში  
გასასადებლად. ბათუმის ახლო შავ-ზღვას ერთვის მდინარე ჭრო-  
ხი, რომელიც მომდინარეობს საქართველოს გამაჰმადიანებულს  
ნაწილზე.

**ქართველების ღირსებანი (ხალხური ლექსი.)**

- პირველ თქმულია ძველთაგან სიღარბაისღე მესხისა;
- მურადობა და ვაჭრობა ქართლელთ არა ეძახხვისა;
- ზრდილნი არიან იმერნი, მტერთა მიძცემი რისხვისა;
- ამი და ღხინი კახისა მოსაწონია კაცისა.



## ქვეყნისათვის თავდადებული ქართველები.

ეხლა ჩვენი საქართველო რუსეთის ნაწილია, და რუსეთის ხელმწიფე საქართველოს მეუფე არის. წინა დ კი, მრავალი საუკუნეების განმავლობაში, ჩვენი ქვეყანა ცალკე სახელმწიფოს შეადგენდა და საკუთარი მეუფეები ჰქავდა.

მაშინდელს დროში საქართველოს გარშემო არსებობდნენ ძლიერი სახელმწიფოები, რომელნიც ხშირად ცდილობდნენ შემოსეოდნენ ჩვენს სამშობლოს, დაერობათ, დაეპყროთ და დაემონაჰყობინათ. ქართველები თავის მხრივ შედგრად ებრძოდნენ ამ მტრებსა, იგერებდნენ მათ, იცავდნენ თავის დამოუკიდებლობას, თავისუფლებას. ამ დაუსრულებელი ბრძოლის დროს ბევრი, ძალიან ბევრი ქართველი თავსა სდებდა სამშობლოსათვის, სიცოცხლეს სწირავდა მის თავისუფლებას, დამოუკიდებლობას. ამისთანა თავდადებული ქართველები გამოდიოდნენ უკვლავ წოდებიდან. მაგრამ ზირველი ადგილი ამ თავდადებულობაში ეჭირათ საქართველოს გლეხებსა, რომელთაც ერთი ხელით მხჭევდათ თავისი და ქვეყნის საწინა ხეხა-თესვით, მეორე ხელში ეჭირათ საომარი იარაღი, გულდაგულ უხვდებოდნენ მტრებსა და მამაცურად ახადვალდებდნენ თავიანთ სიცოცხლეს სამშობლოსა.

მრავალთა მკაცლითა შორის ჩვენ გაცანცობთ რამდენსამე შესანიშნავ შემთხვევას თავდადებულობისას, რომელითაც თავი უსახელებით სხვა-და-სხვა წოდების ქართველებსა წინა საუკუნეებში.

### თავდადებული გლეხები.

#### 1. სამასი თავდადებული გლეხი.

ასის წლის წინა დ ქართლ-კახეთში მეფოდა მეფე ერეკლე. სპარსეთის ხელმწიფემ მოსთხოვა მას ეცნო ის მეფეთა-მეფედ და ხარჯი ეძლია. მეფე ერეკლემ ცივი უარი შეუთვალა. სპარსეთის ხელმწიფემ შეჭრობა დიდ-ძალი ჯარი და სწრაფად მოადგა თბილისსა. მეფე ერეკლემ მხოლოდ მცირეოდენი ჯარის მოგროვება მოასწრო. სპარსელები ერთი ცხად მეტნი იყვნენ ქართველებზე. ქართველ ჯარში



ურთი ერთი რაზმი, რომელიც შესდგებოდა სამასი ფშავ-ხვესურ და არაგვის-ზირელი გლეხისაგან.

ომის დაწყების წინ ამ რაზმის მეძმართ შეჭვირეს ერთმანეთს: თუ ბედმა გვიღალატა და ვერ დაფდეთ მტრის ძალა, შერცხვენილი იყოს, ვინც ჩვენგანი ცოცხალი თავით შინ დაბრუნდეს; ან გამარ. ჯვება მტერზე და ან სიკვდილი ბრძოლის ველზეო. ეს ვაჟაკურნი ფიცი ვაჟაკურნადვე შეასრულეს ჩვენმა რაზმელებმა. როცა აუარებელმა სპარსელებმა სძლიეს პატარა ქართველს ჯარსა, არც ერთმა რაზმელმა მტერს ზურგი არ უჩვენა, არც ერთი არ შეუშინდა სიკვდილსა, ეველანი ებრძოდნენ მტერს უკანასკნელის სისხლის წვეთამდის და თავისი გმირული სული ეველამ ბრძოლის ველზე დალია; თბაღისის ქვემოდ კრწანისის ველზე.

ეს თავდადებულობა სამასი გლეხისა მშვენებრად გამოსატა გრაგოლ ორბელიანმა შემდეგს ლექსში.

ბი სამასნი გმირები, ლუშეთით თბილისს მოსულნი,  
მეფის შეწევნად და მის წინ მისთვისვე შეფიცებულნი.

თუ გავიწყდება ღმერთი და ვერა გავსდევნეთ მტრის ძალი,  
იყოს შერცხვენილ ვინც ჩვენგან შინა წავიდეს ცოცხალი.

და გარღიწორეს პირჯვარი, ვაჟაკებო ხმალი იზიზღელს,  
და შავარდნებო მივარდნენ სპარსთა ურიცხვსა სიმრაველს.

შესძრეს, გაფანტეს, მაგრამა ზედ თავი თვისიც დააკლეს,  
ზიცი ვაჟაკთა წმიდა არს, მათცა სიკვდილით შემოწმეს.

**გულადა ქართველი (ხალხური).**

ვისაც მოუკლავს ის მოჰკლავს ნადირსა შავი ტყისასა,  
ვინც დახვდა, იგივე დახვდება გულდაგულ რაზმსა მტრისასა.

**2. გლეხა ბოსტაშვალი.**

ძეფე ერეკლეს დიდ-ხანს ჰქონდა ომი სპარსელებთან და ოსმალებთან. ამით ისარგებლეს ტარელმა ლეკებმა, რომელნიც საინგილოს ახლო ცხოვრობდნენ, და რბევა დაუწყეს ინგილოებს. ბედად, ერეკლემ მადე ბრწყინვალედ გაიმარჯვა სპარსელებზედაც და ოსმალებზედაც, და მაშინ მოაწადინა ტარელების ტკეპსზე მოყვანა და ალაგმა. შეკრიბა ჯარი, მიაღვა ტარსა და იწყო ბრძოლა.

ზურგის ჯარად ერეკლეს ჩვენებური თათრები ჰყავდა. ესენი წინა დიდს ერთგულობას იჩენდნენ ქართველებსას, მაგრამ ახლა უკვე უღალბეს და უკანაღამ აუტეხეს სრულა. ქართველი ჯარი იძულებული გახდა უკან-უკან წამოეხაფო. ამ დროს მეფე ერეკლეს მტრის, ტყვიამ ცხენი მოუკლას. აქვე თავადი ანდრონიკაშვილი ჩინებულს ცხენზე იჯდა. აქეთ-იქიდან დაუძახეს: ცხენი მეფეს დაუთმო. ანდრონიკაშვილმა უთხრა მეფეს: მობძანდი, უკან შემომიჯექი, ჩემი ცხენი ორივეს კარგად გვატარებსო. „შენც შეგარცხენია ღმერთმა და შენი ცხენიცაო,“ მრისხანედ მიაძახა ერეკლემ. აქვე ახლო შეესწრო ქიაიეელი გლეხი ბოსტაშვილი, რომელიც ბედაურს ცხენზე იჯდა. მამინე გადმოხტა, მიართვა ცხენი მეფესა და მოახსენა: ჩემი სიკვდილი არაფერია, შენი დაღუპვა კი ქვეყნას უბედურებას მიაყენებსო. ეველს ამის მოწმე და მნახველი აღტაცებაში მოიყვანა ამ გლეხის თავგანწირულებამ და დიდი ქება უძღვნეს.

ამ გლეხის ჩამომავალი არიან ახლანდელი აზნაურნი ბოსტაშვილები, რომელთაც მადრიელმა ერეკლემ აზნაურობა უბოძა.

### მმინარე ერეკლე.

აკურ კარავში ერეკლეს, ომს შემდეგ მოუსვენია; სძინავს მოქანცულს ბატონსა, თავით უნაგირს ბჯენია. მისი მეტანი ჭიხვინებს, კრინტს სხვა ვერ იღებს ვერავინ, და შინა-უმანი „კახისა“ მისს ხმალს სისხლიანს ჰფერავენ.

### ერეკლე და ზამზაული (ხალხური).

ზამზაული შეიკმაზა თოფითა და ჯინჯილითა, უნდა ქალაქს მივადგე, ამოვხატო შიმშილითა. ეს რო ერეკლემ გაიგო, გადაბრუნდა სიცილითა. ერეკლემ ხმალსა გაიკრა, საფრები მოამზადაო, შიგ ჩასხა მარჯვე ბიჭები, ესროლა ჩქარა, ჩქარაო; ზარბაზნები დაადგენა, თხუბავით დაილაღაო, შარშნ შემფრადნი ჩირგვებში ღღესაც არ გამომძვრადანო.



ეროვნული  
ბიბლიოთეკა

# თავდადებულნი აზნაურნი.

## 1. იოთამ ზედგინიძე.

ძველს დროში მთელი საქართველო, შავი-ზღვიდან დაწყებული ლეკეთის საზღვრამდე, ერთს შეკონილს სახელმწიფოს შეადგებდა. კახელი, ქართლელი, იმერცი, გურული, რაჭველი, მესხი, მეგრელი, სვანნი და თვით აფხაზნიც შეერთებული იყვნენ ერთის დროშის ქვეშ, ემორჩილებოდნენ ერთს მმართველს, ერთს მეფეს; ძმურად, თანხმობით და სიყვარულით ეპყრობოდნენ ერთმანეთს და ერთი იყვნენ ჭირშიც და ღებშიც. ამ ერთობის გამო საქართველო ძლიერი სახელმწიფო იყო: მტრებსე ბრწინვალად იმარჯვებდა, სახელი მისი ჭჭუნდა კარშემო უცხო ქვეყნებში და შინაც ჭეულობდა, კეთილდღეობით სტებებოდა. ამისთანა სანატრელს მდგომარეობაში იყო ჩვენი ქვეყანა მეტადრე დავით აღმაშენებლის და თამარ მეფის დროსა.

გარეშე მტრები სტდილობდნენ ეს ერთობა დაერღვიათ, განხეთქილება ჩამოეგდათ ქართველებში, ერთი ძლიერი სახელმწიფო გადაეჭრიათ რამდენსამე ჰაწია და უძლურ სახელმწიფოდ და მორჩილებაში ჭეულობდათ ჩვენი ქვეყანა. ამ ბოროტ განზრახვას მტრებისას ხელი შეუწევს ზოგიერთმა ჭკუა-მოკლე ქართველებმა და დიდმა თავადებმა, რომელთაც მეუობა, ან მთავრობა სწეურდათ. ამის გამო საქართველო გაიყო სამ სამეფოდ და ხუთ სამთავროდ, და მეტად დაუძლურდა.

ქართლ-კახეთის მეფეს გიორგი მერვეს სწადდა ისევ შეერთებინა მთელი საქართველო, და ერთ ძლიერ სამეფოდ გადაეჭრია. ეს არ მოსწონდათ მასთანდელს მთავრებს და მათ ჯოჯოხეთურს ხერხს მიმართეს. მოახდინეს შეთქმულობა და გადასწევიტეს: ბნელს დამეში მიეკზავნათ ჩუმიდ მკვლელები, მეფე გიორგის სიცოცხლე მოესპათ და საქართველოს გაერთიანება ჩაეთუშათ. ეს შეთქმულობა შეიტყო აზნაურმა იოთამ ზედგინიძემ, რომელიც მხურვალე მონატური იყო საქართველოს ერთობის აღდგენისა. მან მასინვე მოახსენა მეფეს ეს ამბავი და ურჩია დაუეონებლივ დოხინიძებს



შიელთ შეთქმულობის წინააღმდეგ. მაგრამ მეუკემ არ დავიკრას ეს, რადგანან შეუძლებლად ჰხდოდა ასეთს საზიზღარს დასაქმებულ ბურჟუაზიას ანუ იათამი დაერწმუნებინა მეუკე, მაგრამ ვერაფერს ვახდა.

ათამში კარვად იცოდდა, რომ გიორგი მეფის მოკვლას შეუძლებლად განდიდა ქართველთა ერთობის აღდგენას, და ვადანწყვიტა სიცოცხლე შეეწინა ამ ერთობისათვის. იგი შეეხვეწა მეუკეს: მიიღე წყალობა, ნება მომეცი ამაღამ შენს საწოლში დავწვე, შენ კი სხვა ადგილს მოისვენეო. მეუკე დასთანხმდა, რადგანან სრულიად დარწმუნებული იყო, რომ ათამს მის საწოლში არაფერი დაუშავდებოდა. მაგრამ მეუკე საშინლად მოსტუჟდა. როცა მეორე დიდას იგი შევიდა თავის საწოლში, საზარელი სურათი იხილა: მოკლული ათამი სისხლში სტურავდა. საშინელი თავზარი დაეცა მეუკეს და დიდად ნანობდა, რად შევეცი ნება ათამს ჩემს საწოლში დავწვდილიყოო.

თავდადებულს ათამს, რა სკვირველია, ადარაფერი ეშველებოდა; მაგრამ მისი შვილები კი სწორედ მეუკურად დააჯილდოვა გიორგი მეუკემ: მათ უბოძა თავადიშვილობა, უფლება მიანიჭა საშვილი-შვილოდ ამილახვარისა ანუ მეჯინიბელ უსუტესისა, და დიდძალი მამულ-დედული აჩუქა. ახლანდელი ამილახვრები არიან პირდაპირნი ჩამომავალნი თავდადებული ათამი ზედეინიძისა.

## 2. ცხრა ძმანი ხერხეულიძენი.

თბილისის სამხრეთით, ორმოცის ვერსის მანძილზე სძევს მოზრდილი სოფელი ძარაბდა. სამასის წლის წინად ამ სოფელში სტყარობდა მოხუცი აზნაური ხერხეულიძე, რომელიც ვადანსხლებული იყო ზემო ქართლიდგან და რომელსაც ცხრა ვაჟი ჰყავდა. ძმმა ამ ცხრა ვაჟისა იყო ერთგული მოყვარე თავისი ქვეყნისა და მხურვალე მამულიშვილი; ცოლადაც მას ჰყავდა ეოვლად დირსეული ქართველი მანდილასანი. ამის გამო ცხრა ძმანი ერთიერთმანეთზედ უკეთესი ვაჟკაცები და მამულიშვილები დადგნენ.

ამ ჟამად სპარსეთში შეუობდა შაჰი აბასი, მეტად აბეზარი მეომარი. მას ჰყავდა მრავალი ჯარი, გაწრთვნილი და გამოცდილი



დაშქრობაში. შევბაზმა დაიბურთ ბევრი ქვეყნები და ბოლოს სს-  
 ქართველშიც შემოიჭრა. ქართველი ჯარი მას გადაეღობა და სხე  
 თბილისს ქვეით, ძარბდის სამხრეთით. გახდა საშინელი ბრძოლა.  
 სამი დღის განმავლობაში სისხლი შეუწვევტელ ნაკადულებად მი-  
 დიოდა. თუმცა სპარსელები ერთი ათად მეტნი იყვნენ; მაგრამ  
 მათ სამის დღის განმავლობაში ქართველს ჯარს ფეხი ვერ მიაღ-  
 ვლევინეს, რადგანაც ქართველნი მეომარნი თავ-განწირულად იბრძოდ-  
 ნენ სამშობლოს დაცვისათვის. მეტადრე საოცარს უშიშრობას, სპარ-  
 სკალით ვაჟკაცობას და საარაკო თავდადებულობას იხედნენ ცხრა ძმანი  
 ხერხეულიძენი, რომელნიც ერთად მხარ-და-მხარ ებრძოდნენ მტერ-  
 სს. მათ არა ერთი აერიში სპარსელებისა უკუ აქციეს, არა ერთ-  
 ხელ აქნევინეს ზურგი მტერსა. მაგრამ მეოთხე დღეს სპარსელებს  
 ახალი ჯარი მოეშველათ და დალაღულ დაქანცულმა ქართველმა  
 დაშქარმა ვეღარ შეიკავა მტერი. ამ საშინელის წამის დროს ძმანი  
 ხერხეულიძენი არამც თუ არ შედრკენ, არამედ ღომებად გადაიქც-  
 ნენ და უფრო მომეტებული თავის განწირვით იბრძოდნენ. მათ,  
 ზემოთ მოხსენებული სამასი გლეხებით, გადაწვეტილი ჰქონდათ ან  
 გაემარჯვნათ, ან ბრძოლის ველზე დახრცილიყვნენ უველანი. და  
 რადგანაც ქართველმა ჯარმა ვერ გაიმარჯვა, თავ-დადებულნი ძმანი  
 ერთი ერთმანეთზედ ზედ შეაკვდნენ მტერსა, და თავისი გმირუ-  
 ლი სული დალაეს ბრძოლის ველზე.

ხალხის თქმულებით, მათი დედაც ბრძოლის ველზე იყო, ამხნე-  
 ვებდა მათ და როცა ერთს მის ვაჟს, სასიკვდილოდ დაჭრიდს,  
 ქართული დროშა ხელიდან გაუვარდა, დედამ აიღო დროშა და მერე  
 თავისს შვილს მისცა ხელში.

მადლიერმა ქართველებმა ეს ცხრა ძმა აწაფეს ბრძოლის ველ-  
 ზე მკვდართა შორის, თვითიული დიდი მოწიწებით დამარხეს  
 ცალ-ცალკე მწკრივად და დაადვეს ცხრა დიდ-დიდი საფლავის  
 ქვა, რომელიც დღემდის დაცულია.

თავდადებული თაუადები.

1. საჩინო ბარათაშვილი.

სპარსელებსა და ქართველებს შორის ომი იყო. ქართველსა



ჰარს წინამძღვრობდა მამაცი მეფე სვიმონი. ქართველების საქმე კარგად მიდიოდა და სრული გამარჯვების იმედი ჰქონდათ. მაგრამ სსზიზღარმა დალატმა საქმე უკუღმა დაატრიალა. ჩვენის ჰარას ერთ-ერთ უფროსად იყო ყორღანაშვილი. ერთს დამეს ეს ყორღანაშვილი გაიზარა ქართველი ჰარიდან, მივიდა სპარსელებთან, გასცა ჩვენები, ეველაფერი შეატულობნა მტერსა და შეეკა აღუთქვა. ჩაიღინა ეს დალატი იმ განზრახვით, რომ სპარსელებისაგან მიეღო დიდი ჯილდო და მადლი თანამდებობა. სპარსელებს მოღალატე მოუძღვა დილის რაჭრავის დროს, როცა ქართველს ჰარს ეძინა. სძლიეს ქართველებს, დაატყვევეს მეფე სვიმონი და უკუ აქცია ქართველი ჰარი.

სპარსელები შემოვიდნენ თბილისში და გაბატონდნენ. უხვად დაჯილდოვეს და აღამაღლეს მოღალატე ყორღანაშვილიც.

მთელი ქართველობა გამსჭვალული იყო უკიდურესი შურის ძიებით ყორღანაშვილისადმი. იგი მზად იყო გაემურებინა ის, ვინც მას სამაგიეროს გადაუხდიდა და მათგანებდა იმისთანა სსჯელს, რომლისც დირსი იყო ეს იუდა. მაგრამ ამ მოღალატის დასჯა ძლიერ ძნელი იყო. დამსჯელს მოელოდა გაბატონებული სპარსელებისაგან ტანჯვა, წამება და სსშინელი სიკვდილი.

მიუხედავად ამისა, ჩქარა აღმოჩნდა ეს სსნატრული შურის მძიებელიც. ეს იყო სსჩინო ბარათაშვილი, მძღაფრი ვაჟკაცი, მსურვა-ლე მამულიშვილი, უფილი წინამძღოლი ქართველი ჰარისა.

ერთხელ მანგლისის გზაზე შესვდნენ ერთმანეთს მოღალატე ყორღანაშვილი და სსჩინო ბარათაშვილი. შესვედრა მოხდა თვალი-ჩაუწვდენელის ხრამის პირად. ყორღანაშვილმა არჩეინად მისცა სალაში ბარათაშვილს ამ სსხით: სსჩინოს გაუმარჯოსო. სსჩინომ მიამხა: ღმერთმა ეველა ქართველს გაუმარჯოს იუდა მოღალატეზედაო. სსჭვა თუ არა ეს, გაექანა, ჰქრა ხელი ყორღანაშვილსა და გადაჩეხა უფსკრულს ხრამზე. ყორღანაშვილი რახა-რუხით წავიდა კლდისკენ კლდეზე, დაიმხვრა და მანამ ძირს უწევდა, სსშინელი ტანჯვით დაღია ცოდვილი სული.

ეველა ქართველი ადილებდა სსჩინო ბარათაშვილსა, რომელმაც თავი გასწირა და სსმაგალითოდ დასაჯა მოღალატე იუდა.



## 2. ცოტნე დადიანი.

ერთს დროს საქართველოში მონგოლები ბატონობდნენ და დასრულდნენ. მათ მონღუს მეფობას საქართველოში და თვითონ მიითვისეს მეფის უფლებანი. მეტად ავიწროებდნენ ხალხსა, დიდს ხარჯს ართმევდნენ, მონურს მორჩილებას თხოულობდნენ. ქვეყნსა შველანდოდა, მაგრამ შველას ძაღიან ძხელი იყო, რადგანაც მტერს მეტის-მეტად დიდი ძალა ჰქონდა.

საუკეთესო მამულიშვილნი აქეთა და იქითა საქართველოსი შეიკრიბნენ ახალციხის ახლო და შეუდგნენ ბჭობას, თუ რა გზით ეშველათ ქვეყნისათვის.

დაადგინეს, აუკანუებიანთ ხალხი, შეეკრიბათ დიდი ჯარი და გაელაშქრათ მონგოლებზე. დაადგნენ თუ არა ამ გადაწვევრილობას; ცოტნე დადიანი იმ წამსვე წავიდა სამეგრელოში ხალხის სსაჯანუბლად. სხვანი კი ერთი ღლით კიდევ დარჩნენ იქვე. სწორედ ამ დროს მოვიდა ჩუმად მონგოლთა რაზმი, შეიპერო უველა იქ შეიფინი ქართველები და ტყვედ წაიყვანა.

როცა ტყვეები მიიყვანეს მონგოლთა მბრძანებელთან, მან უბრძანა: გააკავეთ ეს ქართველები, დაატოვლეთ უველანი, თოკებით შეუკარით უველას მკლავები, წაუსვით ტანზე თაიფლი და დასხით შანანაქება მზეზედა; დეე იხრაკებოდნენ და იტანჯებოდნენ ბუხებისაგანათ.

გაიგო თუ არა ეს უბედურება ცოტნე დადიანმა, მამინვე გასწია მონგოლთა მბრძანებელის ბინისაკენ. მან გააარა მესხეთი ანუ ახლანდელი ახალციხის მხარე, შემდეგ ჯავახეთი, ჩავიდა სომხეთისა და შევიდა სომეხთა დედა-ქალაქის ანისში. ერთს დიდს მოედანზე დაინახა ქართველი ტყვეები, რომელნიც გატიტვლებულნი და მკლავებ შეკრულუნი იხსდნენ მზის გულზე, იხრაკებოდნენ და იწამებოდნენ მრავალი ბუხისაგან. სამინელმა წუხილმა შეიპერო ცოტნეს გმირული გული, როცა ამისთანა დამამცირებელს მდგომარეობაში ნახა წარჩინებულნი საქართველოსანი. მაგრამ ამისთან ნუგეშიც იგონო, რადგანაც დაინახა, თუ რა ღირსეული ვაჟკაცობით იტანდნენ ამ სათაკილო სასჯელს მისნი მეგობარნი, თითქო უველა იფიქრობსო: თუ მატხოვარი ჯვარს ეცვა აუახაკთაგან ქვეყნის გამომსხრისათვის, ხეც რატომ არ უნდა



ავიტანთ ეს სასჯელი სამშობლო ქვეყნის განთავისუფლებისათვისა. ცოტნე გადმოხტა ცხენიდან, მივიდა თავისს მეგობრებთან და მხურვალედ მიესალმა; ამ წამსვე გაიხდა თავისი ტანისამოსი, გატატულდა, თვითონვე შეიკრა თოკით მკლავები და ამ სახით ჩაჯდა თავისს მეგობრებს შორის დაღმრთებული. დიდად აზუგუშა წამებულნი ამხანაგის ასეთმა ერთგულებამ და სულგრძელებამ.

როცა ეს ამბავი მოახსენეს მონგოლთა მბრძანებელს, იგი მეტად გაოცდა, დაიბარა თავისთან ცოტნე და ჰკითხა მიზეზი ასეთი მისი საოცარის საქციელისა. ცოტნემ უპასუხა: „მე მოვუდი თქვენ წინაშე, რათა გამოიძიოთ, და უკეთუ ღირსი რამე სიკვდილისა გვიქნია, მეც იმათთან მოვკვდე, და უკეთუ უბრალონი არიან, მეც უბრალოდ შევირაცხო, რადგან უნებოდ არაფერი უქნიათ.“

ამ სამაგალითთა თავდადებულებამ ასე ძლიერ იმოქმედა მონგოლთა წინამძღოლზე, რომ მან ბრძანა: რადგანაც ქართველნი იმდენად სათნონი და კეთილნი ყოფილან, იმდენად ერთგულნი ერთმანეთისა, რომ შორეული სამეგრელოდან მოვიდა კაცი ესე დიდებული, რათა დასდოს სული თვისი მოყვასთათვის, და გასწირას სული თვისი სასიკვდილოდ, ამიტომ ვუწოდებო მუც მათა და განმიტოვებოა უველანი. და გაუშვეს უველანი ესე წარჩინებული და წავიდნენ თავის-თავად.—ასე გადმოგვცემს ამ ამბავს ძველი წიგნი „ქართლის ცხოვრება“, რომელშიაც არის აწერილი წარსული თავგადასავალი საქართველოსი.

### თავდადებული ძველი თევდორე.

ერთს ზაფხულს თათრები უცბა და სრულიად მოულოდნელად შემოესივნენ საქართველოს. მათ უნდოდათ ჩუმიად მიახლოებოდნენ საქართველოს მეფეს, რომელიც მამინ საჯარაკოდ იყო სოფელ ახალ-ქალაქის ახლო, დაეტყვევებინათ იგი და დაეპყროთ ჩვენი ქვეყანა. ერთს ზატარა სოფელში მანგლისის ახლო მათ შეიპყრეს ძველი თევდორე და უთხრეს: შენ უნდა წინ გაგვიდგე, სულ მოკლე გზით გვატარო და რაც შეიძლება მალე მიგვიყვანო მეუის ბინაზედაც. თუ ამას შეგვისრულებ, დიდს საჩუქარს მიიღებ; ხოლო



თუ უარზე დადგები, გტანჯავთ, გაწვავებთ და საშინელს მოგცემთ.

თუვედროე მღვდელი სწორედ ჯოჯოხეთის ციხეში ჩავარდა. თუ თათრებს ნებას დაჰყუებოდა, მეუეს დაატყუებდნენ და საქართველოს სახსრებდნენ. თუ მტერს უარს ეტყოდა, სამშობლოს ვერ გამოამუტებდა, მას მოელოდა გამოუთქმელი ტანჯვა, წამებით სიკვდილი და დაობლება ცოლშვილისა. მესამე გზა შეუძლებელი იყო: ან თავი უნდა შეეწირა ქვეუნიისათვის, ან სამშობლო ენაცვალებინა თავისათვის.

ზირველს წამებში მღვდელი ეყომანობამ შეიძურო და ვერ გადაეჭრა, რომელს გზას დასდგომოდა. ამ ეყომანობის დროს მას სხცოდავა, შესაბრაღისი სხხე ჰქონდა; მაგრამ უცებ იგი წელში გასწორდა, სხხე გაუნათლდა, დიდებული გამოამუტყუვლებს მიიღო. თათრებს უთხრა თუვედროემ: კარგი, მომეყვით და სულ მოკლე გზით გატარებთ მეფემდისინაო. თათრები დიდს სიხარულს მიეცნენ.

მიღის წინ მღვდელი, მისდევენ მას უკან თათრები. ესენი ხედავენ, რომ მღვდელს სულ დასავლეთისაკენ მიჰყავს დაბურულს ტუეში. გაგონილი კი ჰქონდათ, რომ მეფე იქვე ახლო ჩრდილოეთისაკენ არისო. ეჭვი ეპარებოთ; მაგრამ თან ფიქრობდენ: აი სხცა გზა ჩრდილოეთისაკენ გაუხვევსო. ხოლო თუვედროე მღვდელი სულ იქით და იქით მიღის. იარეს ასე კარგა ხანს. ბოლოს თათრები მიხვდნენ, რომ თუვედროე მღვდელმა ისინი მოატყუა, გზას ახდინა და მეფის ბინას უფრო კიდევ დააშორა. მაშინ ისინი საშინელი სიბრაზით აივსნენ, გაშმაკებულნი მისცვივდნენ საწყალს თუვედროეს და ასო-ასოდ აუწყეს.

წამებულს თუვედროე მღვდელს სრული იმედი ჰქონდა, რომ ის თავისი სიკვდილით იხსნიდა ქვეყანას უბედურებისაგან. ეს იმედი სავსებით აუსრულდა. ქართველებმა მოასწრეს შეტუბობა მტრის მოახლოვებისა, სწრაფად შეჰყარეს ჯარი და შეებრძოლნენ მტერსა.

ზირველს ხანში ქართველებს ბრძოლა უჭირდათ, რადგანაც მხოლოდ ახლო-მახლო სოფლებმა მოაშველეს მეომარნი. მაგრამ თანდათან შორიდგანაც გაჩნდნენ ბრძოლის ველზე კლესებიც, ახნაურებიც და თავადებიც და მტერს საქმე გაუჭირეს. თათრებმა გორისაკენ გაიწიეს, უნდოდათ ხიდზე გასულიყვნენ და ქალაქი



დაკრბით; მაგრამ კორელებმა დროზე ჩაშალეს ხიდი და თათრები  
 ცალმა არ გაუშვეს. ძაშინ მტერი გაქეპარა სურამისკენ, მაგრამ სურამ-  
 ქართლის ჯარი გადაეღობა გზაზე. თათრებმა მხარი იბრუნეს და  
 ბორჯომის ხეობაში შევიდნენ. მაგრამ საშინელს მახეში გაებნენ.  
 უკანდაცხ ხომ ზემო-ქართლები მისდევდნენ, წინიდან კიდეც  
 დაუხვდათ მთავარი ჯარი ქართველებისა, რომელსაც გორიდან სწრა-  
 ფად ეპარა მტერი. მარჯვენა ნაპირზე, გასულიყო მტკვარში და გზა  
 შეკერა მტრისსაკენ. მომწვედელი ორ ქართველ ჯარს შუა, ოთ-  
 რები იქმნენ განადგურებულნი სრულიად. უმეტესმა ნაწილმა სიცოც-  
 ხლე დასტოვა ბრძოლის ველზე, დანარჩენნი დატუყვებულნი იქმნენ.  
 ამ სახით გადაჩხა ჩვენი ქვეყანა მტრის ხელთ ახრებდას და გა-  
 მარჯკებული გამოვიდა. ასეთი დიდებული ნაყოფი მოიტანა თუე-  
 დორე მღვდლის თავდადებულობამ.

ქართველმა ერმა და ეკლესიამ თუეღორე მღვდელი წმიდათა  
 თანა შერაცხა და მის დაბლებულს ცოლშვილს მშობლიური მზრუნ-  
 ვლობა აღმოუჩინა.

როგორც თუეღორე მღვდელს, ისე უველა თავდადებულებს არას  
 დროს არ დაივიწყებს ქართველი ერი და ისტორია და მათი სახსენებელი  
 ბრწყინვალე შარ ვანდედით მოცული იქმნება უკუნითი-უკუნისამდე.

კაი ხანია რაც საქართველოს აღარ მტრობენ და აღარ აწუხე-  
 ბენ აღარც ლეკები, აღარც სპარსელები და აღარც სხვა წინანდელი  
 მტრები. ამის გამო ჩვენც, ქართველებს, გვმართებს უოველ გვარს  
 მტრობაზე მათ შესახებ ხელი ავიღოთ, (და აღებულიც გვაქვს,  
 საბუნებრივად) და ვიქონიოთ კეთილი მეზობლობა, მეგობრული  
 განწყობილება. სამაგაეროდ, მთელი ჩვენი ძალ-ღონე უნდა ში-  
 ნაურს მტრებს მოვანდომოთ. ვინ არიან ეს მტრები? შირველი  
 მტერი არის ჩვენი უსწავლელობა, უვიცობა; მეორე მტერი სიდა-  
 რიბეა. აი ამ უვიცობას და სიღარიბეს უნდა ვებრძოლოთ ისეთივე  
 მხნეობით და თავგამოდებით, რომლითაც ებრძოდნენ ჩვენნი წინა-  
 ხარნი გარეშე მტრებსა. მხოლოდ მაშინ ველირსებით წარმატებას,  
 კეთილ-დღეობასა, ბედნიერებასა.



ქართული  
ენების ინსტიტუტი

გ ა მ ო ც ა ნ ე ბ ი ს ა

|             |   |
|-------------|---|
| გვერდი წიგ. |   |
| 6, 9, 12    | წერილი.—სტოლი. სამოვარი.—წყალი. ღვინით საგსე ქვევრი.  |
| 19          | ქალამანი. ქოშები. ხალიჩა. ფეხი და ქალამანი.   |
| 23, 25      | ნავი.—ნემსი და ძაფი. ქარქაში და ხმალი. მრეკავი და ზარი. წისქვილი.   |
| 31          | ცხვარი. ტიკი. ღორი. ძუძუები და სარძევე.   |
| 38, 39      | მელა.—კვერცხი.  |
| 42,49,50,52 | ქთამი. კვერცხის გულქ და ცილა.—თევზი.—ბაყაყი.—თევზი.   |
| 55, 56      | ფუტკარი.—ციცინათელა. რწყილი.  |
| 59, 61, 63  | თივა.—ურმის სოლები და ფერსოები.—თითის-ტარი. ჯარა.   |
| 71, 72      | კიტრი.—მკა.—ვაზი.—მსხალი.   |
| 76, 82      | კაკალი. სიმინდი. მაცვალი.—თხილი.—მარილი. ღრუბელი.   |
| 84, 88      | დღე და ღამე. მთვარე. საათი. ყინული.—წელიწადი და თორმეტი თვე.  |
| 98, 99-100  | ადამიანი.—კანჭი. პირი და კბილები. თავი და თმა. ცხვირი. ენა. თვალი. ადამიანის სხეული. კბილები. ენა და მუცელი. წამწამები. |
| 104         | ენა, თვალეები, ყურები და თავი. სათვალეები. ბრმასა.  |
| 109,        | წვიმა. სეტყვა. თოვლი. ყინული.   |

# ააკობ გოგებაშვილის წიგნები.

## I. ქართულ ენაზედ.

- დედა-ენა**, პირველი ნაწილი, ქართული ანბანი პატარა მოთხრობებით, ლექსებით, აღწერებით და დედნით. ოც-და-მეორე გამოცემა. შასი ორი შაური. შინც ათობით იყიდის, დაეთმობა რვა კაპეიკად.
- დედა-ენა**, ნაწილი მეორე, საკითხავი წიგნი შემდეგ ანბანისა, იპყრობს ორის წლის სრულს კურსსა. გამოცემა ოც-და-მეორე. შასი ყდით ორი აბაჯი. შინც ათობით იყიდის, დაეთმობა ხუთ კაპეიკად.
- ბუნების კარი**, მესამე წლისათვის, მეთხუთმეტე გამოცემა. შასი ყდით სამი აბაჯი. შინც ათობით იყიდის, დაეთმობა 48 კაპეიკად.
- დედა-მშვენი**, მზადდება მეოთხე წლისათვის, იპყრობს გეოგრაფიულს, ისტორიულს და ქრისტიანობის განყოფილებასა. მღირება სამი აბაჯი. შინც ათობით იყიდის, დაეთმობა 48 კაპეიკად.
- კომკომი**, მეცამეტე გამოცემა. 70 ათაი. შასი ორი შაური.
- კონა**, მეხუთე გამოცემა, სურათებით. შასი ყდით ორი აბაჯი.
- კუნწულა**, ანუ კრებული რჩეულის მოთხრობებისა შერობისა და რუსეთის მწერლებისა. შასი ორი აბაჯი.
- იპნანამ რა ჰქმნა?** მოთხრობა ცხრა სურათით, გამოცემა მეოთხე, 11,200 ცალი. შასი ერთი შაური.
- ხატის მიწაში**, მოთხრობა. შასი ერთი შაური.
- ასკინის ომი**, გამოცემა მესამე, 6,000 ცალი. შასი შვიდი კაპ.
- თავდადებულნი ქართველნი**, მეორე სურათებიანი გამოცემა, 8,600 ცალი. შასი 7 კაპეიკი.
- მოსავლის მცველნი**, ანუ სასარგებლო ცხოველები და ფრინველები, სურათებიანი გამოცემა. შასი ერთი აბაჯი.
- მეფე ივანე და ინგილო ქალი**, ისტორიული მოთხრობა, 6,000 ცალი, ორი სურათით. შასი ერთი შაური.
- სხივი წარსულისა**, ისტორიული ამბავი. შასი ერთი შაური.
- ბაილო**, ანუ კრებული საყმაწვილო და სახალხო მოთხრობათა, გამოცემა წიგნების გამომცემელ ქუთათურის ამნანავობისა. შასი სამი შაური.
- საარაკო თავბადასავალი**, ისტორიული მოთხრობა. შასი ორი შაური.
- ბურჯი მარკნებისა**, მეორე, ბევრად შევსებული, გამოცემა. შასი 20 კ.
- რანი ვიხავით გუშინ?** ისტორიული წერილი. შასი ერთი აბაჯი.

## II. რუსულ ენაზე.

- РУССКОЕ СЛОВО**, часть первая, издание 15-ое. Цѣна въ пер. 40 к.
- РУССКОЕ СЛОВО**, часть вторая, из. 10-ое. Цѣна въ пер. 50 коп.
- МЕТОДИКА** къ „Русскому Слову“ для учащихся, издание второе, исправленное и дополненное. Цѣна 60 копѣекъ въ переплетѣ.
- РАЗБОРЪ** учебныхъ руководствъ по русскому языку. Цѣна 50 коп.
- НОРМАЛЬНОЕ ПИСЬМО**. Цѣна 20 копѣекъ.
- ПРАВДА** о Тифлисѣ, второе издание. Цѣна 20 коп.
- КЪ ВОПРОСУ** о поднятіи образованія дворянства. Цѣна 20 коп.
- О ГРУЗИНСКОМЪ И РУССКОМЪ АЛФАВИТАХЪ**. Цѣна 20 коп.
- КАКЪ** УЛУЧШИТЬ Кавказскую народную школу. Цѣна 30 коп.
- КЪ ВОПРОСУ** о мингрельской начальной школѣ. Цѣна 20 коп.
- ГОСУДАРСТВЕННЫЙ ЯЗЫКЪ**, отвѣтъ Одоева. Цѣна 30 коп.